

ელ. უყუანაევილი

სახალხო  
მსახურის  
ფიზენი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1985

67.99(2)9  
343.161  
შ. 963

წიგნი განკუთვნილია სახალხო მსაჯულებისათვის. იგი სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოების მუშაკებსაც გაუწყვეს გარკვეულ დახმარებას და, ალბათ, არც საბჭოთა სასამართლის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველთათვის იქნება ინტერესმოკლებული.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. შ. ჩიკვაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თ. შამგულშიძე

1203150000—162

III ————— ბრძ. № 415—85.

M (601) 08—85

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.

## წიგნის ტყვამობა

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „მოქალაქეებმა ყველამ უკლებლივ უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სასამართლო-სა და მართვა-გამგეობაში“<sup>1</sup>. დიდი ბელადის მითითებათა შესაბამისად საბჭოთა სასამართლო მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრიობასთან, მშრომელთა ფართო მასებთან. ამ კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა.

ათასობით საბჭოთა ადამიანი ასრულებს სახალხო მსაჯულის მოვალეობას, მდიდარი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილებით უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, იძენს სახელმწიფო ცხოვრებაში მონაწილეობის დიდ ცოდნასა და წრთობას. მართო საქართველოს სსრ სასამართლოებში არჩეულია თოთხმეტ ათასამდე სახალხო მსაჯული. ყოველ არჩევნებზე თითქმის სანახევროდ ხდება მათი შემადგენლობის განახლება. სახალხო მსაჯულად ირჩევენ მოწინავე მუშებს, გლეხებს, წარმოების ნოვატორებს, ექიმებს, ინჟინრებს, პედაგოგებს, სხვა სპეციალისტებს, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებს. სასამართლოში მათ მოაქვთ საზოგადოებრივი აზრი და განწყობა, ფაქტობრივი გარემოს აღქმისა და შეფასების სიახლე, ხალხური სიბრძნე და პუმანურობა. მათი მონაწილეობით კიდევ უფრო მაღლდება მართლმსაჯულების ავტორიტეტი, იზრდება სასამართლო განაჩენისა და გადაწყვეტილების პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა.

სახალხო მსაჯული სრულუფლებიანი მოსამართლეა. ყველა სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები პირველი ინსტანციით იხილება, განაჩენი და გადაწყვეტილება დვინდება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. საქმის განხილვისას წამოჭრილი ყველა საკითხი და მთლიანად საქმე

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 148.

წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. ამიტომ მართლმსაჯულების განხორციელების მდგომარეობა და ხარისხი დიდად არის დამოკიდებული სახალხო მსაჯულის პიროვნებაზე, მის სამართლებრივ კულტურასა და მართლშეგნებაზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაეხმაროს სახალხო მსაჯულებს სამართლებრივი ცოდნის ამაღლებაში, მართლმსაჯულების განხორციელებისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების სწორად გაგებასა და გადაწყვეტაში. წიგნში განხილულია საბჭოთა კანონმდებლობის ძირითადი დარგები და ინსტიტუტები, გადმოცემულია სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პრინციპები, ნაჩვენებია საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების დემოკრატიული ბუნება, მისი განხორციელების წესი და გარანტიები, წინა პლანზეა წამოწეული ის საკითხები, რომელთა ცოდნა საჭიროა სახალხო მსაჯულებისათვის.

სახალხო მსაჯულის წიგნი ქართულ ენაზე პირველად გამოდის. როგორც შინაარსით, ისე გადმოცემის ფორმითა და მეთოდით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება რუსულ ენაზე გამოცემული ანალოგიური ხასიათის ნაშრომებისაგან. წიგნის გასაუმჯობესებლად გამოთქმული ყველა სურვილი და წინადადება გათვალისწინებული იქნება ავტორის მიერ შემდგომი გამოცემისას.

§ 1. სახალხო მსაჯულის უფლებამოსილება

ცოტა რამ ისტორიიდან სახალხო მსაჯულის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობამ განვითარებისა და სოულყოფის დიდი გზა განვლო. სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის თანახმად, ადგილობრივ სასამართლოში საქმე იხილებოდა ორი, ხოლო რევოლუციურ ტრიბუნალში ექვსი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. სახალხო მსაჯულთა სიებს ადგენდა და ამტკიცებდა ადგილობრივი საბჭო. სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტმა დაადგინა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ერთი მუდმივი მოსამართლისა და თორმეტი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, ხოლო სამოქალაქო საქმეებისა — სამი მუდმივი მოსამართლისა და ოთხი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით. ამასთან სისხლის სამართლის საქმეებზე დანაშაულის ფაქტისა და სასჯელის ზომის საკითხს წყვეტდნენ მხოლოდ სახალხო მსაჯულები. ამ საკითხების განხილვაში მოსამართლე მონაწილეობდა სათათბირო ხმის უფლებით.

სახალხო სასამართლოს შესახებ 1918 წლის 30 ნოემბრის დებულებამ არსებითად შეცვალა სასამართლოს შემადგენლობა. დებულებამ დაადგინა სახალხო სასამართლოს სამი შემადგენლობა: სახალხო მოსამართლე, სახალხო მოსამართლე და ორი სახალხო მსაჯული, სახალხო მოსამართლე და ექვსი სახალხო მსაჯული. სახალხო მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავდა განქორწინებისა და სხვა მარტივ საქმეებს. სახალხო მოსამართლისა და ექვსი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით ხდებოდა ყველაზე რთული და სერიოზული საქმეების განხილვა. სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისას სახალხო მოსამართლე სარგებლობდა გადამწყვეტი ხმის უფლებით, განაჩენი და გადაწყვეტილება დგინდებოდა ხმის უბრალო უმრავლესობით.

პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი სასამართლოს ამჟამად მოქმედი შემადგენლობა (მოსამართლე და ორი სახალხო მსაჯული) შემოდებულ იქნა სასამართლოს შესახებ 1922 წლის 11 ნოემბრის დებულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ 1958 წლამდე სახალ-

ხო მოსამართლეებისა და სახალხო სასამართლოების სახალხო მსა-  
ჯულთა არჩევა ხდებოდა ერთნაირი წესითა და ვადით.

სახალხო მსაჯული და ყველა საკანონმდებლო აქტში, სადაც  
მოსამართლე ლაპარაკია სახალხო მსაჯულის უფ-  
ლებრივ მდგომარეობაზე, ხაზგასმითაა

აღნიშნული, რომ სახალხო მსაჯული არის სრულუფლებიანი მოსა-  
მართლე და მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობს  
მოსამართლის ყველა უფლებით. ამით თითქმის ყველაფერია ნათ-  
ქვამი, სწორად არის მინიშნებული და განსაზღვრული სახალხო მსა-  
ჯულის სამართლებრივი სტატუსი. მაშ რატომ არის, რომ სახალხო  
მსაჯულს პირდაპირ მოსამართლეს არ ვუწოდებთ? რასაკვირველია,  
არც ის იქნება დიდი ცოდვა, თუ სახალხო მსაჯულს მოსამართლედ  
მოვიხსენიებთ. ხშირ შემთხვევაში კანონი ასეც იქცევა, როცა გან-  
მარტავს მოსამართლის ცნებას და მის პროცესუალურ უფლებამო-  
სილებას. მაგრამ სახალხო მსაჯულსა და პროფესიონალ მოსამართ-  
ლეს შორის მაინც არის განსხვავება. სახალხო მსაჯულისათვის მო-  
სამართლეობა, მართლმსაჯულების ფუნქციის განხორციელება არ  
წარმოადგენს მის ძირითად სამსახურებრივ საქმიანობას. სახალხო  
მსაჯული დროებითი მოსამართლეა. იგი სასამართლოში წელიწადში  
ერთხელ მოიწვევა ორი კვირის ვადით. სახალხო მსაჯულს სასამარ-  
თლოში ყოფნის დროს ენახება ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილ-  
ზე, ხოლო თუ არ მუშაობს, ხარჯები აუნაზღაურდება დადგენილი  
წესით. მოსამართლისათვის მოსამართლეობა წარმოადგენს მის სამ-  
სახურებრივ მოვალეობას, იგი სასამართლოს თანამდებობის პირია  
და ხელფასს იღებს აქ შესრულებული სამსახურებრივი მოვალეო-  
ბისათვის. სახალხო მსაჯული, როგორც წესი, არ არის პროფესიუ-  
ლი იურისტი, მიღებული არა აქვს იურიდიული განათლება. თუმცა  
კანონი არ მოითხოვს, რომ მოსამართლე აუცილებლად პროფესიით  
იურისტი იყოს, მაგრამ პრაქტიკაში თითქმის ყველა მოსამართლეს  
უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს. ყოველ შემთხვევაში, მო-  
სამართლეს იურიდიული განათლებაც რომ არ ჰქონდეს, იგი თავისი  
სამსახურებრივი მდგომარეობით იურისტია, სამართლის დარგის  
მცოდნე და მსახურია. მოსამართლე საქმეების განხილვის გარდა  
ხელმძღვანელობს და წარმართავს სასამართლოს საქმიანობას, მათ  
შორის, სახალხო მსაჯულებთან მუშაობას.

სახალხო მსაჯული მონაწილეობს მხოლოდ პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოში. მოსამართლე კი, გარდა სახალხო სასამართ-

თლოსი, შეიძლება მონაწილეობდეს ყველა ინსტანციის სასამართლოში. პირველი ინსტანციით საქმის განმხილველ სასამართლო კოლეგიას თავმჯდომარეობს პროფესიული მოსამართლე. ამ ფუნქციის განხორციელების უფლება სახალხო მსაჯულს არა აქვს, თუ იგი, რასაკვირველია, არ ცვლის სახალხო მოსამართლეს მისი დროებით არყოფნის პერიოდში. კანონის თანახმად, სახალხო მსაჯულს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულება მისი დროებითი არყოფნის შემთხვევაში. ზემდგომი სასამართლოს მოსამართლის მოვალეობის დაკისრება სახალხო მსაჯულისათვის დაუშვებელია.

საქმეების განხილვისას კოლეგიის თავმჯდომარე, ესე იგი პროფესიონალი მოსამართლე, აღჭურვილია გარკვეული ერთპიროვნული უფლებებით. იგი ხელმძღვანელობს სასამართლო სხდომას. კანონით მას ევალება წარმართოს სასამართლო გამოძიება საქმის ყველა გარემოების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის უზრუნველსაყოფად. მას ევალება აგრეთვე სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვა. პროფესიონალი მოსამართლე ერთპიროვნულად ასრულებს ზოგიერთ სხვა მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ბრალდებულის სამართალში მიცემისა და საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადებასთან.

სახალხო მსაჯულის სამოსამართლო სრულუფლებიანობა ვამოიხატება იმაში, რომ იგი კოლეგიის თავმჯდომარის თანაბრად მონაწილეობს მტკიცებულებათა გამოკვლევასა და შეფასებაზე. საქმის განხილვისას წამოჭრილი ყველა საკითხის გარკვევასა და გადაწყვეტაში. სახალხო მსაჯულს მინიჭებული აქვს ყველა პროცესუალური უფლება, მოსამართლესთან თანაბარ საწყისებზე მიიღოს მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, დაიცვას თავისი პოზიცია ყველა საკითხზე. მოსამართლეს უფლება არა აქვს სახალხო მსაჯულების გარეშე მიიღოს რაიმე არსებითი პროცესუალური გადაწყვეტილება. ყველა ორგანიზაციული ხასიათის მოქმედებას მოსამართლე ერთპიროვნულად ასრულებს სასამართლოს კოლეგიის სახელით. უფრო მეტიც; სახალხო მსაჯულები კოლეგიაში უმრავლესობას შეადგენენ და მათი ნებისა და სურვილის გარეშე სასამართლო ვერ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, რომ კოლეგიის თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს და ყველა საკითხი წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

## სახალხო მსაჯულის პიროვნება

სახალხო მსაჯულად არჩევისათვის კანონი, გარდა ასაკისა, სხვა რაიმე ცენზს არ ითვალისწინებს. სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის ოცდახუთი წელი შეუსრულდა. მაგრამ, გასაგებია, რომ მართლმსაჯულების ფუნქციის სწორად გაგებისა და განხორციელებისათვის მარტო ასაკი არ კმარა. სასამართლო საქმიანობის სპეციფიკა და სირთულე სახალხო მსაჯულს მეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს.

სახალხო მსაჯული, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს მაღალზნეობრივი პიროვნება, მას უნდა ჰქონდეს სხვისი მოქმედების განსჯისა და შეფასების მორალური უფლება. სახალხო მსაჯულისა და მისი ოჯახის წევრების ბიოგრაფია არაფრით არ უნდა იყოს შებღალული და შელახული. მართლმსაჯულება საქვეყნოდ, ხალხის თანდასწრებით ხორციელდება და იგი დამსწრე საზოგადოებაზე მხოლოდ მაშინ მოახდენს დადებით ზემოქმედებას, თუ მას ახორციელებენ ყოველმხრივ უმწიკვლო და ავტორიტეტული ადამიანები.

სახალხო მსაჯული უნდა იყოს პრინციპული, არ ეშინოდეს თავისი ფუნქციების სწორად განხორციელება, არ ერიდებოდეს საშიშ დამნაშავეთა მკაცრად დასჯას, არ აწვალებდეს აზრი იმის შესახებ, თუ ვინ როგორ გაიგებს, ვის მოეწონება და ვის არ მოეწონება მისი მონაწილეობით დადგენილი განაჩენი თუ გადაწყვეტილება და ხომ არ მოჰყვება ამას რაიმე ცუდი შედეგი და უსიამოვნება. მშიშარა და მხდალი ადამიანი ვერ იქნება პირუთენელი მსაჯული.

სახალხო მსაჯული ყველას მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. მას უნდა შეეძლოს არ აჰყვეს ემოციებსა და განცდებს, პირადი განწყობის, ნაცნობობისა და სიმპათიების საფუძველზე არ მიიღოს გადაწყვეტილება. რასაკვირველია, სახალხო მსაჯული ადამიანია და შეუძლებელია ესა თუ ის ქცევა, ფაქტი და მოვლენა ემოციური განცდის გარეშე აღიქვას, მაგრამ მას უნდა შეეძლოს არ გამოამჟღავნოს თავისი გრძნობები. თუ სახალხო მსაჯულს თუნდაც შინაგანად პროცესის რომელიმე მონაწილის მხარე უკავია, იგი ვერ იქნება ობიექტური მოსამართლე და უნდა განერიდოს საქმეს.

სახალხო მსაჯული უნდა იყოს დინჯი, თავშეკავებული, უნდა შეეძლოს მოთმენა და მოსმენა, საკითხის ბოლომდე გარკვევა, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მართლმსაჯულების მახვილი მეტად



ზასრია და მას დიდი მოზომვით, სიფრთხილითა და სიდინჯით უნდა გამოყენება. ადამიანის ქცევისა და, საერთოდ, ნებისმიერი საკითხის გარკვევა შეუძლებელია აურზაურში, მითუმეტეს სასამართლო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა, სადაც დიდი სიზუსტით უნდა დადგინდეს ყველა ფაქტი და გარემოება.

სახალხო მსაჯული უნდა იყოს ჰუმანური, ლმობიერიც და მკაცრიც, როცა ეს საჭიროა. მას უნდა უყვარდეს ადამიანი, შეეძლოს სხვისი ქირისა თუ ლხინის გაზიარება, გულთან მიტანა, გათავისება. უნდა ახსოვდეს, რომ რა საშიში დამნაშავეც არ უნდა იჯდეს განსასჯელის სკამზე, იგი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანა და მართლმსაჯულება ადამიანს კი არ ებრძვის, არამედ სიმახიჩეს ადამიანში.

სახალხო მსაჯულს უნდა ჰქონდეს გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება და ალღო. მართლმსაჯულების განხორციელებისას მრავალნაირი ცხოვრებისეული მოვლენა და ფაქტი შეიძლება წამოიჭრას, რომელთა სწორი გაგება და შეფასება შეუძლებელია გამოცდილების უქონლად. რასაკვირველია, ცხოვრებისეულ გამოცდილებას მარტო ასაკი არ განსაზღვრავს, სხვანაირი უნარი და მიხვედრილობაცაა საჭირო.

და, ბოლოს, სახალხო მსაჯული უნდა იყოს კანონის მცოდნე. მართალია, მას პროფესიული იურისტის ცოდნა არ მოეთხოვება და ეს არც არის საჭირო, მაგრამ სამართლებრივი ცოდნის მინიმუმი მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მართლმსაჯულება არის კანონიერების განხორციელება და, ბუნებრივია, თუ სახალხო მსაჯულმა კანონი არ იცის, მარტო მაღალი ზნეობით, ცხოვრებისეული ალღოთა და გამოცდილებით ფონს ვერ გავა. სახალხო მსაჯული უნდა ერკვეოდეს საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლებში, კანონმდებლობის ამა თუ იმ დარგის ძირითად ცნებებსა და ინსტიტუტებში, ესმოდეს მათი აზრი და არსი. რაც მთავარია, სახალხო მსაჯული პატივს უნდა სცემდეს კანონს, მხოლოდ კანონს უნდა თვლიდეს თავის ერთადერთ უფროსად და დამრიგებლად.

**სასამართლოს  
საქმიანობაში  
სახალხო მსაჯულთა  
მონაწილეობის  
მდგომარეობა**

სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც ხალხის სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობენ, აქვთ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და თავიანთ ძირითად

თად საქმიანობას წარმატებით უთავსებენ სახალხო მსაჯულის საპატიო მოვალეობას. ბოლო დროს ჩატარებული არჩევნების მონაცემებით საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა 39 პროცენტი მუშაა, 11 პროცენტი კოლმეურნე, 52 პროცენტი ქალია, 47 პროცენტი სკკპ წევრია, 11 პროცენტი კომკავშირელი.

სახალხო მსაჯულთა დიდი უმრავლესობა აქტიურად, პრინციპულად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების მაღალი შეგნებით მონაწილეობს სასამართლოს მთელს საქმიანობაში, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, კანონიერი განჩინებისა და გადაწყვეტილებების დადგენას. სამწუხაროდ, არიან ისეთი სახალხო მსაჯულებიც, რომლებიც გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მაქსიმალურად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებებსა და შესაძლებლობებს, საქმის განხილვისას დამოკიდებულნი არიან პროფესიულ მოსამართლეზე, ვერ გრძნობენ თავიანთ დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას, ანგარიშებს არ აბარებენ ამომჩევლებს, არ ატარებენ პროფილაქტიკურ და პროპაგანდისტულ ღონისძიებებს. ზოგი სახალხო მსაჯული საერთოდ თავს არიდებს. და არაერთარ მონაწილეობას არ იღებს სასამართლოს საქმიანობაში. ზოგ სასამართლოში არ იცავენ კანონის მოთხოვნას სახალხო მსაჯულთა მორიგეობით გამოძახების შესახებ, სახალხო მსაჯულებს იბარებენ მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებით, რის შედეგად ერთი და იგივე სახალხო მსაჯული წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს რამდენჯერმე არის მოწვეული სასამართლოში. ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ზელმძღვანელს არ სურს სამუშაოდან გაათავისუფლოს სასამართლოში მიწვეული სახალხო მსაჯული, ავიწყდება, რომ სასამართლოს საქმიანობაში სახალხო მსაჯულის მონაწილეობა კონსტიტუციური პრინციპია და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს.

საქმის განხილვაში მონაწილე სახალხო მსაჯულების გარკვეული ნაწილი სინამდვილეში არაერთარ მონაწილეობას არ იღებს სასამართლო განხილვაში, მთელი პროცესის მანძილზე გაუხმრევლად და უჩუმრად ზის. რასაკვირველია, მსაჯულის მონაწილეობა საქმის განხილვაში მარტო მისი აქტიურობით არ შეიძლება შეფასდეს. შესაძლოა სახალხო მსაჯული უჩუმრად იჯდეს, მაგრამ მან ყურადღებით მოისმინოს, ნაწოს და შეაფასოს ყოველივე ის, რაც პროცესზე ხდება, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ სახალხო მსაჯული, რომელიც

საქმის განხილვის მსკლელობისას ერთ სიტყვას არ იტყვის, არავითარ რეაგირებას არ ძოახდენს მტკიცებათა გამოკვლევაზე, სათათბირო ოთახში განაჩენისა და გადაწყვეტილების დადგენისას აქტიური და პრინციპული იქნება. ყოველ შემთხვევაში ძნელია ამაში დაარწმუნო პასიური სახალხო მსაჯულის მაყურებელი დამსწრე საზოგადოება.

საქმის განხილვაში სახალხო მსაჯულთა პასიურობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი წინდაწინ არ ეცნობიან საქმია მასალებს. ვერ ერკვევიან ან ცუდად ერკვევიან სამართლებრივ საკითხებში, შებოტილად გრძნობენ თავს სასამართლო აუდიტორიის წინაშე. საქმის განხილვაში უფრო აქტიურად მონაწილეობს ის სახალხო მსაჯული, რომელსაც სახალხო მსაჯულად ყოფნის დიდი სტაჟი აქვს, რომელიც მეორედ, მესამედ და მეტად არის არჩეული. სახალხო მსაჯული აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე იმ საქმის განხილვაში, რომელიც თავისი ხასიათითა და შინაარსით ახლო დგას მის პროფესიასთან თუ სამსახურებრივ საქმიანობასთან. მაგალითად, სახალხო მსაჯული, რომელსაც პედაგოგის განათლება აქვს, აქტიურად მონაწილეობს არასრულწლოვანი განსასჯელისა თუ მოწმის დაკითხვაში, ავტოავარიის საქმის განხილვაში უფრო აქტიურია ის სახალხო მსაჯული, რომელმაც იცის ავტომანქანის მართვა და ა. შ. მიუხედავად ამისა, კონკრეტული საქმეების განხილვისას დიდი სტაჟისა და პროფესიის მიხედვით სახალხო მსაჯულთა შერჩევა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მსაჯულთათვის დიდი სამოსამართლეო გამოცდილების მიღება. მათი რამდენჯერმე არჩევა ხელს შეუშლიდა იმ პრინციპის განხორციელებას, რომლის მიხედვით მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მოსახლეობის რაც შეიძლება მეტმა ნაწილმა. სახალხო მსაჯულთა ყოველი არჩევნების დროს თითქმის სანახევროდ ხდება მათი შემადგენლობის განახლება და ეს ასეც უნდა იყოს. პროფესიის მიხედვით სახალხო მსაჯულთა შერჩევა კი დაარღვევდა კანონის მოთხოვნას სასამართლოში მათი რიგითობის მიხედვით გამოძახების შესახებ, გამოიწვევდა ზოგი სახალხო მსაჯულის ზედმეტად გადატვირთვას.

**სახალხო მსაჯულთა  
აქტიურობის ამაღლება**

სახალხო მსაჯულთა აქტიურობის ასა-  
მარჯობად ყველაზე რეალური გზაა  
მათი სამართლებრივი სწავლების სწო-

რი ორგანიზაცია. სახალხო მსაჯულთა სწავლება ძირითადად წარმოებს სასამართლოში. თვეში ერთხელ მოსამართლე მსაჯულებს

უტარებს მეცადინეობას საბჭოთა სამართლისა და მართლმსაჯულე-  
ბის საკითხებზე. მეცადინეობის თემატიკა და პროგრამა რეკომენდი-  
რებულია იუსტიციის ორგანოების მიერ. სასამართლოებში, სადაც  
რამდენიმე მოსამართლეა, როგორც წესი, მეცადინეობა ტარდება  
ყველა სახალხო მსაჯულთან ერთად. ბევრ სასამართლოსთან სახალ-  
ხო მსაჯულებისათვის შექმნილია სამართლებრივი ცოდნის სახალხო-  
უნივერსიტეტი. იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კურსებზე  
ეწყობა სახალხო მსაჯულთა საბჭოების თავმჯდომარეთა და იმ სა-  
ხალხო მსაჯულთა სწავლება, რომლებიც შეეცლიან მოსამართლეს  
მისი არყოფნის პერიოდში.

სახალხო მსაჯულთა სწავლების აღნიშნული ფორმები მოი-  
თხოვს შეზღვრულ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. ლექციებისა და  
სწავლების პარალელურად სახალხო მსაჯულებთან უფრო ხშირად  
უნდა ტარდებოდეს სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები,  
ხდებოდეს სასამართლო პროცესებზე მათი კოლექტიური დასწრე-  
ბა. ეწყობოდეს შეხვედრები სწავლულ იურისტებთან და გამოც-  
დილ პრაქტიკულ მუშაკებთან. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სა-  
თანადო ლიტერატურითა და საკანონმდებლო მასალით სახალხო  
მსაჯულთა უზრუნველყოფას, სახალხო მსაჯულთა სწავლებისათვის  
უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ ადგილობრივ პრესას, რადიოსა  
და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.

სახალხო მსაჯულთა აქტიურობა, მართლმსაჯულების განხორციე-  
ლებასა და სასამართლოს საქმიანობაში მათი მონაწილეობის მდგო-  
მარეობა დიდად არის დამოკიდებული მოსამართლეზე. საჭიროა მო-  
სამართლე ამ საკითხს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს, სა-  
ხალხო მსაჯულებთან სისტემატურად ატარებდეს მეცადინეობებს,  
ეხმარებოდეს მათ ამომრჩეველებთან ანგარიშის ჩაბარების ორგანი-  
ზაციაში, ჯეროვან ყურადღებას აქცევდეს სახალხო მსაჯულთა საბ-  
ჭოების საქმიანობას, საქმის განხილვაში მონაწილე სახალხო მსაჯუ-  
ლებს წინდაწინ აცნობდეს საქმის მასალებს, განუმარტავდეს შესაბა-  
მის საკანონმდებლო ნორმებს, იყენებდეს კანონით გათვალისწინე-  
ბულ საშუალებებს სახალხო მსაჯულთა ავტორიტეტისა და პასუხის-  
მგებლობის ასამაღლებლად.

თვითონ სახალხო მსაჯულებიც უნდა გრძნობდნენ მეტ პასუ-  
ხისმგებლობას და ზრუნავდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლე-  
ბისათვის. ვერავითარი ლექცია და მეცადინეობა ვერ უშველის, თუ  
სახალხო მსაჯული თვითონ არ არის დაინტერესებული სამართლებ-

რევი ცოდნის შექმნით, არ გრძნობს პირად პასუხისმგებლობას კონკრეტული საქმეების სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის, ალბათ, არც ის არის სწორი, რომ საქმის განხილვისას დაშვებული შეცდომებისათვის პასუხს მხოლოდ მოსამართლეს თხოვენ და სახალხო მსაჯული ვერც იგებს, რატომ გაუქმდა ან შეიცვალა მისი მონაწილეობით დადგენილი განაჩენი თუ გადაწყვეტილება.

### ნაფიც მსაჯულთა სახამართლო

მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის წარმომადგენელთათვის სრული სამოსამართლო უფლებების მინიჭება

და ამ უფლებათა რეალური განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ხალხს ეკუთვნის მთელი ძალაუფლება, სადაც სასამართლო გამოხატავს და იცავს მშრომელთა ინტერესებს. დასავლეთში ფართოდ რეკლამირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაბატონებული კლასების ინტერესების დაცვის ისეთივე მორჩილი და მოქნილი იარაღია, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მთელი სისტემა. ახასიათებდა რა რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სასამართლოში სახალხო წარმომადგენლების მონაწილეობა, უეჭველია, დემოკრატიული საწყისია. ამ საწყისის თანმიმდევრული გამოყენება მდგომარეობს, ჯერ ერთი იმაში, რომ ნაფიც მსაჯულთა არჩევისათვის არ იყოს ცენზი, ე. ი. საარჩევნო უფლების შეზღუდვა განათლების, საკუთრების, ბინადრობის და სხვა პირობებით“<sup>1</sup>.

იმპერიალიზმის ეპოქაში კიდევ უფრო შეიზღუდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენცია, მთელ რიგ ქვეყნებში საერთოდ გაუქმდა იგი, ხოლო სადაც ჯერ კიდევ შემორჩა, მთლიანად დაემორჩილა მონოპოლისტური კაპიტალიზმის ინტერესებს. ნაფიც მსაჯულთა სიებს აღგენენ თვითონ მოსამართლეები, პოლიციის ჩინოვნიკები ან საამისოდ შექმნილი სპეციალური კომისიები. ამ სიებში მოხვედრისათვის დაწესებულია მრავალი ცენზი და პირობა, რაც პრაქტიკულად საშუალებას უსპობს მშრომელი ფენების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ასე, მაგალითად, ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სიაში შეტანის კანდიდატს უნდა ჰქონდეს ქონება, რომელიც იძლევა სულ მცირე 100 ფუნტი სტერლინგის წლიურ შემოსავალს, ამერიკის შე-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 365.

ერთეულ შტატებში — უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას, მოცემული ადგილის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდეს ერთი წელი მაინც და ა. შ. ზოგიერთ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულად არ შეიძლება იყოს ექიმი, ჟურნალისტი, სასულიერო პირი და რიგი სხვა პროფესიის თუ ფენის წარმომადგენელი.

ნაფიცი მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებაში ფაქტობრივად არც მონაწილეობენ. ისინი სათათბირო ოთახში წყვეტენ მხოლოდ ბრალდების საკითხს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოაქვთ ორსიტყვიანი ვერდიქტი განსასჯელის ბრალეულობისა და უდანაშაულობის შესახებ. ბრალეულად ცნობის შემთხვევაში პროფესიონალი მოსამართლეები ადგენენ განაჩენს კანონისა და სასჯელის ღონისძიების მითითებით.

## § 2. სახალხო მსაჯულთა საბჭო

**სახალხო მსაჯულთა საბჭოს ამოცანები** სახალხო მსაჯულთა საქმიანობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით სასამართლოებთან დიდი ხანია შექმნილია სახალხო მსაჯულთა საბჭოები, რომელთა ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი ამ ბოლო დრომდე კანონით არ იყო რეგლამენტირებული. ამჟამად ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მიღებულია დებულება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს შესახებ. ასეთი დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცდა 1982 წლის 21 სექტემბერს.

დებულების შესაბამისად, სახალხო მსაჯულთა საბჭო არჩევითი საზოგადოებრივი ორგანოა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს სახალხო სასამართლოს იმ საქმიანობაში, რომელსაც იგი ეწევა მართლმსაჯულების განსახორციელებლად, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლისა და აგრეთვე გამაფრთხილებელი ხასიათის ღონისძიებათა ჩატარებისათვის.

**სახალხო მსაჯულთა საბჭოს შექმნის წესი** სახალხო მსაჯულთა საბჭოს ირჩევენ სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა კრებაზე ღია კენჭისყრით სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილების ვადით. საბჭოს ასარჩევად სახალხო მსაჯულთა კრებას იწვევს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე არა

უგვიანეს ერთი თვისა რაისაბჭოს აღმასკომიდან სახალხო მსაჯულთა დამტკიცებული სიის მიღების დღიდან.

საბჭოს წევრთა რაოდენობას ადგენს სახალხო მსაჯულთა კრება, მაგრამ მათი რიცხვი შეიღზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. სახალხო სასამართლოში, სადაც რამდენიმე მოსამართლეა და შესაბამისად სახალხო მსაჯულთა რაოდენობაც დიდია, მსაჯულთა საბჭოს ირჩევენ 15—25 კაცის შემადგენლობით. ეს რაოდენობა უზრუნველყოფს იმას, რომ საბჭოს თითოეულმა წევრმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში თავის ძირითად საქმიანობაში ხელის შეუშლელად.

საბჭოს შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან სახალხო მსაჯულები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე სახალხო მსაჯულთა ხმების უმრავლესობა. თუმცა დებულებაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მიღებული წესის მიხედვით კრება უფლებამოსილად უნდა ჩაითვალოს, თუ მას ესწრება სახალხო მსაჯულთა ორი მესამედი.

დებულების თანახმად, სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს. თუმცა დებულებაში საბჭოს თავმჯდომარის მხოლოდ ერთ მოადგილეზეა ლაპარაკი, მაგრამ დიდი დარღვევა არ იქნება, თუ მრავალრიცხოვან და სამუშაოს დიდი მოცულობის მქონე მსაჯულთა საბჭოში თავმჯდომარის ორ მოადგილეს აირჩევენ. საგულისხმოა, რომ პრაქტიკაც ასეთი გზით მიდის.

სახალხო მსაჯულთა საბჭო სასამართლოს მუშაობის მოცულობისა და პირობების, აგრეთვე სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გათვალისწინებით ქმნის სექციებს თავისი საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით, დებულების მიხედვით, საბჭოს შეუძლია შექმნას შემდეგი სექციები: ა) პირობით მსჯავრდებულთათვის გამოტანილი განაჩენების, აგრეთვე იმ მსჯავრდებულთა მიმართ განაჩენის აღსრულებისადმი კონტროლისა, რომელთაც გადაედოთ თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება; ბ) აღიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა აღსრულებისადმი კონტროლისა; გ) სასამართლოს კერძო განჩინებათა შესრულებისადმი კონტროლისა; დ) მართლმსაჯულების აღმზრდელობითი მნიშვნე-

ლობის ამიღლების ღონისძიებათა განხორციელებაში ხელის შეწყობისა.

საბჭოს შეუძლია შექმნას სხვა სექციებიც თავისი საქმიანობის მიმართულებათა მიხედვით, მაგრამ დებულებაში მითითებული სექციები კი ყველა საბჭოსთან უნდა იყოს შექმნილი, რადგან ისინი მოიცავენ სასამართლოს საქმიანობის მეტად მნიშვნელოვან მიმართულებებს. საბჭო სექციების ხელმძღვანელებსა და შემადგენლობას ამტკიცებს საბჭოს წევრებისა და სხვა სახალხო მსაჯულთა რიცხვიდან. სექციების დაკომპლექტებისას მხედველობაში მიიღება სახალხო მსაჯულთა პროფესია, ცხოვრებისეული გამოცდილება, სურვილი და ა. შ.

**სახალხო მსაჯულთა  
საბჭოს საქმიანობის  
ძირითადი მიმართულებანი**

დებულების შესაბამისად, სახალხო მსაჯულთა საბჭო ეხმარება სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა რიგრიგობის წესით გამოძახების შესახებ კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში, მონაწილეობს სახალხო მსაჯულებთან მეცადინეობის ჩატარების ორგანიზაციაში, აკონტროლებს და დახმარებას უწევს სახალხო მსაჯულებს ამომრჩეველებთან და დახმარებას უწევს სახალხო მსაჯულებს ამომრჩეველებთან დახმარების ჩატარების საქმეში.

სახალხო მსაჯულთა საბჭო მონაწილეობს სასამართლოს აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ საქმიანობაში, ორგანიზაციას უკეთებს გამსვლელი სესიების მოწყობას, სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების განხილვას საწარმოში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ეწევა მოსახლეობაში ფართო პროპაგანდისტულ და აღმზრდელობით მუშაობას.

საბჭო უზრუნველყოფს სახალხო მსაჯულთა მონაწილეობას პირობით მსჯავრდებულთა, აგრეთვე განაჩენგადადებულთა ყოფაქცევისადმი კონტროლის განხორციელებაში, არკვევს, რა მუშაობას ეწევიან ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა ორგანოები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და შრომითი კოლექტივები. საბჭო ეხმარება სასამართლოს ალიმენტის გადახდევინებისა და დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებათა და განაჩენთა დროულად აღსრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში, მონაწილეობს კერძო განჩინებათა აღსრულებაში.

სახალხო მსაჯულთა საბჭო ისმენს სექციების ხელმძღვანელთა და სახალხო მსაჯულთა ინფორმაციებს, ამუშავებს რეკომენდაციებს



მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, ჩატარებული მუშაობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს, აღძრავს მის წინაშე შუამდგომლობას აქტიური მუშაობისათვის სახალხო მსაჯულთა წახალისების შესახებ.

**სახალხო მსაჯულთა  
საბჭოს საქმიანობის  
წესი**

სახალხო მსაჯულთა საბჭო ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, საბჭოს დებულებათა და სხვა ნორმატიული აქტებით. საბჭო აღგენს და ამტკიცებს

მუშაობის ყოველკვარტალურ გეგმას, რომლის შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისა და ინსპექციებთან, ადმინისტრაციულ და სამეთვალყურეო კომისიებთან, ლოთობის, ალკოპოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებთან, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებთან, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, მოსახლეობის თვითმოქმედების სხვა ორგანოებთან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირსა და კონტაქტში.

სახალხო მსაჯულთა საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ და უფლებამოსილად ითვლება, თუ მათ ესწრება საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმის უბრალო უმრავლესობით. სხდომის ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. საბჭოს სხდომებში მონაწილეობა შეუძლია სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც დებულებით ევალება წარმართოს საბჭოს მუშაობა, გააცნოს საბჭოს წევრებსა და სხვა სახალხო მსაჯულებს სასამართლოს ამოცანები, უზრუნველყოს საბჭოს საქმიანობის ტექნიკური მომსახურება.

სახალხო მსაჯულთა საბჭო გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს სახალხო მსაჯულთა კრებას წელიწადში ერთხელ მაინც.

**სახალხო მსაჯულთა  
საქმიანობის  
გაუმჯობესება**

სახალხო მსაჯულთა საბჭოს ორგანიზაციისა და საქმიანობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის მიუხედავად მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

ზოგან ეს საბჭოები მხოლოდ ქალაქებში არსებობენ, არავითარ დახმარებას არ უწევენ სახალხო სასამართლოს მართლმსაჯულების გან-

ხორციელებაში, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლისა და პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებაში. ზოგი საბჭო ჯეროვნად ვერ გეგმავს თავის საქმიანობას, იშვიათად მართავს სხდომებს, ვერ წარმართავს სექციების მუშაობას, ვერ ამყარებს კონტაქტსა და კოორდინაციას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

საბჭოს საქმიანობის სათანადო ღონეზე დაყენებისათვის აუცილებელია მისი შემადგენლობის სწორი დაკომპლექტება, საბჭოს წევრებად და სექციების ხელმძღვანელებად იმ სახალხო მსაჯულთა არჩევა, ვისაც აქვს საზოგადოებრივი მუშაობის უნარი და გამოცდილება, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. საბჭოს საქმიანობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული სასამართლოს თავმჯდომარეზე, რომელიც ხშირად უნდა ესწრებოდეს საბჭოს სხდომებს, მონაწილეობდეს გეგმების შედგენაში, ოპერატიულ თათბირებზე ისმენდეს გეგმის შესრულების მიმდინარეობას, ახალისებდეს მოწინავე სახალხო მსაჯულებს, ყველა ზომას იღებდეს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად. საბჭოს ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ მას სახალხო სასამართლოში არ გააჩნია ოთახი ან კუთხე თავისი მეურნეობის მოსაწყობად და საწარმოებლად.

### § 3. სახალხო მსაჯულთა ანგარიშვალდებულება

სახალხო მსაჯულის  
ანგარიშვალდებულების  
ცნება

ამომრჩევლების წინაშე სახალხო მსაჯულთა ანგარიშვალდებულება საკანონმდებლო წესით პირველად დაადგინა სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუ-

ციამ, რომლის 152-ე მუხლში ნათქვამია: „მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელნი არიან ამომრჩევლების ან ამომრჩევი ორგანოების წინაშე, ანგარიშს აბარებენ მათ და შეიძლება მათ მიერ გაწვეულ იქნენ კანონით დადგენილი წესით“. ეს კონსტიტუციური დებულება აისახა დარგობრივ კანონმდებლობაშიც.

ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარება წარმოადგენს სახალხო მსაჯულების მოვალეობას. სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულები ანგარიშს აბარებენ იმ კოლექტივს, რომელმაც ისინი

აირჩია, ხოლო ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულები ანგარიშვალდებული არიან მათი ამრჩევი საბჭოს წინაშე. პრაქტიკაში ზემდგომი სასამართლოები საბჭოს აბარებენ ანგარიშს მთლიანად სასამართლოს საქმიანობის შესახებ. საბჭოს სესიაზე, აღმასკომის ან პრეზიდიუმის სხდომაზე პირადად სახალხო მსაჯულის ანგარიშის მოსმენა თითქმის არ ხდება, თუმცა კანონის თანახმად, ეს სავსებით მისაღები და დასაშვებია.

სახალხო მსაჯული პასუხისმგებელია თავისი ამომრჩევლების წინაშე და ამიტომაც მათ უნდა ჩააბაროს ანგარიში. სახალხო მსაჯულის გამოსვლა იმ კოლექტივში, ვისაც იგი არ აურჩევია მსაჯულად, არ წარმოადგენს ანგარიშის ჩაბარებას. სახალხო მსაჯული მოვალეა და მონაწილეობს კიდევ სასამართლოს პროფილაქტიკურ და პროპაგანდისტულ საქმიანობაში, სასამართლოსა თუ სახალხო მსაჯულთა საბჭოს დავალებით მას უხდება ინფორმაციის გაკეთება სხვადასხვა კოლექტივისათვის. სამართლებრივი საკითხებისა და სასამართლოს საქმიანობის თაობაზე სახალხო მსაჯული გამოდის პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით. ყველა ეს ღონისძიება თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ არ წარმოადგენს სახალხო მსაჯულის ანგარიშს ამ ცნების სამართლებრივი გაგებითა და მნიშვნელობით. სახალხო მსაჯულის ანგარიშვალდებულება ნიშნავს სასამართლოში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას უშუალოდ ამომრჩევლებისათვის, მათთვის ვინც იგი აირჩია მსაჯულად და ვისაც უფლება აქვს ჩამოართვას ეს უფლებამოსილება.

კანონში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როდის და რამდენჯერ უნდა ჩააბაროს სახალხო მსაჯულმა ამომრჩევლებს ანგარიში. როგორც აღინიშნა, სახალხო მსაჯულს სასამართლოში თავისი მოვალეობის შესასრულებლად იწვევენ წელთაღმართი ორი კვირის ვადით. მიზანშეწონილი იქნება თუ სახალხო მსაჯული ამ ვადის დამთავრებისთანავე ჩააბარებს ანგარიშს თავის ამომრჩევლებს. ორი კვირის გარდა სახალხო მსაჯული სხვა დროსაც ასრულებს სასამართლოს დავალებებს, მონაწილეობს სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობაში. ამიტომ გამორიცხებული არ არის, რომ სახალხო მსაჯულმა ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებაც ჩააბაროს ანგარიში.

საანგარიშო მოხსენების  
მომზადება

ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებლად სახალხო მსაჯული სათანადოდ უნდა მოემზადოს, გაეცნოს ამ საკითხზე

სასამართლოში არსებულ მასალებს, დაესწროს გამოცდილ სახალხო მსაჯულთა ანგარიშებს, ანგარიშის ტექსტი თუ თეზისები წინდაწინ გააცნოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრებს და სასამართლოს თავმჯდომარეს, მოისმინოს და გაითვალისწინოს მათი სამართლიანი შენიშვნები და წინადადებები.

სახალხო მსაჯული ანგარიშს აბარებს თავისი საქმიანობის შესახებ. მას არ ევალება და ვერც შეძლებს ამომრჩევლებს მოახსენოს სასამართლოს საქმიანობის ყველა მიმართულება. სახალხო მსაჯულმა ამომრჩევლებს, უწინარეს ყოვლისა, უნდა გააცნოს სასამართლოში მიღებული პირადი შთაბეჭდილებები, ის სიძნელები, რაც მას შეხვდა მართლმსაჯულების განხორციელების თუ სხვა დავალებათა შესრულებისას. საანგარიშო მოხსენებაში სახალხო მსაჯულმა დიდი ადგილი უნდა დაუთმოს იმ კონკრეტულ საქმეებს, რომლებიც მისი მონაწილეობით იქნა განხილული. სისხლის სამართლის საქმეების შესახებ სახალხო მსაჯულმა უნდა მოუთხროს ამომრჩევლებს, ვინ იყო განსასჯელი, რა დანაშაულის ჩადენაში ედებოდა ბრალი, რით იყო დამტკიცებული წარდგენილი ბრალდება, რამ შეუწყო ხელი დანაშაულის ჩადენას, მოინანია თუ არა დამნაშავემ თავისი საქციელი, რა გარემოებებზე გაამახვილა სასამართლომ ყურადღება, რა განაჩენი დაადგინა და როგორ შეხვდა მას დამსწრე საზოგადოება. სამოქალაქო საქმეებზე ყურადღება უნდა გაამახვილოს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსსა და საფუძვლიანობაზე, მხარეთა პოზიციანზე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი დავის ზნეობრივ და სამართლებრივ მხარეებზე.

კონკრეტული საქმეების განხილვის წესისა და შედეგების გამოცემით სახალხო მსაჯული თვალნათლივ უჩვენებს ამომრჩევლებს საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ ბუნებას, მოქალაქეთა თანასწორობას კანონისა და სასამართლოს წინაშე, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა თანასწორობის იდეას, მათ დამოუკიდებლობასა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილებას.

სახალხო მსაჯული საანგარიშო მოხსენებაში უნდა შეეხოს იმ საქმიანობას, რაც მან შეასრულა სასამართლოში, ცალკეულ საქმეთა განხილვაში მონაწილეობის გარდა უნდა აღნიშნოს, კერძოდ, რა მონაწილეობას იღებს სასამართლოს პროფილაქტიკურ საქმიანობასა და სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობაში. სახალხო მსაჯული კარგად უნდა იცნობდეს და იყენებდეს ადგილობრივ ვითარებას, სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობას იმ კოლექტივში,

ვის წინაშეც იგი ანგარიშით გამოდის. მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ამომრჩეველთა წინაშე მომზადებული და საფუძვლიანი გამოსვლა ხელს უწყობს სასამართლოს ავტორიტეტის ამაღლებას, მოსახლეობასთან მისი კავშირის განმტკიცებას.

### საანგარიშო კრების ჩატარება

სახალხო მსაჯულის მიერ ანგარიშის ჩაბარებისათვის ამომრჩეველთა კრებას იწვევს შესაბამისი კოლექტივის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ხოლო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით—სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. დებულებით სახალხო მსაჯულთა საბჭო ვალდებულია დაეხმაროს სახალხო მსაჯულს ამომრჩეველებისათვის ანგარიშის ჩაბარების ორგანიზაციაში და გააკონტროლოს მისი ჩატარება. შრომითი კოლექტივების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ კანონის შესაბამისად, შრომითი კოლექტივები ირჩევენ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს და ისმენენ მათ ანგარიშებს. სახალხო მსაჯულებთან მთელ მუშაობას ორგანიზაციას უწევს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო, როგორც აღინიშნა, თვითონ სახალხო მსაჯული ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველებს. ერთი სიტყვით, ამომრჩეველებისათვის ანგარიშის ჩაბარების უზრუნველყოფის მოვალეობა ეკისრებათ სახალხო მსაჯულს, შრომითს კოლექტივს, სასამართლოს თავმჯდომარესა და სახალხო მსაჯულთა საბჭოს. გასაგებია, რომ სახალხო მსაჯულის ანგარიშვალდებულების სწორი და ეფექტიანი განხორციელება შეუძლებელია აღნიშნული პირების და ორგანოების ურთიერთშეთანხმების გარეშე. ეს ურთიერთშეთანხმება პრაქტიკაში უმეტესად ხდება შემდეგნაირად: წლის დასაწყისში სახალხო მსაჯულთა საბჭო ადგენს სახალხო მსაჯულთა მიერ ამომრჩეველებისათვის ანგარიშის ჩაბარების გრაფიკს სასამართლოში მათი გამოძახების შესაბამისად. გრაფიკს ამტკიცებს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე და უგზავნის შესაბამისი შრომითი კოლექტივის აღმინისტრაციას, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციას. გრაფიკის შესაბამისად ანგარიშების ჩაბარებას აკონტროლებს და ორგანიზაციას უწევს სახალხო მსაჯულთა საბჭო.

კრებას, რომელიც სახალხო მსაჯულის ანგარიშს ისმენს, უნდა ესწრებოდეს ამომრჩეველთა უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მსაჯული არჩეულია რამდენიმე შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა გაერთიანებულ კრებაზე, ანგარიშგება შეიძლება

ჩატარდეს როგორც ამ კოლექტივების გაერთიანებულ კრებაზე, ისე ერთ კოლექტივშიც. ზოგ შრომითს კოლექტივში ერთად ხდება სახალხო მსაჯულისა და სახალხო მოსამართლის ანგარიშების მოსმენა. ეს სავსებით დასაშვებია; თუ, რასაკვირველია, ამ კოლექტივის წევრები სახალხო მოსამართლის ამომრჩეველებიც არიან. ასევე მიზანშეწონილია ერთ კრებაზე მოხდეს რამოდენიმე სახალხო მსაჯულის ანგარიშის მოსმენა, თუ ისინი ერთი კოლექტივის მიერ არიან არჩეული და ერთდროულად ასრულებენ სასამართლოში თავიანთ მოვალეობას.

საანგარიშო კრების ჩატარების დრო და ადგილი უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ კრებას დაესწროს ამომრჩეველთა უმრავლესობა და ხელი არ შეეშალოს კოლექტივის ძირითად საქმიანობას. ანგარიშის მოსმენის შემდეგ კრების მონაწილეებს შეუძლიათ შეკითხვები მისცენ მომხსენებელს, დააზუსტონ მისი საქმიანობის ცალკეული საკითხები, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი, შეაფასონ სახალხო მსაჯულის მიერ გაწეული მუშაობა და წარმოდგენილი ანგარიში. კრების მსვლელობა და შედეგები აისახება ოქმში, რომლის პირი გაეგზავნება სახალხო სასამართლოს.

**ამომრჩეველთა  
წინადადებების აღრიცხვა  
და რეალიზაცია**

სახალხო მსაჯულს, როგორც წესი, მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუდმივი კონტაქტი და ურთიერთობა აქვს თავის ამომრჩეველებთან.

ამომრჩეველები არც თუ იშვიათად მიმართავენ სახალხო მსაჯულს ღვაწლისხვა საკითხზე, გამოთქვამენ შენიშვნებს, აყენებენ წინადადებებს და მოსაზრებებს სასამართლოსა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების თაობაზე. აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებით ხშირად და მწვავედ აყენებენ ამომრჩეველები სახალხო მსაჯულის ანგარიშის მოსმენისა და განხილვისას. ამომრჩეველთა ყველა წინადადება სახალხო მსაჯულმა უნდა აღრიცხოს და მოახსენოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს ან უშუალოდ სასამართლოს თავმჯდომარეს, თუ დაყენებული წინადადება მოითხოვს სასწრაფო განხილვასა და რეაგირებას. შესაძლოა ამომრჩეველთა ზოგი წინადადება უსაფუძვლო იყოს, აშკარად ეწინააღმდეგებოდეს საბჭოთა სამართლის პრინციპებს, არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ასეთი წინადადების თაობაზე სახალხო მსაჯულმა იქვე უნდა მისცეს სათანადო განმარტება.

ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები აისახება სახალხო მსაჯულის ინფორმაციაში, რასაც იგი ამომრჩეველბთან ანგარიშის ჩაბარების შემდეგ წარუდგენს სახალხო მსაჯულთა საბჭოს. რა ფორმით უნდა მოხდეს ამ შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაცია, ეს დამოკიდებულია თვითონ მათ ხასიათსა და შინაარსზე. ამომრჩეველთა წინადადებებისა და შენიშვნების საფუძველზე შესაძლებელია, მაგალითად, საჭირო გახდეს კონკრეტული საქმის გამსვლელ სესიაზე განხილვა, ამა თუ იმ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, სასამართლოში მთხოვნელთა მიღების საათების შეცვლა და ა. შ. მთავარია, რომ ამომრჩეველთა არც ერთი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება არ დარჩეს რეაგირების გარეშე. თუ დაყენებული საკითხის გარკვევა და მოწესრიგება სახალხო მსაჯულთა საბჭოსა და სახალხო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის, იგი უნდა გადაეგზავნოს შესაბამის ორგანიზაციას და ამის შესახებ ეცნობოს წინადადების ავტორს.

სახალხო მსაჯულმა თვალყური უნდა ადევნოს, რა ზომები განხორციელდა მიღებული წინადადებებისა და შენიშვნების თაობაზე და ინფორმაცია გაუკეთოს ამომრჩეველებს ხელმეორედ ანგარიშის ჩაბარებისას.

### **სახალხო მსაჯულის ვადამდე გაწვევა**

ამომრჩეველთა წინაშე სახალხო მსაჯულის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა გულისხმობს ამომრჩეველთა უფლებას მის ვადამდე გაწვევაზე. სახალხო მსაჯული შეიძლება გაწვეულ იქნეს ამომრჩეველთა ან მისი ამომრჩევი ორგანოს მიერ, თუ მან ვერ გაამართლა მათი ნდობა ან ჩაიდინა სახალხო მსაჯულის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება. სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის თაობაზე მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულია სპეციალური კანონები. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ასეთი კანონი მიიღო 1981 წლის 25 ნოემბერს. ამ კანონის შესაბამისად, სახალხო მსაჯული შეიძლება გაწვეულ იქნეს იმ კოლექტივის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების გადაწყვეტილებით, რომელმაც იგი აირჩია. კოლექტივის კრებას იწვევს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ხოლო კრებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს ამომრჩეველთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება სახალხო მსაჯულის გაწვე-

ვის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით. სახალხო მსაჯული გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა. კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი და დრო, ამომრჩეველთა რიცხვი, გასაწვევი სახალხო მსაჯულის ვინაობა და გაწვევის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობა. პრეზიდიუმის ხელმოწერით კრების ოქმი წარედგინება რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც განიხილავს ამ ოქმს და, თუ გაწვევას კანონის მოთხოვნათა დაცვით დასაბუთებულად მიიჩნევს, აცნობებს ამის შესახებ შესაბამისი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ზემდგომი სასამართლოს სახალხო მსაჯული შეიძლება გაწვეულ იქნეს შესაბამისი საბჭოს ან მისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარადგენს მორიგ სესიაზე.

#### § 4. სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის სრულყოფის საკითხები

**პრობლემის მნიშვნელობა** საკითხი სახალხო მსაჯულთა შემადგენლობის გაუმჯობესების, მართლმსაჯულების განხორციელებაში მათი მონაწილეობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ ყოველთვის იქცევადა სწავლული იურისტების და პრაქტიკოსი მუშაკების ყურადღებას. ეს გასაგებია, რადგან აღნიშნული საკითხების მოწესრიგება მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისა და მისი ავტორიტეტის ამაღლების მნიშვნელოვანი გარანტიაა. სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ღონისძიებებმა, მართლმსაჯულების პრინციპებისა და სახალხო მსაჯულების უფლებრივი სტატუსის ფართო საკანონმდებლო რეგლამენტაციამ მეტი სტიმული მისცა სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის თაობაზე მიმდინარე დისკუსიას. რასაკვირველია, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები არავისთვის არ არის სავალდებულო, მაგრამ სახალხო მსაჯულებისათვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, იცოდნენ მათი საქმიანობის რა ასპექტები იწვევს დავასა და აზრთა სხვადასხვაობას.



## სახალხო მსაჯულთა არჩევის წესი

ლიტერატურაში წამოყენებულია სხვა-  
დასხვა მოსაზრება სახალხო მსაჯულთა  
არჩევის მოქმედი წესის შეცვლის თაო-

ბაზე. ამჟამად სახალხო მოსამართლის, სახალხო სასამართლოს სა-  
ხალხო მსაჯულების და ზემდგომი სასამართლოს წევრებისა და სა-  
ხალხო მსაჯულების არჩევა ხდება სხვადასხვა წესით. სახალხო მო-  
სამართლეს ირჩევს რაიონის მოსახლეობა ფარული კენჭისყრით ხუ-  
თი წლის ვადით, ხოლო სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯუ-  
ლებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე ოია კენჭისყრით ორ-ნახევარ-  
ი წლის ვადით. ზემდგომი სასამართლოების წევრების და მათი  
სახალხო მსაჯულების არჩევა ხდება ერთიანი წესით, შესაბამისი  
საბჭოს სესიაზე ხუთი წლის ვადით. ამასთან დაკავშირებით აყენებენ  
წინადადებებს, რომ ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯუ-  
ლების არჩევა მოხდეს იმავე წესით, როგორც სახალხო სასამართ-  
ლოების მსაჯულებს ვირჩევთ. ზოგი მოითხოვს, რომ სახალხო სასა-  
მართლოების სახალხო მსაჯულები ავირჩიოთ იმავე წესითა და ვა-  
დით, როგორც სახალხო მოსამართლეებს ვირჩევთ. ზოგს მიაჩნია,  
რომ ყველა სასამართლო ერთიანი წესითა და ვადით უნდა ირჩე-  
ოდეს, ისევე როგორც სახალხო მოსამართლეებს ვირჩევთ.

ჩვენი აზრით, სახალხო მსაჯულთა არჩევნების მოქმედი წესის  
შეცვლა არავითარი აუცილებლობით არ არის გამოწვეული. სახალ-  
ხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევა მოქალაქეთა კრე-  
ბებზე მეტ საშუალებას იძლევა მათი კანდიდატურების ყოველმხრივ  
შემოწმებისა და განხილვისათვის, კოლექტივის წინაშე მათი პასუ-  
ხისმგებლობის ამტკიცებისათვის. ასევე არ იქნებოდა სწორი ზემ-  
დგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევა უშუალოდ მო-  
ქალაქეთა საერთო კრებებზე. ამ სასამართლოების სამოქმედო ტე-  
რიტორია იმდენად ფართოა, რომ სახალხო მსაჯულთა კრებებზე არ-  
ჩევა ვერ მოიცავს ამომრჩეველთა უმრავლესობას და, რაც მთავარ-  
ია, ასეთი ამომრჩეველები ვერ განახორციელებენ კონტროლს სახალ-  
ხო მსაჯულის საქმიანობაზე. სახალხო სასამართლოების სახალხო მსა-  
ჯულების ხუთი წლის ვადით არჩევა კი მნიშვნელოვნად შეამცირებ-  
და სახალხო მსაჯულებად არჩეულ პირთა რიცხვს. რაც ეწინააღმდე-  
გება მართლმსაჯულების განხორციელებაში ფართო მასების მონაწი-  
ლეობის პრინციპს.

მთავარი ის კი არ არის, თუ რა წესით არის არჩეული მოსამარ-

თლე და სახალხო მსაჯული, არამედ ის, თუ ვინ არიან ისინი, რამდენად შეგნებული აქვთ მათ თავიანთი მდგომარეობა და პასუხისმგებლობა. საერთოდ, ზოგი ავტორი სასამართლოს არჩევითობას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, უკავშირებს მას სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას, დემოკრატიზმსა და ჰუმანურობას. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მოსამართლეები ინიშნებიან, მაგრამ ამით ამ სასამართლოების სოციალისტური ბუნება არ შეცვლილა. ამერიკის შეერთებულ შტატებში შტატის მოსამართლეებს მოსახლეობა ირჩევს, მაგრამ არც ამით იცვლება ამ სასამართლოების რეაქციული ხასიათი.

**სახალხო მსაჯულთა  
მონაწილეობა ზემდგომი  
ინსტანციის  
სასამართლოში**

მოქმედი კანონმდებლობით სახალხო მსაჯულები მონაწილეობენ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. ლიტერატურაში დიდი ხანია აყენებენ წინადადებას, რომ სახალხო მსაჯულები

მონაწილეობდნენ აგრეთვე საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოების შემადგენლობაში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას. ამ წინადადების მიღება არ იქნება მიზანშეწონილი. საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებში არ ეწყობა სამსჯავრო გამოძიება, არ დგინდება განაჩენი, გამოტანილი განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულობა მოწმდება უკვე გამოკვლეული მტკიცებულებების, საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი მასალების მიხედვით, რაც უფრო ხელმისაწვდომია პროფესიონალი მოსამართლისათვის. დამაჯერებელი არ არის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს განაჩენის დადგენა უფრო რთული საქმე იყოს, ვიდრე მისი კანონიერების შემოწმება და ამიტომ თუ სახალხო მსაჯულები პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობენ და წყვეტენ უფრო რთულ საკითხებს, მაშინ ისინი ზემდგომი სასამართლოების შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდნენ. ჯერ ერთი, შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, რა უფრო რთულია: განაჩენის დადგენა თუ მისი კანონიერების შემოწმება. ყველაფერი დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე და იმ მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე, ვინც ადგენს ან ამოწმებს განაჩენის კანონიერებას. მეორე, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახალხო მსაჯულები გადასაწყვეტი საკითხების სირ-

თულის გამო როდი მონაწილეობენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდებოდა წინასწარი გამოძიებაც, სადაც გაცილებით რთულ პირობებში წყდება ისეთი საკითხები, როგორც არის მტკიცებულებათა გამოვლენა, ვერსიების შემუშავება, მტკიცების საგნისა და ფარგლების განსაზღვრა, ბრალდების ჩამოყალიბება და ა. შ. სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელს. უწყობს საქმეზე კემპარიტების დადგენას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას იმიტომ, რომ აქ უშუალოდ ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა, ჩვენებათა მოსმენა და შეფასება, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება, ისეთი საკითხებისა და სიტუაციების გარკვევა, რაც მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად მოითხოვს დიდ ცხოვრებისეულ ალღოსა და გამოცდილებას.

ავტორები, რომლებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის აუცილებლობას ასაბუთებენ, ერთ-ერთ არგუმენტად იმას მიიჩნევენ, რომ საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში, კერძოდ, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, ეს საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. ეს კი სწორია, მაგრამ აღნიშნულ ქვეყნებში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებაც სხვანაირია. იგი უშუალოდ იკვლევს მტკიცებულებებს: დაჰკითხავს განსასჯელს, მოწმეებს, დაზარალებულსა და ა. შ. მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა არსებითად არ განსხვავდება პირველი ინსტანციისაგან, ამიტომ იქ სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა გასაგებიც არის და გამართლებულიც.

**სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდა** მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეს იხილავს კოლეგია სასამართლოს თავმჯდომარისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით. ლიტერატურაში დიდი ხანია დამსულია საკითხი პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაში სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. ამასთან აყენებენ სხვადასხვა ვარიანტს. მოითხოვენ, მაგალითად, სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდას ოთხამდე, ექვსამდე, თორმეტამდე იმისდა მიხედვით, თუ რა კატეგორიისა და ხასიათის საქმე იხილება. ზოგი ავტორის აზრით, სახალხო მსაჯულთა

რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ განსაკუთრებით რთული, საშიში დანაშაულის ან დიდი საზოგადოებრივი უღერადობის მქონე საქმეების განხილვისას, აგრეთვე იმ საქმეთა განხილვისას, სადაც განსასჯელს ემუქრება სიკვდილით დასჯა ან თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი დროით. ამ წინადადებებს იმით ასაბუთებენ, რომ სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდა აამაღლებს განაჩენის ავტორიტეტს, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, შეამცირობს სასამართლო შეცდომებს, განამტკიცებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და ა. შ.

აღნიშნული მოსაზრებები არ არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. ჯერ ერთი, გაუგებარია სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდით როგორ, და რატომ უნდა ამაღლდეს მართლმსაჯულების ავტორიტეტი. სახალხო მსაჯულები საერთოდ არ მონაწილეობენ საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოებში, მაგრამ ამის გამო ამ სასამართლოების ავტორიტეტი პირველი ინსტანციის სასამართლოზე ნაკლები არ არის. მეორე, თუ საქმის განხილვაში სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების გარანტიაა, მაშინ გაუგებარია ამ გარანტიას რატომ უნდა იყვნენ მოკლებული სამართალში მიცემული ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული. მესამე, ვის და რით შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რომელი საქმის განხილვა იქნება რთული და რომელი — ადვილი. სამსჯავრო განხილვისა და მტკიცებულებათა შეფასების თვალსაზრისით ზოგჯერ საქმე შეურაცხყოფის შესახებ უფრო რთულია, ვიდრე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საქმე. პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ერთი შეხედვით მარტივი და ნათელი საქმე, სამსჯავრო განხილვის პროცესში უაღრესად გართულებულა.

ერთი სიტყვით, სისხლის სამართლის საქმეების პირველ ინსტანციაში განხილვისას სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდის არავითარი საჭიროება და აუცილებლობა არ არსებობს, მართლმსაჯულების ავტორიტეტის, კანონიერი, დასაბუთებული და დამაჯერებელი განაჩენის დადგენას სახალხო მსაჯულთა დიდი რაოდენობა კი არ უზრუნველყოფს, არამედ სასამართლოს შემადგენლობის მომზადების დონე, მოქმედი კანონმდებლობის ღრმა ცოდნა და საქმის განხილვა-გადაწყვეტისას მისი ზუსტი და განუხრელი დაცვა.

**მოსამართლისა და სახალხო  
მსაჯულთა ფუნქციების  
გამიჯვნა**

მეცნიერულ ლიტერატურაში დიდ ინტერესსა და კამათს იწვევს საკითხი პროფესიონალ მოსამართლესა და სახალხო მსაჯულებს შორის ფუნქციების

განაწილების შესახებ. ზოგი ავტორის აზრით, სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მოქმედი წესი, რომლის თანახმად მოსამართლე და სახალხო მსაჯულები ერთად წყვეტენ ყველა საკითხს, ხელს უშლის სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობას, რადგან პროფესიონალი მოსამართლე თავისი ავტორიტეტით, სამართლებრივი საკითხების ცოდნით ზეგავლენას ახდენს სახალხო მსაჯულებზე. ამასთან დაკავშირებით აყენებენ წინადადებას იმის შესახებ, რომ სახალხო მსაჯულებმა დამოუკიდებლად გადაწყვიტონ განსასჯელის ბრალეულობის საკითხი, ხოლო სასჯელი განსაზღვროს პროფესიონალმა მოსამართლემ ერთპიროვნულად. ერთი სიტყვით, ეს ავტორები არსებითად მოითხოვენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნას. ასეთი მოთხოვნა მიუღებელია იმიტომ კი არა, რომ ამით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მსგავსი ორგანო შეიქმნება, არამედ სულ სხვა მოსაზრებებით. საქმე ის არის, რომ მისი მიღება ეწინააღმდეგება საბჭოთა მართლმსაჯულების ისეთ ფუძემდებლურ დებულებებს, როგორცაა საქმის განხილვის კოლეგიალობა და მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობა. აღნიშნული წინადადების მიღება არსებითად შეზღუდავს როგორც სახალხო მსაჯულების, ისე პროფესიონალი მოსამართლის უფლებამოსილებას. შემოთავაზებული წესით დადგენილი განაჩენი, სწერით, არ იქნება სასამართლოს განაჩენი, რადგან განაჩენის მთავარი, ძირითადი საკითხი (საკითხი განსასჯელის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის შესახებ) გადაწყვეტილი იქნება მოსამართლის მონაწილეობის გარეშე.

დანაშაულის შემადგენლობა, ბრალი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სხვა საკითხები განსაზღვრულია კანონით. ამიტომ მათ დადგენაში შეუძლებელია არ მონაწილეობდეს პროფესიონალი მოსამართლე. ფუნქციების ასეთი განაწილება გასაგებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, სადაც ბრალეულობის საკითხი დგინდება ძირითადად არა კანონის, არამედ სამართლიანობის საფუძველზე. მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში, სადაც გაბატონებულია კანონიერების პრინციპი, წარმოუდგენელია ბრალისა და პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვიტონ

მარტო არაპროფესიონალმა მოსამართლეებმა. ამავე მოსაზრებით, მიუღებელია სახალხო მსაჯულთა ჩამოცილება სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისაგან. მართალია, ბრალეულობის საკითხი ძირითადი საკითხია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია განაჩენის სამართლიანობა, მსჯავრდებულისათვის სასჯელის სწორად განსაზღვრა და შეფარდება.

§ 1. საპროტა მართლმსაჯულების ცნება და ამოცანები

**მართლმსაჯულების ცნება** თვითონ სიტყვაც მიგვანიშნებს, რომ მართლმსაჯულება დაკავშირებულია სამართალთან და სასამართლოსთან. ამიტომ საბჭოთა მართლმსაჯულების არსის სწორად გაგებისათვის აუცილებელია აღნიშნული კატეგორიებისა და მათი ურთიერთკავშირის ახსნა. სამართალი არის გაბატონებული კლასის ნების გამოძახებული სახელმწიფოს მიერ კანონებითა და ნორმატიული აქტებით დადგენილი ადამიანთა ქცევის წესები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით. ექსპლუატატორულ საზოგადოებაში სამართალი გამოხატავს გაბატონებული უმცირესობის ნებას, მიმართულია მშრომელების დასათრგუნად, უზრუნველყოფს მჩაგვრელი კლასებისათვის მისაღები საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვას და განმტკიცებას. სოციალისტური სამართალი, პირიქით, გამოხატავს საზოგადოების წევრთა უმრავლესობის ნებას, ადგენს და იცავს მშრომელთათვის სასურველ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

საბჭოთა სამართალი, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები გამოხატავენ მშრომელთა სახელმწიფოებრივ ნებას, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას. სამართლებრივი ნორმებით რეგულირებულია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელითი საქმიანობის ძირითადი საკითხები, განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანები, მათი საქმიანობის შინაარსი და პრინციპები. სამართლებრივი ნორმებით არის დადგენილი ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის უფლებები და მოვალეობები, მათი განხორციელების წესი და გარანტიები. სამართლით ხორციელდება საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება, კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. საბჭოთა სამართალი ამ ფუნქციას მხოლოდ მაშინ შეასრულებს წარმატებით, როცა მისი მო-

თხოვნები ზუსტად სრულდება, როცა სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს ყველა ემორჩილება და განუხრელად იცავს.

საბჭოთა სამართლის მოთხოვნები, როგორც წესი, სრულდება ნებაყოფლობით. საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობა განმს-  
კვალულია სოციალისტური მართლშეგნებისა და მორალის მაღალი პრინციპებით. კანონების, საზოგადოებრივი ცხოვრების წესების დაცვა და პატივისცემა წარმოადგენს მათ შინაგან მოთხოვნილებას. მიუხედავად ამისა, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არ ემორჩილებიან სახელმწიფოებრივ დისციპლინას, უხეშად არღვევენ კანონის მოთხოვნებს. ბუნებრივია, რომ ასეთი ფაქტების მიმართ სახელმწიფო ხელისუფლება ვერ იქნება გულგრილი. სამართლებრივი ნორმების დარღვევებზე სათანადო რეაგირებას ახდენს, ამ ნორმების იძულებით განხორციელებას უზრუნველყოფს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლოს.

სამართალდამრღვევთა მიმართ სახელმწიფოებრივ იძულებას სასამართლო ახორციელებს: ა) სასამართლო სხდომებზე იმ დავათა გამო სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომლებიც ეხება მოქალაქეების, სახელმწიფო საწარმოების და დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და ინტერესებს; ბ) სამსჯავრო სხდომებზე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით დანაშაულის ჩადენაში, კანონით დაწესებული სასჯელის ზომის შეფარდების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

სასამართლოს მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტას მართლმსაჯულება ეწოდება. მართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლო ახორციელებს. მხოლოდ სასამართლოს აქვს მინიჭებული უფლება, განიხილოს ყველაზე საშიში სამართალდარღვევა — დანაშაული და დამნაშავეს შეუფარდოს სისხლის სამართლის სასჯელი.

**მართლმსაჯულების  
ამოცანები**

მართლმსაჯულების ამოცანები, სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებში განსაზღვრულია სსრ

კავშირში სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის 1980 წლის 25 ივნისის



რედაქციით დამტკიცებული საფუძვლებით და სასამართლო წყობი-  
ლების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. სა-  
ქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონი რეს-  
პუბლიკის უმაღლესმა ნაბჭომ ახალი რედაქციით დაამტკიცა 1981  
წლის 25 ნოემბერს. აღნიშნული კანონების შესაბამისად, სასამართ-  
ლოს საქმიანობა მართლმსაჯულების განხორციელებისას მიზნად  
ისახავს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ყოველ-  
მხრივ განმტკიცებას, დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა  
თავიდან აცილებას. მისი ამოცანაა, დაიცვას ყოველგვარი ხელყო-  
ფისგან: ა) სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული სსრ კავ-  
შირის საზოგადოებრივი წყობილება, მისი პოლიტიკური და ეკო-  
ნომიკური სისტემები; ბ) სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა  
კანონებით გამოცხადებული და გარანტირებული მოქალაქეთა სოცი-  
ალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებანი და თა-  
ვისუფლებანი; გ) სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების,  
ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერატიული ორგა-  
ნიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზა-  
ციების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით საბჭოთა მოქალაქეებს  
ზრდის სამშობლოსა და კომუნისმის საქმისადმი ერთგულების სუ-  
ლისკვეთებით, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონე-  
ბის ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური სა-  
კუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლი-  
ნის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობი-  
სადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების,  
პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების  
წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. სისხლისსამართლებ-  
რივი სასჯელის ზომების გამოყენებით სასამართლო არა მარტო სჯის  
დამნაშავეებს, არამედ აკრთევს მიზნად ისახავს მათ გამოსწორებას  
და ხელახლა აღზრდას.

საბჭოთა სასამართლო სჯიდა და ახლაც მკაცრად სჯის იმ პი-  
რებს, რომლებსაც არ სურთ ეზიარონ პატიოსან შრომითს ცხოვრე-  
ბას, უხეშად არღვევენ კანონისა და სოციალისტური საერთო ცხოვ-  
რების ნორმებს, ხელს უშლიან კომუნისტური მშენებლობის გზაზე  
საბჭოთა ხალხის წინსვლას. საბჭოთა დემოკრატიის ყოველმხრივი

განვითარება, დარწმუნებისა და აღზრდის ღონისძიებების როლის ამალღება არ ნიშნავს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას, საშიშ დამნაშავეთა მიმართ სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენებაზე უარის თქმას.

**მართლმსაჯულება და  
სოციალისტური  
კანონიერება**

სსრ კავშირის კონსტიტუციით დადგენილია, რომ საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე.

უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს.

მართლმსაჯულება ხორციელდება კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვა მიმდინარეობს კანონით დადგენილი წესით, ზუსტად განსაზღვრული პროცესუალური ფორმების დაცვით. სასამართლოს, პროკურატურის, პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრული და რეგლამენტირებულია კანონით. კანონის საფუძველზე ხდება სამოქალაქო დავის გადაწყვეტა, დანაშაულის დაკვალიფიცირება, დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდება. კანონის მოთხოვნათა ზუსტი და განუხრელი დაცვა წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობას და ერთადერთ საშუალებას. კანონის არასწორი განმარტება და გამოყენება იწვევს სასამართლო განაჩენისა და გადაწყვეტილების გაუქმებას.

სოციალისტური კანონიერების მცირეოდენი დარღვევაც კი შეუწყნარებელია საერთოდ და მითუმეტეს მართლმსაჯულების განხორციელებისას, სადაც განიხილება და სახელმწიფოს სახელით შეფასება ეძლევა სწორედ კანონის დარღვევის ფაქტს. სასამართლოს ყველა მოქმედებაში უნდა იგრძნობოდეს კანონისადმი მორჩილება და პატივისცემა. სასამართლო ვალდებულია, არა მარტო თვითონ დაიცვას კანონი, არამედ უზრუნველყოს მისი დაცვა პროცესის ყველა მონაწილის მხრივ. სასამართლო საქმეთა განხილვისას კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა, მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს კანონიერების უხეშ დარღვევას და გავლენას ახდენს როგორც მიღებული გადაწყვეტილების სისწორეზე, ისე პროცესის აღმზრდე-

ლობითს შინაარსსა და ავტორიტეტზე. სასამართლოს დარბაზში ღყოფნი და საქმის განხილვაში მონაწილე მოქალაქენი კანონიერებისადმი პატივისცემას უნდა სწავლობდნენ კანონისადმი სასამართლოს დამოკიდებულების მაგალითზე.

## § 2. საბჭოთა მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპები

**მართლმსაჯულების  
კონსტიტუციური  
პრინციპების ცნება**

სსრ კავშირის კონსტიტუციაში დიდი ადგილი უკავია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიისა და კანონიერების განმტკიცების, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის პრინციპების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს.

მართლმსაჯულებას, საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობას კონსტიტუციაში დათმობილი აქვს სპეციალური თავი. კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია და, გასაგებია, იგი დეტალურად არ აწესრიგებს მართლმსაჯულების კონკრეტულ საკითხებს. კონსტიტუციაში განზოგადებული სახითა და ფორმით არის მოცემული სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის ის ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც განსაკუთრებული სიცხადით გამოხატავენ სოციალისტური წყობის არსს, მის ბუნებას, მის ჭეშმარიტ დემოკრატიზმსა და ჰუმანიზმს. ამ პრინციპების კონკრეტული შინაარსი ახსნილი და გადმოცემულია დარგობრივ კანონმდებლობაში, კერძოდ, სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონებში, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტებში.

**მართლმსაჯულების  
განხორციელება მხოლოდ  
სასამართლოს მიერ**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 151-ე მუხლი ადგენს, რომ სსრ კავშირში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო. სსრ კავშირში მოქ-

მედებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო

სასამართლოები, ავტონომიური ოლქების სასამართლოები, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები, აგრეთვე სამხედრო ტრიბუნალები შეიარაღებულ ძალებში.

კონსტიტუციის კატეგორიულ მითითებას იმის შესახებ, რომ წართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლო ახორციელებს, აგრეთვე სასამართლო ორგანოების ამომწურავ ნუსხას უდიდესი პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი გამოიციხავს რაიმე სპეციალური, საგანგებო სასამართლოების არსებობისა და შექმნის შესაძლებლობას, მართლმსაჯულების ფუნქციების განხორციელებას იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ შედის ერთიან სასამართლო სისტემაში და რომელიც პირდაპირ და უშუალოდ არ არის მოხსენიებული ძირითად კანონში, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო. მხოლოდ კონსტიტუციაში დასახელებული და კონსტიტუციური პრინციპების საფუძველზე შექმნილი სასამართლოა უფლებამოსილი აღასრულოს მართლმსაჯულება, განიხილოს და გადაწყვიტოს საქმეები სახელმწიფოს სახელით. ამ პრინციპიდან გადახვევა და სხვა ორგანოების მიერ სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკის განხორციელება აუცილებლად გამოიწვევდა სოციალისტური კანონიერებისა და დემოკრატიის უხეშ დარღვევას, თვითნებობას და ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვას.

**მოსამართლეთა და  
სახალხო მსაჯულთა  
არჩევითობა**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს რაიონის (ქალაქის) მოქალაქეები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე შათს სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას ღია კენჭისყრით ორ-ნახევარი წლის ვადით. ზემდგომ სასამართლოებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები ირჩევენ ხუთი წლის ვადით. სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლეებს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ხუთი წლის ვა-

დით, ხოლო სახალხო მსაჯულებს — სამხედრო მოსამართლეთა კრუბები ორ-ნახევარი წლის ვადით.

სახალხო სასამართლოების არჩევნების წესი რეგლამენტირებულია სპეციალური კანონით. ასეთი კანონი ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1981 წლის 25 ნოემბერს.

სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები საყოველთაოა. ეს ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქეს, რომელსაც თვრამეტი წელი შეუსრულდა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად. არჩევნები თანასწორია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს და თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში. აკრძალულია საარჩევნო უფლებების რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა. არჩევნები პირდაპირია, ეს ნიშნავს, რომ სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს მოქალაქენი უშუალოდ ირჩევენ. ამასთან ერთად, სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია.

სახალხო მსაჯულთა ასარჩევად კრებას იწვევენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოქალაქეთა კრებას მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის მეთაურობა. კრებები ტარდება შრომითს კოლექტივებში, ჯარის ნაწილებსა და დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა ას კაცზე ნაკლები არ არის. თუ ამომრჩეველთა რიცხვი მათში ას კაცზე ნაკლებია, არჩევნები ტარდება სხვა შრომითს კოლექტივებთან, ჯარის ნაწილებთან და სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ერთად. კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს ამომრჩეველთა უმრავლესობა. კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი. არჩეულ სახალხო მსაჯულებად ჩაითვლებიან ის პირნი, რომლებმაც მიიღეს ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კრებების ოქმების საფუძველზე

ამოწმებს და აჯამებს არჩევნების შედეგებს, ამტკიცებს სახალხო მსაჯულთა სიას და გადაუგზავნის მას სახალხო სასამართლოს.

ზემდგომი სასამართლოების არჩევის წესი რეგლამენტირებულია სასამართლო წყობილების შესახებ საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობით. სახალხო სასამართლოს რიცხოვრივ შემადგენლობას განსაზღვრავს და სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, სასამართლოს წევრებსა და სახალხო მსაჯულებს ირჩევს შესაბამისი რაიონული საბჭო კანონით დადგენილი წესით.

ყველა სასამართლოში მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ის მოქალაქე, ვისაც არჩევნების დღისათვის ოცდახუთი წელი შეუსრულდა. სამხედრო ტრიბუნალის წევრად შეიძლება აირჩიონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ოცდახუთ წელს მიღწეული მოქალაქე, ხოლო სახალხო მსაჯულად — თერამეტ წელს მიღწეული მოქალაქეც.

**საქმის განხილვის  
კოლეგიურობა და სახალხო  
მსაჯულთა მონაწილეობა  
პირველი ინსტანციის  
სასამართლოში**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 154-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხდება კოლეგიურად. პირველი ინსტანციის სასამართლოში — სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. სახალხო მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები ყველა სასამართლოში და ყველა ინსტანციაში იხილება კოლეგიურად. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა ხდება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით. საკასაციო და სასამართლო ზედამხედველობის წესით, აგრეთვე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეების განხილვაში მონაწილეობენ მხოლოდ შესაბამისი სასამართლოს წევრები. ზემდგომი სასამართლოს სასამართლო კოლეგიაში საქმეთა განხილვა ხორციელდება სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით. პრეზიდიუმი საქმეებს იხილავს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობის დასწრებით, ხოლო პლენუმი — მისი შემადგენლოწის არანაკლები ორი მესამედის დასწრებით.

კანონით გათვალისწინებული წესით და შემთხვევაში მოსამართლე ერთპიროვნულად ასრულებს ზოგიერთ მოქმედებას, რაც ძირითადად დაკავშირებულია ბრალდებულის სამართალში მიცემასა

და საქმეთა სასამართლო განხილვისათვის მომზადებასთან. ამასთან, სამართალში მიცემის საკითხის განხილვისას მოსამართლეს უფლება არა აქვს ერთპიროვნულად შეამციროს ბრალდების მოცულობა, შეწყვიტოს საქმის წარმოება, გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება და მიიღოს სხვა რაიმე არსებითი ხასიათის პროცესუალური გადაწყვეტილება. აღნიშნული საკითხები წყდება სასამართლოს მიერ მხოლოდ კოლეგიურად.

სახალხო სასამართლოს სხდომას თავმჯდომარეობს სახალხო მოსამართლე, ხოლო სხვა სასამართლოს სხდომას — სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან სასამართლოს წევრი. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სასამართლო სხდომას, იღებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას სასამართლო სხდომაზე სათანადო წესრიგის უზრუნველსაყოფად. თავმჯდომარე აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს სასამართლოს შემადგენლობის სახელით და საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს იხილავს და წყვეტს კოლეგიურად.

საქმის განხილვაში მონაწილე თითოეულ მოსამართლესა და სახალხო მსაჯულს აქვს ერთი ხმა და ყველა საკითხი სასამართლოს მიერ წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. სასამართლო განხილვის კოლეგიური წესი ამიღლებს მოსამართლეთა პასუხისმგებლობას, ხელს უწყობს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევას, კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

სახალხო მსაჯულები სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მოიწვევიან რიგ-რიგობის წესით, წელიწადში არა უმეტეს ორი კვირის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის დასამთავრებლად.

**მოსამართლეთა და  
სახალხო მსაჯულთა  
დამოუკიდებლობა და მათი  
დამორჩილება მხოლოდ  
კანონისადმი**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 155-ე მუხლი აღდგენს, რომ მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ არავის, არც ერთ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, თანამდებობის თუ კერძო პირს უფლება არა აქვს ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში, ზემოქმედება მოახდინოს მოსამართლეთა შინაგან რწმენაზე, აიძუ-

ლოს ისინი გამოიტანონ საქმეზე ესა თუ ის განაჩენი ან გადაწყვეტილება. სასამართლო საქმეებს იხილავს და წყვეტს დამოუკიდებლად, მხოლოდ კანონის საფუძველზე და სოციალისტური მართლშეგნების შესაბამისად.

საბჭოთა მოსამართლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას არავითარი ზემოქმედების ქვეშ არ მოექცნენ, საქმეები განიხილონ თავიანთი შინაგანი რწმენითა და მართლშეგნებით, იხელმძღვანელონ მხოლოდ კანონით.

რასაკვირველია, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მათ უკონტროლობას, პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკისაგან მათ დამოუკიდებლობას. სასამართლო არის ხელისუფლების ორგანო და თავისი საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, რომლებიც მას ყოველდღიურ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ. სწორედ პარტიული ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მოსამართლეთა ნამდვილ დამოუკიდებლობას და მათ დამორჩილებას მხოლოდ კანონისადმი. მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან, მაგრამ ისინი კანონს ემორჩილებიან. ეს სრულებითაც არ გამოირიცხავს პარტიულ და საზოგადოებრივ კონტროლს იმაზე, თუ როგორ იცავს, როგორ ასრულებს სასამართლო მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების მოთხოვნას, ახორციელებს თუ არა იგი თავის საქმიანობას კანონის შესაბამისად, ყოველგვარი გარეშე ზემოქმედებისაგან დამოუკიდებლად.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება მართლმსაჯულების განხორციელებაში მხოლოდ გარეშე პირთა ჩაურევლობას როდი ნიშნავს. სასამართლო დამოუკიდებელია პროცესუალურად. იგი საქმის განხილვისას წამოკრილ ყველა საკითხსა და მთლიანად საქმეს წყვეტს დამოუკიდებლად, თავისი შინაგანი რწმენით, შეზღუდული არ არის პროცესის მონაწილეთა, წინასწარი გამოკვლევის ორგანოებისა და ზემდგომი სასამართლოების პოზიციებითა და დასკვნებით. თუ, მაგალითად, წინასწარი გამოძიების წარმოებისას პროკურორს უფლება აქვს შეამოწმოს, გააუქმოს ან შეცვალოს გამოძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ბრალდებულს შეურჩიოს აღკვეთის ღონისძიება, მონაწილეობა მიიღოს ან უშუალოდ ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, სასამართლოს საქმიანობაში ასეთი ჩარევის უფლება არავის არა აქვს.



ზემდგომ სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს ან დამტკიცებულად ჩათვალოს განაჩენით დადგენილი ან უარყოფილი ფაქტები, წინასწარ გადაწყვეტოს საკითხები ბრალდების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის, ქვემდგომი სასამართლოს მიერ ამა თუ იმ კანონის ან სასჯელის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების გარანტიებია: მოსამართლეთა არჩევითობა და მათი გაწვევის შესაძლებლობა მხოლოდ ამომრჩევლების მიერ, მოსამართლეთა სისხლის სამართლისა და დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემის განსაკუთრებული წესი, განაჩენისა და გადაწყვეტილების დადგენა სათათბირო ოთახში, მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება და მთელი რიგი სხვა საკანონმდებლო წესები და ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსამართლეთა პროცესუალურ დამოუკიდებლობას.

**მართლმსაჯულების  
განხორციელება კანონისა  
და ხასამართლოს წინაშე  
ყველა მოქალაქის  
თანასწორობის  
საწყისებზე**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 156-ე მუხლის თანახმად, სსრ კავშირში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე.

მოქალაქეთა თანასწორობა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულ-

ტურული ცხოვრების ყველა დარგში წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის კონსტიტუციურ პრინციპს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 34-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქენი თანასწორი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად. მოქალაქეთა რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების მიხედვით მათი უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან მათთვის რაიმე უპირატესობის დაწესება ისჯება სისხლის სამართლის წესით.

სსრ კავშირში არ არსებობს საგანგებო კანონები და სასამართლოები ცალკეული პირებისა თუ პირთა ჯგუფებისათვის. კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა უთანასწორობა და რაიმე პრივილეგია შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების ეკო-

ნომიკურ და პოლიტიკურ წყობასთან, სოციალისტური კანონიერების არსთან და შინაარსთან. წარმოების იარაღებზე სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა სრული თანასწორობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგში განაპირობებს ყველას თანაბარ ვალდებულებას — შეასრულონ სახელმწიფოში დადგენილი ქცევის წესები, დაემორჩილონ კანონს. არავითარი თანამდებობრივი მდგომარეობა თუ საზოგადოებრივი დამსახურება არ აძლევს პირს იმის უფლებას, რომ კანონის გარეთ წარმოიდგინოს თავი, გვერდი აუაროს კანონს, არ შეასრულოს მისი მოთხოვნები. ყველა სასამართლოდამრღვევმა, დანაშაულის ჩამდენმა ყველა პირმა პასუხი უნდა აგოს ერთიანი კანონმდებლობის საფუძველზე და ერთიანი სასამართლოს წინაშე. სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა საქმე იხილება და წყდება ერთიანი პროცესუალური ფორმებისა და წესების დაკვირვებით, მიუხედავად განსახილველი საქმის მონაწილეების სოციალური, ქონებრივი, სამსახურებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა სასამართლო განხილვის მონაწილეთა სრულ თანასწორობაზე იმართება როდი ნიშნავს. გასაგებია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელსა და ბრალდებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს განსხვავებული პროცესუალური მდგომარეობა უკავიათ, განსხვავებულია მათი უფლებები და მოვალეობანი, მაგრამ, ამასთან ერთად, ყველა ბრალდებულს, ყველა სამოქალაქო მოსარჩელეს, ყველა დაზარალებულს, თუ პროცესის სხვა მონაწილეს ერთნაირი უფლებები აქვთ და აკისრიათ ერთნაირი ვალდებულებანი და ეს უფლება-მოვალეობანი დამოკიდებული არ არის მათ სოციალურ მდგომარეობაზე, ეროვნებაზე, სარწმუნოებასა და სხვა გარემოებაზე. ამასთან, სასამართლო განხილვის ყველა მონაწილეს თანაბარი უფლება აქვს დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესი, წარმოადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში და შეიტანოს შეამდგომლობანი.

ზოგიერთი არჩევითი პირის პასუხისმგებაში მიცემის განსაკუთრებული წესი, სხვადასხვა სასამართლო განსჯადობა, აგრეთვე სამხედრო ტრიბუნალების არსებობა არ ეწინააღმდეგება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს. საქმის განხილვისა და გადაწყვეტის წესი ყველგან და ყველას მიმართ ერთი და იგივეა. სამხედრო ტრიბუნალები ხელმძღვანელობენ იმავე კანონმდებლობით, რითაც ყველა სხვა სასამართლო.

## საქმის ღია სასამართლო განხილვა

სსრ კავშირის კონსტიტუციის 157-ე მუხლის თანახმად, საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს

დახურულ სხდომაზე საქმეთა მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

სასამართლოში საქმის ღია განხილვა ნიშნავს, რომ კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულ ყველა მოქალაქეს უფლება აქვს იმყოფებოდეს დარბაზში, სადაც საქმე იხილება და ინფორმაციის ყველა საშუალებით გააერცელოს პროცესზე ნაწიხი და მოსმენილი. კანონის თანახმად, სასამართლოს სხდომის დარბაზში არ დაიშვებიან პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ თექვსმეტი წელი, თუკი ისინი თვითონ არ არიან საქმის განხილვის მონაწილენი.

საქმის ღია სხდომაზე განხილვა დაუშვებელია, თუ ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურული სასამართლო განხილვა, გარდა ამისა, დაიშვება სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით იმ პირთა დანაშაულის საქმეებზე, რომლებსაც თექვსმეტი წლის ასაკამდე არ მიუღწევიათ, სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე და აგრეთვე სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სხვა საქმეებზე იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცნობათა გახმაურება საქმეში მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმურ მხარეთა შესახებ. რაც შეეხება სასამართლოს განაჩენსა და გადაწყვეტილებას, ისინი ყველა შემთხვევაში საჯაროდ ქვეყნდება.

საქმის ღია სასამართლო სხდომაზე განხილვა ხელს უწყობს საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, საქმეზე ჰემმარიტების დადგენას, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. სასამართლოს ღია სხდომაზე პროცესის მონაწილენი გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას, მეტი ტაქტიკითა და ობიექტურობით ახორციელებენ თავიანთ პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს.

საქმის განხილვას სასამართლოს ღია სხდომაზე დიდი პროფილაქტიკური და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს, კონკრეტული საქმის განხილვით სასამართლო განუმარტავს ფართო საზოგადოებრიობას დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების საშიშროებას, უჩვენებს მათ გამომწვევ მიზეზებსა და აღმოფხვრის გზებს, უხსნის საბჭოთა კანონების არსსა და დანიშნულებას, მათი უმკაც-

რესალ დაცვის მნიშვნელობასა და აუცილებლობას. საქმის ღია სხდომაზე განხილვა განამტკიცებს სასამართლოს კავშირს მოსახლეობასთან, უზრუნველყოფს სასამართლოს საქმიანობისადმი უშუალო საზოგადოებრივ კონტროლსა და ზედამხედველობას. სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, როცა საქმე იხილება გამსვლელ სესიაზე, უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

**ბრალდებულისათვის  
დაცვის უფლების  
უზრუნველყოფა**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 158-ე მუხლი ადგენს, რომ ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

ბრალდებულია ის, ვისაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, ვინც კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

კონსტიტუციაში ლაბარაკია ბრალდებულის დაცვის უფლებაზე ფართო გაგებით: იგულისხმება არა მარტო ბრალდებული, არამედ აგრეთვე ექვემტანილი, განსასჯელი და მსჯავრდადებული, ე. ი. ყველა ის პირი, რომლის მიმართ ხორციელდება საბრალდებო ფუნქცია.

დაცვის უფლება ნიშნავს ბრალდებულისათვის პროცესუალური უფლებების მინიჭებას და რეალური პირობების შექმნას — კანონიერი საშუალებებით დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან, ამტიკოს თავისი უდანაშაულობა, მოითხოვოს ბრალდების შემცირება და პასუხისმგებლობის შემსუბუქება.

ბრალდებულის კონკრეტული უფლებები, მათი განხორციელების წესი და გარანტიები დეტალურად არის რეგლამენტირებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და თანმიმდევრულად ხორციელდება საქმის წარმოების ყველა სტადიაზე.

სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევია პირი ვალდებული არიან განუმარტონ ბრალდებულს კანონით მინიჭებული უფლებები, შეუქმნან ყველა პირობა ამ უფლებათა რეალური განხორციელებისათვის, უზრუნველყონ ბრალდებულის პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა.

დაუშვებელია ბრალდებულისაგან, აგრეთვე საქმეში მონაწილე ყველა სხვა პირისაგან ჩვენების გამოძალვა მუქარის, ძალადობის

ან სხვა რაიმე უკანონო ღონისძიებათა გამოყენებით. ასეთი მოქმედება დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით.

ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების მნიშვნელოვან გარანტიას, ხელს უწყობს საქმეზე კემმარტების დადგენას, პიროვნების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

**სამართალწარმოების** სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე  
**ეროვნული ენა** მუხლი ადგენს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის, აგრეთვე, სასამართლოში დედა ენაზე გამოსვლის უფლება.

სამართალწარმოების ეროვნული ენის კონსტიტუციურ პრინციპს უდიდესი სამართლებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, მართლმსაჯულების აღმზრდელობით ზემოქმედებას, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივ კონტროლსა და ზედამხედველობას. ცხადია, თუ ბრალდებულმა, დაზარალებულმა, მოსარჩელემ, მოპასუხემ ან პროცესის სხვა მონაწილემ არ იცის სამართალწარმოების ენა, არ იცნობს საქმის მასალებს, არ ესმის რა ხდება სასამართლოში, იგი ვერ შეძლებს თავისი პროცესუალური ფუნქციის სრულად განხორციელებას, კანონით მინიჭებული უფლების დაცვას. სასამართლო პროცესი ვერავეთარ ზემოქმედებას ვერ მოახდენს დამსწრე მოქალაქეებზე. თუ იგი არ მიმდინარეობს მათთვის გასაგებ ენაზე. სამართალწარმოების ენის საკითხი გადაწყვეტილია იმგვარად, რომ ყველა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედება გასაგები იყოს პროცესის მონაწილეებისა და მოსახლეობისათვის. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების დაკომპლექტებას ეროვნული და ადგილობრივი კადრებით. მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ, აუცილებლად უნდა იცოდეს ის ენა, რომელზედაც მიმდინარეობს სამართალ-

წარმოება. გასაგებია, რომ ენის ცოდნის გარეშე ისინი ვერ აწარმოებენ საქმეს.

საქმეში მონაწილე პირი ითვლება ენის უცოდინრად, თუ მას არ ესმის, ცუდად ესმის, თავისუფლად ვერ ლაპარაკობს და ვერ კითხულობს იმ ენაზე, რომელზედაც მიმდინარეობს სამართალწარმოება. ასეთ პირს უფლება აქვს პროცესუალური ფუნქციები განაზოორციელოს თარჯიმნის მეშვეობით, პროცესუალურ მოქმედებაში მონაწილეობა მიიღოს დედა ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე. უფრო მეტიც, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროცესის მონაწილეებს ბარდებათ დედა ენაზე ან მათთვის გასაგებ სხვა ენაზე წერილობით გადათარგმნილი დოკუმენტები.

საქმის წარმოებაში თარჯიმნად შეიძლება მონაწილეობდეს პირი, რომელიც დაინტერესებული არ არის მოცემული საქმით და თავისუფლად ფლობს იმ ენებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია თარგმნისათვის, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ან პროცესის სხვა მონაწილე არ შეიძლება ერთდროულად იყოს თარჯიმანიც.

საქმის წარმოებაში თარჯიმნის მონაწილეობასთან დაკავშირებით ყველა ხარჯს სახელმწიფო ანაზღაურებს. თარჯიმნის მიერ შეგნებულად არასწორი თარგმნა, აგრეთვე თარჯიმნის მოსყიდვა ისჯება სისხლის სამართლის წესით.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფო ენად გამოცხადებულია გაბატონებული ერის ენა, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს დაიცვან თავიანთი ინტერესები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამართალწარმოებაში, ზედამხედველობა გაუწიონ მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობას.

**დანაშაულის ჩადენაში  
ბრალეულად ცნობა და  
სისხლისსამართლებრივი  
ხასჯელის გამოყენება  
მხოლოდ სასამართლოს  
განაჩენით**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 160-ე მუხლის შესაბამისად, არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად. ამ დებულებაში, რო-

მელიც პირველად ჩამოყალიბდა კონსტიტუციაში და ცნობილია არაბრალეულობის პრეზუმფციის სახელწოდებით, მთელი სიცხადით არის ახსნილი და განმარტებული სისხლის სამართლის საქმეებზე

მართლმსაჯულების განხორციელების არსი. დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულად ცნობა და მისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა. არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს ასეთი უფლება არ გააჩნია. სასამართლო განხილვის წესი ქვეშარიტების დადგენის, სწორი გადაწყვეტილების მიღების, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ყველაზე მისაღები ფორმა და გარანტიაა.

არაბრალეულობის პრეზუმფცია ზოგადი ლოზუნგი კი არაა, არამედ კონკრეტული სამართლებრივი დებულებაა, რომელიც საფუძვლად უდევს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მთელ საქმიანობას, განსაზღვრავს მათი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსსა და მდგომარეობას.

არაბრალეულობის პრეზუმფცია განაპირობებს სამართალწარმოების ისეთ წესსა და სტრუქტურას, რომელიც საბრალდებო ხელისუფლებას უფლებას არ აძლევს, საბოლოოდ დაადგინოს და გადაწყვიტოს პირის ბრალეულობის საკითხი, შეუფარდოს დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი. ეს საკითხები უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ სასამართლომ მას შემდეგ, როცა ყოველმხრივ შემოწმებს და შეათვასებს საქმის ფაქტიურ გარემოებებს, წინასწარი გამოკვლევის დასკვნების სისწორეს.

არაბრალეულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს მთელი რიგი დებულებები და მოთხოვნები. არაბრალეულობის პრეზუმფცია, უწინარეს ყოვლისა, განაპირობებს კანონის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ბრალდებულს არ აკისრია მტკიცების მოვალეობა. ეს მოვალეობა აკისრია მოკვლევის ორგანოს, გამოძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს. ისინი ვალდებული არიან განხილონ დანაშაული, ამხილონ და სამართლიანად დასაჯონ დამნაშავე, არ დაუშვან უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემა და მსჯავრდება, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიონ ყველა ვერსია და მტკიცებულება, გამოიკვლიონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი ყველა გარემოება. მათ უფლება არა აქვთ მტკიცების მოვალეობა გადაიტანონ ბრალდებულზე. ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მტკიცების პროცესში მონაწილეობა მისი უფლებაა და არა მოვალეობა. ბრალდებულს შეუძლია არ განაცხადოს შუამდგომლობა და მონაწილეობა არ მიიღოს მტკიც-

ცებულებათა გამოკვლევაში, საერთოდ უარს თქვას ჩვენების მიცემაზე. ბრალდებულის ასეთ პოზიციას არავითარი უარყოფითი შედეგი არ მოჰყვება და ეს არ განიხილება როგორც მისი ბრალეულობის მამტიკიციებელი გარემოება. ბრალდებულს უნდა განემარტოს მისი უფლებები, სწორი ჩვენების მიცემის, დანაშაულის გულწრფელად აღიარების მნიშვნელობა, მაგრამ მისგან ჩვენების გამოძალვა მუქარით, ძალადობით, მოტყუებით, ცრუ დაპირებებით თუ სხვა უკანონო მოქმედებით ყოვლად დაუშვებელია და ასეთი გზით მიღებულ ჩვენებას არავითარი მტიკიციებულებითი ღირებულება არ გააჩნია.

არაბრალეულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ გამამტიყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს სავარაუდო მოსაზრებას, იგი უნდა დადგინდეს მხოლოდ მაშინ და იმ პირობით, თუ სასამართლოში საქმის განხილვის შედეგად უდავოდ დამტიციდა, რომ ბრალდებულს ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში. ყველა ეჭვი და ვარაუდი განმარტებული უნდა იქნეს ბრალდებულის სასარგებლოდ. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მონაწილეობის დაუმტიკიციებლობა ნიშნავს მისი არაბრალეულობის, უდანაშაულობის დამტიციებას, მის სრულ რეაბილიტაციას.

არაბრალეულობის პრეზუმფცია უზრუნველყოფს ბრალდებულისათვის დაცვის უფლების სრულად განხორციელებას, მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების ყოველმხრივ დაცვას.

**სამართალწარმოებაში  
საზოგადოებრივი  
ორგანიზაციებისა და  
შრომითი კოლექტივების  
წარმომადგენელთა  
მონაწილეობა**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 162-ე მუხლის შესაბამისად სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში დასაშვებია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სასამართლოს არჩევითობა და სამსჯავრო განხილვაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა, რის შესახებ ზემოთ დაწვრილებით იყო ლაპარაკი. გარდა აღნიშნულისა, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის სხვა ფორმებსაც.



ხამოქალაქო უფლების დაცვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით ხორციელდება აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია წარადგინოს სარჩელი კაბალური გარიგების ბათილად ცნობის შესახებ. პროფკავშირულ ორგანიზაციას უფლება აქვს აღძრას სარჩელი შრომით და საყოფაცხოვრებო საკითხებზე თავისი წევრის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ბავშვის სარჩენად მშობლებისათვის აღიმენცის გადასახდევინებლად და ა. შ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები სასამართლოს განჩინებით შეიძლება დაშვებულ იქნენ ხამოქალაქო საქმეთა საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის, რათა სასამართლოს მოახსენონ განსახილველ საქმეზე მარწმუნებელი ორგანიზაციებისა და კოლექტივების აზრი. საქმეში მონაწილეობისათვის დაშვების შემდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, დაესწრონ სასამართლო სხდომას, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, მისცენ შეკითხვები საქმეში მონაწილე პირებს, მოწმეებსა და ექსპერტებს, სასამართლო გარჩევის მსვლელობაში აღძრული ყველა საკითხის გამო წარადგინონ თავიანთი მოსაზრებანი და დასკვნები, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო კამათში.

მრავალმხრივია საზოგადოებრიობის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში. საზოგადოებრივი ორგანიზაციის შეტყობინება წარმომადგენს საქმის აღძვრის ერთ-ერთ საბაბს. ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობა — აღკვეთის ღონისძიებათა ერთ-ერთ სახეს. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე შეიძლება უარი ეთქვას, ხოლო აღძრული საქმე შეწყდეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებასთან დაკავშირებით. გამომძიებელი ვალდებულია დანაშაულის გახსნის, დამნაშავეთა დაძებნის, აგრეთვე დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლინებისა და აღკვეთის სწამეში ფართოდ გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება.

მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობის მო-

ნაწილეობის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა სამსჯავრო განხილვაში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა. საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან სასამართლოს განჩინებით — საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და შრომითი კოლექტივის შუამდგომლობის საფუძველზე.

საზოგადოებრივ ბრალმდებელსა და საზოგადოებრივ დამცველს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის ყველა მასალას, მონაწილეობა მიიღონ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში, წარმოადგინონ ახალი მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობანი და განაცხადონ აცილება, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო კამათში. საზოგადოებრივ ბრალმდებელს უფლება აქვს, მოახსენოს სასამართლოს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად დამტკიცებულია ბრალდება, რამდენად საშიშია ბრალდებული და მის მიერ ჩადენილი ქმედობა. საზოგადოებრივ ბრალმდებელს შეუძლია გამოთქვას მოსაზრებანი სამართალში მიცემულის მიმართ სისხლის სამართლის კანონისა და სასჯელის ზომების შეფარდების შესახებ, აგრეთვე საქმის სხვა საკითხთა შესახებ. მას უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე, თუ სასამართლო გამოძიების მონაცემები ამის საფუძველს იძლევა. საზოგადოებრივი დამცველი უფლებამოსილია მოახსენოს სასამართლოს აზრი ბრალდების შემამსუბუქებელ ან სამართალში მიცემულის გამამართლებელ გარემოებათა შესახებ, ასევე სამართალში მიცემულისათვის სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობის, პირობითი მსჯავრის ან სასჯელისაგან განთავისუფლებისა და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის თავდებობაში გადაცემის შესახებ, რომლის სახელითაც საზოგადოებრივი დამცველი გამოდის.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა მონაწილეობა ხელს უწყობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, აძლიერებს სამართალწარმოების აღმზრდელობითსა და პროფილაქტიკურ ზემოქმედებას, ამაღლებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ავტორიტეტს.

ვ. ი. ლენინი და საბჭოთა სასამართლოს შექმნა ვ. ი. ლენინის უკვდავ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია სოციალისტური სამართლის, კანონიერებისა და პარტიის მსაჯულების საკითხებს, რომელთა ღრმად შესწავლა და ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების გარანტიას, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საფუძველს.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც თანმიმდევრულად იცავდა და ანვითარებდა კლასობრივი იუსტიციის მარქსისტულ იდეას, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დასაბუთა ბურჟუაზიული სასამართლოს დამსხვრევის აუცილებლობა, სასამართლოსი, რომელიც „ვიტომ წესრიგის დაცვას წარმოადგენდა, ნამდვილად კი ბრმა, მოქნილი იარაღი იყო ექსპლოატირებულთა უღმობელი დათრგუნვისა, მდიდართა ინტერესების დაცვისა“<sup>1</sup>.

ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ვ. ი. ლენინი ასაბუთებდა, რომ რევოლუციური პროლეტარიატი ხელისუფლების დაპყრობისთანავე დაამსხვრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფო მექანიზმს, ქვას ქვაზე არ დატოვებს ექსპლოატატორული სახელმწიფო აპარატის სისტემიდანო. დიდი ბელადის წინასწარხედვა სავსებით დაადასტურა ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობამ. რევოლუციამ მოსპო ძველი ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული სახელმწიფო მექანიზმის ყველა რგოლი და დასაბამი მისცა ახალი, სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას. სასამართლოს მიმართ „საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც გვიანდერძა ყველა პროლეტარულმა რევოლუციამ, — მან იგი ერთბაშად გადასცა დასამსხვრევად... ამით ჩვენ გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს და იმდენად არა რეპრესიების ძალით, რამდენადაც მასების მაგალითით, მშრომელთა ავტორიტეტით, ფორმალობის გარეშე, სასამართლოდან, როგორც ექსპლოატაციის იარაღიდან, შეეჭმენით აღზრდის იარაღი სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საფუძველზე“<sup>2</sup>.

ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში ვ. ი. ლენინმა

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 542.

<sup>2</sup> იქვე.

წამოაყენა რევოლუციური წესრიგისა და ახალი სასამართლოების ორგანიზაციის ამოცანა. 1917 წლის 5 ნოემბერს მიმართვაში „მოსახლეობისადმი“ ვ. ი. ლენინი რუსეთის მშრომელებს მოუწოდებდა: „თვითონვე მოჰკიდეთ საქმეს ხელი ქვემოდან, ნურვის დაელოდებით. დაამყარეთ უსასტიკესი რევოლუციური წესრიგი... დააპატიმრეთ და ხალხის რევოლუციურ სამართალში მიეცით ყველა, ვინც გაბედავს სახალხო საქმისათვის ვნების მიყენებას“<sup>1</sup>.

რევოლუციური მასები მხურვალედ გამოეხმაურნენ დიდი ბგლადის მოწოდებას. საკუთარი ინიციატივით, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით დაიწყეს ბურჟუაზიული მართლმსაჯულების ორგანოების გაუქმება და ახალი საბჭოთა სასამართლოების ჩამოყალიბება.

საქმის წარმოება პირველ საბჭოთა სასამართლოებში ხასიათდებოდა ფართო პროლეტარული დემოკრატიზმითა და ჰუმანიზმით. რევოლუციური მასები იმუშავებდნენ და იყენებდნენ სამართალწარმოების ისეთ ფორმებს, რომლებიც შეესაბამებოდა მათ რევოლუციურ მართლშეგნებას და მშრომელთა ინტერესებს.

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა სასამართლო მშენებლობის დარგში მშრომელი მასების ინიციატივასა და თვითშემოქმედებას. „რევოლუციური მასები, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ სწორ გზას დაადგნენ და რევოლუციის ცხოველყოფილობა დაამტკიცეს, როდესაც იწყეს თავიანთი, მუშათა და გლეხთა სასამართლოების მოწყობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სასამართლო აპარატის დაშლის შესახებ ჭერ კიდევ ყოველგვარი ღეკრეტების გამოცემამდე“<sup>2</sup>.

სახალხო ინიციატივის მაღალ შეფასებასთან ერთად, ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ სათანადო კანონმდებლობის შემუშავებასა და გამოცემას. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით პარტიისა და მთავრობის ცენტრალურმა ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩატარეს სასამართლოს შესახებ ერთიანი კანონმდებლობის შემუშავებისათვის.

1917 წლის 22 ნოემბერს სახკომსაბჭომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით განიხილა და დაამტკიცა სასამართლოს შესახებ № 1 ღეკ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 347—348.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 314.

რეტი, რომელმაც ოფიციალურად გააუქმა მეფის რუსეთის ყველა არსებული სასამართლო უწყება, საოკრუგო სასამართლოები, სასამართლო პალატები, მმართველი სენატი და მისი დეპარტამენტები, საუწყებო სასამართლოები, ძველი საგამოძიებო-პროკურატურის აპარატი და ადვოკატურა.

განამტკიცა რა საკანონმდებლო წესით ბურჟუაზიულ-მემამულური სასამართლო აპარატის მსხვერვეის პროცესი, დეკრეტმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სასამართლოს, განსაზღვრა ახალი სასამართლო სისტემის ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

ძველი სასამართლო სისტემის ნაცვლად დეკრეტი ითვალისწინებდა ადგილობრივი სასამართლოებისა და რევოლუციური ტრიბუნალების შექმნას. დეკრეტის თანახმად, ადგილობრივ სასამართლოებს ექვემდებარებოდა მცირე მნიშვნელობის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები. რევოლუციური ტრიბუნალების კომპეტენციაში ძირითადად შედიოდა კონტრრევოლუციურ დანაშაულთან ბრძოლა.

სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ახალი სასამართლოების მოწყობამ საყოველთაო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. დეკრეტის გამოქვეყნების მეორე დღესვე ვ. ი. ლენინმა მიუთითა მისი განხორციელებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე<sup>1</sup>. დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად ადგილებზე გაიგზავნა გამოცდილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ადგილობრივ საბჭოებთან შეიქმნა სპეციალური განყოფილებები. ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელი იყო, რადგან დეკრეტის პრაქტიკული განხორციელება დაიწყო და მიმდინარეობდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. კონტრრევოლუცია აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ახალი სასამართლოების ჩამოყალიბებას, ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა და სახელი გაეტეხა რევოლუციური მართლმსაჯულებისათვის. საბჭოთა სასამართლო სისტემის შემოღებას ძველი სასამართლოსა და პროკურატურის ჩინოვნიკებმა მასობრივი საბოტაჟით უპასუხეს. კონტრრევოლუციის ცილისმწამებლურ თავდასხმას საბჭოთა სასამართლოსა და სამართალზე საკადრისი პასუხი გასცა ვ. ი. ლენინმა სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე. „დაე იყვი-

<sup>1</sup> იხ. В. И. Ленин. Полн. Собр. соч., т. 50, ст. 9.

რონ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ ჩვენ ძველი სასამართლო რეფორმის მოუხდენლად ერთბაშად გადავეციტ დასამსხვრევად, ამით ჩვენ გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს<sup>1</sup>.

კონტრრევოლუციის ყოველგვარი ცდა, ჩაეშალა საბჭოთა სასამართლო სისტემის მშენებლობა, ამო აღმოჩნდა. რევოლუციურმა ხელისუფლებამ მოკლე ხანში მოსპო კლასობრივი მტრის მაქინაციები და წარმატებით განახორციელა სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტით დასახული ღონისძიებანი.

ვ. ი. ლენინის უშუალო და აქტიური მონაწილეობით დამუშავდა სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტი, რომელიც სახკომსაბჭომ განიხილა და დაამტკიცა 1918 წლის 30 იანვარს.

სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტმა განამტკიცა საბჭოთა სასამართლო სისტემა, განავითარა სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიული ფორმები. დეკრეტში აისახა და შემდგომი განვითარება პოვა საბჭოთა მართლმსაჯულების ისეთმა დემოკრატიულმა პრინციპებმა, როგორცაა: სამართალწარმოების ეროვნული ენა, ბრალდებულის დაცვის უფლება, სასამართლო სხდომის საქვეყნობა, პროცესის შეჯიბრებითობა და ა. შ.

1918 წლის 20 ივლისს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა სასამართლოს შესახებ № 3 დეკრეტი, რომელიც ძირითადად მიძღვნილი იყო სასამართლო ქვემდებარეობის საკითხების მოწესრიგებისადმი.

**ვ. ი. ლენინი საბჭოთა სასამართლოების ამოცანების შესახებ**

ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა ახალი საბჭოთა სასამართლოს ამოცანები, განსაზღვრა მათი როლი და აღვილი ზოციალისტური საზოგადოების მშენებ-

ლობის საქმეში, ჩამოაყალიბა საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები.

ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიის „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ პირვანდელ მონახაზში, რომელიც 1918 წლის მარტშია დაწერილი, საბჭოთა სასამართლოსა და მის ამოცანებს მიძღვნილი აქვს სპეციალური თავი. თუნდაც მარტო ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი სასამართლოებს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26. გვ. 542.

აღნიშნულ მონახაზში ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ უპირველეს ყოვლისა ახალი სასამართლოები საჭიროა იმ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ბატონობა. მაგრამ ამასთან ერთად ვ. ი. ლენინი იქვე დასძენს, რომ „სასამართლოებს, თუ ისინი მართლა მოწყობილია საბჭოთა დაწესებულებების პრინციპის მიხედვით, ეკისრებათ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა — მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უმკაცრესი გატარების უზრუნველყოფა“<sup>1</sup>. თვით სტატიამში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ (1918 წლის აპრილი) ვ. ი. ლენინი კვლავ ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სასამართლო არის დისციპლინის აღზრდის იარაღი“<sup>2</sup>.

გამოდინდა რა საბჭოთა ხელისუფლების განვითარების პერსპექტივებიდან, ვ. ი. ლენინი პარტიის პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით მოითხოვდა საბჭოთა სასამართლო პოლიტიკის განხორციელებას ისეთი ღონისძიებების თანამიმდევრულად გატარებით, როგორცაა: პირობითი მსჯავრისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის უფრო ფართოდ გამოყენება, თავისუფლების აღკვეთის შეცვლა შრომა-გასწორების სამუშაოებით, საპყრობილეების შეცვლა აღმზრდელობითი დაწესებულებებით და ამხანაგური სასამართლოების შემოღება გარკვეული კატეგორიის საქმეების განსახილველად<sup>3</sup>.

ვ. ი. ლენინის მითითებებს საბჭოთა სასამართლოს აღმზრდელობითი როლის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში, როდესაც ადამიანის აღზრდა კომუნისტური მორალისა და შეგნების მაღალი პრინციპების სულისკვეთებით წარმოადგენს პრაქტიკულ საქმეს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შემადგენელ ნაწილს.

ვ. ი. ლენინი სასამართლო ორგანოებისაგან მოითხოვდა შეუწყნარებლად ებრძოლათ საბჭოთა კანონიერებისა და მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, გამოერკვიათ ყველა ჩადენილი დანაშაული და მიეღოთ გადამწყვეტი ზომები დამნაშავეთა დასასჯელად.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ საშინ მდამნაშავეთა მიმართ

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 252.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 315.

<sup>3</sup> იხ. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 38, стр. 408.

ყოველგვარი სისუსტის, მერყეობისა და სენტიმენტალობის გამოჩენა უდიდესი დანაშაული იქნება სოციალიზმის წინაშე<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად საბჭოთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენებით იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს.

რაც უფრო წინ მივდივართ კომუნისმისაკენ, მით უფრო მეტ საზოგადოებრივ აღშფოთებას იწვევს საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო მოვლენები, მით უფრო მოუთმენელი ხდება ცალკეული პირების მიერ კანონიერების დარღვევის და დანაშაულის ჩადენის ფაქტები, დღესაც ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო, ჩვენ გვესაჭიროება იძულება. პროლეტარული სახელმწიფოს იმ ორგანოს, რომელიც ასე იძულებას ახორციელებს, უნდა წარმოადგენდნენ საბჭოთა სასამართლოები<sup>2</sup>.

**ვ. ი. ლენინი საბჭოთა მართლმსაჯულების პრინციპების შესახებ**

მიუთითებდა რა საბჭოთა სასამართლოს ამოცანებზე, ვ. ი. ლენინი, ამასთან ერთად, მოითხოვდა სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის დამყარებას

ისეთ დემოკრატიულ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანების რეალიზაციას. „მხოლოდ ამგვარი სასამართლოები, მათში მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის უფართოესი მასების მონაწილეობის პირობით, შესძლებენ დემოკრატიული ფორმით, საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების შესაბამისად, მიადწინონ იმას, რომ დისციპლინისა და თვითდისციპლინის სურვილები ცარიელ სურვილებად არ დარჩეს“<sup>3</sup>.

მართლმსაჯულების განხორციელებაში, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სხვა სფეროში, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სოციალისტური კანონიერების ზუსტად და განუხრელად დაცვას. 1922 წლის მაისში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროსადმი გაგზავნილ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სასამართლო „...ადგილობრივი ხელისუფლებაა, რომელიც ვალდებუ-

<sup>1</sup> იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 478.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 252.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 252—253.



ლია, ერთი მხრივ, აბსოლუტურად დაიცვას ერთიანი, მთელი ფედერაციისათვის დაწესებული კანონები, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულია სასჯელის განსაზღვრის დროს გაითვალისწინოს ყველა ადგილობრივი გარემოება<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კანონის დარღვევისათვის პასუხი უნდა აგოს ყველამ. არავითარი თანამდებობრივი და პარტიული მდგომარეობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირს გაეწიოს შეღავათი, ეპატიოს დანაშაული, შეუშუსბუქდეს სასჯელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა შემდეგი ფაქტი: 1921 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ შეადგინა ცირკულარი პარტიული და სასამართლო-საგამომძიებო ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ცირკულარი პარტიულ კომიტეტებს უფლებას აძლევდა პასუხისგებაში მიცემული კომუნისტების საქმეებზე მიეღოთ სასამართლოებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი. როდესაც ვ. ი. ლენინი გაეცნო ცირკულარის ამ ნაწილს, მას ზიანის მომტანი უწოდა და საკითხი განსახილველად შეიტანა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში. პოლიტბიურო დაეთანხმა ვ. ი. ლენინის მოსაზრებებს და დაავალა იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის მთლიანად გადაესინჯათ ცირკულარი სამართალში მიცემული კომუნისტების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიმართულებით, აღეკვეთათ პასუხისმგებლობის შესუსტებულად პარტიული მდგომარეობის გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა<sup>2</sup>.

მართლმსაჯულების განხორციელების დროს კანონიერების განუხრელად დაცვის უზრუნველსაყოფად ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მოსამართლეებისათვის ისეთი პირობების შექმნას, რაც გამორიცხავდა მათზე ყოველგვარ გარეშე ზემოქმედებას. სასამართლოებზე ზემოქმედების მოწოდების ყოველგვარ ცდას ვ. ი. ლენინი უწოდებდა უკანონო მოქმედებას, გიგანტურ შეცდომას და მოითხოვდა ასეთი ზემოქმედების მომხდენ პირთა სასტიკად დასჯას<sup>3</sup>.

საბჭოთა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების აუცი-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 429.

<sup>2</sup> იხ. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 44, стр. 243.

<sup>3</sup> იხ. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 44, стр. 397; т. 53, стр. 108—109.

ლებელ პირობად ვ. ი. ლენინი თვლიდა კანონიერების დაცვის საფუძველზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ და ყოველმხრივ გამოკვლევას, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადაწყვეტისადმი დიდი სიფრთხილით მიდგომას, უღანაშაულო პირის სამართალში მიცემისა და დასჯის შემთხვევათა აღკვეთას.

ჟერ კიდევ რევოლუციის პირველ წლებში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო კონტრარევოლუციონერთა გააფთრებული წინააღმდეგობის დასათრგუნავად მიემართა წითელი ტერორისათვის, ვ. ი. ლენინი წერდა: „სრულიადაც არ არის სავალდებულო ისეთ სისულელემდე მისვლა, როგორც დაწერა ყაზანის უურნალ „კრასნი ტერორში“ ამხანაგმა ლაცისმა, ერთ-ერთმა საუკეთესო, ნაცადმა კომუნისტმა, რომელსაც უნდოდა ეთქვა, რომ წითელი ტერორი არის ძალდატანებითი დათრგუნვა ექსპლოატატორებისა, რომლებიც ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ბატონობა, ზოლო ამის ნაცვლად თავისი უურნალის № 1-ში მე-2 გვერდზე დაწერა: „ნუ ეძებთ (!!?) საქმეში გამამტყუნებელ საბუთს, აჯანყდა თუ არა ის საბჭოს წინააღმდეგ იარაღით ან სიტყვითო“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა სახელმწიფოსათვის უდიდესი საფრთხის არსებობის დროსაც კი ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ ამა თუ იმ პირის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა დადგენილი ყოფილიყო ზუსტად, სათანადო მტკიცებულებებით.

ვ. ი. ლენინი მკაცრად ადევნებდა თვალყურს, რომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად არაფერ ყოფილიყო სამართალში მიცემული და მსჯავრდებული.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამართლო განხილვის საქვეყნობას. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც კი, როდესაც მართლმსაჯულების მახვილი მიმართული იყო ძირითადად დამხობილი კლასების წინააღმდეგობათა დასათრგუნავად, ვ. ი. ლენინი დამსჯელობითი პოლიტიკის გატარებაში უპირატესობას აკეთებდა სასამართლო ორგანოებს, რომლებიც მოქმედებდნენ საქვეყნოდ, ფართო საზოგადოების თანდასწრებით. 1918 წლის 5 ივლისს სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობაზე

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 486.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ გვეუბნებიან, რომ, როცა ძერჟინსკის კომისიაში ხვრეტენ — ეს კარგია, ხოლო თუ სასამართლო მთელი ხალხის წინაშე აშკარად იტყვის, იგი კონტრრევოლუციონერია და დახვრეტის ღირსიაო, ეს ცუდია. ის ადამიანები, რომლებიც ასეთ თვალთმაქცობამდე მისულან, პოლიტიკურად მკვდარნი არიან“<sup>1</sup>.

ვ. ა. ავანესოვის, დ. ი. კურსკისა და ა. დ. ციურუპასადმი 1921 წლის 13 დეკემბერს გაგზავნილ ტელეფონოგრამაში საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის საკითხებზე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ექვი არ არის, რომ საქმის გაჯანჯლებში დამნაშავენი აქ მოიპოვებიან, ხოლო პრინციპის თვალსაზრისით საჭიროა ასეთი საქმეები ბიუროკრატიულ დაწესებულებათა ფარგლებში კი არ დავტოვოთ. არამედ საჯარო მსჯავრის დასადებად გამოვიტანოთ, არა იმდენად მკაცრად დასჯისათვის (იქნებ, საკმარისი აღმოჩნდეს საყვედური), არამედ საქვეყნოდ გამოცხადებისათვის და იმ საყოველთაო რწმენის გასაქარწყლებლად, თითქოს დამნაშავენი დაუსჯადნი იყვნენ“<sup>2</sup>.

სასამართლო პროცესების დიდი მნიშვნელობა აღნიშნულია ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ განაწესში „სამეურნეო მუშაობის საკითხებზე“, რომელიც ერთხმად მიიღო საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობამ 1921 წლის 28 დეკემბერს. ყრილობამ იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან მოითხოვა მუშაობის გაძლიერება იმ მიმართულებით, რომ „სახალხო სასამართლოები მეტ ყურადღებას აქცევდნენ ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, სამეურნეო უთაურობის სასამართლოს წესით დევნას. ამგვარი საქმეების გამო პროცესების მოწყობა აუცილებელია როგორც პასუხისმგებლობის გასადიდებლად იმ ბოროტებისათვის. რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასე ძნელია ჩვენს პირობებში, ისე მუშათა და გლეხთა მასების ყურადღების მისაპყრობად ამ უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი“<sup>3</sup>.

სასამართლო პროცესების აღმზრდელითი ზეგავლენის გაფართოების მიზნით ვ. ი. ლენინი მოითხოვდა პროცესების ფართოდ გაშუქებას პრესაში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა წინადადება მისცა სათანადო ორგანოებს, არა მარტო

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 636.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 638.

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 204.

გადაეცათ დამნაშავენი სასამართლოსათვის და პროცესი ჩაეტარებინათ საჯაროდ, არამედ აგრეთვე ამის შესახებ გამოექვეყნებინათ მთელ საბჭოთა პრესაში, ხოლო გაზეთებს „იზვესტიასა“ და „პრავდას“ გაეშუქებინათ ეს საქმე რიგ სტატიებში<sup>1</sup>.

მიუთითებდა რა სასამართლო პროცესების დიდ მნიშვნელობაზე, ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა იუსტიციის მუშაკებს ესწავლათ საქვეყნოდ საქმეების მოწყობა და წარმართვა<sup>1</sup>. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა დაწესებულებათ სასამართლოს ხელმძღვანელი მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობა სამაგალითო, აღმზრდელობითი პროცესების მოწყობასა და ჩატარებაზე<sup>2</sup>.

ვ. ი. ლენინი გვაწავლიდა, რომ როგორი სრულყოფილი და დემოკრატიულიც უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ფორმები, რა იდეალურადაც უნდა იყოს მოწყობილი სამსჯავრო პროცესები, სასამართლოები ვერ შეძლებენ მათზე დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ თავიანთი ძალებით. ამიტომ მართლმსაჯულების ამოცანების განხორციელების აუცილებელ პირობად ვ. ი. ლენინი თვლიდა სასამართლოს საქმიანობაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას.

**სკკპ სოციალისტური  
კანონიერებისა და  
მართლმსაჯულების  
განმტკიცების შესახებ**

ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის უკვე დავეი მითითებებით, სკკპ დიდ ყურადღებას აქცევს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, კანონმდებლობის სრულყოფას, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას.

აღნიშნული საკითხები ბევრჯერ ყოფილა უმაღლესი პარტიული ფორუმებისა და გადაწყვეტილებების განსჯის საგანი.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც ლენინური პრინციპულობით დაგმო წარსულში არსებული კანონიერების უხეში დარღვევების ფაქტები, დასახა სოციალისტური დემოკრატიისა და კანონიერების შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

სკკპ XXI ყრილობამ დასახა ღონისძიებანი სამართალდარღვე-

1 იხ. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 44, стр. 334.

2 იხ. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 54, стр. 83.

3 იხ. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 44, стр. 399—400.

ვითა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებისა და გააქტიურებისათვის. ყრილობაზე აღინიშნა სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის სასამართლოს, აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური საქმიანობის დიდი მნიშვნელობა.

სოციალისტური კანონიერების და მართლმსაჯულების განმტკიცების თაობაზე მნიშვნელოვანი დებულებებია მოცემული სკკპ XXII ყრილობის დოკუმენტებში. ყრილობის მიერ მიღებულ სკკპ პროგრამაში დაყენებულია დამნაშავეობის, მისი წარმომშობი ყველა მიზეზის ლიკვიდაციის ამოცანა, ჩამოყალიბებულია საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები. „მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება კანონის სრული შესაბამისობით. იგი ემყარება ნამდვილად დემოკრატიულ საფუძვლებს: მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობას და ანგარიშგებას, მათი ვადამდე გაწვევის უფლებას, სასამართლო საქმეთა განხილვის საჯაროობას, სასამართლოში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობას ისე, რომ სასამართლო, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები უაღრესი სიზუსტით იცავდნენ კანონიერებას, ყველა პროცესუალურ ნორმას. მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლები კვლავაც განვითარდება და გაუმჯობესდება“.

სკკპ XXIII და XXIV ყრილობებზე აღინიშნა, რომ საბჭოთა ორგანოების მთელ საქმიანობას საფუძვლად უნდა ედოს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვა, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება, რომ სამართლისა და კანონის პატივისცემა უნდა იქცეს თითოეული ადამიანის პირად რწმენად. მკაცრად დაისვა აგრეთვე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების პრობლემა, აღინიშნა, კერძოდ, რომ სასამართლოები და სხვა სამართალდამცავი ორგანოები სასჯელის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად მეტად უნდა ზრუნავდნენ დანაშაულის პროფილაქტიკაზე, მის თავიდან აცილებასა და აღკვეთაზე.

მართლმსაჯულების ორგანოებზე პარტიული ზრუნვის ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ივლისის დადგენილება „სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სასამართლოებისა და პროკურატურის ორგანოების საქ-

მიანობის გასაუმჯობესებლად, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში მათი როლის ასამაღლებლად.

სკკპ XXV ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი სამსახურის გაუმჯობესების, საბჭოთა კანონების განუხრებლად დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდის საკითხებს. ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ პარტია, სახელმწიფო დიდად აფასებენ მილიციის, პროკურატურის, სასამართლოების, იუსტიციის ორგანოების მუშაკთა ძნელ და საპატიო შრომას და რომ მომავალშიც დიდი ყურადღება დაეთმობა ამ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფას.

სასამართლო ორგანოებს დიდი ამოცანები დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებამ „მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. დადგენილებაში აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს სასამართლოს და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, უფრო მკაცრი და უკომპრომისო ბრძოლა უნდა წარმოებდეს დამნაშავეობის, განსაკუთრებით, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, მექრთამეობის, სპეკულაციის, მუქთახორობის, ხულიგნობის და ლოთობის წინააღმდეგ. დადგენილებამ მოითხოვა ამაღლდეს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობა, დაინერგოს გამსვლელი პროცესების მოწყობა საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სკკპ XXVI ყრილობაზე მთელი სიმკაცრით ითქვა, რომ აუცილებელია საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება, მუქთახორობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, სოციალისტური საკუთრების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების ყოველგვარი ხელყოფის აღმოფხვრა. საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდი იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების, საბჭოთა მილიციის პასუხისმგებლობა, რომ ამ ორგანოთა მუშაკების პროფესიული ცოდნა უნდა ერწყმოდეს მოქალაქეობრივ მამაცობას, მოუსყიდველობას და სამართლიანობას, რომ საბჭოთა ხალხს უფლება აქვს მოსთხოვოს მათ, რომ მათი მუშაობა მაქ-

სიმაღურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველ დანაშაულს ჭეროვნად იძიებდნენ და დამნაშავეთ საკადრისად აჯიბდნენ.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მოთხოვნა არაერთხელ აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1985) პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „უწინდებურად განხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებები, რათა კვლავაც დაწყარდეს წესრიგი, გაიწმინდოს ჩვენი ცხოვრება უცხო მოვლენებისაგან, საზოგადოებისა და მისი მოქალაქეთა ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისაგან, განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერება“.

კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის დარგში პარტიის ხელმძღვანელი, მორგანიზებელი და წარმმართველი როლი უზრუნველყოფს სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების ლენინური პრინციპების ყოველმხრივ განმტკიცებასა და განვითარებას, ჩვენს ქვეყანაში სამართალდარღვევების აღმოფხვრასა და ლიკვიდაციას, კომუნისტური მორალისა და შეგნების სულისკვეთებით ყველა მოქალაქის აღზრდას.

# თ ა ვ ი III. სასამართლო-სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

## § 1. სასამართლო

**სასამართლო სისტემა** მართლმსაჯულების განხორციელები-სათვის საბჭოთა სახელმწიფოში შექმ-ნილია და მოქმედებს სასამართლოების ერთიანი მწყობრი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციისა და საქმიანობის ერთიან პრინციპებზე, ემსახურება საერთო მიზნებსა და ამოცანებს. როგორც უკვე აღინიშნა, სსრ კავშირში მოქმედებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოები, ავტონომიური ოლქების სასამართლოები, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები, აგრეთვე სამხედრო ტრიბუნალები შეიარაღებულ ძალებში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო და სამხედრო ტრიბუნალები წარმოადგენენ სსრ კავშირის (საერთო საკავშირო) სასამართლოებს, ხოლო დანარჩენი სასამართლოები — მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებს. სსრ კავშირის სასამართლოებს განაჩენები და გადაწყვეტილებები გამოაქვთ სსრ კავშირის სახელით და მოქმედებენ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოები მოქმედებენ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მისივე სახელით ადგენენ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს.

მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და აქვს თავისი სასამართლო სისტემა, რომელიც განსაზღვრულია ამ რესპუბლიკის კონსტიტუციითა და სასამართლო წყობილების შესახებ კანონით. საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და სასამართლო წყობილების შესახებ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ სასამართლოებია: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლ-



ქო სასამართლო და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

საბჭოთა სასამართლოები იხილავენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებს. სსრ კავშირში არ არსებობს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეების ან მხოლოდ სამოქალაქო საქმეების განმხილველი სასამართლოები.

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლოები მართლმსაჯულებას ახორციელებენ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების პირველი, მეორე და საზედამხედველო ინსტანციით განხილვის წესით. პირველი ინსტანციის სასამართლოები არსებითად იხილავენ და წყვეტენ საქმეებს, ადგენენ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს. პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის უფლება აქვს საბჭოთა სასამართლო სისტემაში შემავალ ყველა სასამართლოს. ამასთან, სახალხო სასამართლო წარმოადგენს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს. ყველა რგოლის სასამართლო პირველი ინსტანციით საქმეებს იხილავს მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით. მეორე ანუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოები საკასაციო საჩივრებისა და პროტესტების საფუძველზე იხილავენ და ამოწმებენ პირველი ინსტანციით გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კანონიერებას მათ კანონიერ ძალაში შესვლამდე. საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოები შესაბამისი პროკურორის, სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების პროტესტების საფუძველზე ამოწმებენ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციით საქმეებს იხილავს ყველა რგოლის სასამართლო სახალხო სასამართლო გარდა.

**სახალხო სასამართლო** სახალხო სასამართლო წარმოადგენს საბჭოთა სასამართლო სისტემის ძირითად რგოლს. იგი იქმნება ყველა რაიონსა და ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა. სახალხო სასამართლოს ირჩევენ სახალხო მოსამართლის (სახალხო მოსამართლეების) და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა რაოდენობას მოსახლეობის რაოდენობისა და სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით აწესებს იმ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (პრეზიდიუმი), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც შედის მოცემული რაიონი. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედ-

5. ალ. შუშანაშვილი

ვით საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში ერთ მოსამართლეზე ირჩევენ 70 სახალხო მსაჯულს.

ორი ან მეტი სახალხო მოსამართლის არჩევის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო არჩეულ სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან თავის სესიაზე ამტკიცებს სასამართლოს თავმჯდომარეს. სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სასამართლოს მუშაობას, ანაწილებს სახალხო მოსამართლეთა შორის საქმეებს, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას და ა. შ. მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს სხვა სახალხო მოსამართლის თავმჯდომარეობით საქმის განხილვაში. კონკრეტულ საქმეზე მართლმსაჯულებას ახორციელებს და ყველა საკითხს დამოუკიდებლად წყვეტს საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა. თუ სახალხო სასამართლოს შემადგენლობაში არჩეულია ერთი სახალხო მოსამართლე, იგი ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების გარდა სახალხო სასამართლოს აპარატში შედის სასამართლოს აღმასრულებელი, სასამართლოს მდივანი, სასამართლოს სხდომის მდივანი, საქმისმწარმოებელი-შემანქანე, დამლაგებელი-კურიერი. მსხვილ სახალხო სასამართლოში არის აგრეთვე კანცელარიის გამგე, კონსულტანტი, ბუღალტერი, არქივარიუსი და ა. შ. სახალხო სასამართლოში, სადაც რამოდენიმე მოსამართლეა, აღმასრულებლებისა და სხდომის მდივნების რაოდენობა, როგორც წესი, მოსამართლეთა რიცხვის ტოლია. სახალხო სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ადგენენ შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აგრეთვე ავტონომიური ოლქისა და მასთან გათანაბრებული რეგიონების იუსტიციის განყოფილების უფროსი მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსათვის გამოყოფილი საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

სახალხო სასამართლოს ძირითადი დანიშნულებაა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. სახალხო სასამართლო წარმოადგენს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს, იხილავს და წყვეტს საქმეებს არსებითად. სახალხო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა უდიდესი უმრავლესობა. სახალხო სასამართლო არ იხილავს იმ მცირერიცხოვან სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც ზემდ-

გომი სასამართლოების და სამხედრო ტრიბუნალების განმგებლობას განეკუთვნება. ამასთან, ზემდგომ სასამართლოს შეუძლია თავისი ქვემდებარე საქმე განსახილველად გადასცეს სახალხო სასამართლოს, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმე თავისი შინაარსით არ არის რთული და ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით სახალხო სასამართლო ან მოსამართლე იხილავს საქმეებს ადმინისტრაციულ დარღვევათა შესახებ: წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია, ადმინისტრაციული ზედამხედველობის დარღვევა და ა. შ. სახალხო სასამართლო იხილავს განაჩენის აღსრულების პროცესში სასჯელის მოხდასთან დაკავშირებულ საკითხებს: სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება, სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით და ა. შ.

სახალხო სასამართლო შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს, სამართლებრივ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს, აწყობს სახალხო მსაჯულებისა და სასამართლოს მუშაკების სწავლებას, მონაწილეობს სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლდარღვევათა პროფილაქტიკის საქმიანობაში, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**სამხარეო, საოლქო,  
საქალაქო, ავტონომიური  
ოლქებისა და  
ავტონომიური ოკრუგების  
სასამართლოები,  
ავტონომიური  
რესპუბლიკების უმაღლესი  
სასამართლოები**

ეს სასამართლოები შეადგენენ საბჭოთა სასამართლო სისტემის საშუალო რგოლს და გააჩნიათ ერთნაირი კომპეტენცია. მათ ირჩევენ შესაბამისი საბჭოები სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს შე-

საბამისი საბჭო.

საოლქო და მასთან გათანაბრებული სასამართლოები მოქმედებენ სასამართლოს პრეზიდიუმის, სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობით.

სასამართლო კოლეგიები პირველი ინსტანციით იხილავენ განსაკუთრებით რთულ და მნიშვნელოვან საქმეებს. მაგალითად, სისხ-

ლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განსჯადია საქმეები ისეთი მძიმე დანაშაულის შესახებ, როგორცაა: დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობა, სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადანილი მექრთამეობა და ა. შ. გარდა ამისა, აღნიშნული რგოლის სასამართლოებს შეუძლიათ ჩამოართვან თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სახალხო სასამართლოებს ყოველი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე და მიიღონ თავის წარმოებაში პირველი ინსტანციით განსახილველად. პირველი ინსტანციით საქმეების განხილვის გარდა, სასამართლო კოლეგიები სწავლობენ და აზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საოლქო და მასთან გათანაბრებული სასამართლოების პრეზიდენტი იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით. პრეზიდენტის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (პრეზიდენტი).

სასამართლოს პრეზიდენტი ზედამხედველობის წესით იხილავს პროტესტებს სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე სასამართლო კოლეგიების საკასაციო განჩინებებზე. გარდა ამისა, პრეზიდენტი იხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს, ისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

სასამართლოს პრეზიდენტი იწვევენ სულ ცოტა თვეში ორჯერ და უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. პრეზიდენტის დადგენილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით. პრეზიდენტის სხდომაზე სავალდებულოა შესაბამისი რეგიონის პროკურორის მონაწილეობა.

საოლქო და მასთან გათანაბრებული სასამართლოების ტექნიკური აპარატი შედგება კონსულტანტებისაგან, სასამართლო კოლეგიათა და სასამართლო სხდომის მდივნებისაგან, საქმისმწარმოებლებისა და სხვა მუშაკებისაგან სასამართლოს აპარატის სტრუქტურისა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

მოკავშირე  
რესპუბლიკის უმაღლესი  
სასამართლო

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი  
სასამართლო წარმოდგენს მოკავშირე  
რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო  
ორგანოს. იგი ახორციელებს ზედამ-

ხედველობას მოკავშირე რესპუბლიკის ყველა სასამართლოს საქმიანობაზე.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ირჩევს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით წევრის უფლებით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეები.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით: ა) უმაღლესი სასამართლოს პლენუმი; ბ) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, გ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია. მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში შეიძლება შეიქმნას პრეზიდიუმი. ამჟამად, პრეზიდიუმი შექმნილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, გარდა ბელორუსიის სსრ უმაღლესი სასამართლოსი.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში იხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. გარდა ამისა, სასამართლო კოლეგიები სწავლობენ და აზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას, ახორციელებენ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. ამ უფლებას მოკლებულია მხოლოდ უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმი იხილავს აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს, უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებისა და აპარატის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, დაბ-

მარებას უწევს ქვემდგომ სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და უმაღლესი სასამართლოს წევრების შემადგენლობით მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცებით.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ სულ ცოტა თვეში ერთხელ. პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის შემადგენლობის უმრავლესობა. პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს ამ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და სასამართლოს ყველა წევრის შემადგენლობით. იგი განიხილავს პროტესტებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე. რსფსრ-სა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმები არ იხილავენ სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საქმეებს. ამ მოკავშირე რესპუბლიკებში სასამართლო საქმეების განმხილველ ბოლო ინსტანციას წარმოადგენს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი.

გარდა კონკრეტული საქმეებისა, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი იხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის შეწავლის და განზოგადების მასალებს, სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე, ამტკიცებს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობას, ისმენს ინფორმაციას პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის თაობაზე, ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ სამ-ოთხ თვეში ერთხელ მაინც. პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი და იუსტიციის მინისტრი. ამასთან, პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში თავმჯდომარის მოწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეებმა, უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

პლენუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. პლენუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმებზე უმრავლესობით.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში სასამართლო და ორგანიზაციული საქმიანობა ხორციელდება სასამართლოს აპარატის მეშვეობით, რომლის სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდისათვის მუშაობის ჩასატარებლად და უმაღლესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილებები. სასამართლო კოლეგიებსა და განყოფილებებს ჰყავთ უფროსი კონსულტანტები და კონსულტანტები, ინსპექტორები, აგრეთვე სხვა მუშაკები და უმცროსი მომსახურე პერსონალი.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან არსებობს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სასამართლოს წევრები, მეცნიერი მუშაკები და სხვა იურიდიულ უწყებათა წარმომადგენლები. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

**სამხედრო ტრიბუნალები** სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, სამხედრო ტრიბუნალები არიან სსრ კავშირის სასამართლოები, შედიან სსრ კავშირის ერთიან სასამართლო სისტემაში და მოქმედებენ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში.

სამხედრო ტრიბუნალების ამოცანები, მათი ორგანიზაცია და

კომპეტენცია განსაზღვრულია დებულებით სამხედრო ტრიბუნალების შესახებ, რომელიც ახალი რედაქციით დამტკიცდა სსრ კავშირის 1980 წლის 25 ივნისის კანონით.

სამხედრო ტრიბუნალები, ახორციელებენ რა სოციალისტური მართლმსაჯულების ამოცანებს, მოწოდებული არიან იბრძოლონ სსრ კავშირის უშიშროების, მისი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის, სამხედრო დისციპლინისა და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის ხელყოფის წინააღმდეგ.

დებულების შესაბამისად, სამხედრო ტრიბუნალების განსჯადობას ექვემდებარება: ა) საქმეები ყველა დანაშაულის შესახებ, რომლებიც ჩაიდინეს სამხედრო მოსამსახურეებმა, აგრეთვე სამხედრო ვალდებულებმა მათ მიერ შეკრების გავლის დროს; ბ) საქმეები ყველა დანაშაულის შესახებ, რომლებიც ჩაიდინეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ოფიცერთა შემადგენლობის პირებმა, პროპორშიცებმა, მიჩმანებმა, სერჟანტებმა, ზემდეგებმა, ჯარისკაცებმა და მატროსებმა; გ) საქმეები სამსახურის შესრულების დადგენილი წესის საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ, რომელიც ჩაიდინეს შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსი შემადგენლობის პირებმა; დ) ყველა საქმე ჯაშუშობის შესახებ; ე) საქმეები იმ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, რომელთა მიმართაც არსებობს სპეციალური მითითება სსრ კავშირის კანონმდებლობაში.

სამხედრო ტრიბუნალები სისხლის სამართლის საქმეებთან ერთად განიხილავენ ჯარის ნაწილების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების სამოქალაქო სარჩელებს იმ მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მათ დანაშაულმა მიაყენა.

სამხედრო ტრიბუნალს ირჩევენ თავმჯდომარის, დადგენილ შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების), აგრეთვე სამხედრო ტრიბუნალის წევრებისა და სახალხო მსაჯულთა შემადგენლობით.

სამხედრო ტრიბუნალების თავმჯდომარეებად, თავმჯდომარის მოადგილეებად და წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან და არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდათ. სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეებს ირჩევს სსრ კავშირის



უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ხუთი წლის ვადით. მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად რეკომენდაცია ეძლევათ ოფიცრებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

სამხედრო ტრიბუნალის სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფება. სახალხო მსაჯულებს ირჩევენ ღია კენჭისყრით სამხედრო ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები ორ-ნახევარი წლის ვადით.

სამხედრო ტრიბუნალები იქმნება ოლქებში, ჯარების ჯგუფებში, ფლოტებში, არმიებში, ფლოტილიებში, შენაერთებსა და გარნიზონებში. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა სამხედრო ტრიბუნალები.

არმიის, ფლოტილის, შენაერთებისა და გარნიზონების სამხედრო ტრიბუნალები წარმოადგენენ სამხედრო ტრიბუნალების სისტემის პირველად რგოლებს და იხილავენ მათ კომპეტენციაში შემავალ საქმეებს მხოლოდ პირველი ინსტანციით. ოლქების, ჯარების ჯგუფებისა და ფლოტილიების, აგრეთვე შეიარაღებული ძალების სახეობათა სამხედრო ტრიბუნალები პირველი ინსტანციით იხილავენ მათ კომპეტენციაში შემავალ საქმეებს და წარმოადგენენ საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებს პირველადი რგოლის სამხედრო ტრიბუნალების მიერ გამოტანილი განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების კანონიერების შესამოწმებლად.

სამხედრო ტრიბუნალი პირველი ინსტანციით საქმეს იხილავს მოსამართლის (სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან წევრის) და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით. საქმეთა განხილვა სამხედრო ტრიბუნალებში საკასაციო და საზედამხედველო წესით ხორციელდება სამხედრო ტრიბუნალის სამი მოსამართლის შემადგენლობით.

მართლმსაჯულების განხორციელებისას სამხედრო ტრიბუნალები ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, საქმეებს იხილავენ ისეთივე წესითა და ფორმით, როგორც ყველა სხვა სასამართლო.

სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლენი სამხედრო დისციპლინის დარღვევისა და სამსახურებრივი გადაცდომისათვის მიეცემიან დისციპლინურ პასუხისგებაში მოსამართლეთა დისციპლინური

პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო** სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო არის სსრ კავშირის უმაღლესი

სასამართლო ორგანო და ზედამხედველობას უწევს სსრ კავშირის სასამართლოებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოებს კანონით დადგენილ ფარგლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ, რომელიც მიღებულია 1979 წლის 30 ნოემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რაოდენობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით: ა) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი; ბ) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია; გ) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია; დ) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიები პირველი ინსტანციით იხილავენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს. გარდა ამისა, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები ზედამხედველობის წესით იხილავენ პროტესტებს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს, წყვეტენ მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოებს შორის წამოჭრილ დავას საქმის განხილვის ადგილის თაობაზე, ახორციელებენ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, გარდა პირველი ინსტანციით საქმეების განხილვისა, საკასაციო წე-

სით იხილავს საჩივრებს და პროტესტებს შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფებისა და ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე ზედამხედველობის წესით იხილავს პროტესტებს იმავე ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიები პირველი ინსტანციით საქმეებს იხილავენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის თავმჯდომარეობით და ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით, ხოლო საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეების განხილვა ხდება სამი მოსამართლის შემადგენლობით. კოლეგიები საქმეებს იხილავენ სსრ კავშირის სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით, შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსებით დადგენილი წესების დაცვით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას. მის შემადგენლობაში შედიან სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, სასამართლოს წევრები და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ზედამხედველობის წესით იხილავს პროტესტებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებისა და პლენუმების დადგენილებებზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს.

გარდა კონკრეტული საქმეებისა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი განიხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის განზოგადების მასალებს, სახელმძღვანელო განმარტებებს აძლევს სასამართლოებს კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე, ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობას, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი სავალდებულოა იმ კანონის გამოყენებელი სასამართლოების, სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათ-

ვის, რომლის გამოც მიეცათ განმარტება. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ახორციელებს კონტროლს იმაზე, თუ როგორ ასრულებენ სასამართლოები პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ სულ ცოტა ოთხ თვეში ერთხელ. პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი. ამასთან გენერალური პროკურორის მონაწილეობა საკლებულია.

პლენუმის სხდომა უფლებამოსილია მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედის ყოფნის შემთხვევაში. პლენუმის დადგენილებები მიიღება ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პლენუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულებისათვის სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებანი და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰყავს აგრეთვე თანაშემწეები მუშაობის უბნების მიხედვით. სასამართლო კოლეგიებსა და განყოფილებებში არიან მთავარი და უფროსი კონსულტანტები, მთავარი და უფროსი ინსპექტორები, კონსულტანტები, ინსპექტორები, აგრეთვე სხვა მოსამსახურენი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურულ და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

**სასამართლოების  
ორგანიზაციული  
ხელმძღვანელობა**

სასამართლოების ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებები. აღნიშნული ორგანოები ხელს უწყობენ მართლმსაჯულების მიზნებისა და სასამართლოს ამოცანების განხორციელებას, იმუშავენ წინადადებებს სასამართლოების ორგანიზაციის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების საკითხებზე, ხელმძღვანელობენ სასამართლოების კადრებთან მუშაობას, ამოწმებენ სასამართ-

ლოების მუშაობის ორგანიზაციას, სწავლობენ და აზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ორგანიზაციას უწევენ მუშაობას სასამართლო სტატისტიკის წარმოების ხაზით. სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წინადადებანი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის შესახებ.

იუსტიციის სამინისტროები და განყოფილებები სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გარდა სხვა ფუნქციებსაც ასრულებენ, ამზადებენ წინადადებებს კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის შესახებ, ახორციელებენ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მეთოდურ ხელმძღვანელობას, კოორდინაციას უწევენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტების საქმეში, ხელმძღვანელობენ ნოტარიატს, სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებს, ახორციელებენ საერთო ხელმძღვანელობას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქმიანობისა და ადვოკატურისადმი.

## § 2. პროკურატურა

### პროკურატურის ამოცანები

პროკურატურის შესახებ მნიშვნელოვანი დებულებები ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. პროკურატურის ორგანოების ამოცანები. მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის 1979 წლის 30 ნოემბრის კანონით სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ. სამართალწარმოებაში პროკურორისა და პროკურატურის გამოძიებელთა უფლებამოსილების განხორციელების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მი-

ერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორსა და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს.

კანონების შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობას უმაღლესი ზედამხედველობა ეწოდება იმიტომ, რომ პროკურატურა თავის საზედამხედველო ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, რომლის წინაშეც იგი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია. საპროკურორო ზედამხედველობა უმაღლესია იმიტომაც, რომ იგი ვრცელდება ყველა სამინისტროსა და უწყებაზე, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებზე, შემოფარგლული არ არის რაიმე უწყებრივი თუ ტერიტორიული ბარიერებით. ამასთან პროკურატურა არ ერევა სამინისტროების და უწყებების ოპერატიულ და სამეურნეო საქმიანობაში, არ აკონტროლებს მათ მიერ მიღებულ ბრძანებების, დადგენილებების, ინსტრუქციებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულებას. პროკურატურა ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ კანონების ზუსტად შესრულებაზე, მათ სწორად გაგებასა და გამოყენებაზე, იმაზე, რომ საუწყებო ნორმატიული აქტები, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მოქმედებები არ ეწინააღმდეგებოდეს, არ არღვევდეს კანონს. პროკურატურის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებიან. ცნობილ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ „ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „პროკურორს უფლება აქვს და ვალდებულიცაა ერთი რამ გააკეთოს: თვალყური ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირი გაგების დადგენას, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა“<sup>1</sup>.

პროკურატურის ამოცანები განსაზღვრულია კანონში სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ. ამ კანონის მუ-2 მუხლის შესაბამისად, პროკურატურის საქმიანობის მიზანია ყოველმხრივ განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი და ამოცანად ისახავს დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან: ა) სსრ კავშირის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33. გვ. 429

კონსტიტუციით გამტკიცებული სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები; ბ) მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებანი, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით: გ) სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მთელი თავისი საქმიანობით პროკურატურა ხელს უწყობს თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა აღზრდას თავიანთ კონსტიტუციური მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულების, კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

**საპროკურორო  
ზედამხედველობის  
ძირითადი  
მიმართულებები**

საპროკურორო ზედამხედველობის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს საერთო ზედამხედველობა, რაც გულისხმობს ზედამხედველობას იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ კანონების სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, თანამდებობის პირები და მოქალაქენი. საერთო ზედამხედველობის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აღნიშნული ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოცემული აქტები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას და კანონებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს და კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებს. საერთო ზედამხედველობის მიზანია აგრეთვე ის, რომ თანამდებობის პირნი და მოქალაქენი ზუსტად და ერთგვაროვნად ასრულებდნენ კანონებს.

საერთო ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვს შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ გამოცემულ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, განკარგულებებსა და სხვა აქტებს მათი კანონთა შესაბამისობის შესამოწმებლად. იმავე მიზნით პროკურორი მოითხოვს საჭირო დოკუმენტებს, მასალებს, სტატისტიკურ და სხვა ცნობებს, რომლებიც ეხება კანონის შესრულებას. პროკურორს უფლება აქვს აგრეთვე თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს ჩამო-

ართვას ახსნა-განმარტება, მოითხოვოს შემოწმებისა და რევიზიის ჩატარება.

საერთო ზედამხედველობის წესით ჩატარებული შემოწმების საფუძველზე პროკურორი პროტესტებს კანონსაწინააღმდეგო აქტებსა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებას, შეაქვეს წარდგინებები კანონის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღკვეთის შესახებ, კანონის დარღვევის კვალობაზე გამოაქვეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, დისციპლინური და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ წარმოების აღძვრის თაობაზე.

კანონსაწინააღმდეგო აქტის გამო და თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებაზე პროკურორს პროტესტი შეაქვეს აქტის გამომცემ ორგანოში ან ზემდგომ ორგანოში და შესაბამის თანამდებობის პირთან პროკურორის პროტესტი შესაბამისმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა უნდა განიხილოს არა უგვიანეს ათი დღისა და შედეგი აცნობოს პროკურორს.

წარდგინება კანონის დარღვევების, მათი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღკვეთის შესახებ პროკურორს შეაქვეს სახელმწიფო ორგანოში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია აღკვეთოს კანონის დარღვევა. წარდგინება უნდა განიხილოს არა უგვიანეს ერთი თვისა და მიღებული კონკრეტული ზომები აცნობონ პროკურორს.

პროკურორის დადგენილება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ წარიმართება წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად, ხოლო დადგენილება დისციპლინური ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო წარმოების აღძვრის შესახებ გაეგზავნება შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლებიც ვალდებული არიან ათი დღის ვადაში განიხილონ იგი და შედეგი აცნობონ პროკურორს.

საპროკურორო საქმიანობის შემდეგი მიმართულებაა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა. პროკურორი ვალდებულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი, მიიღოს ზომები, რათა არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და არავის არ ასცდეს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა. პროკურორი თვალყურს ადევნებს, რომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებმა დაიცვან საქმის წარმოების წესი, გა-



მოძიების ვადები, პროცესის მონაწილეთა და სხვა მოქალაქეთა უფლებები, უკანონოდ არავინ არ დააპატიმრონ და არ მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, გამოავლინონ დანაშაულის მიზეზები და მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

პროკურორი არა მარტო ზედამხედველობას უწევს, არამედ ხელმძღვანელობს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების საქმიანობას, იღებს მათთვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს, აძლევს მითითებებს ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აუქმებს გამომძიებლისა და მომკვლევე პირის უკანონო დადგენილებებს, მონაწილეობს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წარმოებაში, საკურო შემთხვევაში პირადად აწარმოებს გამოძიებას ან საგამოძიებო მოქმედებას, იძლევა სანქციას ჩხრეკისა და დაპატიმრების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა ჩატარების შესახებ, აბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, წყვეტს საქმის წარმოებას, ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას და აგზავნის საქმეს სასამართლოში.

პროკურატურა ზედამხედველობას ახორციელებს სასამართლოში საქმეთა განხილვისას კანონების შესრულებისადმი, უზრუნველყოფს ყოველ საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას და დროულად აღსრულებას, ხელს უწყობს მართლმსაჯულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

პროკურორი მონაწილეობს საქმეთა სასამართლო განხილვაში, წარადგენს სარჩელს და აძლევს დასკვნებს საქმის განხილვისას წამოჭრილ საკითხებზე, სისხლის სამართლის საქმეებზე მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, აპროტესტებს სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებებს, ამოწმებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კანონიერებას, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა საპროცესო მოქმედებებს.

პროკურატურა ზედამხედველობას უწევს კანონიერების დაცვას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, უზრუნველყოფს ამ ადგილებში დაკავებულთა და პატიმართა ყოფნისათვის კანონით დადგენილი წესების დაცვას. პროკურორი სისტემატურად ამოწმებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებს, ეცნობა დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზე დააკავეს პირი, ჰყავთ წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე ახდენინებენ სასჯელს ან შეუფარდეს იძულებითი მკურნალობის თუ აღზრდის ღონისძიება, იხილავს აღნიშნულ პირთა საჩივრებს,

აწარმოებს მათ გამოკითხვას, ათავისუფლებს პირს, რომელიც უკანონოდ ჰყავთ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. პროკურორი ამოწმებს, რამდენად შეესაბამება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ადმინისტრაციის ბრძანებები, განკარგულებები და დადგენილებები მოქმედ კანონებს, აჩერებს კანონსაწინააღმდეგო აქტების შესრულებას და აპროტესტებს მათ.

**პროკურატურის  
ორგანოების სისტემა**

პროკურატურა წარმოადგენს ერთიანსა და ცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, ზემდგომი პროკურატურისადმი ქვემდგომთა დაქვემდებარებით. ყველა პროკურორი ინიშნება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ ან მასთან შეთანხმების საფუძველზე. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

პროკურატურის ორგანოების სისტემა შექმნილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. პროკურატურის ორგანოების სისტემაში შედის სსრ კავშირის პროკურატურა, მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პროკურატურები, ოლქების პროკურატურების უფლებებით მოქმედი ქალაქის პროკურატურები, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების პროკურატურები, რაიონის, საქალაქო პროკურატურები. პროკურატურის ორგანოების სისტემაში შედის აგრეთვე სამხედრო პროკურატურები, სატრანსპორტო და სხვა პროკურატურები, რომლებიც გათანაბრებულია ოლქების, რაიონების პროკურატურებთან ან საქალაქო პროკურატურებთან. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს შეუძლია იმ ქალაქებში, სადაც არის რაიონული პროკურატურები, შექმნას საქალაქო პროკურატურები მათდამი რაიონული პროკურატურების დაქვემდებარებით.

**სსრ კავშირის  
პროკურატურა**

სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სსრ კავშირის პროკურატურა, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს პროკურატურის ორგანოების საქმიანობას და ახორციელებს კონტროლს მათი მუშაობისადმი, კანონების საფუძველზე და შესასრულებლად

გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა პროკურატურის ყველა ორგანოსათვის. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებანი საგამოძიებო მუშაობის საკითხებზე სავალდებულოა ყველა საგამოძიებო ორგანოსათვის. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი განსაზღვრავს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების წესს, გარდა იმ მუშაკებისა, რომელთა დანიშვნისა და განთავისუფლების წესის განსაზღვრა შედის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც მისი წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის პროკურატურაში იქმნება კოლეგია სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, აგრეთვე პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის პროკურატურაში საპროკურორო საქმიანობის მიმართულებების მიხედვით შექმნილია მთავარი სამმართველოები, სამმართველოები და განყოფილებები. მათი უფროსები და მოადგილეები არიან სსრ კავშირის გენერალური პროკურორის უფროსი თანაშემწენი და თანაშემწენი, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. მთავარ სამმართველოში, სამმართველოებსა და განყოფილებებში არიან უფროსი პროკურორები და პროკურორები. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ჰყავს აგრეთვე საგანგებო დავალებათა შემსრულებელი თანაშემწენი.

სსრ კავშირის პროკურატურის სტრუქტურას სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. პროკურატურის ქვემდგომი ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს აწესებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მუშაკთა დამტკიცებული რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

**მოკავშირე  
რესპუბლიკების  
პროკურატურა**

საპროკურორო ზედამხედველობის ხელმძღვანელ ორგანოს მოკავშირე რესპუბლიკაში წარმოადგენს მოკავშირე რეს-

პუბლიკის პროკურატურა, რომელსაც სათავეში უდგას მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი. მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც მისი წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურებში იქმნება კოლეგიები რესპუბლიკის პროკურორის და პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. მოკავშირე რესპუბლიკის პროკურატურებში შექმნილია სამმართველოები და განყოფილებები, რომელთა უფროსები და მოადგილეები არიან მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების უფროსი თანაშემწენი და თანაშემწენი. სამმართველოებსა და განყოფილებებში არიან უფროსი პროკურორები და პროკურორები. მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს შეიძლება აგრეთვე ჰყავდეს საგანგებო დავალებათა შემსრულებელი თანაშემწენი.

**ავტონომიური  
რესპუბლიკების,  
მხარეების, ოლქების,  
ქალაქების,  
ავტონომიური ოლქებისა  
და ავტონომიური  
ოკრუგების  
პროკურატურები**

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების პროკურატურებს სათავეში უდგანან შესაბამისი პროკურორები, რომლებსაც ჰყავთ პირველი მოადგილეები და მოადგილეები. ამ პროკურატურებშიც იქმნება კოლეგიები შესაბამისი პროკურორისა და პროკურატურის

ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას შესაბამისი პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი. ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურატურებში იქმნება სამმართველოები და განყოფილებები, რომელთა უფროსები და უფროსთა მოადგილეები არიან შესაბამისი პროკურორის უფროსი თანაშემწენი და თანაშემწენი. სამმართველოებსა და განყოფილებებში არიან სამმართველოებისა და განყოფილებების პროკურორები. სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება შეიქმნას საქალაქო პროკურატურებშიც. ავტონომიური ოკრუგების პროკურორებს შეიძლება ჰყავდეთ მოადგილეები, უფროსი თანაშემწენი და თანაშემწენი.

**რაიონის (ქალაქის)  
პროკურატურა**

რაიონის (ქალაქის) პროკურატურა წარ-  
მოადგენს პროკურატურის ორგანოს ძი-  
რითად რგოლს, რომელიც თავისი კომ-

პეტენციის ფარგლებში საპროკურორო ზედამხედველობას ახორცი-  
ელებს მოცემულ რაიონში. რაიონის პროკურატურის სტრუქტურა  
და შტატები განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობისა და სამუ-  
შაოს მოცულობის მიხედვით. რაიონის პროკურორს ჰყავს თანაშემ-  
წე (თანაშემწეები), ზოგი რაიონის პროკურორს ჰყავს მოადგილე  
(მოადგილეები).

**სამხედრო პროკურატურა**

სსრ კავშირის პროკურატურის შემად-  
გენლობაში იქმნება მთავარი სამხედრო

პროკურატურა, რომელსაც სათავეში უდგას მთავარი სამხედრო  
პროკურორი. მთავარ სამხედრო პროკურორს სსრ კავშირის გენე-  
რალური პროკურორის წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის უმაღ-  
ლესი საბჭოს პრეზიდიუმი. მთავარი სამხედრო პროკურორის მო-  
ადგილეებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა მი-  
ხედვით, სამხედრო ოლქების, საჰაერო დაცვის ოლქების, ჯარების  
ჯგუფებისა და ფლოტების სამხედრო პროკურორებს მთავარი სამხე-  
დრო პროკურორის წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური  
პროკურორი. არმიების, ფლოტილების, შენაერთების, გარნიზონე-  
ბისა და მათთან გათანაბრებულ სამხედრო პროკურორებს ნიშნავს  
მთავარი სამხედრო პროკურორი და ამტკიცებს სსრ კავშირის გენე-  
რალური პროკურორი.

სამხედრო პროკურატურის სტრუქტურა, ამოცანები, ორგანიზა-  
ციისა და საქმიანობის პრინციპები განსაზღვრულია სსრ კავშირის  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 4 აგვისტოს ბრძანე-  
ბულებით დამტკიცებული დებულებით სამხედრო პროკურატურის  
შესახებ.

**პროკურატურის  
გამომძიებელი**

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს,  
მოკავშირე რესპუბლიკების პროკურო-  
რებს, მთავარ სამხედრო პროკურორს

ჰყავთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიე-  
ბლები. სსრ კავშირის პროკურატურასა და მოკავშირე რესპუბლი-  
კების პროკურატურებში შეიძლება აგრეთვე იყვნენ უფროსი გა-  
მომძიებლები. ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების,  
ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურატურებში არიან გან-  
საკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები და უფროსი

გამომძიებლები, ხოლო ავტონომიური ოკრუგების და რაიონის პროკურატურებში უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

სამხედრო პროკურატურებში, სატრანსპორტო პროკურატურებსა და საოლქო, რაიონულ და საქალაქო პროკურატურებთან გათანაბრებულ სხვა პროკურატურებში არიან შესაბამისად განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

**პროკურორთა და  
გამომძიებელთა  
თანამდებობაზე დასანიშნი  
პირებისადმი წაყენებული  
მოთხოვნები**

პროკურორებად და პროკურატურის გამომძიებლებად ინიშნებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და საქირო პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებები. უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების კურსდამთავრებული პირნი, რომლებსაც არა აქვთ სპეციალობის მიხედვით პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, პროკურატურის ორგანოებში გადიან სტაჟირებას ერთი წლის განმავლობაში. სტაჟირების ვადის შემცირება ან სტაჟირებისაგან განთავისუფლება შეიძლება მოხდეს ცალკეულ შემთხვევებში სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ დადგენილი წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, აგრეთვე რაიონული, საქალაქო, სამხედრო, სატრანსპორტო და სხვა პროკურორების თანამდებობებზე ინიშნებიან არანაკლებ 25 წლის ასაკის პირნი.

**პროკურატურის  
ორგანოების მუშაკთა  
საკლასო ხარისხი**

პროკურატურის ორგანოების მუშაკებს დაკავებული თანამდებობებისა და მუშაობის სტაჟის შესაბამისად ენიჭებათ საკლასო ხარისხი. საკლასო ხარისხებია: იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, პირველი კლასის იურისტი, მეორე კლასის იურისტი, მესამე კლასის იურისტი და უმცროსი იურისტი.

იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ხარისხს, აგრეთვე, პირველი, მეორე და მესამე კლასის იუსტიციის

სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ხარისხებს ანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სხვა საკლასო ხარისხების მინიჭება ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით.

### § 3. ა დ ვ კ ა ტ უ რ ა

#### ადვოკატურის ამოცანები

ადვოკატურის ამოცანები, მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები განსაზღვრულია სსრ კავშირის 1979.

წლის 30 ნოემბრის კანონით სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ და მის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებული დებულებებით. დებულება საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 12 ნოემბრის ბრძანებულებით.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, ადვოკატურის ამოცანაა იურიდიული დახმარება გაუწიოს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს. ადვოკატურა ხელს უწყობს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მართლმსაჯულების განხორციელებას, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სხვა პირთა უფლებების, პატივისა და ღირსების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად ადვოკატთა კოლეგიის წევრები მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს აძლევენ კონსულტაციას და განმარტებებს იურიდიულ საკითხებზე, აწვდიან ზეპირ და წერილობით ცნობებს კანონმდებლობის თაობაზე, ადგენენ განცხადებებს, საჩივრებსა და სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებს, წარმომადგენლობენ სასამართლოში, არბიტრაჟსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, მონაწილეობენ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე დამცველად, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლად. ადვოკატები მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს უწყევენ აგრეთვე სხვა იურიდიულ დახმარებას.

ადვოკატთა კოლეგიები ადვოკატთა კოლეგია წარმოადგენს იმ  
და მათი ორგანოები პირთა ნებაყოფლობით გაერთიანებას,  
რომლებიც საადვოკატო საქმიანობას

წევენ. ადვოკატთა კოლეგია იქმნება დამფუძნებელთა ჩვეულების  
განცხადებით, რომელშიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქო-  
ნე პირნი შედიან, ან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღ-  
მასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ინიციატივით. ად-  
ვოკატთა კოლეგიის შექმნის შესახებ წინადადება ეგზავნება მოკავ-  
შირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, რომელიც თანხმობის  
შემთხვევაში ამ წინადადებას წარუდგენს საოლქო დაყოფის არმ-  
ქონე მოკავშირე რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკის მი-  
ნისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, სა-  
ქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად და  
სარეგისტრაციოდ.

საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავ-  
ტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება ადვოკატთა რესპუბლიკური  
კოლეგიები, მხარეებსა და ოლქებში — ადვოკატთა სამხარეო და სა-  
ოლქო კოლეგიები. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს თანხმო-  
ბით საქიროების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სატერიტორიათა-  
შორისო და სხვა კოლეგიები.

საქართველოში მოქმედებენ საქართველოს სსრ ადვოკატთა  
რესპუბლიკური კოლეგია, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვო-  
კატთა კოლეგიები. ადვოკატთა კოლეგია არის იურიდიული პირი,  
აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი.

ადვოკატთა კოლეგიის უმაღლესი ორგანოა კოლეგიის წევრთა  
საერთო კრება (კონფერენცია), მისი აღმასრულებელი ორგანოა პრე-  
ზიდიუმი, ხოლო საკონტროლო-სარევიზიო ორგანო — სარევიზიო  
კომისია.

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას)  
იწვევენ წელიწადში ერთხელ მაინც. საერთო კრება უფლებამოსი-  
ლად ითვლება, თუ მას ესწრება კოლეგიის წევრთა შემადგენლობის  
არანაკლებ ორი მესამედისა. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა კონ-  
ფერენციას იწვევენ წარმომადგენლობის იმ ნორმის მიხედვით, რო-  
მელსაც ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი დაადგენს და იგი უფ-  
ლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს იურიდიული კონ-  
სულტაციების მიხედვით არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მა-



ანც. საერთო კრება (კონფერენცია) ყველა საკითხს წყვეტს კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა ხმების უმრავლესობით.

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტსა და სარევიზიო კომისიას, ადგენს ადვოკატთა კოლეგიის რიცხობრივ შემადგენლობას, შტატებს, შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვას, ისმენს და ამტკიცებს ანგარიშებს კოლეგიის პრეზიდენტისა და სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს კოლეგიისა და მისი ორგანოების მუშაობის სხვა საკითხებზე, ამტკიცებს პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით ადვოკატთა კოლეგიის შრომის შინაგანაწესს, განსაზღვრავს ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, განიხილავს საჩივრებს პრეზიდენტის დადგენილებებზე და ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას) უფლება აქვს ვადამდე გაიწვიოს პრეზიდენტის და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებმაც არ გაამართლეს მათდამი გამოცხადებული ნდობა.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტს ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით. პრეზიდენტი თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდენტის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის ერთ ან რამდენიმე მოადგილეს.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტი ქმნის იურიდიულ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას, აწარმოებს ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიღებასა და წევრობიდან გარიცხვას, ანაწილებს ადვოკატებს იურიდიული კონსულტაციების მიხედვით, ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან იურიდიული კონსულტაციების გამგეებს, ამტკიცებს იურიდიული კონსულტაციების შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს, ახორციელებს ღონისძიებებს კოლეგიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კონტროლს უწევს ადვოკატთა მიერ გაწეული იურიდიული დახმარების წესისა და ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესის დაცვას, იხილავს საქმეებს კოლეგიის წევრების დისციპლინური გადაცდომების შესახებ და სჯის დამნაშავეებს, განკარგავს კოლეგიის სახსრებს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, წარმოადგენს ადვო-

კატა კოლეგიას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

პრეზიდენტის საქმიანობა დამყარებულია კოლექტიური ხელმძღვანელობის, საჯაროობის, კოლეგიის წევრთა წინაშე რეგულარული ანგარიშების, პრეზიდენტის მუშაობაში ადვოკატთა ჩაბმის საფუძველზე. პრეზიდენტის სხდომას უნდა ესწრებოდეს პრეზიდენტის წევრთა არანაკლებ ნახევარი, გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით და შეიძლება გადაისინჯოს თვით პრეზიდენტის ან ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) მიერ.

პრეზიდენტის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს პრეზიდენტის თავმჯდომარე, რომელსაც მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებები და აკისრია მოვალეობანი. პრეზიდენტის თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს და გეგმავს პრეზიდენტის მუშაობას, ამზადებს საკითებს მის სხდომაზე განსახილველად, ამზადებს და შეაქვს პრეზიდენტის სხდომაზე განსახილველად კოლეგიაში ადვოკატთა მიღების, მისი შემადგენლობიდან მათი გამოყვანისა თუ გარიცხვის საკითხები, ორგანიზაციას უწევს ადვოკატთა მოქმედებების შესახებ საჩივრებისა და სხვა მასალების შემოწმებას და შეაქვს სათანადო წინადადებები პრეზიდენტის განსახილველად ან შემოწმების მასალებს გადასცემს იურიდიულ კონსულტაციას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გასატარებლად, თავმჯდომარეობს პრეზიდენტის სხდომებს და ა. შ.

ადვოკატთა კოლეგიის სარევიზიო კომისიას ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით. კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს. სარევიზიო კომისია ამოწმებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტისა და იურიდიული კონსულტაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ახორციელებს კონტროლს წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესსა და ვადაზე.

**იურიდიული  
კონსულტაციები**

იურიდიული დახმარების გასაწევად და ადვოკატთა მუშაობის ორგანიზაციისათვის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტი

მი შეაბამის საბჭოებსა და იუსტიციის ორგანოებთან შეთანხმებით ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ქმნის იურიდიულ კონსულტაციებს.

იურიდიულ კონსულტაციას ხელმძღვანელობს გამგე; რომელიც ორგანიზაციას უწევს კონსულტაციის მუშაობას. დებს შეთანხმებებს მოქალაქეებთან იურიდიული დახმარების აღმოჩენის შესახებ და ხელშეკრულებებს საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან იურიდიული მომსახურების თაობაზე, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მოთხოვნით ნიშნავს ადვოკატებს დაცვის განსახორციელებლად, ანაწილებს სამუშაოს ადვოკატთა შორის კვალიფიკაციისა და მათზე პერსონალური მოთხოვნის გათვალისწინებით, ახორციელებს ზედამხედველობას ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესის დაცვაზე, კონტროლს უწევს ადვოკატთა მუშაობის ხარისხს, უზრუნველყოფს ადვოკატების მიერ შრომის შინაგანაწესის დაცვას, განიხილავს საჩივარს ადვოკატის მოქმედებაზე, უზრუნველყოფს ადვოკატთა მონაწილეობას სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდაში, ახორციელებს დებულებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებას ადვოკატთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

იურიდიულ კონსულტაციას აქვს მიმდინარე ანგარიში სახბანკში ან შემნახველ სალაროში, მრგვალი ბეჭედი და შტამპი თავისი დასახელებითა და შესაბამისი ადვოკატთა კოლეგიის აღნიშვნით.

**ადვოკატთა კოლეგიის  
წევრის უფლებრივი  
მდგომარეობა**

საადვოკატო საქმიანობის წარმართვის უფლება აქვს მხოლოდ ადვოკატთა კოლეგიის წევრს. ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიიღება სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურისტის სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი. უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის კურსდამთავრებული ადვოკატთა კოლეგიაში მიიღება ექვსი თვიდან ერთ წლამდე სტაჟირების გავლის შემდეგ.

ადვოკატთა კოლეგიის წევრი არ შეიძლება მსახურობდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. გამონაკლისი დაიშვება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო ან პედაგოგიურ მოღვაწეობას. იმ რაიონებში, სადაც მუშაობის მოცულობა არასაკმარისია, ადვოკატს შეიძლება იურისკონსულტად მუშაობის ნება დაერთოს.

ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიღება ხდება კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე,

რომელიც განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა, როგორც წესი, განმცხადებლის თანდასწრებით.

კოლეგიიდან ადვოკატის გამოყვანა ხდება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ ადვოკატის განცხადებით, ადვოკატთა კოლეგიაში მიღებისას დაწესებული ვამოცდის (სამ თვემდე) არაღამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, აგრეთვე თუ გამოირკვა, რომ ადვოკატს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება არ შეუძლია არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

კოლეგიიდან ადვოკატის გარიცხვა ხდება ადვოკატთა პრეზიდიუმის მიერ შემდეგ შემთხვევებში: ადვოკატის მიერ შრომის შინაჯანაწესის სისტემატური დარღვევის ან თავის მოვალეობათა არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის, თუ ადვოკატის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, აგრეთვე ისეთი გადაცდომების ჩადენისათვის, რომელთა გამო შეუთავსებელია მისი კოლეგიაში ყოფნა.

ადვოკატთა კოლეგიიდან გამოყვანა ან გარიცხვა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით პრეზიდიუმის დადგენილების ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადვოკატთა კოლეგიის წევრებს აქვთ გარკვეული უფლებები და აკისრიათ მოვალეობანი. ადვოკატს, სახელდობრ, უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს ადვოკატთა კოლეგიის ორგანოებში, დააყენოს ადვოკატთა კოლეგიის ორგანოების წინაშე კოლეგიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, შეიტანოს წინადადებანი მისი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში, პირადად მიიღოს მონაწილეობა კოლეგიის ორგანოების მიერ მისი საქმიანობის ან საქციელის განხილვის ყველა შემთხვევაში, გამოვიდეს ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობიდან.

ადვოკატი, რომელიც წარმომადგენლად ან დამცველად გამოდის, უფლებამოსილია განახორციელოს იმ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლებმაც მიმართეს მას იურიდიული დახმარებისათვის, გამოითხოვოს იურიდიული კონსულტაციის მეშვეობით საჭირო ცნობები, დახასიათებები და სხვა დოკუმენტები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომლებიც მოვალენი არიან ვასცენ ეს დოკუმენტები ან მათი პირები.

ადვოკატი არ შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმედ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა დამცველის ან წარმომადგენლის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ადვოკატი მოვალეა ზუსტად და განუხრელად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება და ხერხი იმ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომლებმაც მიმართეს მას იურიდიული დახმარებისათვის. ადვოკატს უფლება არა აქვს გაახმაუროს ცნობები, რომლებიც მიაწოდა მას მარწმუნებელმა იურიდიული დახმარების გაწევისთან დაკავშირებით.

მოვალეობის სანიმუშო შესრულებისა და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის ადვოკატი შეიძლება წახალისოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მადლობის გამოცხადებით, პრემიის მიცემით, ფასიანი საჩუქრით, საპატიო სიგელით, საპატიო წიგნში ან საპატიო დაფაზე შეტანით. ადვოკატების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული წახალისების სხვა ზომებიც.

დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის პრეზიდიუმს უფლება აქვს ადვოკატს მისცეს შენიშვნა, გამოუცხადოს საყვედური ან სასტიკი საყვედური, გარიცხოს კოლეგიის წევრობიდან. დისციპლინური გადაცდომის შესახებ საქმის განხილვა ხდება პასუხისგებაში მიცემული ადვოკატის თანდასწრებით. თუ ადვოკატი დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ გადაცდომას, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონია დადებული.

ადვოკატთა შრომის ანაზღაურება ხდება იურიდიულ კონსულტაციაში მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსული სახსრებიდან მათთვის გაწეული იურიდიული დახმარებისათვის. ამასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადვოკატი მოქალაქეებს უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას. ასეთი უფასო დახმარება ეწევათ, მაგალითად, მოსარჩელებს პირველი ინსტანციის სამართლოებში ალიმენტის გადახდევინებისა და შრომის დავის შესახებ საქმეების წარმოებისას, სსრ კავშირის გმირებს, სამამულო ომის ინვალიდებს და ა. შ.

ადვოკატურის  
ურთიერთობა  
სახელმწიფო  
ორგანოებთან და  
საზოგადოებრივ  
ორგანიზაციებთან

ადვოკატთა კოლეგიისადმი საერთო ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭო, როგორც უშუალოდ, ისე იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის განყოფილებების მეშვეობით.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო განსაზღვრავს იურიდიული დახ-

მარების ანაზღაურების წესსა და შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით ადვოკატთა შრომის ანაზღაურების პირობებს, გამოსცემს ინსტრუქციებსა და მეთოდიკურ რეკომენდაციებს ადვოკატურის საქმიანობის საკითხებზე, განსაზღვრავს ადვოკატთა სატერიტორიათაშორისო და სხვა კოლეგიების, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის თავისებურებებს, ახორციელებს ადვოკატურის საერთო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევენ ადვოკატურის შესახებ საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დაცვას, ადგენენ ადვოკატების მიერ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევის წესს, ეხმარებიან კოლეგიების პრეზიდიუმებს ადვოკატთა პროფესიული ღონის ამალგების ღონისძიებათა განხორციელებაში და ა. შ.

ადვოკატთა კოლეგიებს კავშირი აქვთ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ისინი სამართლებრივ დახმარებას უწევენ შრომითს კოლექტივებს, სახალხო დეპუტატებს, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს, ამხანაგურ სასამართლოებს და საზოგადოებრივი თვითმომქმედების სხვა ორგანოებს, მონაწილეობენ სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობისათვის საბჭოთა კანონმდებლობის განმარტებაში.

#### § 4. სახელმწიფო არბიტრაჟი

სახელმწიფო არბიტრაჟის  
ორგანოების ამოცანები

სსრ კავშირის კონსტიტუციის 163-ე მუხლის შესაბამისად საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის

სამეურნეო დავას წყვეტენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში. სახელმწიფო არბიტრაჟის ამო-

ცანებს, საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის 1974 წლის 30 ნოემბრის კანონი სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები და დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ. ასეთივე დებულებები მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკებში. დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შესახებ დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 სექტემბრის დადგენილებით.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ამოცანებია: უზრუნველყონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებები; და კანონით დაცული ინტერესების დაცვა სამეურნეო დავის გადაწყვეტისას; აქტიური ზეგავლენა მოახდინონ საწარმოებზე, დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე მათ მიერ საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების, სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების დარღვევათა, კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, სახელშეკრულებო და საპრეტენზიო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ყოველმხრივ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სოციალისტური საკუთრების დაცვა, განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში, გაძლიერდეს მომპირნეობის რეჟიმი და აღიკვეთოს დანაკარგები სახალხო მეურნეობაში, ამაღლდეს ხელშეკრულების როლი, განვითარდეს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რაციონალური სამეურნეო ურთიერთობა და თანამშრომლობა, ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებას.

**სახელმწიფო არბიტრაჟის  
ორგანიზაცია**

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო არბიტრაჟები ქმნიან სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტ-

რაეის ორგანოების ერთიან სისტემას. საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს აკისრია პასუხისმგებლობა სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოს საქმიანობის ორგანიზაციის მდგომარეობისა და სრულყოფისათვის. იგი ახორციელებს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას, როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო არბიტრაჟების მეშვეობით.

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟები წარმოადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოებს და ახორციელებენ სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდგომი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო არბიტრაჟებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ როგორც ის ორგანოები, რომლებთანაც შექმნილი არიან და მოქმედებენ ისინი, ისე ზემდგომი სახელმწიფო არბიტრაჟები.

სახელმწიფო არბიტრაჟს სათავეში უდგას მთავარი სახელმწიფო არბიტრი, რომელიც პასუხს აგებს შესაბამის აბიტრზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრსა და მოკავშირე რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრს ნიშნავენ და ათავისუფლებენ შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ასეთივე წესით ინიშნებიან და თავისუფლდებიან ქვემდგომი სახელმწიფო არბიტრები.

მთავარ სახელმწიფო არბიტრებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ ორგანოები, რომლებიც ნიშნავენ მთავარ სახელმწიფო არბიტრებს.

არბიტრაჟის ორგანოებში მუშაობენ სახელმწიფო არბიტრები, რომლებსაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ ორგანოები, რომლებთანაც მოქმედებს სახელმწიფო არბიტრაჟი, ამ არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგინებით. სახელმწიფო არბიტრი იხილავს და წყვეტს სამეურნეო დავას. მას პასუხისმგებლობა აკისრია იმისათვის, რომ დაცული იყოს კანონის მოთხოვნები დავის განხილ-



ვისას, კანონიერი და დასაბუთებული იყოს მიღებული გადაწყვეტი-  
ლება.

### არბიტრაჟში დავის გადაწყვეტის წესი

სახელმწიფო არბიტრაჟი თავისი კომ-  
პეტენციის ფარგლებში წყვეტს დავას  
სახელმწიფო, კოოპერაციულ (კოლმეუ-  
რნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმე-  
ურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და მათ გაერთიანებების გარ-  
და) და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და  
ორგანიზაციებს შორის, რომელიც წამოიჭრება სამეურნეო ხელშე-  
კრულებათა დადების, შეცვლის, გაუქმების და შესრულების დროს  
ან სხვა საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი დავის  
გადაწყვეტას სსრ კავშირის კანონმდებლობა სხვა ორგანოების განმ-  
მგებლობას განაკუთვნებს.

სახელმწიფო არბიტრაჟში საქმე აღიძვრება დაინტერესებული  
ორგანიზაციის განცხადებით ან არბიტრაჟის ინიციატივით. დავას გა-  
ნიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი სხდომის თავმჯდომარის და მხა-  
რეთა წარმომადგენლების შემადგენლობით.

სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს განსახილველ საქმესთან  
დაკავშირებით გამოიძახოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგა-  
ნიზაციების და მათი ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირები,  
მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები, ცნობები და დასკვნები, დანიშ-  
ნოს ექსპერტიზა, გაეცნოს საჭირო მასალებს უშუალოდ ადგილზე.

სახელმწიფო არბიტრაჟი სამეურნეო დავის განხილვის შედე-  
გების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ დაკ-  
მაყოფილდეს სარჩელი, მხარეს უარი ეთქვას სარჩელზე მთლიანად  
ან ნაწილობრივ, ანდა შეწყდეს საქმის წარმოება.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაში შედის და-  
უყოვნებლივ მისი მიღებისთანავე და აუცილებლად უნდა აღასრუ-  
ლოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, სამინისტ-  
ტრომ, სახელმწიფო კომიტეტმა, უწყებამ.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გადაი-  
სინჯოს ზედამხედველობის წესით მხარის ან მისი ზემდგომი ორგა-  
ნის განცხადების საფუძველზე, აგრეთვე სამინისტროს, სახელმწიფო  
კომიტეტის, უწყების უშუამდგომლობით, პროკურორის პროტესტით  
ან სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით. გადაწყვეტილებას გადა-  
სინჯავს გადაწყვეტილების მიმღები არბიტრაჟის, აგრეთვე ზემდგომი  
არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრი ან მისი მოადგილე. გა-

დაწყვეტილება შეიძლება გადასინჯოს ზედამხედველობის წესით არა უგვიანეს ერთი წლისა გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია გადასინჯოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და რომლებიც არ იცოდა და არ შეიძლება სცოდნოდა განმცხადებელს. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა იმ დღიდან, როცა დადგინდა გარემოებანი, რომლებიც გადასინჯვის საფუძველი გახდა.

კონკრეტული დავების განხილვის გარდა არბიტრაჟის ორგანოები ეწევიან დიდ მუშაობას, რათა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სამეურნეო საქმიანობაში თავიდან ააცილებინონ კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები და ნაკლოვანებანი, გამოავლინონ და აღმოფხვრან მათი მიზეზები.

საუწყებო არბიტრაჟები იქმნება ერთი საუწყებო არბიტრაჟები იქმნება ერთი სამინისტროს ან უწყების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავების განსახილველად. საუწყებო არბიტრაჟი შედის სამინისტროს და უწყების შემადგენლობაში და ემორჩილება ამ სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელობას. საუწყებო არბიტრაჟი იქმნება და მოქმედებს შესაბამისი სამინისტროს და უწყების მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

## § 5. ნოტარიატი

ნოტარიატის ამოცანები სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1973 წლის 19 ივლისს მიიღო კანონი სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ, რომლის საფუძველზე და შესაბამისად ანალოგიური კანონი მიიღო ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ. საქართველოში სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონი მიღებულია 1974 წლის 27 დეკემბერს. ამ საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულია ნოტარიატის ამოცანები, მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები.

სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანებია: დაიცვას სიციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერა-

ციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებები და კანონიერი ინტერესები, განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, აღკვეთოს სამართალდარღვევები ხელშეკრულებებისა და სხვა გარიგებების სწორი და დროული დადასტურების, მემკვიდრეობის უფლების გაფორმების, სააღსრულებო წარწერებისა და სხვა სანოტარო მოქმედებების შესრულების გზით.

სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, განუმარტონ უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილონ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შედეგების თაობაზე, რათა იურიდიული უცოდინარობა და სხვა მსგავსი გარემოება გამოყენებული არ იქნეს მათ საზიანოდ.

#### ნოტარიატის ორგანიზაცია

სანოტარო მოქმედების შესასრულებლად სსრ კავშირში იქმნება სახელმწიფო სანოტარო კანტორები. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დიდ ქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში ერთ-ერთი სახელმწიფო სანოტარო კანტორა იქნება პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორად ყველაზე რთული სანოტარო მოქმედებებისა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ ქალაქებსა და ცენტრებში, სადაც ერთი სახელმწიფო სანოტარო კანტორაა, იგი წარმოადგენს პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორას. საქართველოში პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორები შექმნილია თბილისში, სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.

სახელმწიფო სანოტარო კანტორებში სანოტარო მოქმედებას ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები: უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსები, უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსების მოადგილეები, სახელმწიფო ნოტარიუსები.

სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე ინიშნებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება. პირები, რომლებიც დაინიშნენ სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე, სტაჟირებას გაივლიან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არის, სანოტარო მოქმედებებს ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, კერძოდ, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი, რომელსაც შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დავალებული აქვს ამ მოქმედების შესრულება.

საზღვარგარეთ სანოტარო მოქმედების შესრულება ეკისრებათ სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებს. სანოტარო მოქმედების შემსრულებელი საკონსულო თანამდებობის პირთა ნუსხას ადგენს სსრ კავშირის საკონსულო წესდება.

სახელმწიფო ნოტარიატისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

**სანოტარო მოქმედებები** სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ გარიგებებს, იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, გადასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმეებს, ყადაღას ადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას, ამოწმებენ დოკუმენტების პირებსა და მათი ამონაწერების სისწორეს, ამოწმებენ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას, ამოწმებენ დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს. ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნისა და გარკვეულ ადგილას ყოფნის ფაქტებს, ადასტურებენ ფოტოსურათზე გამოსახული პირისა და მოქალაქის იგვეობას, ადასტურებენ დოკუმენტის წარდგენის დროს, დეპოზიტად იღებენ ფულად თანხებს და ფასიან ქაღალდებს, ასრულებენ სააღსრულებო წარწერებს და თამასუქების პროტესტებს, შესანახად იბარებენ დოკუმენტებს, ასრულებენ კანონით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებებს.

**სანოტარო მოქმედების შესრულების წესი** სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის შენობაში. ცალკეულ შემთხვევებში სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს აღნიშნული შენობის გარეთაც, თუ მოქალაქეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს სანოტარო კანტორაში ან საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს. სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს, თუ საჭიროა დამატებითი ცნობების ან დოკუმენტების გამოთხოვა ან დოკუმენტების გაგზავნა ექსპერტიზისათვის.

სანოტარო მოქმედებების შესრულების დროს უნდა დადგინდეს იმ მოქალაქეთა, მათ წარმომადგენელთა, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა ვინაობა, რომლებიც მოითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. გარიგებათა დადასტურების დროს უნდა გამოირკვეს მოქალაქეთა ქმედუნარიანობა და შემოწმდეს გარიგების მონაწილე იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობა. წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების შემთხვევაში ამოწმებენ მის უფლებამოსილებას.

სახელმწიფო ნოტარიუსებს და სხვა თანამდებობის პირთ, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება აქვთ გამოითხოვონ ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის.

სახელმწიფო ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებებს ასრულებს, უარს ამბობს სანოტარო მოქმედებების შესრულებაზე, თუ ასეთი მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს. იგი არიდებს დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონის მოთხოვნას ან შეიცავენ ცნობებს, რომლებიც ჩირქს ცხებენ მოქალაქეთა პატივსა და ღირსებას. თუ სანოტარო მოქმედების დროს აღმოჩნდება, რომ მოქალაქეებმა ან ცალკეულმა თანამდებობის პირებმა დაარღვიეს კანონი, ატყობინებენ შესაბამის დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციებს ან პროკურორს საჭირო ზომების მისაღებად. სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დაიცვან შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

სანოტარო მოქმედება ან მის შესრულებაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო სასამართლოში. საჩივარს სახელმწიფო ნოტარიუსის მოქმედებაზე, რომელიც არ ეხება მის მიერ შეს-

რულებული სანოტარო მოქმედების არსს, იხილავენ იუსტიციის შესაბამისი ორგანოები.

## § 6. ამხანაგური სასამართლოები

**ამხანაგური სასამართლოების ამოცანები** ამხანაგური სასამართლოები არჩევითი საზოგადოებრივი ორგანოებია, რომლებიც მოწოდებული არიან აქტიურად შეუწყონ ხელი მოქალაქეთა აღზრდას შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის, მათში კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების გრძნობის განვითარების, საბჭოთა ადამიანების ღირსებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში მთავარია სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, ადამიანების აღზრდა დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი შეუწყნარებელი ვითარების შექმნის გზით. ამხანაგური სასამართლოები აღქურვილი არიან კოლექტივის ნდობით, გამოხატავენ მის ნებას და პასუხისმგებელი არიან მის წინაშე.

ამხანაგური სასამართლოები ჩამოყალიბდა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველსავე წლებში. ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამხანაგურ სასამართლოებს, მოითხოვდა მათ შექმნას როგორც მუშათა შორის, ისე არმიაში. ვ. ი. ლენინის ხელმოწერით არის მიღებული პირველი საბჭოთა საკანონმდებლო აქტი, რსფსრს სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 14 ნოემბრის დეკრეტი მუშათა დისციპლინური ამხანაგური სასამართლოების შესახებ, რომელმაც განსაზღვრა ამხანაგური სასამართლოების სამართლებრივი სტატუსი, დასაბამი მძღვა მათ შემდგომ განვითარებას და სრულყოფას.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო ამაღლდა ამხანაგური სასამართლოების როლი და მნიშვნელობა, გაფართოვდა მათი კომპეტენცია, გაიზარდა მათი სამართალდამცავი და პროფილაქტიკური საქმიანობის ფარგლები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 8 თებერვალს მიიღო დადგენილება ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ამ დადგენილების შესა-

ბამისად მოკავშირე რესპუბლიკებმა მიიღეს ახალი დებულებები ამხანაგური სასამართლოების შესახებ. ასეთი დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1977 წლის 28 ივლისს. დებულება ამხანაგური სასამართლოების შესახებ წარმოადგენს ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც განსაზღვრავს ამხანაგური სასამართლოების ამოცანებს, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

**ამხანაგური  
სასამართლოების  
ორგანიზაცია**

ამხანაგური სასამართლოები იქმნება როგორც საწარმოო, ისე ტერიტორიული ნიშნით. საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ამხანაგური სასამართლოები იქმნება მუშათა, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. მსხვილ კოლექტივებში ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას საწარმოების სამკროებში, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებში, კოლმეურნეობების ბრიგადებსა და სხვა ქვედანაყოფებში.

ტერიტორიული ნიშნით ამხანაგური სასამართლოები იქმნება კოლმეურნეობებში, სახლებში, რომლებსაც საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები, სახლმმართველობები ემსახურებიან ან რომლებიც ქუჩის კომიტეტში არიან გაერთიანებული, აგრეთვე სოფლებსა და დაბებში, კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრების, სახლების მობინადრეთა ან დაბის და სოფლის მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) გადაწყვეტილებით, შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანხმობით.

ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას კოლექტივებში, სადაც სულ ცოტა ოცდაათი კაცია. ცალკეულ შემთხვევაში პროფკავშირული ორგანოს ან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას კოლექტივებში, სადაც ოცდაათ კაცზე ნაკლებია.

ამხანაგური სასამართლოების შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ მოქალაქეები, რომლებსაც თავიანთი საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ დასახული ამოცანები, გამოიჩინონ მაღალი დისციპლინა და ორგანიზებულობა, იყონ შეურიგებელი სამართალდარღვევებისა და ანტისაზოგადოებრივი ქცევისადმი, თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ ხელმ-

ძღვანელობდნენ კანონით. ამხანაგური სასამართლოს წევრობის კანდიდატებს აყენებენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე ცალკეული მოქალაქენი. კანდიდატთა სიებს გამოაქრავენ საყოველთაო გაცნობისათვის.

ამხანაგურ სასამართლოებს ირჩევენ ღია კენჭისყრით შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე და მოქალაქეთა კრებებზე (ყრილობებზე), მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ორი წლის ვადით. ამ კრებებს შრომითს კოლექტივებში იწვევენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები, ხოლო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები.

ამხანაგური სასამართლოს არჩევაში მონაწილე მოქალაქეებს უფლება აქვთ აცილებდნენ მისცენ წევრობის ნებისმიერ კანდიდატს და წამოაყენონ ახალი კანდიდატი. აცილების დაკმაყოფილების თუ უარის თქმის საკითხი წყდება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. სასამართლოს შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან ის პირნი, რომლებიც მიიღებენ ხმების უმრავლესობას დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით და კრების მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს.

სასამართლოს წევრთა რაოდენობას ადგენს საერთო კრება, მაგრამ მათ რიცხვი არ შეიძლება იყოს ხუთზე ნაკლები. სასამართლოს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევენ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სასამართლოს მდივანს.

ამხანაგური სასამართლოს წევრები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ნდობა, შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნენ საერთო კრების მიერ.

ამხანაგური სასამართლოები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებს წელიწადში ერთხელ მაინც.

**საქმეები, რომლებსაც განიხილავენ ამხანაგური სასამართლოები**

ამხანაგური სასამართლოების შესახებ დებულებაში მოცემულია ამხანაგური სასამართლოს ქვემდებარე საქმეების ნუსხა. აქ დასახელებულია ძირითადად

შემდეგი კატეგორიის საქმეები: ა) საქმეები შრომის დისციპლინის დარღვევისა და სამსახურებრივ მოვალეობათა დაუდევ-



რად შესრულების შესახებ; არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენა, სამსახურში დაგვიანება ან სამუშაოდან ნაადრევად წასვლა, შრომის დაცვის მოთხოვნათა დარღვევა, ხელსაწყო-იარაღების დაზიანება, სამსახურის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ჩარხების, ხელსაწყო-იარაღების და სხვა ქონების პირადი მიზნით გამოყენება, თუ ამ მოქმედებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მოჰყოლია და ა. შ.; ბ) საქმეები მოქალაქეთა უღირსი საქციელის შესახებ, სპირტიანი სასმელების სმა ქუჩაში, მშობლებისადმი უღირსი დამოკიდებულება, მშობლების მიერ ბავშვების აღზრდის მოვალეობის შეუსრულებლობა, კომუნალური მოწყობილობების დაზიანება, შემარცხენელი მონაკორის გავრცელება და ა. შ., გ) საქმეები სამოქალაქო დავების შესახებ: საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა, მეუღლეთა შორის ქონების გაყოფა, კომუნალური მომსახურების ანაზღაურება, მოქალაქეთა შორის ქონებრივი დავა, თუ სადაო თანხა არ აღემატება ორმოცდაათ მანეთს და ა. შ.; დ) საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ: წვრილმანი ხულიგნობა, პირველად ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, წვრილმანი სპეკულაცია და ა. შ. ამ საქმეებს ამხანაგური სასამართლო განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენტური ორგანოები საჭიროდ მიიჩნევენ ამხანაგური სასამართლოსათვის მათ გადაცემას; ე) ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმეები პირველად ჩადენილი დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობის შესახებ, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. თუ პირმა ჩაიდინა ისეთი ქმედობა, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, და თუ ჩადენილი ქმედობის ხასიათისა და პიროვნების მიხედვით ამ პირის გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის გამოუყენებლად, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებით, ეს პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და საქმის მასალები განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს.

**ამხანაგურ სასამართლოში საქმეთა განხილვის წესი** ამხანაგური სასამართლოები საქმეებს იხილავენ დამრღვევის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თხუთმეტი დღის ვადაში მათი შემოსვლის მომენტიდან, ხოლო

წერილმანი ხულიგნობისა და წერილმანი სპეკულაციის საქმეებს განიხილავენ ათი დღის ვადაში.

სასამართლოში საქმეთა განხილვამდე საჭირო შემთხვევაში ტარდება შემოსული მასალების შემოწმება. თანამდებობის პირები და მოქალაქენი მოვალენი არიან ამხანაგური სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინონ მას საქმისათვის საჭირო ცნობები და დოკუმენტები. მოქალაქეთა გამოცხადება ამხანაგური სასამართლოს გამოძახებით სავალდებულოა.

ამხანაგური სასამართლოს სხდომები ტარდება არასამუშაო დროს. საქმეები განიხილება საჯაროდ, ამხანაგური სასამართლოს სულ ცოტა სამი წევრის შემადგენლობით.

ამხანაგური სასამართლო განიხილავს არსებულ მასალებს, მოისმენს სამართალდამრღვევის, დაზარალებულისა და მოწმეთა ახსნა-განმარტებებს. სასამართლოს ნებართვით სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს შეუძლიათ მისცენ კითხვები და ილაპარაკონ საქმის არსზე.

საქმის განხილვის შედეგად ამხანაგურ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც გამოცხადდება საჯაროდ და ეცნობება კოლექტივს. სასამართლო სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

**საზოგადოებრივი  
შემოქმედების ზომები,  
რომლებსაც ამხანაგური  
სასამართლოები იყენებენ**

ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია დამრღვევს შეუფარდოს ზემოქმედების ერთ-ერთი შემდეგი ზომა: ა) დაავალდებულოს საჯაროდ მოიხადოს ბოდიში დაზარალებულის ან კოლექტივის წინაშე; ბ) გამოუცხადოს ამხანაგური გაფრთხილება, საზოგადოებრივი გაკიცხვა ან საზოგადოებრივი საყვედური; გ) დააჯარიმოს ათ მანეთამდე თანხით, თუ გადაცდომა დაკავშირებული არ არის შრომის დისციპლინის დარღვევასთან, ხოლო წერილმანი გატაცების საქმეებზე დააჯარიმოს ორმოცდაათ მანეთამდე; დ) დააყენოს ხელმძღვანელობის წინაშე საკითხი შრომის დისციპლინის დამრღვევის დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყენის ან თანამდებობიდან დაქვეითების შესახებ; ე) დააყენოს საკითხი იმ მუშაკის დათხოვნის შესახებ, რომელიც ასრულებს აღმზრდელობით ფუნქციებს ან სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია ფულად ან სასაქონლო ფასეულობათა უშუალოდ მომსახურებასთან, თუ პირის მიერ ჩადენილი გადაცდო-

მის ხასიათის გათვალისწინებით შეუძლებელად ჩათვლის შემდგომში მისთვის ამ სამუშაოს მინდობას.

აღნიშნული ზომების შეფარდებასთან ერთად, ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის და ადმინისტრაციის წინაშე დააყენოს საკითხი იმის შესახებ, რომ დამრღვევს წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით მთლიანად ან ნაწილობრივ არ მიეცეს პრემია, შეღავათიანი საგზური, გადაედოს საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი, აგრეთვე დააკისროს დამრღვევს არამართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება ორმოცდაათ მანეთამდე.

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტში ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოში. აღნიშნულ ორგანოებს უფლება აქვთ გააუქმონ გადაწყვეტილება და გადასცენ მასალები იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის, ანდა შეწყვიტონ საქმის წარმოება.

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება მიყენებული ზარალის ანაზღაურების და ჯარიმების ან სხვა ქონებრივი გადახდევინების შესახებ თუ ნებაყოფლობით არ შესრულდა, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს გადაუგზავნის სახალხო მოსამართლეს აღმასრულებელი ფურცლის გასაცემად. გადაწყვეტილება თუ უკანონოა, სახალხო მოსამართლე მოტივირებული დადგენილებით უარს იტყვის აღმასრულებელი ფურცლის გაცემაზე, რის შესახებაც აცნობებს ამხანაგურ სასამართლოს და შესაბამისად პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს ან სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.

### **ამხანაგური**

### **სასამართლოებისადმი**

### **ხელმძღვანელობა**

ამხანაგური სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, გარდა საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და სასწავლებლებში შექმნილი ამხანაგური სასამართლოებისა, რომლებსაც უშუალოდ ხელმძღვანელობენ პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები. ამხანაგური სასამართლოებისათვის მეთოდური დახმარების გაწევის, მათი საქმიანობის კოორდინაციის, სწავლების ორგანიზაციისა და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალა-

ქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან იქმნება ამხანაგური სა-  
სამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც  
მოქმედებენ თავიანთი დებულების საფუძველზე.

ამხანაგურ სასამართლოებს სამართლებრივ დახმარებას უწევენ  
იუსტიციის, პროკურატურის ორგანოები და სასამართლოები. სსრ  
კავშირის იუსტიციის მინისტრის 1977 წლის 21 ივნისის ბრძანე-  
ბით, სახალხო სასამართლოებს დავალებული აქვთ საქმიანი კონტაქ-  
ტები ჰქონდეთ დამყარებული ამხანაგურ სასამართლოებთან, ეც-  
ნობოდნენ მათ საქმიანობას, სწავლობდნენ მათ მიერ დაშვებული  
შეცდომების მიზეზებს და ეხმარებოდნენ მათს აღმოფხვრაში, ინ-  
ფორმაციას უკეთებდნენ ახალი კანონმდებლობის შესახებ, კონსულ-  
ტაციას უწევდნენ ცალკეულ საკითხებზე, აქტიურად მონაწილეობდ-  
ნენ სასამართლოების წევრთა სამართლებრივ სწავლებაში, ამხანა-  
გური სასამართლოს დასახმარებლად მუშაობის ორგანიზაციაში  
ფართოდ ჩააბან სახალხო მსაჯულები და მათი საბჭოები.

## § 7. არასრულწლოვანთა საქმიანობის კომისიები

არასრულწლოვანთა  
საქმიანობის კომისიების  
ამოცანები და მათი  
ორგანიზაციის წესი

არასრულწლოვანთა საქმიანობის კომისი-  
ების ამოცანები, მათი ორგანიზაციისა  
და საქმიანობის წესი განსაზღვრულია  
დებულებით, რომელიც დამტკიცებუ-  
ლია საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ქოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით. ამ დე-  
ბულების თანახმად, არასრულწლოვანთა საქმიანობის კომისიების  
მთავარი ამოცანაა არასრულწლოვანთა უმეტეაღყურებისა და  
სამართალდარღვევების თავიდან აცილება, ბავშვთა და მოზარ-  
დთა სათანადოდ მოწყობა და მათი უფლებების დაცვა, აღ-  
ნიშნულ საკითხებზე სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადო-  
ებრივ ორგანიზაციათა კოორდინაცია, არასრულწლოვანთა სა-  
მართალდარღვევების განხილვა, შინაგან საქმეთა სამინისტრო-  
სადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, აგრეთვე, სპეციალურ  
აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ცხოვრე-  
ბის პირობებისა და, მათ შორის, აღმზრდელობითი მუშაობის წარ-  
მოებაზე კონტროლის გაწევა.

არასრულწლოვანთა საქმიანობის კომისიები იქმნება რაიონისა და  
ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტე-

ტებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან. როგორც გამონაკლისი, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია შეიძლება შეიქმნას რაიონის ცენტრიდან მნიშვნელოვნად დაშორებულ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს ქმნიან შესაბამისი საბჭოები მათი უფლებამოსილების ვადით. კომისიის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე (აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე), თავმჯდომარის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და ექვსი — თორმეტი წევრი. კომისიის შემადგენლობაში შედიან საბჭოების დეპუტატები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე სახალხო განათლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, შინაგან საქმეთა ორგანოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

**არასრულწლოვანთა  
საქმეების კომისიის  
უფლებამოსილება**

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ავლენენ და აღრიცხვაზე აჭყავთ არასრულწლოვანები, რომლებსაც არა აჭყავთ მშობლები ან რომლებმაც მია-

ტოვეს სკოლა და არ მუშაობენ, აგრეთვე სხვა არასრულწლოვანები, რომელთაც ესაჩიროებათ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დახმარების გაწევა, იღებენ ზომებს აღრიცხვაზე აყვანილთათვის ცხოვრების, სწავლისა თუ მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები კონტროლს უწევენ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, სკოლა-ინტერნატებში. საბავშვო სახლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. აგრეთვე ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში და სხვა სასწავლო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სპორტულ ორგანიზაციებში არასრულწლოვანთა მოვლა-აღზრდის მდგომარეობას. დაუშვებელია სასწავლებლიდან არასრულწლოვანის გარიცხვა, აგრეთვე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში გადაყვანა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თანხმობის გარეშე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ამოწმებენ არასრულ-

წლოვანთა მუშაობის პირობებს, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და პროფესიული დონის ამაღლების საკითხებს. არასრულწლოვანთა სამუშაოდან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თანხმობით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები აკონტროლებენ სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში და მიმღებ-გამანაწილებლებში მუშაობის მდგომარეობას, მეთვალყურეობას უწევენ იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო აღმზრდელობითი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, აგრეთვე ისეთი სასჯელი, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, ამოწმებენ იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომლებიც დაბრუნდნენ სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი, სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან და შრომა-აღმზრდელობითი კოლონიებიდან, აგრეთვე, რომელთა მიმართ განაჩენის აღსრულება განვადებულია.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები იხილავენ მასალებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მათ გადასცეს განსახილველად სამართალდამცავმა ორგანოებმა, ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმეულებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა და ა. შ. კომისიები იხილავენ, კერძოდ, იმ არასრულწლოვანთა საქმეებს, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მაგრამ არ მიუღწევიათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკისათვის ან რომელთა მიმართ შეწყვეტილია სისხლის სამართლის საქმე კანონის შესაბამისად, სასამართლოს, პროკურორის, აგრეთვე გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე თვრამეტ წელს მიუღწეველი პირის მიმართ, რომელსაც ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რაც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და გადასცენ საქმე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას განსახილველად, თუ საქმის გარემოებების და პიროვნების მონაცემებით მისი გამოსწორება შეიძლება სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების გარეშე.

თავიანთ უფლებამოსილებას არასრულწლოვანთა კომისიები ახორციელებენ დებულებით გათვალისწინებული მეთოდებით: იხილავენ საქმეებს, ისმენენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებუ-

ლებათა აღმინისტრაციის ინფორმაციებს ბავშვთა და მოზარდთა მოვლა-პატრონობის და აღზრდის პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. აწარმოებენ არასრულწლოვანთა პიროვნულ მიღებას, შეაქვთ წარდგინებები არასრულწლოვანთა სამუშაოზე მოწყობისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ღძრავენ შუამდგომლობებს არასრულწლოვან დამნაშავეთა პატიების, ვადამდე განთავისუფლების, პატიმრობის პირობების შეცვლის შესახებ და ა. შ.

**არასრულწლოვანთა  
საქმეების კომისიაში  
საქმის მომზადება და  
განხილვა**

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საქმეებს იხილავს არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა მათი შემოსვლიდან. შემოსულ მასალებს წინასწარ შეისწავლის კომისიის თავმჯდომარე, ან მისი მოადგილე და საჭიროების შემთხვევაში ჩაატარებს დამატებით შემოწმებებს.

საქმეების მომზადებისა და განხილვისას კომისიამ უნდა დაადგინოს არასრულწლოვანის ასაკი, საქმიანობა, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, სამართალდარღვევის ფაქტი და მისი დამადასტურებელი მონაცემები, ის მიზეზები და პირობები, რამაც ხელი შეუწყო სამართალდარღვევას.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ცნობები, აგრეთვე გამოიძახოს თანამდებობის პირნი და მოქალაქენი სათანადო ახსნა-განმარტების მისაღებად. საქმის განხილვამდე მასალები გასაცნობად უნდა წარედგინოს არასრულწლოვანს, მის მშობლებს ან შემცვლელ პირებს, აგრეთვე საჭირო შემთხვევაში, აღმზრდელობითი დაწესებულების წარმომადგენლებს. საქმის განხილვის დრო და ადგილი უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პირებსა და პროკურორს.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს მასალებს, მოისმენს არასრულწლოვანის, მისი მშობლების ან მათი შემცვლელი პირების, დაზარალებულის, მოწმეების განმარტებებს და საქმის ყველა გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას სხდომის მონაწილე კომისიის წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

კომისიის დადგენილება უნდა გაფორმდეს წერილობით და იყოს მოტივირებული. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც საჩივარს განიხილავს შვიდი დღის ვადაში და რომლის მიერაც მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, საწარმოებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის, რომლებიც მოვალენი არიან ორი კვირის ვადაში აცნობონ კომისიას იმ ზოძების შესახებ, რომლებიც მათ მიიღეს კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

**ზემოქმედების ზომები,  
რომლებსაც  
არასრულწლოვანთა  
საქმეების კომისიები  
იყენებენ**

დებულების თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია არასრულწლოვანს მისცეს გაფრთხილება, გამოუცხადოს საყვედური ან სასტიკი საყვედური, დაავალდებულოს საჯაროდ ან სხვა ფორმით მოუხადოს ბო-

დიში დაზარალებულს, დააკისროს ზარალის ანაზღაურება ან ჭარიმა კანონით განსაზღვრული ოდენობით, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. კომისიას შეუძლია არასრულწლოვანი გაგზავნოს სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში, თავდებობით ან ზედამხედველობისათვის გადასცეს მშობლებს, მათ შემცველ პირებს ან საზოგადოებრივ აღმზრდელებს, აგრეთვე შრომითს კოლექტივებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი შუამდგომლობითა და თანხმობით.

არასრულწლოვანი, რომელმაც ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ან ბოროტად და სისტემატურად დაარღვია საზოგადოებრივი ქცევის წესები, კომისიას შეუძლია მოათავსოს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში.

მშობლებს ან მათ შემცველ პირებს, თუ ისინი არასწორ დამოკიდებულებას იჩენენ ბავშვებისადმი, ან ბოროტად არიდებენ თავს თავიანთი მოვალეობის შესრულებას, შეიძლება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილებით გამოეცხადოთ საზოგადოებრივი გაკიცხვა. აგრეთვე ჭარიშის გადახდა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება კანონით დადგენილი ოდენობით. კომისიას შეუძლია სახალხო სასამართლოში დააყენოს საკითხი მშობლის უფლებების ჩამორთმევის, აგრეთვე იმ პირთა ბინიდან გამოსახლების შესახებ, რომლებიც ბავშვს უქმნიან აუტანელ პირობებს.

კანონით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომების გამოყენებისას არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ უნდა გაითვალისწინოს სამართალდარღვევის წმინათი და მიზეზები, არასრულწლო-



ვანის ასაკი და ცხოვრების პირობები, მისი ქცევა ოჯახში, საზოგადოებაში, სკოლასა და სამუშაოზე.

### § 8. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები

**ნებაყოფლობითი სახალხო  
რაზმეულების  
ამოცანები**

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობაში, ეწევიან ბრძოლას სო-

ციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლენათა წინააღმდეგ. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით სახალხო რაზმეულები ორგანიზაციულად განმტკიცდნენ, შეიძინეს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის კარგი გამოცდილება, მოიხვეჭეს ავტორიტეტი და აღიარება მოსახლეობის ფართო მასებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 20 მაისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ამავე დღეს მიღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ძირითადი მოვალეობების და უფლებების შესახებ. ამ საერთო საკავშირო გადაწყვეტილებების შესაბამისად ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ მიიღო დებულება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შესახებ. ასეთი დებულება ჩვენს რესპუბლიკაში დამტკიცდა 1975 წლის 30 ივლისს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. დებულებით განსაზღვრულია სახალხო რაზმეულების ამოცანები, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ძირითადი ამოცანაა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, აქტიური მონაწილეობა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასა და აღკვეთაში, საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების დაცვა, მონაწილეობა კანონებისა და სოციალისტური საერთო

ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით საბჭოთა აღმოსავლეთის აღზრდისათვის მუშაობაში.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების საქმიანობას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იბრძვიან ხულიგნობის, ლოთობის, შინაური არაყის გამომხდის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცების, ვაჭრობის წესების დარღვევის, სპეკულაციის, ბავშვთა უმეტეაღყურებისა და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების, ბრაკონიერობის, ნადირობისა და თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

სახალხო რაზმეულები მონაწილეობენ შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობაში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისა და ანტისაზოგადოებრივი ქცევის თავიდან აცილებისათვის აღმზრდელი მუშაობის განხორციელებაში, იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, ვაგზლებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, იღებენ ზომებს უბედურ შემთხვევათა და სამართალდარღვევათა შედეგად დაზარალებულ პირთა დასახმარებლად და ქონების გადასარჩენად, ეხმარებიან სასაზღვრო ჯარებს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში.

**ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ორგანიზაცია** სახალხო რაზმეულები იქმნება საწარმო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, საერთო საცხოვრებლებში და ა. შ. რაზმეულებში შესვლის მსურველ პირთა საორგანიზაციო კრებას იწვევს საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შედგენილი საინიციატივო ჯგუფი. საწარმოებში და ორგანიზაციებში, სადაც დიდია მომუშავეთა და მოსწავლეთა რაოდენობა, იქმნება საამქროების, განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, ფაკულტეტების და ა. შ. რაზმეულები, აგრეთვე შტაბები ამ რაზმეულების ხელმძღვანელებისათვის. ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულს სათავეში უდგას რაზმეულის მეთაური და მისი მოადგილეები, რომელთაც ღია კენჭის-

ყრით ირჩევენ რაზმეულთა საერთო კრებაზე ორი წლის ვადით. რაზმეულში, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი რაზმელია, მისი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის იმავე წესითა და ვადით ირჩევენ რაზმეულის შტაბს. შტაბის სხდომაზე ირჩევენ შტაბის უფროსს, მის მოადგილეებს და ანაწილებენ ფუნქციებს შტაბის წევრთა შორის.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რეგისტრაციას ახდენენ სახალხო დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებში მიიღებიან თერამეტ წელს მიღწეული მოქალაქენი მოწინავე მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, პენსიონერთა რიცხვიდან, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი საქმიანი და მორალურ-პოლიტიკური თვისებებით წარმატებით შეასრულონ დაკისრებული მოვალეობანი. მიღება ხდება მხოლოდ ნებაყოფლობის საწყისებზე ინდივიდუალური წესით რაზმეულთა საერთო კრებაზე ან რაზმეული: შტაბის სხდომაზე მოქალაქის პირადი განცხადებით და მისი სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის პარტიული, პროფკავშირული ან კომკავშირული ორგანიზაციის რეკომენდაციით.

ყოველი რაზმელი იღებს საზეიმო დაპირებას, რომ კეთილსინდისიერად და ერთგულად შეასრულებს თავის საზოგადოებრივ მოვალეობას მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად. ამის შემდეგ რაზმეულის მეთაური ან შტაბის უფროსი რაზმელს გადასცემს დაწესებული ნიშნის მოწმობას, სამკერდე ნიშანსა და რაზმელის სამახსოვროს, რომელშიც ჩამოყალიბებულია რაზმელის ძირითადი უფლება-მოვალეობანი, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დებულებები. რაზმელი მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვება თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

სახალხო რაზმეულების მუშაობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბის გადაწყვეტილებით იქმნება სპეციალიზებული რაზმეულები ან რაზმეულში ჯგუფები სოციალისტური საკუთრების დაცვასთან და სპეკულაციასთან საბრძოლველად, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ა. შ.

## სახალხო რაზმელის უფლება-მოვალეობანი

სახალხო რაზმელი მოვალეა აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, იყოს ყველაფერში სა-

მაგალითო, ტაქტიანი და თავაზიანი მოქალაქეებთან ურთიერთობაში. გაბედულად იღებდეს ზომებს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებების აღსაკვეთად, ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდეს მიღებულ დავალებებს, საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივ აქტებს, იმალლებდეს ცოდნის დონეს, ეუფლებოდეს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს. რაზმელი თავის მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებს ანგარიშს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელმაც რეკომენდაცია მისცა მას რაზმეულში.

სახალხო რაზმელს უფლება აქვს მოსთხოვოს მოქალაქეებს დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი და შეწყვიტონ სამართალდარღვევა, მილიციის მუშაკთა არყოფნისას შეადგინოს ოქმი დაშვებული სამართალდარღვევის შესახებ, მიიყვანოს სამართალდამრღვევი მილიციაში ან სახალხო რაზმეულის შტაბში, შევიდეს საზოგადოებრივ ადგილებში მიმალულ დამრღვევთა აღმოსაჩენად, თავის მოვალეობათა შესრულებისას უფასოდ ისარგებლოს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტელეფონებით და ა. შ.

სახალხო რაზმელები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, სარგებლობენ მთელი რიგი შეღავათებით. დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებამ გამოიწვია, რაზმელს ეძლევა დახმარება შრომისუუნარობის გამო ხელფასის ასი პროცენტის ოდენობით, ხოლო იმავე მიზეზით შრომის უნარი მუდმივი ან ხანგრძლივი დაკარგვის შემთხვევაში მას ენიშნება ინვალიდობის პენსია იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებული ოდენობით, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად. გარდა ამისა, მოწინავე რაზმელებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უცხადებენ მადლობას, აჯილდოებენ საპატიო სიგელით, აძლევენ დამატებით ფასიან შევებულებას სამ დღემდე ვადით, უპირატეს უფლებას ანიჭებენ საცხოვრებელი

ფართობის მისაღებად, აძლევენ საჩუქრებს, ფულად პრემიას, შე-  
ღავათიან საგზურებს და ა. შ.

**ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა** სახალხო რაზმეულების საქმიანობისად-  
მი ხელმძღვანელობას თავიანთი კომპე-  
ტენციის ფარგლებში ახორციელებენ  
სახალხო დეპუტატთა ადგლობრივი საბ-  
ჭოები და მათი აღმასრულებელი კომი-

ტეტები. ისინი ორგანიზაციას უკეთებენ და წარმართავენ რაზმე-  
ულთა საქმიანობას, იღებენ ზომებს რაზმეულების განსამტკიცებ-  
ლად და მათ რიგებში მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების  
ჩასაბმელად, ისმენენ რაზმეულების მეთაურთა და შტაბების უფრო-  
სების ინფორმაციებს და ანგარიშებს, აგრეთვე საწარმოების, დაწე-  
სებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებ-  
სა და ანგარიშებს რაზმეულების მუშაობის საკითხებზე, წყვეტენ  
რაზმეულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკი-  
თხებს.

სახალხო რაზმეულებს სამართლებრივ დახმარებას უწყევენ ში-  
ნაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოები და სასამარ-  
თლოები. სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1974 წლის 17 ივნის-  
ის ბრძანებით სასამართლოებსა და იუსტიციის ორგანოებს დავა-  
ლებული აქვთ მიიღონ ზომები სახალხო რაზმეულებისათვის ქმე-  
დითი დახმარების გასაწევად, რაზმელთა სამართლებრივი სწავლების  
და აღზრდის გასაუმჯობესებლად. სასამართლოებს ევალებათ საქმე-  
თა განხილვისას სახალხო რაზმელთა მიერ სამართალდარღვევათა  
აღკვეთის და თავიდან აცილების საქმეში გამოჩენილი მამაცობისა  
და ინიციატივის ფაქტების შესახებ აცნობონ მათი სამუშაო ან სა-  
ცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სახალხო რაზმელთა და სამართალ-  
დარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლი სხვა საზოგადოებრივი ორგა-  
ნიზაციებისათვის დახმარების გასაწევად ბევრ სახალხო მსაჯულთა  
საბჭოსთან შექმნილია სპეციალური სექცია.

# თ ა ვ ი IV. სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება

## § 1. ზოგადი დებულებები

**კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების შესახებ**

სისხლის სამართლის სამართალწარმოება (სისხლის სამართლის პროცესი) წარმოადგენს საკანონმდებლო აქტების სისტემას, რომელიც არეგულირებს საგამოძიებო, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს საქმიანობას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, გამოკვლევისა და განხილვის პროცესში, ადგენს პროცესის მონაწილე თანამდებობის პირების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს, მათი განხორციელების წესსა და გარანტიებს. ამ ნორმების ზუსტად და განუხრელად დაცვა უზრუნველყოფს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ჰეშმარიტების დადგენას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას, პროცესის მონაწილეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ხელს უწყობს კანონისადმი პატივისცემით მოქალაქეთა აღზრდას, დანაშაულობათა თავიდან აცილებას და აღმოფხვრას.

სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლებით, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1958 წლის 25 დეკემბერს და მის შესაბამისად მიღებული მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა 1960 წლის 30 დეკემბერს და სამოქმედოდ შემოღებულია 1961 წლის 1 მარტიდან.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულია სისხლის სამართლის სამართალწარმოების ამოცანები და პრინციპები, პროცესის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, საქმის აღძვრის, გამოკვლევისა და განხილვის წესები.

სისხლის სამართლის  
სამართალწარმოების  
მონაწილენი

დანაშაულის გახსნა, დამნაშავეის მხილვა და დასჯა წარმოადგენს სახელმწიფო ფუნქციას, რომელსაც ახორციელებენ სპეციალური ორგანოები და თანამდებ-

ობის პირები: სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის ორგანო. აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღძრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის შემთხვევის, დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირთა დასადგენად და მათ დასასჯელად, უზრუნველყონ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, გამოავლინონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეებია: ბრალდებული, რომელიც კანონით დადგენილი წესით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებაში და დაზარალებული, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა და სპეციალური დადგენილებით ან განჩინებით ცნობილია დაზარალებულად. ამავე წესით სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში მონაწილეობენ სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლები. სამოქალაქო მოსარჩელეა დანაშაულით მატერიალურად დაზარალებული პირი, რომელმაც სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას წარადგინა სამოქალაქო სარჩელი და ბრალდებულის ან მის მოქმედებაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისაგან მოითხოვს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სამოქალაქო მოპასუხეებად შეიძლება ცნობილ იქნენ მშობლები, მეურვეები, მზრუნველები ან სხვა პირები, აგრეთვე, დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც კანონის ძალით მატერიალურად პასუხისმგებელი არიან ბრალდებულის დანაშაულებრივი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის. დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებად საქმეში მონაწილეობენ ადვოკატები, ახლო ნათესავები ან სხვა პირები, რომლებიც კანონის ძალით უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ თავიანთი მარწმუნებლის ინტერესები. საქმის წარ-

მოებისას ბრალდებულის ინტერესებს იცავს დამცველი, რომლის უფლებამოსილება რეგლამენტირებულია კანონით.

სისხლის სამართლის საქმის სამსჯავრო განხილვაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლად შეიძლება მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი დამცველი და საზოგადოებრივი ბრალმდებელი, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არიან გამოყოფილი და დაშვებული საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში აღნიშნული ორგანოებისა და პირების გარდა მონაწილეობენ მოქალაქეები, რომელთაც საქმეში არ გააჩნიათ რაიმე პირადი ინტერესი, მაგრამ თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ საქმის სწორად წარმოებასა და გადაწყვეტას. პროცესის ასეთი მონაწილეებია: ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე და თანამოწმე. წინასწარი გამოკვლევის სტადიაზე ხანმოკლე დროით შეიძლება მონაწილეობდეს აგრეთვე პირი, რომელიც დაკავებულია როგორც დანაშაულის ჩადენაში ექვემდებარებული ან რომლის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება ბრალდების წაყენებამდე.

პროცესის მონაწილეებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებები თავიანთი ფუნქციების სწორად განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სასამართლო, პროკურორი, გამოძიებელი და მომკვლევო პირი ვალდებული არიან განუმარტონ საქმეში მონაწილე პირებს მათი უფლებები და უზრუნველყონ ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

**მტკიცების საგანი** გარემოებებს, რომელთა გამოკვლევა და დადგენა აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, მტკიცების საგანი ეწოდება. კანონის თანახმად, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს უნდა დამტკიცდეს: ა) დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, მოტივი და სხვა გარემოებანი); ბ) ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში; გ) გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე; დ) დანაშაულით მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა. ამ გარემოებების გარდა არასრულწლოვანთა საქმეების წარმოდგენისას უნდა დადგინდეს აგრეთვე არასრულწლოვანის ზუსტი ასაკი, აღზრდისა და ცხოვრების პირობები, დანაშაულის ჩადენის ხელშემ-



წყობი პირობები, პირები, რომლებმაც წააქეხეს ან დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბეს არასრულწლოვანი.

მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების ფაქტობრივი შინაარსი ყველა საქმეზე არ არის ერთნაირი და არც შეიძლება იყოს, რადგან განსხვავებულია დანაშაულის ჩამდენი პირები, ჩადენის ხერხები, საშუალებები, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და ა. შ. ყოველ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა ფაქტობრივ შინაარსს ადგენს მომკვლევო პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო მოცემული დანაშაულის გარემოებათა შესაბამისად.

**მტკიცებულებები** დანაშაული წარმოადგენს ქმედობას, რომელიც გარკვეულ კვალს ტოვებს გარე სამყაროში, ადამიანთა ცნობიერებაში, საგნებსა თუ ნივთებზე. დანაშაულის დადგენა ხდება მტკიცებულებების საშუალებით. დამნაშავის მიერ გარე სამყაროში დატოვებული კვალის გამოვლენის, გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე. მტკიცებულებებია ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი და სასამართლო ადგენენ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის არსებობას ან არარსებობას, ამ ქმედობის ჩამდენი პირის ბრალეულობას და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დგინდება: მოწმის ჩვენებით, დაზარალებულის ჩვენებით, ექვმიტანილის ჩვენებით, ბრალდებულის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი მტკიცებულებებით, საგამომძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებით და სხვა დოკუმენტებით.

მტკიცებულებათა მიღების წესი განსაზღვრულია კანონით. ამ წესის დარღვევით მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები მტკიცებულებებს არ წარმოადგენს. მტკიცებულებას არ წარმოადგენს აგრეთვე ისეთი მონაცემები, რომლებიც დამყარებულია ეჭვზე, ვარაუდზე, გავრცელებულ ხმებზე და ა. შ.

მტკიცებულება შეიძლება იყოს გამამტყუნებელი და გამამართლებელი, პირდაპირი და არაპირდაპირი. გამამტყუნებელია მტკიცებულება, რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში, ადგენს მის ბრალეულობას, ხოლო გამამართლებელია ისეთი მტკიცებულება, რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან ადგენს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს. პირდაპირია მტკიცებუ-

ლება, რომელიც უშუალოდ ადგენს მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, ხოლო არაპირდაპირია მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულ გარემოებებს ადგენს სხვა მონაცემებთან, სხვა მტკიცებულებებთან კავშირსა და ურთიერთობაში.

მტკიცებულებათა შეგროვება წარმოადგენს მომკვლევე პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოვალეობას. მხოლოდ მათ აქვთ უფლება მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები, დაიბარონ მოწმეები და ექსპერტები, მოითხოვონ რევიზიის ჩატარება, ჩაატარონ ჩხრეკა, გამოითხოვონ დოკუმენტები და ა. შ.

სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევე პირი, ხელმძღვანელობენ რა კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით, მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში. არავითარ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს.

აღკვეთის  
ლონისძიებები

თუ არსებობს საქმაო საფუძველი, მიჩნეულ იქნეს, რომ თავისუფლებაში მყოფი ბრალდებული დაემალება მოკვლევას, გამოძიებას და სასამართლოს, ან ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე კეშმარიტების დადგენას, ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, აგრეთვე, განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფისათვის მომკვლევე პირს, გამომძიებელს, პროკურორს და სასამართლოს შეუძლიათ ბრალდებულის მიმართ გამოიყენონ აღკვეთის ერთ-ერთი შემდეგი ღონისძიება: გაუსვლელობის ხელწერილი, პირადი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობა, დაპატიმრება.

განსაკუთრებულ შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში ექვემტანილი პირის მიმართ მისთვის ბრალდების წაყენებამდე. ამ შემთხვევაში ბრალდება წაყენებული უნდა იქნეს არა უგვიანეს ათი დღე-ღამისა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მომენტიდან. თუ ამ ვადაში ბრალდების წაყენება არ მოხდა, აღკვეთის ღონისძიება უქმდება.

გაუსვლელობის ხელწერილით ექვემტანილს ან ბრალდებულს ევალება არ მიატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი სათანადო ნებართვის გარეშე. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ გამოიყენება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. პირადი

ან საზოგადოებრივი თავდებობა ნიშნავს სათანადო პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წერილობით ვალდებულებას იმის შესახებ, რომ ისინი უზრუნველყოფენ ექვემდებარების ან ბრალდებულის სათანადო ქცევას და საპირობის შემთხვევაში მომკვლევ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში მათ გამოცხადებას. ამ ვალდებულების დარღვევისათვის პირად თავდებს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ან მანეთამდე. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება გამოიყენება, როგორც წესი, დანაშაულის საქმეებზე, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს წაყენებული ბრალდების სიმძიმე. ექვემდებარების ან ბრალდებულის პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა გარემოებანი.

### განსჯადობა

სახალხო სასამართლოს განსჯადია სისხლის სამართლის ყველა საქმე, გარდა ზემდგომი სასამართლოების ან სამხედრო ტრიბუნალების განსჯადი საქმეებისა. ზემდგომი სასამართლოს განსჯადი საქმეების ნუსხა განსაზღვრულია კანონით. ეს არის საქმეები სახელმწიფო დანაშაულებისა და ზოგიერთი სხვა ისეთი მძიმე დანაშაულების შესახებ, როგორცაა: დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი გაუპატიურება, ქრთამის აღება, მკვლელობა და ა. შ. სამხედრო ტრიბუნალის განსჯადია საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც მითითებულია სამხედრო ტრიბუნალის დებულებაში.

ზემდგომ სასამართლოს უფლება აქვს დასაბუთებული განჩინებით, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, თავის წარმოებაში მიიღოს ქვემდგომი სასამართლოს განსჯადი ყველა საქმე. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე ზემდგომი სასამართლოების მიერ თავიანთი ქვემდებარე საქმეების ქვემდგომი სასამართლოებისათვის გადაცემას, თუ საქმე თავისი შინაარსით არ არის რთული და ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას.

ტერიტორიულად სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო რაიონშიც ჩადენილია დანაშაული. თუ დანაშაულის ჩადენის ადგილის დადგენა შეუძლებელია, საქმე იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის სამოქმედო რაიონშიც დამთავრდა საქმის წინასწარი გამოკვლევა.

## აცილება

მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში: ა) თუ

იგი არის დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, აგრეთვე თუ იგი მოცემულ საქმეში მონაწილეობდა როგორც მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, მომკვლევ პირი, გამომძიებელი, ბრალმდებელი, დამცველი, ბრალდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი; ბ) თუ იგი არის ბრალდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ან მათი წარმომადგენლების, აგრეთვე დამცველის, გამომძიებლის, მომკვლევ პირის ან საქმის განხილვაში მონაწილე რომელიმე მოსამართლის ნათესავი; დ) თუ საქმეში მონაწილე პირები აღნიშნავენ სხვა გარემოებებს, რომლებიც საექვოდ ხდიან მოსამართლის მიუყერძობლობას.

სათანადო საფუძვლის არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. იმავე საფუძვლით მოსამართლის აცილება შეიძლება მრითხოვონ პროცესის სხვა მონაწილეებმა. აცილება უნდა იყოს დასაბუთებული და განაცხადებული სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. აცილების შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აცილების საფუძველი ცნობილი გახდა სასამართლო გამოძიების დაწყების შემდეგ.

მოსამართლის მიმართ განცხადებული აცილების საკითხი უნდა გადაწყვიტონ დანარჩენმა მოსამართლეებმა ასაცილებელი მოსამართლის დაუსწრებლად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მოსამართლე აცილებულად ჩაითვლება. რამდენიმე მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების საკითხს გადაწყვეტს იგივე სასამართლოს სრული შემადგენლობა ხმების უბრალო უმრავლესობით. ასაცილებელ მოსამართლეს უფლება აქვს საჯაროდ მისცეს დანარჩენ მოსამართლეებს განმარტება მისთვის განცხადებული აცილების თაობაზე. თვითაცილების ან აცილების საკითხს სასამართლო წყვეტს სათათბირო ოთახში.

ძირითადად აღნიშნული საფუძვლებითა და წესით წყდება პროცესის სხვა მონაწილეთა მიმართ განცხადებული აცილების საკითხი.

**სისხლის სამართლის საქმის აღძვრის არსი და მნიშვნელობა**

გამოკვლევა, სისხლის სამართლის სამართალწარმოება იწყება საქმის აღძვრით.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები აღგენენ დანაშაულის ნიშნებს და იღებენ გადაწყვეტილებებს საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა წარმოადგენს საქმის შემდგომი წარმოების საფუძველს. საქმის აღძვრის შემდეგ ტარდება საგამოძიებო მოქმედებები, რაც აუცილებელია დანაშაულის სრული გახსნის, დამნაშავეის მხილებისა და მისი დასჯის უზრუნველყოფისათვის.

სისხლის სამართლის საქმის დროული და საფუძვლიანი აღძვრა უზრუნველყოფს დანაშაულის სწორ გამოძიებას, დაზარალებულ პირთა კანონიერი ინტერესების დაცვას, დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად საზოგადოებრიობის მობილიზაციას.

**ორგანოები, რომლებიც აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს**

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს სასამართლოს, პროკურორს, გამოძიებელს და მოკვლევის ორგანოს. ეს ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღძვრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის შემთხვევის, დამნაშავე პირთა დასადგენად და დასასჯელად.

დანაშაულის გახსნა, დამნაშავეის მხილება და დასჯა წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციას. სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება იწყება, მიმდინარეობს და მთავრდება დაზარალებულთა ნებასურვილის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული რამდენიმე შემთხვევისა, როცა საქმე შეიძლება აღიძვას მხოლოდ დაზარალებულების საჩივრით და შეწყდეს, თუ იგი ბრალდებულს შეუურიგდა. ყველა მოქალაქე და დაწესებულება უფლებამოსილია დააყენოს სა-

კითხი საქმის აღძვრის შესახებ, მოითხოვოს დამნაშავეთა დასჯა, დაეხმაროს შესაბამის ორგანოებს დამნაშავეთა მხილებაში, მაგრამ საქმის აღძვრის, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების უფლება არავის არა აქვს, გარდა სასამართლოსი, პროკურორის, გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოსი.

**ხისხლის სამართლის  
ხაქმის აღძვრის საბაზი  
და საფუძველი**

ხისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზს წარმოადგენს ის წყარო, საიდანაც სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის ორგანო ღებულო-

ბენ ინფორმაციას მომხდარი დანაშაულის შესახებ. ხისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზს წარმოადგენს: ა) მოქალაქის განცხადება; ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის და თანამდებობის პირის შეტყობინება; გ) პრესაში გამოქვეყნებული ცნობა; დ) პირის გამოცხადება ბრალის აღიარებით; ე) მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალო გამომჟღავნება.

დანაშაულის შესახებ მოქალაქის განცხადება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ზეპირი განცხადება შეიტანება ოქმში, რასაც ხელს მოაწერენ განმცხადებელი და ოქმის შემდგენი პირი. წერილობით განცხადებას ხელი უნდა მოაწეროს განცხადების შემტანმა ორივე შემთხვევაში განმცხადებელს უნდა განემარტოს პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისათვის.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის და თანამდებობის პირის შეტყობინება დანაშაულის შესახებ ჩამოყალიბებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოცემული იყოს პრესაში გამოქვეყნებულ ნებისმიერ მასალაში: სტატია, წერილი, ფელეტონი, ინტერვიუ, რედაქციის შენიშვნა და ა. შ. საქმის აღძვრის საბაზს წარმოადგენს პრესაში გამოქვეყნებული ნებისმიერი ცნობა, რომელიც მიუთითებს, რომ ჩადენილია ან მზადდება დანაშაული.

ბრალის აღიარებით გამოცხადება ნიშნავს დანაშაულის ჩამდენი პირის ნებაყოფლობით, საკუთარი ინიციატივით გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ბრალის აღიარებით გამოცხადების შემთხვევაში უნდა გაირკვეს გამოცხადებულის პიროვნება, რის შემდეგ შედგება ოქმი, რომელშიც დაწვრილე-

ბით ჩაიწერება მისი განცხადება. ოქმს ხელს აწერენ ბრალის აღიარებით გამოცხადებული და ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს იმ მონაცემების არსებობა, რომლებიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებენ. დანაშაულის ნიშნების არსებობა არ ნიშნავს, რომ უეჭველად ჩადენილია დანაშაული. გამორიცხული არ არის საქმის შემდგომი გამოკვლევის პროცესში არ დადასტურდეს დანაშაულის არსებობა. საქმის აღძვრის მომენტში შეიძლება დამნაშავე ცნობილი არ იყოს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს საქმის აღძვრის დამაბრკოლებელ გარემოებას.

**სისხლის სამართლის  
საქმის აღძვრამდე  
მასალების წინასწარი  
შემოწმება**

დანაშაულის შესახებ მიღებული პირველადი მასალა ყოველთვის არ იძლევა საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტის საშუალებას. საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად ზოგჯერ აუცილებელია

ამა თუ იმ გარემოების გარკვევა, მიღებული ინფორმაციის წინასწარი შემოწმება.

მასალების წინასწარი შემოწმება უზრუნველყოფს საქმის აღძვრის ან არააღძვრის შესახებ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. ამ შემოწმების მიზანს დანაშაულის სრული გახსნა კი არ წარმოადგენს, არამედ იმ ნიშნებისა და გარემოებების გარკვევა და დადგენა, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

დანაშაულის შესახებ შემოსული განცხადების ან ცნობის გამო შეიძლება გამოთხოვილ იქნეს საჭირო მასალები და მიღებული ახსნა-განმარტება, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების გარეშე. ამ საერთო წესიდან კანონი უშვებს მხოლოდ ერთ გამონაკლისს. შემთხვევის ადგილის დათვალიერება, თუ ეს გადაუდებელია, შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება ხშირად დაკავშირებულია იძულებასთან, პიროვნების თავისუფლების შეზღუდვასთან, რასაც კანონი უშვებს უფრო სასარგებლო საქმის, დანაშაულის გახსნის, დამნაშავის მხილებისა და დასჯის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

**სისხლის სამართლის  
საქმის აღძვრა  
დაზარალებულის  
საჩივრით**

საქმეები ზოგიერთ მცირემნიშვნელოვან დანაშაულთა შესახებ (სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ცილისწამება, შეურაცხყოფა და ა. შ.) შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და

უნდა შეწყდეს, თუ იგი ბრალდებულს შეურიგდა. შერიგება დაიშვება განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე.

თუ აღნიშნულ საქმეებს აქვს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ან თუ დაზარალებულს თავისი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის გამო, აგრეთვე ბრალდებულისაგან დამოკიდებულების ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, პროკურორს უფლება აქვს აღძრას საქმე დაზარალებულის საჩივრის გარეშეც. პროკურორის მიერ აღძრული საქმე არ წყდება ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო.

აღნიშნულ საქმეებს სასამართლო განიხილავს წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ჩაუტარებლად, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა პროკურორი ან სასამართლო საჭიროდ ჩათვლის ასეთ გამოძიებას.

გაუპატიურების, აგრეთვე საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევის შესახებ საქმეები მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით აღიძვრის, მაგრამ ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო მათი შეწყვეტა არ შეიძლება.

**სისხლის სამართლის  
საქმის აღძვრის და  
აღძვრაზე უარის თქმის  
პროცესუალური  
გაფორმება**

თუ არსებობს საფუძველი, მომკვლვეი პირი, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო მოვალენი არიან გამოიტანონ დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა

იყოს საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი, სისხლის სამართლის კანონი, რომლის ნიშნების მიხედვითაც საქმე აღიძვრება და საქმის შემდგომი წარმართვა.

თუ მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო განცხადებიდან ან შეტყობინებიდან დაინახავენ, რომ არ არსებობს საფუძველი საქმის აღძვრისათვის, მათ გამოაქვთ დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რასაც გამოუცხადებენ დაინტერესებულ პირს ან დაწესებულებას. თუ პირველად ინფორმაციაში მოიპოვება მონაცემე-



ბი ადმინისტრაციული ან დისციპლინური გადაცდომის, საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვა დარღვევის შესახებ, შემოსული განცხადება ან შეტყობინება განსახილველად შეიძლება გადაეგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ამხანაგურ სასამართლოს, შრომითს კოლექტივს ან წარმართოს ადმინისტრაციული ან დისციპლინური წესით განხილვისათვის.

### § 3. მოკვლევა და წინასწარი გამოძიება

**წინასწარი გამოკვლევის ცნება და სახეები** სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ უნდა ჩატარდეს წინასწარი გამოკვლევა. გამოჩაკლისს შეადგენს მხო-

ლოდ კერძო ბრალდების საქმეები, რომლებიც წინასწარი გამოკვლევის გარეშე უშუალოდ განიხილებიან სასამართლოში.

წინასწარი გამოკვლევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონით უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირები ჰკრეფენ და ამოწმებენ მტკიცებულებებს, იკვლევენ დანაშაულის ყველა გარემოებას, ავლენენ და პასუხისგებაში აძლევენ დანაშაულს პირებს, ამზადებენ ყველა წინასწარ პირობას სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისათვის. წინასწარი გამოკვლევის სრულად, ყოველმხრივად და ობიექტურად ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს წინასწარი გამოკვლევის ორ ფორმას: მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას. წინასწარი გამოკვლევის ეს ორივე ფორმა ხორციელდება კანონის მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობით. როგორც მოკვლევის, ისე წინასწარი გამოძიებისათვის დადგენილია მტკიცებულებათა შეგროვების, საქმის გამოკვლევის ერთიანი პროცესუალური წესი. საერთოა მათი ამოცანებიც. მიუხედავად ამისა, წინასწარი გამოკვლევის ამ ორ ფორმას შორის არის განსხვავებაც.

**მოკვლევა** კანონი ითვალისწინებს მოკვლევის ორ სახეს: ა) მოკვლევა იმ საქმეებზე, რომლებზედაც სავალდებულოა წინასწარი გამოძიების წარმოება და ბ) მოკვლევა იმ საქმეებზე, რომლებზედაც სავალდებულო არ არის წინასწარი გამოძიების ჩატარება.

პირველ შემთხვევაში მოკვლევის ორგანო აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და კანონის დაცვით აწარმოებს გადაუდებელ სა-

გამოძიებო მოქმედებებს დანაშაულის კვლევის დასადგენად და განსამტკიცებლად: დათვლიერებას, ჩხრეკას, ამოღებას, შემოწმებას, ექვმიტანილთა დაკავებას და დაკითხვას, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვას. აღმოჩენილი დანაშაულისა და დაწყებული მოკვლევის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პროკურორს. აღნიშნული სახის მოკვლევა შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, თუ გამოძიებლის საქმეში ჩარევამდე აუცილებელია საქმის დაუყოვნებლივ აღძვრა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

იმ საქმეებზე, რომელთა გამო წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულო არ არის, წარმოება მთავრდება მოკვლევით. ამ შემთხვევაში მოკვლევის ორგანო პროკურორს წარუდგენს მოკვლევის მასალებს საბრალდებო დასკვნით, რომლის დამტკიცების შემდეგ საქმე იგზავნება სასამართლოში განსახილველად. წინასწარი გამოძიების ჩატარება სავალდებულო არ არის, მაგალითად, ისეთ დანაშაულებზე, როგორცაა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წერილმანი გატაცება, სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება, შეურაცხყოფა, უკანონო ნადირობა და ზოგიერთი სხვა დანაშაული, რომელიც გამოსაძიებლად დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მოკვლევის ეს სახე არსებითად იგივეა, რაც წინასწარი გამოძიება და მისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს მოკვლევის დამთავრების შემდეგ მასალებს კი არ აცნობენ, არამედ შეატყობინებენ მოკვლევის დამთავრებისა და საქმის პროკურორისათვის გადაცემის შესახებ. გარდა ამისა, მოკვლევის წარმოებისას დამცველის მონაწილეობა არ დაიშვება და მომკვლევნი პირი არ სარგებლობს გამოძიებლის ყველა უფლებით.

მოკვლევის ფუნქციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ: მილიცია, სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები, შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსები, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები, სასაზღვრო დაცვის ორგანოები, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, შორეულ ნაოსნობაში მყოფი საზღვაო გემების კაპიტნები.

მოკვლევა ისეთ საქმეებზე, რომელთა გამო წინასწარი გამოძიება სავალდებულოა, უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ათი დღის ვადისა საქმის აღძვრის მომენტიდან, ხოლო ისეთ საქმეებზე, რომ-

მელთა გამო წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულო არ არის, მოკვლევა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

ზოგიერთი დანაშაულის შესახებ (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, ვაჭრობის მომწესრიგებელი დადგენილებების დარღვევა, დამამძიმებელი გარემოების გარეშე ჩადენილი ხულიგნობა და ა. შ.) მოკვლევა წარმოებს საოქმო ფორმით. ამ დანაშაულთა საქმეებზე მოკვლევის ორგანოებზე არაუგვიანეს ათი დღის ვადაში დაადგენენ ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებებს, ახსნა-განმარტებას ჩამოართმევენ სამართალდამრღვევს და სხვა პირებს, გამოითხოვენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მასალებს და შეადგენენ სათანადო ოქმს. მოკვლევის ორგანოს უფროსი შეისწავლის წარმოდგენილ ოქმსა და მასალებსა და, თუ შესაძლებლად მიიჩნევს სამართალდამრღვევისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას, პროკურორის თანხმობით მასალებს გადასცემს ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას განსახილველად ანდა სამართალდამრღვევს თავდებქვეშ გადასცემს შრომითს კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. ამ ღონისძიებათა გამოყენების შეუძლებლად მიჩნევის შემთხვევაში მოკვლევის ორგანოს უფროსი დამტკიცებს ოქმს, გააცნობს მასალებს სამართალდამრღვევს და პროკურორის სანქციით გადააგზავნის სასამართლოში.

**წინასწარი გამოძიების  
საერთო პირობები**

სიღბლის სამართლის საქმის წინასწარი გამოკვლევის ძირითად ფორმას წარმოადგენს წინასწარი გამოძიება, რომელიც

უზრუნველყოფს საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დეტალურ და ყოველმხრივ გამოკვლევას იმ მიზნით, რომ გამოძიებლის მიერ შეკრებილი და შემოწმებული მონაცემების საფუძველზე სასამართლომ არსებითად განიხილოს საქმე, განახორციელოს მართლმსაჯულება.

წინასწარი გამოძიების ჩატარება სავალდებულოა ყველა საქმეზე, გარდა იმ დანაშაულებისა, რომელთა შესახებ გამოკვლევა შეიძლება დამთავრდეს მოკვლევით. ამასთან, წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა ყველა იმ დანაშაულის საქმეზე, რაც ჩადენილია არასრულწლოვანთა ან იმ პირთა მიერ, რომელთაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ თვითონ განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება.

წინასწარ გამოძიებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში

აწარმოებენ პროკურატურის გამოძიებლები, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოძიებლები.

წინასწარი გამოძიების წარმოების დროს ყველა გადაწყვეტილებას გამოძიების წარმოებისა და საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ გამოძიებელი იღებს დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულია პროკურორისაგან სანქციის მიღება და სრული პასუხისმგებელია მათი კანონიერი და დროული განხორციელებისათვის. გამოძიებლის დადგენილება, რომელიც გამოტანილია კანონის შესაბამისად მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სავალდებულოა შეასრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, თანამდებობის პირმა და მოქალაქემ.

წინასწარი გამოძიება უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ორი თვის ვადაში. ეს ვადა შოიციავს დროს საქმის აღძვრის მომენტიდან საქმის სასამართლოში წარმართვის, საქმის წარმოების შეწყვეტის ან შეჩერების მომენტამდე. საგამოძიებო ვადის ორ თვეზე მეტი ხნით გაგრძელების უფლება აქვთ ზემდგომ პროკურორებს.

**ბრალდების წაყენება და ბრალდებულის დაკითხვა** წინასწარი გამოძიება ტარდება იმისათვის, რომ დადგინდეს დამნაშავე და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამიტომ როცა შეგროვდება საკმარის მტკიცებულებები, რაც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენებისათვის, გამოძიებელს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს ბრალდებულის შესახებ მონაცემები და დანაშაული, რომლის ჩადენაც ბრალად ედება მას, აგრეთვე სისხლის სამართლის კანონი, რომელიც ამ დანაშაულს ითვალისწინებს.

ამის შემდეგ, გამოძიებელი დაიბარებს ბრალდებულს, ხოლო თუ იგი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, იძულებით მოიყვანს და წაუყენებს ბრალდებას, გამოუცხადებს მას დადგენილებას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და განუმარტავს წაყენებული ბრალდების არსს. ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს არა უგვიანეს ორმოცდარვა საათისა იმ მომენტიდან, როდესაც გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუ-

ცხადებლობის შემთხვევაში, ბრალდების წაყენება მოხდება მისი მოყვანის დღეს. ბრალდების წაყენებისას გამომძიებელი მოვალეა განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები, რაც აღინიშნება ოქმში და დასტურდება ბრალდებულის ხელმოწერით.

გამომძიებელი მოვალეა ბრალდების წაყენებისთანავე დაუყოვნებლივ დაკითხოს ბრალდებული. დაკითხვის დაწყებისას გამომძიებელი უნდა შეეკითხოს ბრალდებულს ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში, რის შემდეგ წინადადებას აძლევს მას მისცეს განმარტება ბრალდების არსის შესახებ. არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენებას და მის დაკითხვას უნდა ესწრებოდეს პედაგოგი ან ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი. ბრალდებულის დაკითხვის შესახებ დგება ოქმი, რომელიც წარედგინება ბრალდებულს წასაკითხად და დადასტურდება მისი ხელმოწერით.

თუ წინასწარი გამოძიების დროს წარმოიშობა წაყენებული ბრალდების შეცვლის ან დამატების საფუძველი, გამომძიებელი ვალდებულია წაუყენოს ბრალდებულს ახალი ბრალდება, ხოლო თუ წაყენებული ბრალდება რაიმე ნაწილში ვერ დადასტურდა, გამომძიებელი დადგენილებით შეწყვეტს საქმეს ამ ნაწილში.

**წინასწარი გამოძიებისას  
მტკიცებულებათა  
შეგროვება**

წინასწარი გამოძიების წარმოებისას გამომძიებელი, გარდა ბრალდებულის დაკითხვისა, ატარებს სხვა საგამომძიებო მოქმედებებსაც, აგროვებს და იკვლევს

მტკიცებულებებს დანაშაულის სრულად გახსნისა და დამნაშავეთა მხილების უზრუნველსაყოფად. საჭიროების მიხედვით გამომძიებელი დაკითხავს ექვმიტანილებს, მოწმეებსა და დაზარალებულებს, ახდენს მათ დაპირისპირებას, პირის ან საგნის ამოსაცნობად წარდგენას, ატარებს ჩხრეკას, ახდენს საგნებისა და დოკუმენტების ამოღებას, ყადაღას ადებს ექვმიტანილისა და ბრალდებულის ქონებას, ახდენს შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, შენობის, საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერებას, ატარებს საგამომძიებო ექსპერიმენტს, ნიშნავს ექსპერტიზას და ა. შ.

ყველა საგამომძიებო მოქმედება და მათი წარმოების წესი დაწვრილებით არის რეგლამენტირებული კანონით. ყოველად დაუშვებელია წინასწარი გამოძიების წარმოებისას რაიმე ისეთი მოქმედების ჩატარება, ან იმგვარად ჩატარება, რასაც კანონი არ ითვალისწინებს.

## წინასწარი გამოძიების შეჩერება

შის დამთავრებას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ შემთხვევაში გამოძიებლის დასაბუთებული დადგენილებით წინასწარი გამოძიება შეჩერდება და განახლდება იმის შემდეგ, როცა მოიხსნება შეჩერების საფუძველი. კანონის თანახმად წინასწარი გამოძიება შეჩერდება იმ შემთხვევაში: ა) თუ ბრალდებული დაემალა გამოძიებას ან როდესაც სხვა მიზეზების გამო დადგენილი არ არის მისი ადგილსამყოფელი; ბ) თუ ბრალდებული დაავადებულია ფსიქიური ან სხვა მძიმე ავადმყოფობით; გ) თუ დადგენილი არ არის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემი პირი. წინასწარი გამოძიების შეჩერებამდე გამოძიებელი მოვალეა შეასრულოს ყველა საგამოძიებო მოქმედება, რაც კი შესაძლებელია ბრალდებულის დაუსწრებლად და მიიღოს ყველა ღონისძიება მის მოსაძიებნად, აგრეთვე დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად.

## წინასწარი გამოძიების დამთავრება

წინასწარი გამოძიება მთავრდება საბრალდებო დასკვნის შედგენით ან დადგენილების გამოტანით საქმის შეწყვეტის შესახებ. საბრალდებო დასკვნის შედგენამდე გამოძიებელი მოვალეა გამოუცხადოს ეს ბრალდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს ან მათ წარმომადგენლებს და განუმარტოს უფლება, გაეცნონ საქმის მასალებს კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში ბრალდებულს უფლება აქვს, გაეცნოს საქმის მთელ მასალას როგორც პირადად, ისე დამცველის დახმარებით, აგრეთვე იშუამდგომლოს წინასწარი გამოძიების დამატების შესახებ. ბრალდებულს უფლება აქვს საქმის მასალების გაცნობისას ამოიწეროს იქიდან საჭირო ცნობები.

საბრალდებო დასკვნა წარმოადგენს წინასწარი გამოძიების დამთავრების აქტს, რომელშიც მოცემულია საქმის შინაარსი, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, მოტივები, შედეგები და სხვა გამოძიებით დადგენილი არსებითი გარემოებები, აგრეთვე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, ცნობები ბრალდებულის ვინაობის შესახებ და წაყენებული ბრალდების ფორმულირება სისხლის სამართლის კანონის მუხლის მითითებით. საბრალდებო დასკვნას გამოძიებელი დაუყოვნებლივ უგზავნის პროკურორს, რომელიც არაუმეტეს ხუთი დღე-ღამისა გაეცნობა

საქმეს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას. საბრალდებო დასკვნას, დამტკიცების შემთხვევაში, პროკურორი საქმის განსჯადობის მიხედვით გადასცემს სასამართლოს.

წინასწარ გამოძიებაზე საქმე შეწყდება, თუ არ დადასტურდა ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში ან აღმოჩნდა სხვა ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს საქმის შემდგომ წარმოებას ან წარმოადგენს მისი შეწყვეტის საფუძველს: ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არარსებობა, ხანდაზმულობის ვადების გასვლა, პირის თავდებქვეშ გადაცემა, საქმის მასალების ამხანაგური სასამართლოსათვის გადაცემა და ა. შ.

#### § 4. სამართალში მიცემა

**სამართალში მიცემის  
არსი და მნიშვნელობა**

ლისხლის სამართლის საქმის სასამართლოში შემოსვლის შემდეგ უნდა მოხდეს ბრალდებულის სამართალში მიცე-

მა. პროცესის ამ სტადიაზე წყდება საკითხი არსებობს თუ არა საკმარის საფუძველი სამსჯავრო სხდომაზე საქმის განსახილველად, დასაბუთებულია თუ არა წარდგენილი ბრალდება, დაცულია თუ არა წინასწარი გამოძიების წარმოებისათვის კანონით დადგენილი წესი.

სამართალში მიცემის სტადიაზე არ წყდება ბრალდებულის ბრალეულობის საკითხი. სამართალში მიცემა არ ნიშნავს, რომ ბრალდებული აუცილებლად ცნობილი იქნება დამნაშავედ და დაისჯება. პროცესის ამ სტადიაზე მოწმდება მხოლოდ სამსჯავრო სხდომაზე საქმის განხილვის იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველების არსებობა.

სამართალში მიცემის სტადიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უზრუნველყოფს სამსჯავრო განხილვისათვის ისეთი საქმის გატანას, რომელიც სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არის გამოკვლეული, გამოძიებულია კანონით დადგენილი წესების და ფორმების დაცვით. სამართალში მიცემის სტადიაზე მზადდება პირობები მომავალი სასამართლო პროცესის დაუბრკოლებლად ჩატარებისათვის.

**სამართალში მიცემის  
წესი**

სამართალში მიცემა ხორციელდება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად ან სასამართლოს მიერ განმწესრიგებულ

სხდომაზე. სამსჯავრო სხდომაზე საქმის განსახილველად საკმაო საფუძვლის არსებობისას მოსამართლე, წინასწარ არ წყვეტს რა ბრალეულობის საკითხს, გამოიტანს დადგენილებას ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ.

მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს აგრეთვე დადგენილება მოკვლევის ორგანოდან საოქმო ფორმით მიღებული მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, სამართალდამრღვევის სამართალში მიცემისა და სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად დანიშვნის შესახებ.

არასრულწლოვანთა დანაშაულისა და იმ დანაშაულის საქმეებზე, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას ან აუცილებელია ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, ტარდება სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა.

საკითხი სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლემ ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა გადაწყვიტოს არაუგვიანეს ხუთი დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე — არა უგვიანეს თოთხმეტი დღე-ღამისა სასამართლოში საქმის შემოსვლის დღიდან.

სისხლის სამართლის საქმეები განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით. პროკურორის მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე სავალდებულოა.

ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე ან სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე ვალდებულია განიხილოს ცალკეული პირებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსული შუამდგომლობები და განცხადებები საქმეში მონაწილეობისათვის დაშვების, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის, საქმის შემდგომი წარმართვის, აღკვეთის ღონისძიებების შეცვლის, აგრეთვე სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ. მოსამართლეს და სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე უფლება აქვთ დაიბარონ განმარტების მისაცემად შუამდგომლობის განმცხადებელი პირი ან ორგანიზაციის წარმომადგენელი. განმწესრიგებელ სხდომაზე მოწმეებისა და ექსპერტების გამოძახება დაუშვებელია.

სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე საქმის განხილვა იწ-



ყება მოსამართლის მოხსენებით, რომელიც ასაბუთებს თავის მოსაზრებას განსახილველ საკითხებზე. შემდეგ სასამართლო მოუსმენს პროკურორს და სასამართლო სხდომაზე მოიწვევს დაზარალებულ პირებს განცხადებული შუამდგომლობის მოსამენად. ამ შუამდგომლობების შესახებ სასამართლო მოისმენს პროკურორის დასკვნას. ამის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში და გამოაქვს განჩინება. განმწესრიგებელი სხდომის დროს სასამართლოს სხდომის მდივანი ადგენს ოქმს კანონით დადგენილი წესით.

**სამართალში მიცემის დროს გამოსარკვევი და გადასაწყვეტი საკითხები**

სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის დროს მოსამართლემ ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები

თითოეული ბრალდებულის მიმართ: ა) მოცემული სასამართლოს განსჯადია თუ არა საქმე; ბ) ქმედობა, რომელიც ბრალდებულს ერაცება, შეიცავს თუ არა დანაშაულის შემადგენლობას; გ) ხომ არ არის საქმეში გარემოებანი, რომლებიც იწვევენ საქმის შეწყვეტას; დ) შეკრებილია თუ არა საჭირო მტკიცებულებები სამსჯავრო სხდომაზე საქმის განსახილველად; ე) წარდგენილია თუ არა ბრალდება ბრალდებულის ყველა დანაშაულებრივი ქმედობისათვის; ვ) მიცემულია თუ არა პასუხისგებაში დანაშაულში მხილებული ყველა პირი; ზ) ქმედობას, რომელიც ბრალდებულს ერაცება, სწორად აქვს თუ არა მიყენებული სისხლის სამართლის კანონი; თ) კანონის მოთხოვნების შესაბამისად არის თუ არა შედგენილი საბრალდებო დასკვნა; ი) სწორად არის თუ არა შერჩეული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება; კ) მიღებულია თუ არა ზომები დანაშაულით მიყენებული შატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველსაყოფად; ლ) დატულია თუ არა მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების წარმოების დროს კანონის სხვა მოთხოვნები.

თუ მიჩნეული იქნება, რომ არსებობს საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად, მოსამართლემ ერთპიროვნულად ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც ეხება: პროკურორის მონაწილეობას სასამართლო განხილვაში, საქმის განხილვის დროსა და ადგილს, პროცესზე დასაბარებელ პირებს და ა. შ.

ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის განხილვისას მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს დადგენილე-

ბა ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ, დადგენილება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ და დადგენილება საქმის განსჯადობის მიხედვით გადაგზავნის შესახებ. სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე გამოაქვს განჩინება: ა) ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ; ბ) საქმის დამატებითი გამოკვლევისათვის დაბრუნების შესახებ; გ) საქმის წარმოების შეჩერების შესახებ; დ) საქმის შეწყვეტის შესახებ; ე) საქმის განსჯადობის მიხედვით გადაგზავნის შესახებ. განმწესრიგებელი სხდომა წყვეტს აგრეთვე საკითხს ალკვეთის ღონისძიების შესახებ.

ბრალდებულის სამართალში მიცემის შემდეგ მოსამართლე იღებს ზომებს სამსჯავრო სხდომის მოსამზადებლად: გასცემს განკარგულებას დადგენილებაში ან განმწესრიგებელი სხდომის განჩინებაში აღნიშნული პირების დასაბარებლად, უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეებისათვის საქმის მასალების გაცნობას და საბრალდებო დასკვნის პირის ჩაბარებას განსასჯელისათვის. საქმის განხილვა სამსჯავრო სხდომაზე ვერ დაინიშნება სამ დღე-ღამეზე ადრე იმ დროიდან, როდესაც განსასჯელს ჩაბარდა საბრალდებო დასკვნის პირი.

საქმის განხილვა სამსჯავრო სხდომაზე უნდა დაიწყოს ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლის დადგენილების ან განმწესრიგებელი სხდომის განჩინების გამოტანიდან არა უგვიანეს ათი დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე არა უგვიანეს თოთხმეტი დღე-ღამისა.

მოკვლევის ორგანოდან საოქმო ფორმით შემოსული საქმეები განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს ათი დღის ვადაში სასამართლოში მათი მიღების მომენტიდან, ხოლო თუ ამ დანაშაულებზე მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება იყო ჩატარებული, საქმე განიხილება სასამართლოში შესვლის მომენტიდან არა უგვიანეს თოთხმეტი დღის ვადაში.

#### § 5. სასამართლო განხილვა და განაჩენის დადგენა

სასამართლო განხილვის  
საერთო პირობები

პირველი ინსტანციით საქმეს იხილავენ მოსამართლეები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არჩეული არიან იმ

სასამართლოს შემადგენლობაში, რომლის განსჯადიც არის მოცემული საქმე. საქმეს იხილავს მოსამართლეთა ერთი და იგივე შემადგენლობა. თუ რომელიმე მოსამართლეს რაიმე მიზეზით არ შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვაში მონაწილეობა, იგი უნდა შეცვალოს სხვა მოსამართლემ და საქმის მოსმენა დაიწყოს თავიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასამართლო სხდომას თავიდანვე ესწრება სათადარიგო სახალხო მსაჯული, რომელიც შეცვლის გასულ სახალხო მსაჯულს და თუ არ მოითხოვს პროცესის თავიდან დაწყებას.

პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლიოს საქმის მტკიცებულებები, დაკითხოს განსასჯელი, დაზარალებული, მოწმეები, მოინმინოს ექსპერტთა დასკვნები, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები, გამოაქვეყნოს ოქმები და სხვა დოკუმენტები. სასამართლო სხდომა მიმდინარეობს განუწყვეტლივ, გარდა იმ დროისა, რომელიც საჭიროა დასვენებისათვის. დაწყებული საქმის განხილვის დამთავრებამდე დაუშვებელია იმავე მოსამართლეების მიერ სხვა საქმის განხილვა.

საქმის განხილვა სასამართლოში წარმოებს მხოლოდ მოცემულ საქმეზე განსასჯელ პირთა მიმართ და მხოლოდ იმ ბრალდებით, რომლითაც ისინი მიცემული არიან სამართალში. სასამართლოში ბრალდების შეცვლა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ მძიმდება ან ფაქტობრივ გარემოებათა მიხედვით არსებითად არ იცვლება პირვანდელი ბრალდება. თუ სასამართლო განხილვის დროს დადგინდება, რომ განსასჯელს ჩადენილი აქვს სხვა დანაშაული ან დანაშაულის ჩადენაში სხვა პირებიც მონაწილეობდნენ, სასამართლო საქმეს ამ ნაწილში ან მთლიანად დააბრუნებს დამატებით გამოძიებისათვის.

სამსჯავრო განხილვის დროს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის, საქმის დამატებით გამოძიებისათვის გადაცემის, საქმის შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის და ზოგიერთ სხვა საკითხზე სასამართლოს განჩინება გამოაქვს სათათბირო ოთახში. სხვა არაარსებითი ხასიათის საკითხებზე განჩინების გამოტანა შეიძლება მოხდეს მოსამართლეთა ადგილზე მოთათბირებით. სასამართლო განხილვის დროს გამოტანილი ყველა განჩინება დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს.

პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას თავმჯდომარე წარ-

მართავს სამსჯავრო გამოძიებას საქმის გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის უზრუნველსაყოფად და კეშმარიტების დასადგენად, განარიდებს ყველა იმას, რაც განსახილველ საქმეს არ შეეხება და უზრუნველყოფს სასამართლო პროცესის სათანადო აღმზრდელობით დონეს.

პროცესის ყველა მონაწილე, აგრეთვე სასამართლო სხდომის დარბაზში დამსწრე ყველა მოქალაქე მოვალეა უსიტყვოდ დაემორჩილოს თავმჯდომარის განკარგულებას დადგენილი განაწესის დაცვის შესახებ. მოსამართლეთა შემოსვლისას დარბაზში ყველა დამსწრე პირი ვალდებულია ფეხზე ადგეს და თავმჯდომარის მიწვევით დაიკავოს თავისი ადგილი. პროცესის ყველა მონაწილე ფეხზე მდგომი მიმართავს და აძლევს ჩვენებას სასამართლოს. წესრიგის დამრღვევთა მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ღონისძიება: განმეორებითი გაფრთხილების შემდეგ გააძევოს განსასჯელი სხდომის დარბაზიდან, დააჯარიმოს პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ პროცესში და ა. შ.

**სასამართლო სხდომის  
მოხამზადებელი ნაწილი**

დანიშნულ დროს თავმჯდომარე ხსნის სხდომას და აცხადებს რომელი საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ. შემდეგ

სასამართლო სხდომის მდივანი მოახსენებს პროცესის მონაწილეებიდან ვინ გამოცხადდა და თუ არ გამოცხადდა რა მიზეზით. თავმჯდომარე განუმარტავს თარჯიმანს მის მოვალეობებს და აფრთხილებს არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. გამოცხადებულ მოწმეებს გაიყვანენ სასამართლოს სხდომის დარბაზიდან და თავმჯდომარე მიიღებს ზომებს, რომ დაკითხულ მოწმეებს ურთიერთობა არ ჰქონდეთ დასაკითხ მოწმეებთან.

პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობა, როგორც წესი, არ აბრკოლებს საქმის განხილვას. განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ იმყოფება და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ან როდესაც წაყენებული ბრალდება სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს და განსასჯელი შუამდგომლობს მის დაუსწრებლად საქმის განხილვას. თუ დამცველი არ გამოცხადდა და მისი შეცვლა შეუძლებელია, საქმის განხილვა გადაიდება. თავმჯდომარე ადგენს განსასჯელის პიროვნებას და არკვევს, როდის ჩაბარდა მას საბრალდებო დასკვნის პირი.

თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას და პრო-

ცესის მონაწილეთა ვინაობას, განმარტავს მოსამართლეების, პროკურორის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, ექსპერტის და სპეციალისტის აცხადების უფლებასა და წესს. თუ სასამართლო სხდომას ესწრება სათადარიგო სახალხო მსაჯული, თავმჯდომარე გამოცხადებას ამის შესახებ და განმარტავს, რომ მასაც შეიძლება განეცხადოს აცხადება. თუ საქმის განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ გამოვლინდა, თავმჯდომარე განუმარტავს განსასჯელს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს და სამოქალაქო მოპასუხეს, ექსპერტსა და სპეციალისტს მათ პროცესუალურ უფლებებს და მოვალეობებს, გამოარკვევს, ხომ არ შეამდგომლობენ ისინი მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ.

**სასამართლო გამოძიება** სასამართლო გამოძიება იწყება თავმჯდომარის, სახალხო მსაჯულის ან სასამართლოს სხდომის მდივნის მიერ საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებით, შემდეგ თავმჯდომარე ეკითხება განსასჯელს, გასაგებია თუ არა მისთვის წაყენებული ბრალდება და ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ. ამის შემდეგ სასამართლო მოისმენს პროცესის მონაწილეთა მოსაზრებებს მტკიცებულებათა გამოკვლევის თანამიმდევრობის შესახებ და გამოიტანს შესაბამის განჩინებას.

განსასჯელის დაკითხვა იწყება თავმჯდომარის წინადადებით, მისცეს სასამართლოს ჩვენება წაყენებული ბრალდებისა და საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რაც მისთვის ცნობილია. ამის შემდეგ, განსასჯელს დაკითხავს პროკურორი. საზოგადოებრივი ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, დამცველი. შემდეგ განსასჯელს შეიძლება მისცენ შეკითხვები სხვა განსასჯელებმა და მათმა დამცველებმა. თავმჯდომარეს და სახალხო მსაჯულებს უფლება აქვთ დაკითხონ განსასჯელი ყოველ მომენტში.

ანალოგიური წესით იკითხება დაზარალებული, ექსპერტი და მოწმე, მაგრამ დაკითხვის წინ მათ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და შეგნებულად ცრუ ჩვენებისა თუ ცრუ დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვას ესწრება პედაგოგი, მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, რომელთაც შეუძლიათ სასამართლოს ნებართვით მოწმეს მისცენ შეკითხვები.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენების გამოქვეყნება, აგრეთვე ხმის ჩანაწერის რეპროდუქცია დასაშვებია

იმ შემთხვევაში, როცა ეს ჩვენებები არსებითად განსხვავდება სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებისაგან, დასაკითხ პირებს დაავიწყდათ წინასწარი გამოკვლევისას მიცემული ჩვენებები, საერთოდ არ მონაწილეობენ საქმის განხილვაში ან უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე. დაუშვებელია ხმის ჩანაწერის რეპროდუქცია, დაკითხვის ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში შეტანილი შესაბამისი ჩვენებების წინასწარი გამოქვეყნების გარეშე.

სასამართლო გამოძიების დროს შეიძლება ჩატარდეს ექსპერტიზა თუ გასარკვევი საკითხი სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. პროცესის მონაწილენი ექსპერტს აძლევენ წერილობით შეკითხვებს, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს და მათ შესახებ მოსმენილი იქნეს პროცესის სხვა მონაწილეთა აზრი. ექსპერტის დასკვნა წერილობითი უნდა იყოს და გამოქვეყნდეს სასამართლო სხდომაზე.

ნიეთიერი მტკიცებები უნდა დაათვალიეროს სასამართლომ და წარუდგინოს პროცესის მონაწილეებს, რომელთაც უფლება აქვთ, სასამართლოს ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ გარემოებას. ასეთივე წესით შეიძლება დათვალიერდეს და გამოქვეყნდეს საქმეზე დართული ან სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტები. სასამართლოს უფლება აქვს, თუ საჭიროდ მიიჩნევს, მოახდინოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება ან ვითარების და შემთხვევის გარემოებათა აღდგენა კანონით დადგენილი წესით.

მტკიცებულებათა განხილვის შემდეგ თავმჯდომარე გამოკითხავს პროცესის მონაწილეებს, ხომ არ სურთ სასამართლო გამოძიების რამით შევსება და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის შემდეგ სასამართლო გამოძიება დამთავრებულად გამოცხადდება.

<p><b>სასამართლო კამათი და განსასჯელის ხაზოლო სიტყვა</b></p>	<p>სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ სასამართლო გადადის სასამართლო კამათის მოსმენაზე. სასამართლო კამათში სიტყვებით გამოდიან: სახელმ-</p>
--	---

წიფო ბრალმდებელი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, როდესაც დაზარალებულს მიცემული აქვს უფლება ბრალდებას მხარი დაუჭიროს, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, დამცველი ან განსასჯელი, რომელსაც დამცველი არ ჰყავს.

სასამართლო კამათის მონაწილეებს უფლება არა აქვთ, თავიანთი მოსაზრებები დაასაბუთონ ისეთი მტკიცებით, რომლებიც სასამართლო გამოძიების დროს არ განხილულა. სასამართლო კამათის

ყველა მონაწილის მიერ წარმოთქმული სიტყვების შემდეგ მათ შეუძლიათ კიდევ ერთხელ გამოვიდნენ რეპლიკით ადრე წარმოთქმული სიტყვის გამო. უკანასკნელ რეპლიკის უფლება ეკუთვნის დამცველს ან განსასჯელს, რომელსაც დამცველი არ ჰყავს.

სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ თავმჯდომარე განსასჯელს აძლევს საბოლოო სიტყვას. განსასჯელისათვის შეკითხვების მიცემა საბოლოო სიტყვის დროს დაუშვებელია. განსასჯელის საბოლოო სიტყვის, აგრეთვე სასამართლო კამათის მონაწილეთა სიტყვების ხანგრძლივობა გარკვეული დროით არ არის შეზღუდული, მაგრამ თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს ისინი, თუ ისეთ გარემოებებს ეხებიან, რომლებიც არ არის საქმესთან დაკავშირებული.

საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო დაუყოვნებლივ მიდის სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად.

### განაჩენის ცნება და სახეები

განაჩენი წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების მნიშვნელოვან აქტს, რომლითაც წყდება განსასჯელის ბრალეულობისა და მისთვის სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების საკითხი. განაჩენი დგინდება სახელმწიფოს სახელით და მას უდიდესი აღმზრდელობითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. ორივე შემთხვევაში სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული, მას საფუძვლად უნდა ედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც განხილული იყო სასამართლო სხდომაზე. გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს სავარაუდო მოსაზრებებს და იგი დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ დამტკიცდა განსასჯელის ბრალი დანაშაულის ჩადენაში.

განაჩენით უნდა გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორცაა: მომხდარია თუ არა ქმედობა, რომელშიც განსასჯელს ედება ბრალი, არის თუ არა ამ ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობა და სისხლის სამართლის რომელი კანონით არის იგი გათვალისწინებული, მიუძღვის თუ არა განსასჯელს ბრალი დანაშაულის ჩადენაში, უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი და, სახელდობრ, რა სასჯელი უნდა დაენიშნოს, დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა რაოდენობით, რა გაუქმდეს ნივთიერ მტკიც-

ცებულებებს, ვის და რა რაოდენობით დაეკისროს სასამართლო ხარჯები და ა. შ.

**განაჩენის დადგენის და გამოჭვეუნების წესი** განაჩენი დგინდება სათათბირო ოთახში, სადაც იმყოფებიან მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლეები, თავმჯდომარე და სახალხო მსაჯულები. მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მსჯელობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თათბირისა და განაჩენის დადგენის დროს.

განაჩენის დადგენას წინ უსწრებს მოსამართლეთა თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. იგი აყენებს სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტ საკითხებს ისეთი ფორმით, რომ მათზე შეიძლებოდეს დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა. ყოველი საკითხის გადაწყვეტის დროს არც ერთ მოსამართლეს უფლება არა აქვს ხმის მიცემისაგან თავი შეიკავოს. ყველა საკითხი წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. თავმჯდომარე ხმას ბოლოს აძლევს. თავმჯდომარე ან სახალხო მსაჯული, რომელიც არ ეთანხმება ხმის უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი აზრი, რომელიც არ ცხადდება, მაგრამ აქმეს კი დაერთვის.

მოსამართლეთა თათბირის შემდეგ უნდა შედგეს განაჩენი, თუ, რასაკვირველია, ამისთვის არსებობს საფუძველი. განაჩენს დაწერს საქმის განხილვაში მონაწილე ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო ხელს კი ყველა მოსამართლე მოაწერს, მათ შორის, ისიც, ვინც განსაკუთრებული აზრისა დარჩა.

განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. შესავალ ნაწილში აღინიშნება ვისი სახელითაა იგი გამოტანილი, განაჩენის დადგენის დრო და ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, მდივნის, ბრალმდებელის, დამცველის ვინაობა, მონაცემები მსჯავრდებულის შესახებ და კანონი, რომლითაც მას ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში. სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება საქმის ფაქტიური გარემოებები, რომლებიც სასამართლომ მიიჩნია დადგენილად ან უარყო. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში გადმოცემული უნდა იყოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება: ვის, რა კანონის საფუძველზე, როგორი სახისა და ზომის სასჯელი დაედო, სად უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სასჯელი, რა უნდა გაუკეთდეს ნივთიერ მტკიცებულებებს და ა. შ.

განაჩენის ხელმოწერის შემდეგ სასამართლო ბრუნდება სხდო-



მის დარბაზში და თავმჯდომარე ან სახალხო მსაჯული გამოაცხადებს განაჩენს, რომელსაც პროცესზე დამსწრე ყველა პირი ფეხზე მდგომი მოისმენს. პატიმრობაში მყოფი განსასჯელის გამართლების ან სასჯელის მოხდისგან განთავისუფლებისას, ან ისეთი სასჯელის დანიშვნისას, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, სასამართლო დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს მას სხდომის დარბაზშივე.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ. არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა, მისი პირი უნდა ჩაბარდეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს.

### § 6. წარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში

**საკასაციო წარმოების არსი და მნიშვნელობა** პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შესვლამდე შეიძლება გაასაჩივრონ პროცესის მონაწილეებმა ან გააპროტესტოს პროკურორმა. ასეთი საჩივრის ან პროტესტის შემთხვევაში საქმე გადადის ზემდგომ სასამართლოში, რომელიც შეამოწმებს განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობას. პროცესის მონაწილეთა საჩივრებს ან პროცესის საფუძველზე განაჩენის კანონიერების შემოწმებას ეწოდება. საკასაციო წარმოება, საჩივარსა და პროტესტს — საკასაციო საჩივარი და საკასაციო პროტესტი, ხოლო საქმის განმხილველ სასამართლოს — საკასაციო ანუ მეორე ინსტანციის სასამართლო. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს და გაპროტესტდეს ყველა სასამართლოს პირველი ინსტანციით დადგენილ განაჩენი, გარდა მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენებისა, რომელთა კანონიერება შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ სასამართლო ზედამხედველობის წესით ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

საკასაციო წარმოება წარმოადგენს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების, პროცესის მონაწილეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას, უზრუნველყოფს საქმეზე დაშვებული შეცდომების დროულად გასწორებას, უსწორო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და აღსრულების თავიდან აცილებას, სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში კანონების ერთგვარად გაგებასა და გამოყენებას.

**განაჩენის საკასაციო  
გასაჩივრებისა და  
გაპროტესტების წესი**

საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვთ მსჯავრდებულს, მის დამცველს და კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულსა და

მის წარმომადგენელს. სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ განაჩენი მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში. სასამართლოს მიერ გამართლებულ პირს უფლება აქვს საკასაციო წესით გაასაჩივროს გამამართლებელი განაჩენი გამართლების მოტივებისა და საფუძველების ნაწილში. პროკურორი ვალდებულია საკასაციო წესით გააპროტესტოს ყოველი უკანონო ან დაუსაბუთებელი განაჩენი.

საკასაციო საჩივრები და პროტესტები შეიტანება შვიდი დღის ვადაში განაჩენის გამოცხადების დღიდან, ხოლო თუ მსჯავრდებული პატიმრობაში იმყოფება, ეს ვადა იმ დღიდან იანგარიშება, როდესაც მას ჩაბარდა განაჩენის პირი. საკასაციო ვადის საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევაში დაინტერესებულ პირთა საჩივრების საფუძველზე განაჩენის დამდგენ სასამართლოს შეუძლია მისი აღდგენა. სასამართლოს განჩინება გაშვებული ვადის აღდგენაზე უარის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, რომელსაც უფლება აქვს აღადგინოს გაშვებული ვადა და განიხილოს საქმე არსებითად საჩივრით ან პროტესტით.

საჩივრები და პროტესტები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეიტანება განაჩენის დამდგენი სასამართლოს მეშვეობით. მათი შეტანა შეიძლება უშუალოდ საკასაციო ინსტანციის სასამართლოშიც. გამამტყუნებელ განაჩენზე საკასაციო საჩივრის ან პროტესტის შეტანა აჩერებს მის აღსრულებას.

საკასაციო პროტესტის ან საჩივრის შემოსვლის შესახებ განაჩენის დამდგენი სასამართლო ატყობინებს მსჯავრდებულს, გამართლებულს და პროცესში მონაწილე სხვა პირებს, რომელთა ინტერესებსაც ეხება საჩივარი ან პროტესტი. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ პროტესტსა და საჩივარს და წარადგინონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

განაჩენის გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში არავის არა აქვს საქმის სასამართლოდან გამოთხოვის უფლება. საკასაციო ვადის გასვლის შემდეგ განაჩენის დამდგენი სასამართლო სამი დღის ვადაში გაგზავნის საქმეს ზემდგომ სასამართლოში და აცნობებს და-

ინტერესებულ პირებს საქმის განხილვის თაობაზე. საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დღეს ნიშნავს განაჩენის დამდგენი სასამართლო იმ ანგარიშით, რომ საქმე განხილულ იქნეს არა უადრეს ათი დღისა და არა უგვიანეს ოცი დღისა საკასაციო ინსტანციაში მისი შემოსვლის დღიდან. საჩივრისა და პროტესტის ავტორს უფლება აქვს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დაწყებამდე უკან გამოთხოვოს თავისი საჩივარი ან პროტესტი. ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს მოხსნას ქვემდგომი პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტი.

**საქმის განხილვა** საკასაციო ინსტანციაში  
საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია საქმე განიხილოს განაჩენის დამდგენი სასამართლოს მიერ დანიშნულ დღეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი დღისა.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო საქმეს იხილავს ღია სხდომაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქმის განხილვაში მონაწილეობს პროკურორი. სხდომაზე მონაწილეობა შეუძლია მიიღოს აგრეთვე დამცველმა. მსჯავრდებულის სხდომაზე მონაწილეობის საკითხს წყვეტს საქმის განმხილველი სასამართლო.

დანიშნულ დროს თავმჯდომარე ხსნის სასამართლოს 'სხდომას და აცხადებს რომელი საქმე ვისი საჩივრით ან პროტესტით და რომელი სასამართლოს განაჩენზე არის განსახილველი. შემდეგ თავმჯდომარე ამოწმებს ვინ გამოცხადდა, იცოდნენ თუ არა საქმის განხილვის დღის შესახებ დაინტერესებულმა პირებმა და ამის მიხედვით სასამართლო წყვეტს საკითხს საქმის განხილვის შესაძლებლობის შესახებ. ამის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, პროკურორის გვარს და გაარკვევს, ხომ არ აქვს გამოცხადებული პირებს აცილება ან სხვა რაიმე შუამდგომლობა. განცხადებული შუამდგომლობების შესახებ სასამართლო გამოიტანს განჩინებას.

საქმის განხილვა იწყება სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელიც გადმოსცემს საქმის არსს და საჩივრის ან პროტესტის მოსაზრებებს. თუ სასამართლოში წარმოდგენილია ახალი მასალები, სასამართლო აქვეყნებს მათ და აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას საქმის განხილვაში მონაწილე ყველა პირს. შემდეგ

მსჯავრდებული, გამართლებული, მათი დამცველები, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე და სა-  
მოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, თუ ისინი მონაწი-  
ლეობენ სხდომაზე, იძლევიან ახსნა-განმარტებებს. ამის შემდეგ  
სასამართლო მოისმენს პროკურორის დასკვნას. მსჯავრდებულის ან  
გამართლებულის და მათი დამცველების დამატებით ახსნა-განმარტე-  
ბას და გავა სათათბირო ოთახში განჩინების გამოსატანად.

სათათბირო ოთახში განაჩენის დადგენა ხდება ისეთივე წესით,  
როგორც განაჩენის დადგენისას. განჩინებაში აღინიშნება მისი დად-  
გენის დრო და ადგილი, განჩინების დამდგენი სასამართლოს დასახე-  
ლება, საქმის განხილვაში მონაწილეთა გვარები, განაჩენის, საჩივ-  
რისა და პროტესტის, აგრეთვე პროკურორის დასკვნისა და საქმის  
განხილვაში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტების მოკლე შინაარსი  
და მიღებული გადაწყვეტილება. საკასაციო წესით საქმის განხილვის  
შედეგად სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:  
ა) სტოვებს განაჩენს უცვლელად; ბ) აუქმებს განაჩენს და აგზავნის  
საქმეს ახალი გამოძიების ან ახალი სასამართლო განხილვისათვის;  
გ) აუქმებს განაჩენს და წყვეტს საქმეს; დ) ცვლილება შეაქვს განა-  
ჩენში.

მოსამართლეთა მიერ განჩინებაზე ხელის მოწერის შემდეგ სა-  
სამართლო ბრუნდება სხდომის დარბაზში და თავმჯდომარე ან სასა-  
მართლოს წევრი გამოაცხადებს განჩინებას, რასაც ყველა დამსწრე  
მოუსმენს ფეხზე აღდგომით.

განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი ან შეცვლის საფუძველს წარმოადგენს:  
ა) მოკვლევის, წინასწარი ან სასამართ-  
ლო გამოძიების ცალმხრივობა ან არასისრულე; ბ) განაჩენში მოცე-  
მული სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა საქმის ფაქტიურ გა-  
რემოებებთან; გ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით  
დარღვევა; დ) სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყე-  
ნება; ე) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეუსაბამობა და-  
ნაშაულის სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებასთან.

მოკვლევა, წინასწარი ან სასამართლო გამოძიება არასრულად  
ან ცალმხრივად ჩაითვლება, როდესაც გამოურკვეველი დარჩა ისე-  
თი გარემოებანი, რომელთა გამორკვევას არსებითი მნიშვნელობა  
ჰქონდა განაჩენის დადგენისათვის. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს,  
მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ არ დაიკითხნენ ის პირები, რომელ-

თა ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმისათვის, არ ჩატარდა ექსპერტიზა, როდესაც მისი ჩატარება სავალდებულო იყო და ა. შ.

განაჩენი საქმის ფაქტიურ გარემოებებთან შესაბამოდ ჩაითვლება თუ, მაგალითად, სასამართლომ უსაფუძვლოდ არ მიიღო მხედველობაში საქმეზე არსებული მტკიცებულება, არ გაარკვია და არ შეაფასა მტკიცებულებათა შორის არსებული წინააღმდეგობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რამაც პროცესის მონაწილეებს აღუკვეთა ან შეუზღუდა კანონიერი უფლებები ან სხვა გზით ხელი შეუშალა სასამართლოს დაედგინა კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი. ასეთ არსებით დარღვევას წარმოადგენს, მაგალითად, სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა, მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების დარღვევა, საქმის განხილვა დამცველის გარეშე, როდესაც მისი მონაწილეობა სავალდებულოა, სასამართლო სხდომის ოქმის უქონლობა და ა. შ.

სისხლის სამართლის კანონი არასწორად არის გამოყენებული, როდესაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა ან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, აგრეთვე არასწორად განმარტა კანონი, რაც მის ზუსტ აზრს ეწინააღმდეგება.

განაჩენი დანაშაულის სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებასთან შესაბამოდ ჩაითვლება მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებულ ფარგლებს, მაგრამ თავისი ზომით აშკარად მსუბუქი ან მკაცრია.

**საკასაციო ინსტანციის  
სასამართლოს  
უფლებამოსილება**

საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო ამოწმებს განაჩენის კანონიერებას და დასაბუთებულობას საქმეში არსებული და დამატებით წარ-

მოდგენილი მასალების მიხედვით. სასამართლო არ არის შებოქილი საკასაციო საჩივრის ან პროტესტის მოსაზრებებით და ამოწმებს საქმეს სრული მოცულობით ყველა მსჯავრდებულის მიმართ, მათ შორის, იმათ მიმართ, რომლებსაც საჩივარი არ შეუტანიათ და რომელთა მიმართ შეტანილი არ არის საკასაციო პროტესტი.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო გააუქმებს გამამტყუნებელ განაჩენს და შეწყვეტს საქმეს, როდესაც ამისათვის არსებობს კანო-

ნით გათვალისწინებული გარემოებები (დანაშაულის შემთხვევის არარსებობა, ხანდაზმულობის ვადის ვასვლა, საქმის შეწყვეტა პირის თავდებქვეშ გადაცემით და ა. შ.), ან როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილული მტკიცებულებებით არ არის დადასტურებული მსჯავრდებულის მიმართ წაყენებული ბრალდება და ამასთან არ მოიპოვება დამატებითი მტკიცებულებების დადგენის შესაძლებლობა.

საკასაციო წესით საქმის განხილვისას სასამართლოს შეუძლია შეამსუბუქოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი ან გამოიყენოს კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ, მაგრამ მას არა აქვს უფლება გააძლიეროს სასჯელი ან გამოიყენოს კანონი უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ. უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების ან სასჯელის ლმობიერების გამო განაჩენი შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საფუძვლით შეიტანა პროტესტი პროკურორმა ან საჩივარი დაზარალებულმა.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს განაჩენში შეიტანოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დაუდგენელ გარემოებებზე ან უარყოფილ მტკიცებულებებზე დამყარებული ცვლილება.

**პირველი ინსტანციის  
სასამართლოს განჩინებისა  
და მოსამართლის  
დადგენილების  
გასაჩივრება  
და გაპროტესტება**

ფულადი გადასახადის, დაჯარიმების და ახალი პირის მიმართ საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება გაპროტესტდეს პროკურორის მიერ ან გასაჩივრდეს მათ მიერ, ვის მიმართაც ისინია გამოტანილი. ასეთ საჩივრებსა და პროტესტს ეწოდება კერძო საჩივარი და კერძო პროტესტი.

ზოგიერთი სასამართლოს განჩინების და მოსამართლის დადგენილების საკასაციო წესით გასაჩივრება და გაპროტესტება დაუშვებელია. ზოგი განჩინება და დადგენილება კი საკასაციო წესით არ გასაჩივრდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტდეს პროკურორის მიერ. არ გასაჩივრდება და არ გაპროტესტდება, მაგალითად, მოსამარ-

თლის დადგენილება და სასამართლოს განჩინება საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ, სასამართლოს განჩინება საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებრიობის წარმომადგენლის დაშვების შესახებ და ა. შ. საკასაციო წესით არ გასაჩივრდება, მაგრამ პროკურორის მიერ შეიძლება გაპროტესტდეს, სასამართლოს განჩინება სამართალში მიცემის შესახებ, საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ და ა. შ.

სასამართლო-განხილვის დროს გამოტანილი განჩინების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში საქმე საკასაციო ინსტანციაში უნდა გაიგზავნოს ამ საქმეზე განაჩენის დადგენისა და მისი გასაჩივრებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ. კერძო საჩივარი და კერძო პროტესტი საკასაციო ინსტანციაში იხილება იმავე ვადებში და წესით, როგორც გასაჩივრებული ან გაპროტესტებული განაჩენი. ამასთან, ამ საჩივრებსა და პროტესტებს საკასაციო ინსტანცია განიხილავს მხოლოდ იმ ნაწილში და იმ პირების მიმართ, რომელთა გამოც ისინია შეტანილი.

## § 7. განაჩენის აღსრულება

### განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა

განაჩენის აღსრულება შეიძლება მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის საკასაციო გასაჩივრებისა და გაპროტესტების ვადის გასვლის შემდეგ, თუ იგი გასაჩივრებული ან გაპროტესტებული არ ყოფილა. საკასაციო საჩივრის ან საკასაციო პროტესტის შეტანის შემთხვევაში განაჩენი კანონიერ ძალაში შევა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ, თუ, რასაკვირველია, განაჩენი არ გაუქმებულა. თუ საქმეზე რამდენიმე მსჯავრდებულია და განაჩენი გასაჩივრებული და გაპროტესტებულია თუნდაც ერთი რომელიმე მათგანის მიმართ, განაჩენი ყველა მსჯავრდებულის მიმართ კანონიერ ძალაში შევა საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის შემდეგ.

ანალოგიური წესია დადგენილი სასამართლოს განჩინებისა და მოსამართლის დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლისათვის, თუკი მათი საკასაციო წესით გასაჩივრება და გაპროტესტება შეიძლება. სასამართლოს განჩინება და მოსამართლის დადგენილება, რომლის გასაჩივრება და გაპროტესტება არ შეიძლება, ძალაში შედის მისი გამოტანისთანავე.

განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე მსჯავრდებულის ახლო ნათესავეებს და მის მეუღლეს უფლება აქვთ სასამართლოს ნებართვით ინახულონ პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს მსჯავრდებულის ნათესავეებს ან მის მეუღლეს იმის შესახებ, თუ სად იგზავნება მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად.

**განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის წესი** კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს მისი დამდგენი სასამართლო აღსასრულებლად მიაქცევს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ან საკასაციო ინსტანციის მიერ საქმის დაბრუნებიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა. განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ეკისრება სახალხო მოსამართლეს და განაჩენის გამომტანი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც განაჩენის აღსრულების განკარგულებასთან ერთად განაჩენის პირს უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ეკისრება განაჩენის სისრულეში მოყვანა.

ორგანოები, რომლებსაც სისრულეში მოჰყავთ განაჩენი, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ განაჩენის გამომტან სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ.

**განაჩენის აღსრულების გადაღება** იმ განაჩენის აღსრულების გადაღება, რომლითაც მსჯავრდებულს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება ან გამასწორებელი სამუშაოები, შეიძლება შემდეგ შემთხვევაში: ა) მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის გამო, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას—მის გამოჯანმრთელებამდე; ბ) განაჩენის აღსრულების მომენტისათვის მსჯავრდებული ქალის ორსულობის გამო არა უმეტეს ერთი წლით; გ) თუ მსჯავრდებულ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი — ვიდრე ბავშვი მიაღწევს სამი წლის ასაკს; დ) თუ სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მოჰყვეს მსჯავრდებულისათვის ან მისი ოჯახისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგი ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების, მძიმე ავადმყოფობის, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის სიკვდილის ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო — სასამართლოს დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

ჯარიმის გადახდის გადაღება ან განვადება შეიძლება ექვს თვემდე ვადით, თუ მსჯავრდებულის მიერ ჯარიმის დაუყოვნებლივ გადახდა შეუძლებელია.



განაჩენის აღსრულებისას  
წამოჭრილი საკითხების  
გადაწყვეტა  
სასამართლოში

განაჩენის აღსრულების პროცესში წამოჭრილი მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა სასამართლოს განმგებლობას განეკუთვნება. ამ საკითხების განხილვის და გადაწყვეტის კომპეტენცია განსაზღვრულია კანონით.

განაჩენის აღსრულების განვადების, ზანდაზმულობის გამო განაჩენის სისრულეში მოუყვანლობის, ჯარიმისა და გამასწორებელი სამუშაოების სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლის საკითხებს, აგრეთვე ყოველგვარ ექვს და გაურკვევლობას, რაც განაჩენის აღსრულების დროს შეიძლება წამოიჭრას, განიხილავს და გადაწყვეტს განაჩენის გამომტანი სასამართლო. თუ განაჩენის აღსრულება ხდება განაჩენის გამომტანი სასამართლოს სამოქმედო რაიონის გარეთ, აღნიშნულ საკითხებს გადაწყვეტს იმავე სახელწოდების სასამართლო, ხოლო სადაც ასეთი სასამართლო არ არსებობს — ზემდგომი სასამართლო.

საკითხები ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლების, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლება აღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლები აღკვეთის მოსახდელად გაგზავნის, შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულის გაგზავნის, ერთი შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან სხვა სახის რეჟიმის კოლონიაში, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში, შრომა-გასწორების კოლონიიდან საპყრობილეში და საპყრობილიდან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის, აგრეთვე საერთო შრომის სტაჟში კოლონია-დასახლებაში მუშაობის დროის ჩათვლის შესახებ გადაწყდება სახალხო სასამართლოს მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

**განაჩენის აღსრულებასთან  
დაკავშირებული  
საკითხების გადაწყვეტის  
წესი**

განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება და გადაწყდება სასამართლოს მიერ სამსჯავრო სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით. სხდომაზე, როგორც წესი, დაიბარებენ მსჯავრდებულს, ხოლო თუ მან იშუამდგომლა,—მის დამცველსაც. როდესაც გადასაწყვეტია საკითხი მსჯავრდებულის განთავისუფლების შესახებ ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო ან საავადმყოფოში მისი მოთავსების შესახებ, აუცილებელია იმ საქმეში კომისიის წარმომადგენლის დასწრება, რომელმაც მისცა დასკვნა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხდომაზე გამოიძახებენ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს, სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების, აგრეთვე იმ ორგანოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის და შრომითი კოლექტივის წარმომადგენლებს, რომლებიც ახორციელებენ მეთვალყურეობას მსჯავრდებულის ყოფაქცევისადმი და ეწევიან მასთან აღმზრდელობით მუშაობას.

საქმის განხილვა იწყება თავმჯდომარის მოხსენებით, რის შემდეგ სასამართლო მოისმენს სხდომაზე გამოძახებული პირების და პროკურორის დასკვნას. თუ სამსჯავრო სხდომაზე მონაწილეობს მსჯავრდებული, მას მიეცემა საბოლოო სიტყვა. შემდეგ სასამართლო გავა სათათბიროდ და გამოიტანს განჩინებას.

საქმის განხილვა იწყება თავმჯდომარის მოხსენებით, რის შემდეგ სასამართლო მოისმენს სხდომაზე გამოძახებული პირების და პროკურორის დასკვნას. თუ სამსჯავრო სხდომაზე მონაწილეობს მსჯავრდებული, მას მიეცემა საბოლოო სიტყვა. შემდეგ სასამართლო გავა სათათბიროდ და გამოიტანს განჩინებას.

**§ 8. წარმოება საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში**

**ზედამხედველობის წესით  
წარმოების არსი და  
მნიშვნელობა**

საზედამხედველო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია თანამდებობის პირის პროტესტის საფუძველზე მოახდინოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა და მიიღოს ზომები საქმეზე დაშვებული კანონის დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ზედამხედველობის წესით შეიძლება გადაისინჯოს როგორც პირველი ინსტანციის, ისე საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობის წესით პროტესტში

შეტანის უფლება აქვთ ზემდგომ პროკურორს, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათ მოადგილეებს.

ზედამხედველობის წესით წარმოება, ისევე როგორც საკასაციო წარმოება, წარმოადგენს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების გარანტიას, უზრუნველყოფს საქმეზე დაშვებული დარღვევების გასწორებას, პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, საქმის წარმოებისას კანონის მოთხოვნათა სწორად და ერთგვაროვნად გაგებას.

**ზედამხედველობის წესით წარმოების აღძვრის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოში ან პროკურატურის ორგანოში შემოსული საჩივარი, განცხადება ან სხვა შეტყობინება განაჩენის, განჩინების და დადგენილების დადგენისას დაშვებული შეცდომების შესახებ. თუ ამ ორგანოების ხელთ არსებული მასალები ვერ პასუხობენ საჩივრის დასკვნებს, მაშინ უფლებამოსილი პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვენ სისხლის სამართლის საქმეს ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის საკითხის გადასაწყვეტად. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს ზედამხედველობის წესით წარმოების აღძვრას.**

სახალხო სასამართლოდან საქმის გამოთხოვის უფლება აქვთ აგრეთვე რაიონის და ქალაქის პროკურორს, რომლებიც საჭირო შემთხვევაში ზედამხედველობის წესით კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გაპროტესტების შესახებ წარდგინებით მიმართავენ ზემდგომ პროკურორს.

თუ არსებობს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ კანონის აშკარა დარღვევას, ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ საქმის გამოთხოვასთან ერთად არაუმეტეს სამი თვის ვადით შეაჩერონ განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება მათ გაპროტესტებამდე.

თუ გამოთხოვილი საქმის შესწავლის შედეგად არ აღმოჩნდა გაპროტესტების საფუძველი, საზედამხედველო წარმოება შეწყდება, რის შესახებაც ეცნობება დაინტერესებულ პირებს. პროტესტის შეტანის საფუძველის არსებობისას კი საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი საქმეს პროტესტთან ერთად გაგზავნის შესაბამის სასამართლოში განსახილველად. პროტესტის ავტორს უფლება აქვს უკანვე გაითხოვოს იგი საზედამხედველო ინსტანციაში საქმის გან-

ხილვის დაწყებამდე. პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტი შეიძლება უკან გაითხოვოს ზემდგომმა პროკურორმაც.

**საქმის განხილვა  
საზედამხედველო  
ინსტანციის სასამართლოში**

ზედამხედველობის წესით პროტესტის საფუძველზე საქმე განიხილება საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს მიერ არა უგვიანეს ოცი დღისა, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში არა უგვიანეს ერთი თვისა პროტესტით საქმის შემოსვლის დღიდან. საქმის განხილვაში მონაწილეობს პროკურორი. განმარტების მისაცემად სასამართლო სხდომაზე საჭირო შემთხვევაში შეიძლება მოიწვიონ მსჯავრდებულები, გამართლებული, მათი დამცველები, არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები. სხდომაზე მოწვეულ პირებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ პროტესტს.

საქმეს ახსენებს სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი დანიშვნით პრეზიდიუმის წევრი ან სასამართლოს ის წევრი, რომელიც საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა. მომხსენებელი გადმოსცემს საქმის გარემოებებს, პროტესტის შინაარსს და თავის მოსაზრებას საქმის შესახებ. მომხსენებელს შეკითხვები შეიძლება მისცენ სასამართლოს წევრებმა და პროკურორმა. სხდომაზე მოწვეულ პირებს უფლება აქვთ მოხსენების შემდეგ სასამართლოს მისცენ ზეპირი ახსნა-განმარტება. პროკურორი მხარს უჭერს პროკურატურის პროტესტს ან იძლევა დასკვნას სასამართლოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების პროტესტზე, რის შემდეგ სასამართლოს პრეზიდიუმს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლო კოლეგიას განჩინება, რომელიც მიიღება ხმის უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გაიყო, პროტესტი უარყოფილად ითვლება.

საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმა და შინაარსი, უფლებამოსილების ფარგლები, აგრეთვე განაჩენის, განჩინების და დადგენილების გაუქმების და შეცვლის საფუძველი იგივეა, რაც საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით, სასჯელის ლმობიერების ან სხვა საფუძველით, რაც მსჯავრდებულის მდგომარეობას აუარესებს, აგრეთვე გამამართლებელი განაჩენის ან

დადგენილების გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მათი კანონიერ ძალაში შესვლიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეზე მსჯავრდებულია ან გამართლებულია რამდენიმე პირი, სასამართლოს უფლება არა აქვს გააუქმოს განაჩენი, განჩინება ან დადგენილება იმ პირთა შესახებ, რომელთა მიმართ პროტესტი არ არის შეტანილი, თუ კი ეს აუარესებს მათ მდგომარეობას.

### **§ 9. საქმეების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო**

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეების განახლების არსი და მნიშვნელობა**

დადგენილება. მაგრამ თუ ზედამხედველობის წესით გადასინჯვის დროს სასამართლოს გადაწყვეტილებათა უსწორობა ვლინდება თვითონ საქმის მასალებიდან. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველს წარმოადგენს ახალი გარემოებები, რომლებიც ცნობილი არ იყო წინასწარი გამოკვლევის ორგანოებისა და სასამართლოსათვის ან მათ მხრივ ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ ბოროტმოქმედებებს.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეების განახლება წარმოადგენს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების, სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში მონაწილე მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეების განახლება საფუძვლები და ვადები**

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველს წარმოადგენს: ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი მოწმის ჩვენების ან ექსპერტის დასკვნის აშკარა სიყალბე, აგრეთვე სიყალბე სხვა მტკიცებულებისა, რომელიც განაჩენს ან განჩინებას დაედო საფუძვლად; ბ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილი მოსამართლის დანაშაულებრივი ბოროტმოქმედება, რაც მის მიერ დაშვებული იყო ამ საქმის განხილვის დროს; გ) კანონიერ ძალაში შესული განა-

ჩენით დადგენილი დანაშაულებრივი ბოროტმოქმედებანი, ჩადენილი იმ პირთა მიერ, რომლებიც მოკვლევას აწარმოებდნენ საქმეზე და რამაც გამოიწვია დაუსაბუთებელი და უკანონო განაჩენის გამოტანა ან სასამართლოს განჩინების გამოტანა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ; დ) სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის ან განჩინების გამოტანის დროს სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ უფრო მსუბუქი ან კიდევ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, ვიდრე ის დანაშაულია, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ან იმ პირის ბრალეულობას, ვის მიმართაც საქმე შეწყვეტილი იყო.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის, საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინების და დადგენილების გადასინჯვა, აგრეთვე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის, განჩინების და დადგენილების გადასინჯვა სასჯელის სიმსუბუქის ან მსჯავრდებულისადმი უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების საჭიროების მოტივით დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადაში და არა უგვიანეს ერთი წლისა ახალი გარემოებების აღმოჩენიდან. რაც შეეხება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვას მსჯავრდებულის სასარგებლოდ, იგი რაიმე ვადით არ არის შეზღუდული. მსჯავრდებულის სიკვდილიც კი არ დააბრკოლებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებას, თუ ეს კეთდება მსჯავრდებულის რეაბილიტაციისათვის.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების წესი**

მსჯავრდებულის, მისი დამცველის ან ნათესაეებისა და მოქალაქეების განცხადებები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის და თანამდებობის პირთა შეტყობინებანი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაეგზავნება პროკურორს, რომელიც არის ერთადერთი თანამდებობის პირი, ვისაც მინიჭებული აქვს ამ წესით წარმოების ჩატარების უფლება.

კანონში აღნიშნული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას პროკურორი გამოიტანს დადგენილებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის შესახებ და ჩაატარებს გამოძიებას პირადად ან დაავალებს გამომძიებელს. თუ პროკურორი ცნობს, რომ

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრისათვის საფუძველი არ მოიპოვება, თავისი დასაბუთებული დადგენილებით უარს ეტყვის წარმოების აღძვრაზე, რასაც აცნობებს დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ გაასაჩივრონ პროკურორის დადგენილება შემდგომ პროკურორთან.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოძიების დამთავრების შემდეგ პროკურორი, თუ დარწმუნდება, რომ მოიპოვება საკმაო საფუძველი საქმის განახლებისათვის, საქმეს გამოძიების მასალებთან ერთად წარუდგენს შემდგომ პროკურორს, რომელიც წარმოდგენილ მასალასა და საქმეს თავისი დასკვნით გაუგზავნის იმ სასამართლოს შემდგომ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა წესით გადასასინჯი განაჩენი ან განჩინება. თუ შემდგომი პროკურორი ვერ პოვებს საფუძველს საქმის განახლებისათვის, იგი თავისი დასაბუთებული დადგენილებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, რასაც აცნობებს დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ გაასაჩივრონ იგი შემდგომ პროკურორთან.

**ახლად აღმოჩენილ  
გარემოებათა გამო საქმის  
განახლების საკითხის  
სასამართლო განხილვა**

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ საკითხს სასამართლო განიხილავს ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის ანალოგიურად და მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას. ა) გააუქმებს განაჩენს, განჩინებას ან დადგენილებას და საქმეს გადასცემს ახალი გამოძიების ან ახალი სასამართლოს განხილვისათვის; ბ) გააუქმებს განაჩენს, განჩინებას ან დადგენილებას და შეწყვეტს საქმეს; გ) უარყოფს პროკურორის დასკვნას.

მოკვლევა, წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შემდეგ, აგრეთვე სასამართლოს შემდგომი განაჩენის გასაჩივრება წარმოებს საერთო წესით. საქმის ხელახალი განხილვის დროს სასამართლო შებოჭილი არ არის გაუქმებული განაჩენით დადგენილი სასჯელის ზომით.

§ 1. ზოგადი დეკლარაცია

კანონმდებლობა  
სამოქალაქო  
საქმეების წარმოების  
შესახებ

სამოქალაქო სამართალწარმოება (სამოქალაქო სამართლის პროცესი) წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების სისტემას, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გა-

დაწყვეტის წესს, განსაზღვრავს სასამართლოსა და საქმის სხვა მონაწილეთა საქმიანობას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, უზრუნველყოფს მოქალაქეთა და სოციალისტური ორგანიზაციების უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ხელს უწყობს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასა და აღკვეთას, საბჭოთა კანონების პატივისცემის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას.

სამოქალაქო საქმეების წარმოების წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა 1961 წლის 8 დეკემბერს. საფუძვლებით განსაზღვრულია სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანები და პრინციპები, საქმის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, სასამართლო ინსტანციებში საქმის წარმოების ძირითადი საკითხები.

საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წლის 26 დეკემბერს და სამოქმედოდ შემოღებულია 1965 წლის 1 ივლისიდან. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში უფრო დეტალურად არის რეგლამენტირებული სამოქალაქო საქმეების სასამართლოში წარმოების წესი, პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი ურთიერთობანი, საქმის მოძრაობის სტადიები და ა. შ.



## სასამართლოს ქვემდებარე საქმეები

სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულია: ა) სამოქალაქო, საოჯახო, შრომისა და საკოლმეურნეო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავის საქმეები, თუ დავაში ერთი მხარე მაინც მოქალაქე, კოლმეურნეობა, საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები ან მათი გაერთიანებებია; ბ) პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვიდან წარმოშობილი დავის საქმეები; გ) საქმეები, რომლებიც წარმოიშობა ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობებიდან; დ) განსაკუთრებული წარმოების საქმეები.

კანონით დადგენილ შემთხვევაში და წესით სასამართლოები განიხილავენ საჩივრებს თანამდებობის პირთა მოქმედებაზე, აგრეთვე სხვა საქმეებს, რომლებიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

საქმეში მონაწილე პირები, მათი უფლებანი და მოვალეობანი საქმეში მონაწილე პირებია: მხარეები, მესამე პირები, პროკურორი, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეებია: მოსარჩელე და მოპასუხე. მხარეებად შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. მესამე პირები, რომლებიც განაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგნის მიმართ, შეიძლება ჩაბმული იქნენ საქმეში მხარედ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ისინი სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა. პროკურორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით სხვა პირების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად ან ჩაებას საქმეში, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, პროფკავშირებს, სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, სხვა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს განცხადებით სხვა პირების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად.

მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან გაგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, ან უარი თქვას სარჩელზე. მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი. მხარეებს შეუძლათ საქმე დაამთავრონ მორიგებით. ამასთან, სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის უარს სარჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას და არ დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებას და კანონით დაცულ ინტერესებს.

საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები, გადაიღონ პირები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მიიღონ მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, ისარგებლონ კანონით გათვალისწინებულ სხვა საპროცესო უფლებებით.

**წარმომადგენლობა** მოქალაქეს შეუძლია თავისი საქმე სასამართლოში აწარმოოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. იურიდიულ პირთა საქმეებს სასამართლოში აწარმოებენ მათი წარმომადგენლები. სასამართლოში წარმომადგენლებად არ შეიძლება იყვნენ პირები, რომლებსაც სრულწლოვანებისათვის არ მიუღწევიათ ან რომლებიც მეურვეობაში ან მზრუნველობაში იმყოფებიან. არაქმედუნარიან მოქალაქის, აგრეთვე თვრამეტ წელს მიუღწეველ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები.

**აცილება** მოსამართლეს, სახალხო მსაჯულს, პროკურორს, სასამართლოს სხდომის მდივანს, ექსპერტსა და თარჯიმანს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში და აცილებული უნდა იქნენ, თუ ისინი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული არიან საქმის შედეგით ან არის სხვა გარემოებანი, რომლებიც ექვს იწვევენ მათ მიუდგომლობაში. მოსამართლე ან სახალხო მსაჯული არ შეიძლება მონაწილეობდეს მოწმედ, ექსპერტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად, პროკურორად ან სასამართლოს სხდომის მდივანად ან თუ ის მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების ან მათი წარმომადგენლების

ნათესავია. სასამართლოს შემადგენლობაში, რომელიც საქმეს იხილავს, არ შეიძლება შედიოდნენ ერთმანეთის ნათესავები.

### მტკიცებულებები

სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებები ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით სასამართლო ადგენს იმ გარემოებათა არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებელს, აგრეთვე სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი მტკიცებულებებით, ნივთიერი მტკიცებებით და ექსპერტთა დასკვნებით. სხვა წყაროდან მიღებული მონაცემები არ წარმოადგენს მტკიცებულებას.

მხარეების და მესამე პირების ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებს, წერილობით მტკიცებულებებს და სხვა საშუალებებს მტკიცებითი მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც ისინი შეიცავენ ფაქტობრივ მონაცემებს, ცნობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ.

საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს მტკიცების გარკვეული საშუალებებით, არ შეიძლება დადასტურდეს მტკიცების არავითარი სხვა საშუალებით.

სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მტკიცებულებათა წარდგენის მოვალეობა მხარეებს ეკისრებათ. თვითუღმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მტკიცებულებებს წარადგენენ მხარეები და საქმეში მონაწილე სხვა პირები. თუ წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის, სასამართლო წინადადებას აძლევს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებანი ან კრებს მათ თავისი ინიციატივით.

საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს ისეთებიც, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ, კერძოდ, ფაქტებს, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს, მტკიცება არ სჭირდება. ასევე, ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს ხელახალი მტკიცება არ სჭირდება სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე

პირები მონაწილეობენ. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენს, იგი სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი მხოლოდ იმ საკითხებზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ამ მოქმედებას და ჩაიდინა თუ არა იგი ამ პირმა.

ისევე როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში სამოქალაქო საქმეების განხილვის დროსაც სასამართლო, ხელმძღვანელობს რა კანონითა და სოციალისტური მართლშეგნებით, მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება სასამართლო სხდომაზე საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში.

**განსჯადობა** სასამართლოს ქვემდებარე საქმეებს იხილავენ სახალხო სასამართლოები.

ზემდგომ სასამართლოებს უფლება აქვთ ჩამოართვან სახალხო სასამართლოებს საქმე და მიიღონ თავიანთ წარმოებაში, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებმა.

ტერიტორიული მიზნით სასარჩელო განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იმ მოპასუხის მიმართ, რომლის საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის, შეიძლება წარედგინოს სასამართლოს მოპასუხის ქონების სამყოფელი ადგილის მიხედვით ან მისი უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სარჩელი ალიმენტის გადახდევინებისა და მამობის დადგენის შესახებ მოსარჩელემ შეიძლება წარადგინოს აგრეთვე თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთივე წესით შეიძლება წარედგინოს სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოწვეულია დასახიჩრებით და მარჩენალის სიკვდილთ.

მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ განსახილველი საქმის ტერიტორიული განსჯადობა.

## § 2. ს ა რ ჩ ე ლ ი

თოს სასამართლოს დარღვეული ან სადაო უფლების, ან კანონით და-  
ცული ინტერესების დასაცავად. სამართლებრივი დავის განხილვის-  
და გადაწყვეტის მოთხოვნით დაინტერესებული პირის სასამართლო-  
სათვის მიმართვას სარჩელი ეწოდება.

სასარჩელო განცხადება სასამართლოში შეტანილი უნდა იქნეს  
წერილობით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს სასამართლოს დასა-  
ხელება, მოსარჩელის ვინაობა, მოპასუხის ვინაობა და მათი საცხოვ-  
რებელი ადგილი, გარემოებები, რაზედაც მოსარჩელე ამყარებს თა-  
ვის მოთხოვნებს და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ზო-  
სარჩელის მოთხოვნა. სარჩელის ფასი და სასარჩელო განცხადები-  
სათვის დართული საბუთების ნუსხა.

სასარჩელო განცხადების მიღების საკითხს მოსამართლე  
წყვეტს ერთპროცენტულად. მოსამართლე განცხადებას არ მიიღებს  
იმ შემთხვევაში, როდესაც: განცხადება არ წარმოადგენს სასამართ-  
ლოს განხილვის საგანს, განცხადება შეიტანა არაქმედუნარიანმა  
პირმა, საქმე არ არის ამ სასამართლოს განსჯადი, დაინტერესებული  
პირის მიერ დაცული არ არის ამ კატეგორიის საქმისათვის დავის  
სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის წესი და ა. შ.

განცხადების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლე  
გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას, სადაც მიუთითებს, რომელ  
ორგანოს უნდა მიმართოს განმცხადებელმა ან როგორ უნდა იქნეს  
აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი სხვა გარემოებანი.  
განჩინება ჩაბარდება განმცხადებელს და დაუბრუნდება მის მიერ  
შემოტანილი საბუთები.

თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სასარჩელო განცხადება შე-  
ტანილია კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად ან სახელმწიფო  
ბაჟი არ არის გადახდილი, თავისი განჩინებით განცხადებას არ მის-  
ცემს მსვლელობას, რასაც აცნობებს მოსარჩელეს და მისცემს ვადას  
ხარვეზების შევსებისათვის.

**შეგებებული სარჩელი** მოპასუხეს უფლება აქვს გადაწყვეტი-  
ლების გამოსატანად სათათბირო ოთახ-  
ში სასამართლოს ვასვლამდე მოსარჩელის მიმართ წარადგინოს შე-  
გებებული სარჩელი განსახილველად. შეგებებული სარჩელი მიღე-  
ბული უნდა იქნეს: ა) თუ შეგებებული მოთხოვნა მიმართულია პირ-  
ველად მოთხოვნის ჩასათვლელად; ბ) თუ შეგებებული სარჩელის  
დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდე-  
ლი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; გ) თუ შეგებე-

ბულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვია შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული საერთო წესების შესაბამისად, ე. ი. მოპასუხის მიერ სასარჩელო განცხადების შეტანის ყველა რეკვიზიტის დაცვით და სახელმწიფო ბაჟის გადახდით.

### სარჩელის უზრუნველყოფა

სასამართლოს, ან მოსამართლეს საქმეში მონაწილე პირთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია მიიღოს ღონისძიებები სარჩელის უზრუნველყოფისათვის თუ მიიჩნევს, რომ ამ ღონისძიებათა გარეშე შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებია: ა) ყადაღის დადება ქონებაზე ან ფულად სახსრებზე; ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; გ) სხვა პირებისათვის აკრძალვა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება, არ შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება; დ) ქონების რეალიზაციისა და სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება.

განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს საქმის განმხილველი სასამართლო ან მოსამართლე იმავე დღესა და გადასცემს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## § 8. სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო განხილვისათვის

### სასამართლო განხილვისათვის საქმეების მომზადების მნიშვნელობა

განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე ამზადებს საქმეს სასამართლო განხილვისათვის. პროცესის ამ სტადიის მიზანია საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფა. საქმის სასამართლო განხილვისათვის სათანადოდ მომზადება წარმოადგენს იმის მნიშვნელოვან გარანტიას, რომ სასამართლო განხილვა ჩატარდეს დაუბრკოლებლად, სრულად და ყოველმხრივად იქნეს გამოკვლეული მტკიცებულებები, დადგინდეს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, არ მოხდეს პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევა. სამოქალაქო საქმეების განხილვის გაჭიანურება და უსწორო გადაწყვეტა, როგორც წესი, სასამართლო განხილვისათვის

მათი ცული მომზადების შედეგია. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეების განხილვისას პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია, რომ მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს საქმეთა სასამართლო განხილვისათვის სათანადოდ მომზადება, რაც წარმოადგენს მათი დროულად და სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირითად პირობას.

**სასამართლო  
განხილვისათვის საქმეების  
მომზადების წესი**

სასამართლო განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლე ერთპიროვნულად შეასრულებს შემდეგ მოქმედებას: ა) გამოკითხავს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნათა არსის შესახებ, საჭირო შემთხვევაში წინადადებას აძლევს წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, განუმარტავს საპროცესო უფლებებზე და მოვალეობებს, ბ) აუცილებელ შემთხვევებში დაიბარებს მოპასუხეს, განუმარტავს უფლებებსა და მოვალეობებს, გამოარკვევს, თუ რა შესაგებელი აქვს სარჩელის წინააღმდეგ და რა მტკიცებებით შეიძლება მისი დადასტურება: გ) გადაწყვეტს საკითხს საქმეში თანამონაწილეებისა და მესამე პირების ჩაბმის ან დაშვების შესახებ და გამოკითხავს მათ; დ) გადაწყვეტს საკითხს საქმეში პროკურორის მონაწილეობისა და სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოს ჩაბმის, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლების სასამართლო განხილვაში მონაწილეობისათვის დაშვების შესახებ; ე) საქმის შედეგით დაინტერესებულ ორგანიზაციებზე და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებიც საქმეში არ არიან ჩაბმული, აცნობებს საქმის შესახებ და მისი გარჩევის დროს; ვ) გადაწყვეტს სასამართლო სხდომაზე მოწმეთა დაბარების ან მათი ადგილზე დაკითხვის საკითხს; ზ) გამოითხოვს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს ან მისცემს საქმეში მონაწილე პირებს მიმართვას, რომ მიიღონ ეს საბუთების სასამართლოში წარსადგენად; თ) გადაწყვეტს საკითხს ექსპერტიზის ჩატარების შესახებ; ი) გადაუდებელ შემთხვევებში საქმეში მონაწილე პირების შეტყობინებით მოახდენს ადგილზე დათვალიერებას; კ) სხვა სასამართლოებს უგზავნის სასამართლო დავალებებს და ა. შ.

მოსამართლე, ცნობს რა საქმეს საკმაოდ მომზადებულად, ერთპიროვნულად გამოიტანს განჩინებას სასამართლო სხდომაზე მისი

განხილვის დანიშვნის შესახებ. ამ განჩინებით აღნიშნული საკითხების გარდა უნდა განისაზღვროს აგრეთვე სასამართლო სხდომის დრო და ადგილი, გადაწყდეს საქმის გამსვლელ სესიაზე განხილვის მიზანშეწონილობის საკითხი.

სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვამდე მოსამართლემ უნდა გააცნოს სახალხო მსაჯულებს საქმის მასალები და შესაბამისი ნორმატიული აქტები.

#### § 4. სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვა

სასამართლო განხილვის მნიშვნელობა სასამართლო განხილვა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის პროცესის ძირითად სტადიას. პროცესის ამ სტადიაზე სრულად ხორციელდება საბჭოთა მართლმსაჯულების პრინციპები და ამოცანები, მტკიცებულებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე დგინდება საქმის ფაქტობრივი გარემოებები; და მხარეთა ურთიერთობები, არსებითად წყდება წამოჭრილი დავა.

სასამართლო განხილვის წარმატებით ჩატარება დიდად არის დამოკიდებული სასამართლოს შემადგენლობაზე, სახალხო მსაჯულებზე და თავმჯდომარეზე, რომელიც ხელმძღვანელობს სასამართლო სხდომას, უზრუნველყოფს საქმის ყველა გარემოებათა სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვას, ქეშმარიტების დადგენას და სასამართლო პროცესის აღმზრდელობით ზემოქმედებას.

სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილი საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს სასამართლოს შემადგენლობა შემოდის სხდომის დარბაზში. მოსამართლეთა შემოსვლისას სხდომის დამსწრე ყველა პირი ფეხზე დგება. თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს რომელი საქმე იქნება განხილული. შემდეგ სასამართლოს სხდომის მდივანი მოახსენებს სასამართლოს, თუ ვინ გამოცხადდა განსახილველ საქმეზე გამოწვეულ პირთაგან, ჩაბარდათ თუ არა უწყებები გამოუცხადებელ პირებს და რა არის ცნობილი მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სასამართლო ადგენს გამოცხადებულთა ვინაობას, აგრეთვე შეამოწმებს თანამდებობის პირთა და წარმომადგენელ-



თა უფლებამოსილებას. მოწმეთა ვინაობა დგინდება უშუალოდ მათ დაკითხვის წინ. თუ საქმეში თარჯიმანი მონაწილეობს თავმჯდომარე განუმარტავს მას მოვალეობებს და გააფრთხილებს არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

გამოცხადებულ მოწმეებს გაიყვანენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს პროკურორად, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის წარმომადგენლად. ექსპერტად, თარჯიმნად, სასამართლო სხდომის მდივნად, განუმარტავს საქმეში მონაწილე პირებს მათ საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს, სასამართლო განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და შუამდგომლობებს, გაარკვევს პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობის მიზეზებს და გადაწყვეტს საკითხს მათ გარეშე საქმის განხილვის შესაძლებლობის შესახებ.

#### **საქმის არსებითად განხილვა**

საქმის არსებითად განხილვა იწყება თავმჯდომარის ან სახალხო მსაჯულის მიერ საქმის მოხსენებით. შემდეგ თავმჯდომარე გამოიკითხავს, უკერს თუ არა მოსარჩელე მხარს თავის მოთხოვნებს, ცნობს თუ არა მოპასუხე მოსარჩელის მოთხოვნებს და სურთ თუ არა მათ საქმის დამთავრება მორიგებით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, ხოლო თუ ასეთი მორიგება არ მოხდა, საქმის წარმოება გაგრძელდება, სასამართლო მოისმენს საქმეში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს და განსაზღვრავს მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს.

თავმჯდომარე მოწმის დაკითხვამდე ადგენს მის ვინაობას და ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და შეგნებულად ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, არკვევს აგრეთვე მის დამოკიდებულებას საქმეში მონაწილე პირებთან და წინადადებას აძლევს, აცნობოს სასამართლოს ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილია საქმის შესახებ. ამის შემდეგ მოწმეს შეკითხვებს აძლევენ საქმეში მონაწილე პირები. მოსამართლეს და სახალხო მსაჯულებს შეუძლიათ შეკითხვები მისცენ მოწმეს დაკითხვის ყოველ მომენტში. აუცილებელ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მეორედ დაკითხოს მოწმე, აგრეთვე მოახდინოს მოწმეთა დაპირისპირება მათ ჩვენებაში წინააღმდეგობათა გარკვევისათვის.

არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვას ესწრება პედაგოგი და კანონიერი წარმომადგენელი.

წერილობითი მტკიცებულებები გამოქვეყნების შემდეგ, აგრეთვე ნივთიერი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ დათვალიერების შემდეგ წარედგინება საქმეში მონაწილე პირებს, წარმომადგენლებს, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში — ექსპერტებსა და მოწმეებს.

იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა წარდგენა სასამართლოში შეუძლებელია, ხდება მათ სამყოფელ ადგილზე.

ექსპერტის დასკვნა ქვეყნდება სასამართლო სხდომაზე. დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები. დასკვნის არასრულის ან გაურკვეველობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა.

ყველა მტკიცების განხილვის, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დასკვნებისა და საქმეში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების აზრის მოსმენის შემდეგ თავმჯდომარე შესაძლებლობას აძლევს საქმეში მონაწილეებს შეავსონ საქმის მასალები, ხოლო შემდეგ დამთავრებულად აცხადებს საქმის გამოკვლევას და გადადის სასამართლო კამათზე.

### სასამართლო კამათი

სასამართლო კამათი შედგება საქმეში მონაწილე პირთა და წარმომადგენელთა

სიტყვებისაგან. პირველად გამოდიან მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, შემდეგ — მოპასუშე და მისი წარმომადგენელი. მესამე პირი, რომელმაც განაცხადა დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა და მისი წარმომადგენელი გამოდიან მხარეების შემდეგ, ხოლო მესამე პირი, რომელსაც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა არ განუცხადებია და მისი წარმომადგენელი გამოდიან იმ მოსარჩელის ან მოპასუხის შემდეგ, რომლის მხარეზეც ისინი მონაწილეობენ. პროკურორი, ორგანიზაციათა წარმომადგენლები და მოქალაქენი, რომლებმაც სარჩელი აღძრეს სხვა მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, სასამართლო კამათში გამოდიან პირველნი. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების რწმუნებულები კამათში გამოდიან მხარეებისა და მესამე პირების შემდეგ, ხოლო სულ ბოლოს კამათში გამოდიან პროცესში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

კამათის ყველა მონაწილის გამოსვლის შემდეგ თვითვე მათგანს შეუძლია ხელმეორედ გამოვიდეს რეპლიკით წარმოთქმულ სიტყვებთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ეკუთვნის მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. საქმის არსის შესახებ დასკვნას საქმეში მონაწილე პროკურორი იძლევა სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ.

სასამართლო კამათის მონაწილეებს და დასკვნის მიმცემ პროკურორს შეუძლიათ თავიანთ გამოსვლებში მიუთითონ მხოლოდ ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც სასამართლო სხდომაზე იყო გამოკვლეული. ამ გამოკვლევაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განხილვის განახლების შესახებ.

**გადაწყვეტილების  
გამოტანა და გამოცხადება** სასამართლო კამათის და პროკურორის დასკვნის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების დასადგენად. სათათბირო ოთახში იმყოფებიან მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლე და სახალხო მსაჯულები, რომლებიც ყველა საკითხს წყვეტენ ხმების უმრავლესობით. ამასთან, მათ უფლება არა აქვთ გაახმაურონ მსჯელობა, რასაც ადგილი ჰქონდა თათბირის დროს.

სათათბირო ოთახში სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს და კანონს, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ამ დავის გადაწყვეტისას, წყვეტს საკითხს სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. გადაწყვეტილებაა წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბებს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი სახალხო მსაჯული და ხელს აწერს ყველა მოსამართლე, მათ შორის, ისიც, ვინც განსაკუთრებულ აზრზე დარჩა.

გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. შესავალ ნაწილში აღინიშნება გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი. სასამართლოს შემადგენლობა, მხარეები და პროცესის სხვა მონაწილენი, დავის საგანი. აღწერილობითი ნაწილი შეიცავს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნაზე, მოპასუხის შესაგებელსა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა ახსნა-განმარტებაზე. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებები. რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, კანონი, რომლითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო. გადაწყვეტილების სა-

რეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების, გადაწყვეტილების გასაჩივრების და გაპროტესტების ვადისა და წესის შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული, უნდა ემყარებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განხილული იქნა სასამართლო სხდომაზე.

გადაწყვეტილება საქმის განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. გამონაკლის შემთხვევაში, განსაკუთრებით რთულ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გადაიდოს ვადით არა უმეტეს სამი დღისა, მაგრამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სასამართლომ უნდა გამოაცხადოს იმავე სხდომაზე, რომელზედაც დამთავრდა საქმის განხილვა.

გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერის შემდეგ სასამართლო ბრუბდება სხდომის დარბაზში, სადაც თავმჯდომარე ან სახალხო მსაჯული აცხადებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, განმარტავს გადაწყვეტილების შინაარსს, იმის გასაჩივრების წესსა და დროს.

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ სასამართლოს უფლება არა აქვს თვითონ გააუქმოს ან შეცვალოს იგი. მაგრამ მას შეუძლია თავისი ინიციატივით ან საქმეში მონაწილე პირების განცხადებით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. ასეთ შესწორებათა შეტანის საკითხი წყდება სასამართლო სხდომაზე. იმავე წესით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ საქმის მონაწილეთა რომელიმე მოთხოვნის გამო გადაწყვეტილება არ ყოფილა გამოტანილი ან სასამართლომ უფლების საკითხის გადაწყვეტისას არ მიუთითა დასახელებული თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს, აგრეთვე თუ სასამართლომ არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი.

საქმის სასამართლო განხილვა ყოველთვის არ მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ან შეწყვიტოს საქმის წარმოება, აგრეთვე განუხილველად დატოვოს განცხადება.

სამოქალაქო საქმის განხილვის დროს ცალკეული თანადებობის პირების ან მოქალაქეების მიერ კანონიერების და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანე-

ბების აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება. თუ საქმის განხილვისას სასამართლო აღმოაჩენს დანაშაულის ნიშნებს, ამას აცნობებს პროკურორს ან აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს.

### გადაწყვეტილების აღსრულება

გადაწყვეტილება აღსრულება კანონიერ ძალაში მისი შესვლის შემდეგ, გარდა დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევებისა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის საკასაციო გასაჩივრებისა და გაპროტესტების ვადის გასვლის შემდეგ, თუ იგი არ იყო გასაჩივრებული ან გაპროტესტებული. საკასაციო საჩივრის ან საკანსაციო პროტესტის შეტანის შემთხვევაში გადაწყვეტილება, თუ იგი არ გაუქმებულა, კანონიერ ძალაში შედის ზემდგომ სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ მისი გამოცხადებისთანავე. დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილებები: ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ; ბ) მუშის ან მოსამსახურისათვის არა უმეტეს ერთი თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ; გ) კოლმეურნისათვის არა უმეტეს ერთი თვის საშუალო გამომუშავების შესახებ; დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილება: ა) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად გადასახდელის დაკისრების შესახებ; ბ) იმ გასამრჯელოს გადახდევინების შესახებ, რაც ერგება ავტორს, აღმოჩენის ავტორს, გამომგონებელს და რაციონალიზატორული წინადადების ავტორს. თავიანთი საავტორო უფლებისათვის; გ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გადახდევინების მნიშვნელოვანი ზარალი ან გადაწყვეტილები<sup>1</sup> აღსრულების შეუსრულებლობა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვების საკითხი განიხილება სასამართლო სხდომაზე.

საქმის განმხილველ სასამართლოს უფლება აქვს საქმეში მონაწილე პირთა განცხადებით, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით გადადოს ან გადაწყვიტოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულებ-

ბის საშუალება და წესი. აღნიშნული განცხადება განიხილება სასამართლო სხდომაზე.

**§ 5. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება**

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ ზოგიერთ საქმეს სასამართლო იხილავს. ეს საქმეებია: ა) ამომრჩეველთა სიებში უსწორობის შესახებ; ბ) საჩივრები აღმ-

ნისტრაციული ორგანოების მოქმედებათა შესახებ ჯარიმების დადებისთან დაკავშირებით და სხვა საქმეები, რომლებიც კანონით სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება; გ) მოქალაქეებისათვის გადასახადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ.

აღნიშნული საქმეები სასამართლოს მიერ განიხილება კოლეგიულურად სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. განიხილება ხდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესით, ოღონდ იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რაც სპეციალურად ამ კატეგორიის საქმეებისთვისაა დადგენილი.

**საჩივრები ამომრჩეველთა სიებში უსწორობის შესახებ** მოქალაქეს, რომელიც არ ეთანხმება სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას მისი განცხადების გამო სიაში დაშვებული უსწორობი.

საკითხებზე, შეუძლია საჩივრით მიმართოს სასამართლოს საარჩევნო უბნის სამყოფელი ადგილის მიხედვით. სასამართლო საჩივარს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და განცხადება არ დააკმაყოფილა.

საჩივარი სასამართლომ უნდა განიხილოს არაუგვიანეს სამი დღისა მისი შეტანის დღიდან. საქმე განიხილება განმცხადებლისა და საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით. პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ამომრჩეველთა სიაში უსწორობა, დაუყოვნებლივ ეგზავნება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ამომრჩეველთა სიაში შესწორების შესატანად.

**საჩივრები  
ადმინისტრაციული  
ორგანოების ან  
თანამდებობის პირების  
მოქმედებაზე**

აქვს დადგენილების ჩაბარების დღიდან ათი დღის განმავლობაში გაასაჩივროს იგი სასამართლოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საჩივრის შეტანა შეაჩერებს ადმინისტრაციული წესით გადახდევინებას.

სასამართლო საჩივარს განიხილავს ათი დღის ვადაში. განმცხადებელს და ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირს აუწყებენ სხდომის დროსა და ადგილს. სასამართლო სასამართლო სხდომაზე შეამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედების კანონიერებას, საქმის ფაქტიურ გარემოებებს და მიიღებს გადაწყვეტილებას.

დაადგენს რა ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილების უკანონობას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მისი გაუქმებისა და საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლოს შეუძლია შეამციროს დადებული ჯარიმის თანხა, თუ იგი აღემატება კანონით დადგენილ ოდენობას ან დადებულია დარღვევის სიმძიმის, ბრალეულის პიროვნებისა და მისი ქონებრივი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. თუ ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება კანონიერია, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტდეს ზედამხედველობის წესით.

**საქმეები  
მოქალაქეებისათვის  
გადასახადების, სოფლის  
მოსახლეობის  
თვითდაბეგვრის და  
სახელმწიფო სავალდებულო  
დაზღვევის ნარჩენების  
გადახდევინების შესახებ**

მოქალაქეს ან თანამდებობის პირს, რომლის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მიღებულია დადგენილება დაჯარიმების ან გადასახდელის ადმინისტრაციული წესით გადახდევინების შესახებ, უფლება

აქვს დადგენილების ჩაბარების დღიდან ათი დღის განმავლობაში გაასაჩივროს იგი სასამართლოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საჩივრის შეტანა შეაჩერებს ადმინისტრაციული წესით გადახდევინებას.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტდეს ზედამხედველობის წესით.

მოქალაქეებისათვის გადასახადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ განცხადებას სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება ან სახალხო დეპუტატთა სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ან სა-

ხელმწიფო დაზღვევის ორგანო შეიტანს სასამართლოში მენარჩენის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასამართლო განიხილავს განცხადებას და დაადგენს გადაწყვეტილებას. თუ სასამართლო დაადგენს, რომ გადასახადის გადახდე-  
ქონების მოთხოვნა უკანონოა, იგი უარს ეტყვის განმცხადებელს მო-  
თხოვნის დაკმაყოფილებაზე. თუ მოთხოვნა კანონიერია სასამართ-  
ლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მენარჩენისაგან ქონების ჩამორ-  
თმევის შესახებ. თუ ქონების აღწერის აქტში შეტანილია ქონებ, რომელიდანაც კანონით არ შეიძლება გადახდევინება, სასამართლო ამ ქონებას ათავისუფლებს ყადაღისაგან.

### § 6. განსაკუთრებული წარმოება

**განსაკუთრებული წარმოების ცნება** მთელი რიგი სამოქალაქო საქმეები იხილება განსაკუთრებული წარმოების წესით. ეს საქმეებია: იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის, მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად აღიარების და მოქალაქის გარდაცვალებულად გამოცხადების, სულთ ავადმყოფობის ან ჰეუსუსტობის გამო არაქმედუნარიანად აღიარების, დაკარგულ საწარმომადგენლო საბუთზე უფლების აღ-  
დგენის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნებში ჩანა-  
წერის უსწორობის დადგენის შესახებ და ა. შ.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებისათვის ნიშანდობლივია უფ-  
ლებაზე დავის არარსებობა. რაკი უფლებაზე დავა არ არსებობს მათი სასამართლო წარმოებისას არ არსებობს მხარეებიც. პირს, რომელიც განსაკუთრებული წარმოების წესით აღძრავს საქმეს, ეწოდება განმცხადებელი. სარჩელისაგან განსხვავებით განცხადება მიმართული არ არის კონკრეტულად რომელიმე პირის ან ორგანიზაციის წინააღმდეგ. ის, ვისაც განსაკუთრებული წარმოების გადაწყვეტა შეიძლება შეეხოს, საქმეში მონაწილეობს, როგორც დაინტერესებული პირი. თუ განსაკუთრებული წარმოების წესით საქმეების განხილვისას წამოიჭრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლოებს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

განსაკუთრებული წარმოების საქმეებს სასამართლო განიხი-



ლავს საერთო წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რაც დადგენილია კანონით ამ კატეგორიის საქმეების წარმოებისათვის.

**იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა**

იურიდიული მნიშვნელობისაა ისეთი ფაქტები, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარ-

მოშობა, შეცვლა ან მოსპობა. იურიდიული მნიშვნელობისაა, მაგალითად, დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის ფაქტები, მემკვიდრეობის მიღების ფაქტი, უბედური შემთხვევის ფაქტი და ა. შ.

სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს აღგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონი არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს და თუ შეუძლებელია ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთის სხვა წესით მიღება ან აღდგენა.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გარდა საკუთრების უფლებით შენობის ფლობის ფაქტისა, რომლის შესახებ განცხადება შეიტანება შენობის სამყოფელი ადგილის მიხედვით.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე მითითებული უნდა იყოს იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთის მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას.

კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც რეგისტრირებული უნდა იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში ან გაფორმდეს სხვა ორგანოში, წარმოადგენს საფუძველს ასეთი რეგისტრაციისა და გაფორმებისათვის, მაგრამ ვერ შეცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ დოკუმენტს.

**მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება**

განცხადებაში მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად აღიარების ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს აღნიშნული ფაქტების დადგენა, აგრეთვე საქმის

კონკრეტული გარემოებანი, რომლებითაც დასტურდება მოქალაქის უკვალოდ დაკარგვა ან დაღუპვა.

სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადებისას მოსამართლე გამოარკვევს, ვის შეუძლია დაკარგულის შესახებ ცნობების მიწოდება, აგრეთვე გამოითხოვს მის შესახებ ცნობებს სათანადო ორგანიზაციებიდან. ამ კატეგორიის საქმის განხილვაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

მოქალაქე შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადებული იქნეს გარდაცვლილად, თუ მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას სამი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ, ხოლო თუ იგი დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირდეს ექვს თვემდე. იგივე წესით მოქალაქე შეიძლება ცნობილი იქნეს უკვალოდ დაკარგულად, თუ ერთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

უკვალოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან სამყოფელი ადგილის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით გააუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას.

სულით ავადმყოფობის ან  
ჰკუხასუხტობის გამო  
მოქალაქის  
არაქმედუნარიანად  
აღიარება

საქმე სულით ავადმყოფობის ან ჰკუხასუხტობის გამო მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ შეიძლება დაიწყოს მისი ოჯახის რომელიმე წევრის, აგრეთვე პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების,

პროკურორის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულების განცხადებით. განცხადება შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში ამ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იგი მოთავსებულია სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ ამ დაწესებულების სამყოფელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს გარემოებანი, რომლებიც მიუთითებს მოქალაქის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რის შედეგად მას არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მხიშვნელობა ან გახაგოს ის.

საჭირო შემთხვევებში აღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვისათვის მომზადების წესით, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

საქმეს მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს პროკურორის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

**უფლების აღდგენა  
დაკარგულ საწარმდგენლო  
საბუთზე**

ბის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში შეიძლება მათზე უფლების აღდგენა განსაკუთრებული წარმოების წესით. სხვა ფასიანი ქაღალდების დაკარგვის შემთხვევაში უფლების დაცვა ხორციელდება საერთო წესით.

განცხადება დაკარგული საწარმდგენლო საბუთის ბათილად ცნობის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში საბუთის გამცემი დაწესებულების სამყოფელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს დაკარგული საბუთის განმასხვავებელი ნიშნები, საბუთის გამცემი დაწესებულების სახელწოდება და რა გარემოებაში დაიკარგა საბუთი.

მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს განჩინებას საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ ვაზეთში პუბლიკაციის შესახებ. საქმეს დაკარგული საბუთის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ. განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად ცნობს დაკარგულ საბუთს. ეს გადაწყვეტილება უფლებას აძლევს განმცხადებელს მიიღოს ანაბარი ან ბათილად ცნობილი საბუთის ნაცვლად ახალი საბუთი.

**მოქალაქეობრივი  
მდგომარეობის აქტების  
ჩანაწერთა უსწორობის  
აღდგენა**

ცხადებაში უნდა აღინიშნოს თუ რაში მდგომარეობს ჩანაწერის უსწორობა, რომელმა ორგანომ და როდის არ დააკმაყოფილა თხოვნა ჩანაწერის გასწორების შესახებ.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროს მიერ გაცემული საწარმდგენლო საანაბრო წიგნაკის ან სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შესანახად მიღების

შემნახველი სალაროს მიერ გაცემული საწარმდგენლო საანაბრო წიგნაკის ან სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შესანახად მიღების

შემნახველი სალაროს მიერ გაცემული საწარმდგენლო საბუთის ბათილად ცნობის შესახებ

განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა უსწორობის დადგენის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს თუ რაში მდგომარეობს ჩანაწერის უსწორობა, რომელმა ორგანომ და როდის არ დააკმაყოფილა თხოვნა ჩანაწერის გასწორების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია ჩანაწერის უსწორობა, წარმოადგენს საფუძველს ასეთი ჩანაწერის გასასწორებლად მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მიერ.

**ხაჩივარი ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოების მოქმედებაზე**

სამართლოში სანოტარო კანტორის ადგილსამყოფელის მიხედვით. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ათი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა სანოტარო მოქმედების შესრულება ან მის შესრულებაზე უარის თქმა.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილებულია განმცხადებლის მოთხოვნა, აუქმებს შესრულებულ სანოტარო მოქმედებას ან სავალდებულოდ ზღის ასეთი მოქმედების შესრულებას.

**ქონების უპატრონოდ ცნობა**

განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სასამართლოში შეიტანენ სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საფინანსო ორგანოები და კოლმეურნეობები ქონების სამყოფელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომელი ქონება უნდა იქნეს ცნობილი უპატრონოდ, აგრეთვე მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ქონების მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობას.

თუ სასამართლო ცნობს, რომ ქონებას არა ჰყავს მესაკუთრე ან მესაკუთრე უცნობია, გამოიტანს გადაწყვეტილებას ქონების უპატრონოდ ცნობისა და სახელმწიფოს ან კოლმეურნეობის საკუთრებად მისი გადაცემის შესახებ.

## § 7. ხაჩის წარმოება საპასპიო ინსტანციად

**სასამართლო გადაწყვეტილების ხაკასაციო განაჩივრების და გაპროტესტების არსი**

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გადაწყვეტილება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა და საქმეში მონაწილე სხვა პირებმა, თუ მიაჩნიათ,

რომ იგი დაუსაბუთებელი ან არაკანონიერია. პროკურორი ვალდებულია გააპროტესტოს სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა მონაწილეობდა თუ არა იგი ამ საქმეში. საკასაციო საჩივრისა და პროტესტის საფუძველზე ზემდგომი სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილების კანონიერებას და დასაბუთებულობას და ასწორებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომებს.

საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში ხელს უწყობს საქმეში მონაწილე პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, კანონების ერთნაირად გაგებას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას.

**საკასაციო გასაჩივრებისა და გაპროტესტების წესი**

საკასაციო საჩივრისა და პროტესტის შეტანა შეიძლება თოთხმეტი დღის განმავლობაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით მიღების დღიდან. საკასაციო საჩივარი და პროტესტი შეიტანება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით.

საკასაციო საჩივარსა და პროტესტში აღინიშნება ზემდგომი სასამართლოს დასახელება, გასაჩივრებული ან გაპროტესტებული გადაწყვეტილება, მოსაზრებები გადაწყვეტილების უსწორობის შესახებ, პროტესტის ავტორის ვინაობა და თხოვნა. საკასაციო საჩივარი ან პროტესტი წარედგინება სასამართლოს იმდენი პირის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

სახალხო მოსამართლე ან სასამართლოს თავმჯდომარე საკასაციო საჩივრის ან პროტესტის მიღების შემდეგ ვალდებულია საქმეში მონაწილეებს გაუგზავნოს მათი პირები, დანიშნოს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის თარიღი, აცნობოს ეს დაინტერესებულ პირებს და გასაჩივრებისა და გაპროტესტებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გადაუგზავნოს საქმე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს.

**საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის წესი**

ზემდგომმა სასამართლომ საკასაციო საჩივრითა და პროტესტით შემოსული საქმე უნდა განიხილოს მისი შემოსვლიდან არა უგვიანეს ათი დღისა. თუ საქმე განსაკუთრებით რთულია ან სხვა გამონაკლის შემთხვევებში შენაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა კიდევ ათ დღემდე. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში საკასაციო საჩივრისა და

პროტესტის განხილვის აღნიშნული ვადები შესაბამისად გადიდებულა ერთ თვემდე.

სხდომის დაწყებამდე საკასაციო საჩივრის შემტან პირს უფლება აქვს უარი თქვას მასზე. მაგრამ სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებებსა და კანონით დადგენილ ინტერესებს. იმავე ვადაში საკასაციო პროტესტის შემტან პროკურორს, აგრეთვე ზემდგომ პროკურორს უფლება აქვთ უკან გაითხოვონ პროტესტი.

საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვა იწყება თავმჯდომარის ან სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით. მომხსენებელი ჩამოაყალიბებს საქმის გარემოებებს, საჩივრის ან პროტესტის მოტივებს და ახლად წარდგენილი მასალების შინაარსს. მოხსენების შემდეგ სასამართლო მოისმენს სხდომაზე გამოცხადებულ საქმეში მონაწილე პირთა და წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებას. პროკურორი დასკვნას იძლევა საქმეში მონაწილე პირების გამოსვლის შემდეგ. ამის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში განჩინების გამოსატანად.

**საკასაციო ინსტანციის  
სასამართლოს  
უფლებამოსილება**

საკასაციო წესით საქმის განხილვისას სასამართლო ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. სასამართლო შეზღუდული არ არის საკასაციო საჩივრისა და პროტესტის მოსაზრებებით და ვალდებულია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, იმ პირთა მიმართაც, რომლებსაც არ შეუტანიათ საჩივარი. ამასთან, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს ან დამტკიცებულად მიიჩნიოს გარემოებანი, რომლებიც არ იყო დადგენილი ან უარყოფილი გადაწყვეტილებით, წინასწარ გადაწყვიტოს საკითხი ამა თუ იმ მტკიცებულების საჩივრების თუ არასაჩივრების შესახებ, ერთი მტკიცებულების უპირატესობის შესახებ სხვა მტკიცებულებასთან შედარებით, აგრეთვე იმის შესახებ, თუ მატერიალური სამართლის რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული და როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი საქმის ხელახალი განხილვის დროს.

სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს: ა) გადაწყვეტილება დატოვოს უცვლელად; ბ) გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და გაგზავნოს საქმე ახალი განხილვისათვის პირველი ინსტან-

ციის სასამართლოში; გ) გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმის წარმოება ან დატოვოს განცხადება განუხილველად; დ) შეცვალოს გადაწყვეტილება ან გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, თუ საქმის ფაქტობრივი ვარაუდებანი დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულად და სწორად, მაგრამ დაშვებულია შეცდომა მატერიალური სამართლის ნორმის გამოყენებაში.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების გასაჩივრება არ შეიძლება და კანონიერ ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, გარდა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს განჩინებისა, შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან ცალკე გასაჩივრონ მხარეებმა და საქმეში მონაწილე სხვა პირებმა, აგრეთვე გააპროტესტოს პროკურორმა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

#### § 8. საქმის წარმოება საზღვარგარეთ ინსტანციაში

##### საზღვარგარეთ წარმოების არსი

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა უნდა გაასწოროს საკასაციო ინსტანციის სასამართ-

ლომ. მაგრამ ზოგჯერ საკასაციო ინსტანციაში არ სწორდება ეს შეცდომა ან, საერთოდ, სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება თუ განჩინება ისე შედის კანონიერ ძალაში, რომ საკასაციო წესით არ საჩივრდება და არ პროტესტდება. ამიტომ აუცილებელი ხდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება და დაშვებული შეცდომის გასწორება.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება შეიძლება გადაისინჯოს სასამართლო ზედამხედველობის წესით საამისოდ უფლებამოსილ თანამდებობის პირთა პროტესტების საფუძველზე. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროტესტის შეტანის უფლებით სარგებლობენ ზემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, აგრეთვე ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები.

##### საზღვარგარეთ წარმოების აღძვრა

ინფორმაცია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინების და დადგენილების უკანონობის შესახებ შეიძ-

ლება მიღებულ იქნეს სხვადასხვა წყაროდან. ასეთი საჩივრები, ბუნებრივია, უფრო ხშირად შემოდის მხარეების და პროცესის სხვა მონაწილეებიდან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი მოთხოვნა სასამართლომ უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ დააკმაყოფილა. სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერმა მოქალაქემ და ორგანიზაციამ. პროტესტის შეტანაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ მათი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვონ შესაბამისი სასამართლოებიდან სამოქალაქო საქმეები, რათა გადაწყვიტონ, არის თუ არა საფუძველი საქმეზე ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანისათვის. მათვე შეუძლიათ შეაჩერონ შესაბამისი გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება ზედამხედველობის წესით საქმის წარმოების დამთავრებამდე. თუ საქმის შესწავლის შედეგად აღმოჩნდება, რომ არ მოიპოვება პროტესტის შეტანის საფუძველი, ამის შესახებ დასაბუთებული პასუხი უნდა გაეგზავნოს იმ პირს, რომელმაც შეიტანა განცხადება ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის თაობაზე, ხოლო პროტესტის შეტანის საფუძველების არსებობისას უფლებამოსილი თანამდებობის პირი შეადგენს პროტესტს და გააგზავნის მას საქმესთან ერთად შესაბამის სასამართლოში.

მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეგზავნებათ მათ საქმეზე შეტანილი პროტესტის პირები. საჭირო შემთხვევაში მათ ეცნობებათ აგრეთვე საქმის განხილვის დრო და ადგილი. სასამართლო საქმის განხილვის დღეს ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ საქმეში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ წარადგინონ პროტესტზე წერილობითი ახსნა-განმარტება და დამატებითი მასალა.

ზედამხედველობის წესით პროტესტის შემტან თანამდებობის პირს უფლება აქვს სასამართლოში საქმის განხილვამდე უკან გამოითხოვოს პროტესტი. პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტი შეიძლება აგრეთვე გამოითხოვოს ზემდგომმა პროკურორმა.

**ზედამხედველობის წესით** ზედამხედველობის წესით პროტესტის  
**საქმის განხილვა** გამო საქმე განიხილება საზედამხედველო ინსტანციის მიერ სასამართლო

სხდომაზე არა უგვიანეს ოცი დღისა პროტესტით საქმის შემოსვლის დღიდან. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვისათვის აღნიშნული ვადა კანონით განსაზღვრულია ერთ თვემდე.

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვაში მონაწილეობს



პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს მის მიერ ან ზემდგომი პროკურორის მიერ შეტანილ პროტესტს ან აძლევს დასკვნას საქმეზე, რომელიც განიხილება სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ შეტანილი პროტესტის გამო. სასამართლოს უფლება აქვს საჭირო შემთხვევაში დაიბაროს სასამართლოს სხდომაზე მხარეები ან მათი წარმომადგენლები.

სხდომას საქმეს მოახსენებს სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი დანიშნით — პრეზიდიუმის წევრი ან სასამართლოს ის წევრი, რომელიც საქმის განხილვაში წინათ არ მონაწილეობდა. მომხსენებელი გადმოსცემს საქმის გარემოებებს, პროტესტის შინაარსს და თავის მოსაზრებებს საქმის შესახებ. თუ სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდნენ მხარეები, მათ შეუძლიათ საქმის მოხსენების შემდეგ სასამართლოს მისცენ ახსნა-განმარტება.

სასამართლოს პრეზიდიუმს და პლენუმს გამოაქვთ დადგენილება, ხოლო სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიას — განჩინება, რომლებიც მიიღება ხმების უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გაიყო, პროტესტი უარყოფილად ითვლება.

**საზედამხედველო  
ინსტანციის სასამართლოს  
უფლებამოსილება**

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვისას სასამართლო საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი მასალების მიხედვით ამოწმებს გადაწყვეტილების,

განჩინების და დადგენილების კანონიერებას და დასაბუთებულობას როგორც გაპროტესტებული, ისე გაუპროტესტებულ ნაწილში, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელნიც აღნიშნული არ არიან პროტესტში. სასამართლო შეზღუდული არ არის პროტესტის მოთხოვნით და ვალდებულია საქმე მთელი მოცულობით შეამოწმოს. ამასთან, სასამართლოს, ისევე როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, უფლება არა აქვს დაადგინოს ან დამტკიცებულად მიიჩნიოს ის გარემოებანი, რომლებიც არ იყო დადგენილი ან უარყოფილი ამ გადაწყვეტილებით, წინასწარ გადაწყვიტოს მტკიცებულებათა სარწმუნობის საკითხი და ა. შ.

ზედამხედველობის წესით საქმის განმხილველ სასამართლოს უფლება აქვს: ა) გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება დატოვოს უცვლელად; ბ) გააუქმოს გადაწყვეტილება ან დადგენილება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმის წარმოება; გ) შეცვალოს გადაწყვეტილება, განჩინება ან დადგენილება ან გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, თუ ფაქტობრივი გარემოებანი

დადგენილია სრულად და სწორად, მაგრამ დაშვებულია შეცდომა ზატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებაში.

### § 8. საქმის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის საფუძველები** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება შეიძლება გადასინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს: ა) არსებითი გარემოებანი, რომლებიც არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისათვის; ბ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, ყალბი საბუთები ან ნივთიერი მტკიცებულებანი, რამაც გამოიწვია უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დადგენა; გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი მხარეთა, საქმეში მონაწილე სხვა პირთა ან მათ წარმომადგენელთა, აგრეთვე მოსამართლეთა დანაშაულებრივი მოქმედება, ჩადენილი ამ საქმის განხილვის დროს; დ) სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების ან სხვა ორგანოს დადგენილების გაუქმება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილების, განჩინების და დადგენილების გამოტანას.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის წესი** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯება ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ. საკსაცო და საზედამხედველო ინსტანციის განჩინება და დადგენილება, რომელმაც შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ან დაადგინა ახალი გადაწყვეტილება, გადასინჯება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც შეცვალა ეს გადაწყვეტილება ან მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვა წარმოებს მხარეთა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა განცხადებით ან პროკურორის წარდგინებით, აგრეთვე, ზემდგომი სასამართლოების

თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების ინიციატივით. განცხადება და წარდგინება შეტანილი უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა იმ გარემოების დადგენის დღიდან, რაც საფუძველს წარმოადგენს გადასინჯვისათვის. ეს ვადა არ ვრცელდება აღნიშნული თანამდებობის პირებზე.

განცხადებას ან წარდგინებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლო განიხილავს სასამართლო სხდომაზე განმცხადებლისა და საქმეში მონაწილე პირებისათვის სხდომის ადგილისა და დროის შეტყობინებით.

განხილვის შედეგად სასამართლო ან დააკმაყოფილებს განცხადებას (წარდგინებას) ან გააუქმებს გადაწყვეტილებას, განჩინებას და დადგენილებას, ანდა უარს იტყვის გადასინჯვაზე. უარის თქმის შესახებ განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესით. გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გაუქმების შემთხვევაში სასამართლო საქმეს განიხილავს კანონით დადგენილი წესების მიხედვით.

§ 1. ზოგადი დებულებანი

**საკანონმდებლო აქტები** სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა წარმოადგენს დანაშაულს და რა სასჯელი უნდა დაენიშნოს მის ჩამდენ პირს. ეს საკითხები მოწესრიგებულია საერთო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. საერთო-საკავშირო კანონებიდან აღსანიშნავია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი აქტები, როგორცაა: სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, კანონი სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და კანონი სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შედგება სისხლის სამართლის კოდექსებისაგან, რომლებიც აგებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად. საფუძვლები, აგრეთვე სხვა საერთო-საკავშირო კანონები, რომლებიც სისხლის სამართლებრივ ნორმებს შეიცავენ, ტექსტუალურად აისახება მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი მიღებულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1960 წლის 30 დეკემბერს, ხოლო სამოქმედოდ შემოღებულია 1961 წლის 1 მარტიდან. კოდექსის მიღების შემდეგ გამოცემული საერთო-საკავშირო და რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონები შეიტანება კოდექსში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან. ზოგად ნაწილში ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანები, მოცემულია დანაშაულის ცნება, განმარტებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები და პირობები, სასჯელის ცნება და სახეები, მათი დანიშვნის პრინციპები. განსაკუთრებულ ნაწილში

აღწერილია კონკრეტული დანაშაულები და განსაზღვრულია სასჯელი მათი ჩადენისათვის.

• სისხლის სამართლის  
კანონის მოქმედების  
ფარგლები

დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე და-

ნაშაულის ჩამდენი პირი პასუხს აგებს ამ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით. კანონის მოქმედების ამ წესს ეწოდება ტერიტორიული პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი გამოხატულებაა. სახელმწიფოებრივ ტერიტორიად ითვლება სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული სახმელეთო ტერიტორია, საჰაერო და სამდინარო სივრცე, სახელმწიფოს აღმით მცურავი გემები და საჰაერო ხომალდები, აგრეთვე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ სხვა სახელმწიფოში დაკავებული ტერიტორია.

დანაშაული სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება, თუ დანაშაულებრივი ქმედობა ამ ტერიტორიაზე დაიწყო, მაგრამ მისი შედეგები განხორციელდა საზღვარგარეთ ან, პირიქით, დანაშაულებრივი ქმედობა საზღვარგარეთაა ჩადენილი, მაგრამ მისი შედეგები განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

თუ დანაშაული დაიწყო ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო გაგრძელდა ან დამთავრდა მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოიყენება ამ მეორე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა. თუ დანაშაული ჩადენილია ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგრამ მისი შედეგი მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადგა, დანაშაულის ჩადენის ადგილად ითვლება ის, სადაც დამნაშავემ ფაქტობრივად განახორციელა დანაშაულებრივი ქმედობა. თუ დანაშაული ჩადენილია თანამონაწილეობით და დანაშაულებრივი საქმიანობა რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა, ყველა თანამონაწილეს შეეფარდება იმ რესპუბლიკის კანონი, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაულის ამსრულებელი მოქმედებდა.

დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი კანონის მიხედვით აგებენ პასუხს როგორც საბჭოთა მოქალაქეები, ისე უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები. ამ წესიდან საბჭოთა სისხლის სა-

მართლის კანონმდებლობა უშვებს გამონაკლისს იმ პირებისათვის, რომლებიც დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობენ.

სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც დანაშაულს საზღვარგარეთ ჩაიდენენ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, თუ ისინი მიცემული არიან პასუხისმგებაში ან სამართალში სსრ კავშირის ტერიტორიაზე. თუ აღნიშნული პირები ჩადენილი დანაშაულისათვის საზღვარგარეთ დაისაჯნენ, სასამართლოს შეუძლია შეუმსუბუქოს მათ დანიშნული სასჯელი ან სავსებით გაათავისუფლოს სასჯელის მოხდისაგან.

ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედობის ჩადენის დროს. ამასთან, კანონს, რომელიც აწესებს ქმედობის დასჯადობას ან აძლიერებს სასჯელს, უკუქცევითი ძალა არა აქვს.

## § 2. დ ა ნ ა შ ა უ ლ ი

**დანაშაულის ცნება** დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. საზოგადოებრივად საშიშია ისეთი ქმედობა, რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. სოციალისტურ მართლწესრიგს, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნების, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითს, ქონებრივ და სხვა უფლებებს. დანაშაულია მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც სასჯელის რიგით აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით. არ არსებობს დანაშაული კანონისა და სასჯელის გარეშე.

ყველა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა არ წარმოადგენს დანაშაულს. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევაც საზოგადოებრივად საშიშია, მაგრამ იგი დანაშაული არ არის. ქმედობის დანაშაულად გამოცხადების საფუძველს ქმნის საზოგადოებრივი საშიშროების ისეთი ხარისხი, რომელიც მოითხოვს მასთან ბრძოლას სისხლის სამართლებრივი საშუალებებით, სასჯელის მუქარით. ქმედობა შეიძლება ფორმალურად შეიცავდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე,

მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენდეს საზოგადოებრივ საშიშროებას. ასეთი ქმედობა დანაშაულად არ ჩაითვლება. ამასთან, ქმედობის მცირემნიშვნელობა არ გამორიცხავს მის გაკიცხვას, დამრღვევის მიმართ საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული ან დისციპლინური ზომების გამოყენებას.

### **ბრალეულობა**

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ბრალი ნიშნავს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისა და მისი შედეგისადმი. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს ბრალის ორ ფორმას — განზრახვას და გაუფრთხილებლობას.

დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას.

როდესაც დამნაშავეს სურს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა, იგი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ხოლო როდესაც შეგნებულად უშვებს ასეთი შედეგების დადგომას, მისი განზრახვა არის არაპირდაპირი, ანუ ევენტუალური.

დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი.

გაუფრთხილებელი ბრალის დროს დამნაშავე ან ითვალისწინებს თავისი ქმედობის შედეგს და ქარაფშუტულად ვარაუდობს მათ თავიდან აცილებას ან იგი ამ შედეგებს არ ითვალისწინებს, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა მათი დადგომა. პირველ შემთხვევას ეწოდება დანაშაულებრივი თვითმედლოვნება, ხოლო მეორეს — დანაშაულებრივი დაუდევრობა. თუ პირს არ უნდა გაეთვალისწინებინა ან არ შეეძლო გაეთვალის-

წინებიან საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა, მაშინ საქმე გვაქვს შემთხვევასთან ანუ კაზუსთან, რომლის დროსაც გამორიცხულია ბრალეულობა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

განზრახვა ბრალის უფრო საშიში ფორმაა, ვიდრე გაუფრთხილებლობა და დანაშაულის განზრახ ჩამდენი, როგორც წესი, უფრო მკაცრადაც ისჯება.

**სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი** სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს გარკვეულ ასაკს მიღწეული პირი, რომელსაც უნარი აქვს შეიგნოს ან უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. როგორც წესი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირთ, რომელთაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდათ თექვსმეტი წელი. ამ ასაკს მიღწეულ პირს უნარი აქვს შეიგნოს სისხლის სამართლის კანონის მნიშვნელობა და წარმართოს თავისი მოქმედება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ეს კანონი აღგენს. ზოგიერთი მძიმე დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება უფრო მცირე ასაკშიც გასაგებია, რის გამოც კანონი მათი ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თოთხმეტი წლის ასაკიდან აწესებს. ესაა ისეთი დანაშაული, როგორიცაა: განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა, ბოროტი ხულიგნობა, გაუპატიურება და ა. შ.

**შეურაცხადლობა** ადამიანის უნარს ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას და უხელმძღვანელოს მას შეურაცხადობა ეწოდება. შეურაცხადობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა. მხოლოდ შეურაცხადი პირი შეიძლება მოქმედებდეს ბრალეულად. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ესე იგი, არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი საკუთარი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა მისთვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჰქუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო. არ დაისჯება აგრეთვე პირი, რომელმაც დანაშაული შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინა, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე დაავადდა სულიერი ავადმყოფობით, რომელიც მას შესაძლებლობას უსპობს ანგარიში მისცეს საკუთარ მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას.

პირის შეურაცხადობა განისაზღვრება ორი კრიტერიუმის მიხედვით: ბიოლოგიური ანუ სამედიცინო კრიტერიუმით, რომელიც



მიუთითებს. ავადმყოფურ მდგომარეობაზე და ფსიქოლოგიური ანუ ფორმული კრიტიკიუმით, რომელიც მიუთითებს პირის უნარზე ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას. პირის შეურაცხადად ცნობისათვის აუცილებელია ორივე ამ კრიტიკიუმის ერთდროულად არსებობა. შეურაცხადობის საკითხი წყდება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენა პირს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ალკოჰოლისა თუ სხვა ნარკოტიკული ნივთიერების მოქმედება თუმცა ამცირებს პირის შეურაცხვის უნარს, მაგრამ მას მაინც შენარჩუნებული აქვს უნარი ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას და უხელმძღვანელოს მას. ჩვეულებრივი სიმთვრალისაგან განსხვავებით არსებობს პათოლოგიური სიმთვრალე, რომელიც შეურაცხადობის მდგომარეობასაც იწვევს და, მაშასადამე, გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ პათოლოგიური სიმთვრალის დროსაც დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა დამნაშავემ დათრობის გზით ბრალეულად მოიყვანა თავი შეურაცხადობის მდგომარეობაში.

**აუცილებელი მოგერიება** დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიებლის ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან ხელყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები.

აუცილებელი მოგერიება არის მოქალაქის უფლება და მორალური ვალდებულება დაიცვას სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენებით. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენება არის საზოგადოებრივად სასარგებლო, მართლზომიერი მოქმედება და, ბუნებრივია, მომგერიებელი პასუხს არ აგებს სისხლის სამართლის წესით. აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება დასაშვებია როგორც საკუთარი, ისე სხვისი ინტერესების დასაცავად.

აუცილებელი მოგერიების უფლება აღმოცენდება მაშინ, როცა

დაიწყო ან იწყება საზოგადოებრივად საშიში თავდასხმა. დაუშვებელია აუცილებელი მოგერიება ისეთი მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც მართლზომიერი ხასიათი აქვს. არ შეიძლება, მაგალითად, აუცილებელი მოგერიება ისეთი პირის წინააღმდეგ, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ახორციელებს.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა წყდება თავდასხმის შეწყვეტის მომენტიდან. თავდასხმის დამთავრების შემდეგ თავდასხმელისათვის ზიანის მიყენება დანაშაულია, თუ მომგერიებელი ითვალისწინებდა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა თავდასხმის დამთავრების მომენტი.

აუცილებელი მოგერიება მართლზომიერია, თუ გადაცილებული არ არის მისი ფარგლები. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ითვლება დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან, თავდამსხმელისათვის ისეთი ზიანის მიყენება, რომელიც არ იყო აუცილებელი მის მოსაგერიებლად. ამ საკითხის გადაწყვეტისას დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული და შეფასებული საქმის ყველა კონკრეტული გარემოება: თავდამსხმელისა და მომგერიებლის ასაკი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თავდასხმისა და დაცვის იარაღი და ა. შ. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო თავდასხმით, მისი მოულოდნელობით მომგერიებელს ყოველთვის არ შეუძლია ზუსტად შეაფასოს თავდასხმის საშიშროების ხასიათი და შეარჩიოს მისი პროპორციული დაცვის საშუალება. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისათვის მომგერიებელი დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მოქმედებაში არის განზრახვი ან გაუფრთხილებელი ბრალი.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად არ ჩაითვლება თუ მომგერიებელმა თავდაცვის ნაცვლად არ გამოიყენა თავის გადარჩენის სხვა საშუალება: გაქცევა, დასახმარებლად ხელისუფლების ორგანოსათვის მიმართვა და ა. შ. ასეთი მოთხოვნა ეწინააღმდეგება აუცილებელი მოგერიების უფლებას, სოციალისტურ მორალსა და მართლშეგნებას.

აუცილებელ მოგერიებასთან გათანაბრებულია მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის უფლება. მოქმედება დანაშაულებრივი ხელყოფის აღსაკვეთად და დამნაშავის შესაპყრობად მართლზომიერი მოქმედებაა და არ იწვევს სისხლის სამართლებრივ ან სხვა პასუხისმგებლობას, თუნდაც ამ მოქმედებით მოქალაქე იძულებული

იყოს ენება მიაყენოს დამნაშავეს. ამასთან, აუცილებელია, რომ მოქალაქე მოქმედებდეს დამნაშავეის დაკავების და სათანადო ორგანოებში წარდგენის მიზნით, აგრეთვე არ იქნეს გამოყენებული ისეთი საშუალება, რომელიც აუცილებელი არ არის დამნაშავეის დაკავებისათვის.

### უკიდურესი აუცილებლობა

დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ

ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, საზოგადოებრივ ინტერესებს, ამ პირის თუ სხვა მოქალაქეთა პიროვნებას, ან უფლებებს, თუ ეს საფრთხე მოცემულ გარემოებაში არ შეიძლება და აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე თავიდან აცდენილი ზიანი.

უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი აზიანებს ისეთ სიკეთეს, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხის შემქმნელ წყაროს. ამ დროს ერთიმეორეს ეჯახება ორი მართლზომიერი ინტერესი, რომელთაგან ერთის გადარჩენა იწვევს მეორის დარღვევას. მაგალითად, მოლარე თავის სიცოცხლის გადასარჩენად სახელმწიფო ფულს გადასცემს თავდამსხმელს.

უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხის წყარო შეიძლება იყოს ყოველგვარი ძალა, რასაც ზიანის მიყენება შეუძლია; ადამიანის არამართლზომიერი მოქმედება, ბუნების სტიქიური ძალები, ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესები და ა. შ. მართლზომიერი მოქმედება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას არ წარმოშობს.

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის შემქმნელი საფრთხე უნდა იყოს უშუალო და ნამდვილი. უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას არ ქმნის საფრთხე, რომელიც წარსულს ან შორეულ მომავალს მიეკუთვნება. უკიდურესი აუცილებლობა გამორიცხულია მაშინაც, როცა ობიექტი უკვე დაზიანებულია და მისი გადარჩენა შეუძლებელია. მოჩვენებითი უკიდურესი აუცილებლობის დროს პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება ბრალის პრინციპის შესაბამისად. საქმის გარემოებათა მიხედვით პირს თუ არ შეეძლო წარმოედგინა, რომ უკიდურესი აუცილებლობა მოჩვენებითია და

საფრთხე მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს, იგი პასუხს არ აგებს მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა არ არსებობს იმ შემთხვევაშიც, როცა პირმა განგებ შექმნა ასეთი მდგომარეობა ან როცა იგი თავისი სამსახურბრძოლი მდგომარეობით ვალდებული იყო საფრთხე გადაეტანა.

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მესამე პირისათვის ზიანის მიყენება წარმოადგენდა ზიანის თავიდან აცდენის ერთადერთ საშუალებას. უკიდურესი აუცილებლობა გამორიცხულია თუ პირს სხვა რაიმე საშუალებით შეეძლო ზიანის აცილება. მაგალითად, შეეძლო თავის გადაარჩენა გაქცევით, სხვა პირებისათვის დასახმარებლად მიმართვით და ა. შ.

უკიდურესი აუცილებლობა გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ პირობით, თუ გადაარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც საფრთხე ემუქრებოდა. დაუშვებელია, მაგალითად, ერთი პირის სიცოცხლის გადაარჩენა სხვა პირის სიცოცხლის ხარჯზე.

**დანაშაულის მომზადება** სისხლის სამართლის წესით ისჯება არა მარტო დამთავრებული დანაშაული, არამედ აგრეთვე დანაშაულისათვის მომზადება და დანაშაულის ჩადენის მცდელობა. დანაშაულის მომზადება არის განზრახი მოქმედება, რომელიც კმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად. დანაშაულის მომზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა თუ მომარჯვება დანაშაულის ჩადენისათვის. მაგალითად, თუ პირმა გადაწყვიტა სხვა პირის მოკვლა და ამ მიზნით დაამზადა საწამლავი ან შეიძინა იარაღი, იგი პასუხს აგებს დანაშაულის მომზადებისათვის. დანაშაულის მომზადება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მის მიერ ჩადენილი მოსამზადებელი მოქმედება საჭიროა დანაშაულის ჩასადენად და სურს კიდევ ამ დანაშაულის განხორციელება.

დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად. თუ ამასთან, დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავეს ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მაგალითად, დამნაშავემ მოკვლის განზრახვით ესროლა ადამიანს თოფი, მაგრამ ვერ მოახვედრა. ისევე როგორც დანაშაულისათვის მომზადება, დანაშაულის ჩადენის მცდელობაც პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

დანაშაულისათვის მზადებისა და დანაშაულის ჩადენის მცდე-

ლობისათვის სასჯელი დაინიშნება იმ კანონის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის. ამასთან, სასჯელის დანიშვნისას სასამართლო მხედველობაში იღებს დამნაშაულის მიერ ჩადენილი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს და მიზეზებს, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება ნიშნავს, რომ პირი შეგნებულად, საკუთარი ინიციატივით წყვეტს დანაშაულებრივ საქმიანობას მიუხედავად იმისა, რომ მას სრული შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს თავისი განზრახვა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს მოტივს, რის გამოც პირმა აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. ეს მოტივი შეიძლება იყოს თავისი მოქმედების უკანონობის შეგნება, მსხვერპლის შეცოდება, მოსალოდნელი სასჯელის შიში და ა. შ.

### თანამონაწილეობა

თანამონაწილეობა არის ორი ან მეტი პირის განზრახვი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული უფრო მეტად საზოგადოებრივად საშიშია, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული. დანაშაულის თანამონაწილეები:

- ა) ამსრულებელი;
- ბ) ორგანიზატორი;
- გ) წამქეზებელი;
- დ) დამხმარე.

ამსრულებლად ითვლება ის, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს. თუ უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, მათ თანაამსრულებლები ეწოდებათ. თანაამსრულებლებია არა მარტო ის პირები, რომლებიც დანაშაულის მთელ შემადგენლობას ერთობლივად ახორციელებენ, არამედ ისინიც, ვინც დანაშაულს იღენენ როლების განაწილებით. მაგალითად, ბინის ქურდობის დროს თუ ერთი დამნაშავე გარეთ დგას ყარაულად და მეორეს კი ბინიდან ნივთები გამოაქვს, ორივე თანაამსრულებლად, ანუ ქურდობის უშუალოდ ჩამდენად ითვლება.

ორგანიზატორად ითვლება ის, ვინც მოაწყობს ან ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენას. ორგანიზატორი ქმნის ან ხელმძღვანელობს უკვე შექმნილ დანაშაულებრივ ჯგუფს, ამზადებს დანაშაულს, ანაწილებს დამნაშავეთა შორის როლებს, ხშირად უშუალოდ ხელმ-

ძღვანელობს დანაშაულის ჩადენას. თანამონაწილეთა შორის ორგანიზატორი ყველაზე უფრო საშიში ფიგურაა.

წამქეზებლად ითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩასადენად სხვას დაიყოლიებს, აღუძრავს სურვილს კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. წამქეზება შეიძლება მოსყიდვით, საჩუქრით, თხოვნით, ბრძანებით და ა. შ. წამქეზებლის პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მოტივით და ვისი ინტერესებისათვის მოქმედებდა იგი.

დამხმარედ ითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ დაჰპირდა დამნაშავეს, რომ დამალავს დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგნებს.

თანამონაწილენი პასუხს აგებენ იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაშიც ისინი მონაწილეობდნენ. ამასთან, სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის მონაწილეობის წარისხსა და ხასიათს.

თანამონაწილეობისაგან განსხვავდება დანაშაულის დაფარვა და დანაშაულის განუცხადებლობა. დამნაშავეს, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი საგნების დაფარვა, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული, აგრეთვე დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით.

## § 8. სასჯელი

### სასჯელის ცნება და მიზნები

სასჯელი სახელმწიფო იძულების დონისძიებაა, რომელსაც იყენებს სასამართლო დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. სასჯელის გარეშე ქმედობის დანაშაულად გამოცხადებას არც ექნებოდა აზრი და მნიშვნელობა. სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონით დატული საზოგადოებრივი ურთიერთობის სა-

მართლებრივ გარანტიას. სასჯელი დამნაშავეს ართმევს რაიმე პირად თუ ქონებრივ სიკეთეს და გამოხატავს დამნაშავისა და მისი ქმედობის უარყოფით შეფასებას სახელმწიფოს სახელით.

სასჯელი მიზნად ისახავს გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებული შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონის ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. სასჯელის მიზანია აგრეთვე ახალი დანაშაულის ჩადენის აცდენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ. სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება.

### სასჯელთა სისტემა და სახეები

მოქმედი კანონმდებლობით, დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ძირითადი

სასჯელები: ა) თავისუფლების აღკვეთა; ბ) გადასახლება; გ) გასახლება; დ) გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად; ე) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; ვ) ჯარიმა; ზ) თანამდებობიდან დათხოვნა; თ) საზოგადოებრივი გაკიცხვა.

სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას წარმოადგენს სიკვდილით დასჯა.

ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს სასჯელი სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის სახით. იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან მაწანწალობას ან მათხოვრობას, ანდა სხვაგვარ პარაზიტულ ცხოვრებას, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს სასჯელი შრომადამზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნის სახით.

ძირითადი სასჯელების გარდა მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი დამატებითი სასჯელები: ა) ქონების კონფისკაცია; ბ) სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა; გ) მშობლის უფლების ჩამორთმევა.

გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და თანამდებობიდან დათხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს არა მარტო როგორც ძირითადი, არამედ, აგრეთვე, როგორც დამატებითი სასჯელი.

სასამართლოს უფლება არა აქვს დამნაშავეს დაუნიშნოს ისეთი ღონისძიება, რაც კანონით სასჯელის სახედ არ არის გათვალისწინ-

ნებული. ამასთან, სასამართლო დამნაშავეს უნიშნავს მხოლოდ იმ სასჯელს და იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია მოცემული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

**ხასჯელის  
განსაკუთრებულ  
ლონისძიება**

სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას წარმოადგენს სიკვდილით დასჯა. იგი გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხოლოდ განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის და განსაკუთრებით საშიში დამნაშავეს მიმართ. ისეთი კანონის მიღება, რომელიც სიკვდილით დასჯას აწესებს, შეუძლია მხოლოდ სსრ კავშირის საკანონმდებლო ორგანოს. მოქმედი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია სამშობლოს ღალატისათვის, ჯაშუშობისათვის, ბანდოტიზმისათვის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახვი მკვლელობისათვის, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისათვის და ზოგიერთი სხვა მძიმე დანაშაულისათვის. სიკვდილით დასჯა დაშვებულია დროებით, მის სრულ გაუქმებამდე.

სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, აგრეთვე ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის.

თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ვადით კანონით განსაზღვრულ ადგილას მსჯავრდებულის მოთავსებას, დაბატონებას, ცხოვრებისა და საქმიანობის სპეციფიკური რეჟიმის პირობებში ჩაყენებას.

თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ვადით არა ნაკლებ სამი თვისა და არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო ზოგიერთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის — არა უმეტეს თხუთმეტი წლისა. თუ სასჯელი ენიშნება იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე თვრამეტი წელი არ შესრულებია, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს.

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულებს ენიშნებათ გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში,

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულებს ენიშნებათ გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში,



საერთო, გაძლიერებული მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში ან საპყრობილეში, აგრეთვე საერთო და გაძლიერებული შრომა-აღმზრდელი კოლონიაში მოხდით. კანონით დადგენილია თავისუფლების აღკვეთის მოხდისათვის კონკრეტული რეჟიმის განსაზღვრის წესი. საერთო წესით, თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული პირები თავისუფლების აღკვეთას იხდიან შრომა-გასწორების კოლონიაში ან საპყრობილეში, ხოლო არასრულწლოვანები — საერთო ან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელი კოლონიებში. მსჯავრდებულმა ქალებმა თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მოიხადონ საერთო ან მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამნაშავეს შეიძლება დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადით შეეფარდოს პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

**გადასახლება და  
გახახლება**

გადასახლება ნიშნავს მსჯავრდებულის გაძევებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან განსაზღვრულ ადგილზე სავალდებულო დასახლებით. ადგილს, სადაც გადასახლებულმა უნდა იცხოვროს, განსაზღვრავს სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანო. გადასახლება შეიძლება დაინიშნოს ორი წლიდან ხუთ წლამდე. გადასახლება არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებიათ თვრამეტი წელი, აგრეთვე ორსული ქალებისა და იმ ქალების მიმართ, რომლებსაც კმაყოფილება ჰყავთ რვა წლის ასაკამდე შვილები.

გასახლება ნიშნავს მსჯავრდებულის გაძევებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვით. სასამართლო უთითებს კონკრეტულად სად არა აქვს გასახლებულს ცხოვრების უფლება. გასახლება შეიძლება დაინიშნოს ვადით ორი წლიდან ხუთ წლამდე. გასახლება არ შეიძლება დაენიშნოს იმ პირებს, რომლებსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებიათ თვრამეტი წელი.

**გამასწორებელი  
სამუშაოები  
თავისუფლების  
აღუკვეთლად**

გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად ინიშნება ვადით ორი თვიდან ორ წლამდე ხელფასის ხუთიდან ოც პროცენტამდე სახელმწიფოს სასარგებლოდ დაქვითვით. გამასწორებელი სამუშაოები ენიშნებათ მხოლოდ შრომისუნარიან პი-

რებს. გამასწორებელი სამუშაოების მოხდა წარმოებს მსჯავრდებულის მუშაობის ადგილას, ან სხვა ადგილას, მაგრამ მსჯავრდებულის საცხოვრებელ რაიონში.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ბოროტად თავს არიდებს გამასწორებელი სამუშაოების მოხდას, სასამართლოს შეუძლია გამასწორებელი სამუშაოების მოუხდელი ვადა შეუცვალოს თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

**გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა** გარკვეული თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ინიშნება ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე. ეს სასჯელი შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს

მიერ თანამდებობასთან დაკავშირებით ან გარკვეული საქმიანობის შესრულების დროს ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გამო სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლება. მსჯავრდებულს ეკრძალება გარკვეული თანამდებობის დაკავება ან გარკვეული საქმიანობა და არა ამა თუ იმ სისტემაში ან სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში მუშაობა.

**ჯარიმა** ჯარიმა არის ფულადი გადასახადი, რომელიც მსჯავრდებულზე ახდენს მატერიალურ ზემოქმედებას. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ორმოცდაათიდან სამას მანეთამდე, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის — ათას მანეთამდე ფარგლებში. სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება გამონაკლის შემთხვევებში ცალკეული დანაშაულისათვის დაწესდეს უფრო დიდი ჯარიმაც.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ბოროტად თავს არიდებს ჯარიმის გადახდას, სასამართლოს შეუძლია გადაუხდელი თანხა შეცვალოს გამასწორებელი სამუშაოებით შემდეგი გაანგარიშებით: ოცი მანეთისათვის გამასწორებელი სამუშაოები — ერთი თვის, მაგრამ არაუმეტეს ორი წლის ვადისა. დაუშვებელია ჯარიმის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით და თავისუფლების აღკვეთისა—ჯარიმით.

**თანამდებობიდან დათხოვნა და საზოგადოებრივი გაკიცხვა** თანამდებობიდან დათხოვნა შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს დაკავებულ თანამდებობაზე მსჯავრდე-

ბულის დატოვებას. თანამდებობიდან დათხოვნა ნიშნავს მხოლოდ დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნას და მსჯავრდებულს არ ართმევს მომავალში ანალოგიური თანამდებობის დაკავების უფლებას. თანამდებობიდან დათხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი თანამდებობის პირის მიმართ, მათ შორის, იმ პირის მიმართაც, რომელსაც არჩევითი თანამდებობა უკავია.

საზოგადოებრივი გაკიცხვა ნიშნავს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის გაკიცხვის საჯაროდ გამოცხადებას, რაც საჭირო შემთხვევებში ეცნობება საზოგადოებრიობას პრესის ან სხვა საშუალებით. საზოგადოებრივი გაკიცხვა, მართალია, მსუბუქი სასჯელია და მხოლოდ მორალურ სფეროს განეკუთვნება, მაგრამ იგი ნასამართლობას ქმნის ყველა თავისი შედეგით.

**სადისციპლინო  
ბატალიონში გაგზავნა  
და ჰაუპტვახტში  
მოთავსება**

დანაშაულის ჩამდენი ვადიანი სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გაიგზავნოს სადისციპლინო ბატალიონში ვადით სამი თვიდან ორ წლამდე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე

იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო საქმის გარემოებების და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად გაგზავნოს იგი იმავე ვადით სადისციპლინო ბატალიონში.

გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად სამხედრო მოსამსახურეებს შეეცვლებათ ჰაუპტვახტში მოთავსებით ორ თვემდე.

**შრომა-აღმზრდელობით  
პროფილაქტორიუმში  
გაგზავნა**

იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელიც მსჯავრდებულია მაწანწალობის ან მათხოვრობისათვის, ანდა სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის

თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ორ წლამდე, სასამართლოს, საქმის გარემოებითა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, შეუძლია თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სასჯელის სახით გამოიყენოს შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნა იმავე ვადით.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული თავს არიდებს სამუშაოს ან ბოროტად არღვევს დადგენილ წესებს, სასამართლო შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში ყოფნის მოუხდელ ვადას შეუცვლის იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

**დამატებითი ხასჯელები** გარდა ძირითადი სასჯელებისა დამნაშავეს შეიძლება შეეთარდოს დამატებითი სასჯელი ქონების კონფისკაციის, წოდებებისა და მშობლის უფლების ჩამორთმევის სახით.

ქონების კონფისკაცია ნიშნავს მსჯავრდებულის პირად საკუთრებაში მყოფი მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებით უსასყიდლო გადაცემას სახელმწიფო საკუთრებაში. ქონების კონფისკაციის დროს სახელმწიფო პასუხს არ აგებს მსჯავრდებულის ვალებსა და ვალდებულებებზე, თუ ისინი წარმოიშენნენ მას შემდეგ, რაც მოკვლევის, გამოძიების ორგანოებმა ან სასამართლომ მიიღეს ზომები ქონების დაცვისათვის და თუ ეს მოხდა ამ ორგანოების თანხმობის გარეშე.

მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში მსჯავრდებულს, რომელსაც სამხედრო ან სპეციალური წოდება აქვს, შეიძლება ეს წოდება ჩამოერთვას. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი არ არის ღირსი ატაროს ორდენი, მედალი, საპატიო წოდება, სამხედრო თუ სხვა წოდება. აღძრავს მათი ჩამორთმევის თაობაზე უუამდგომლობას სათანადო ორგანოების წინაშე. სასამართლოს მიერ სამხედრო და სხვა წოდებათა ჩამორთმევა ხდება განუსაზღვრელი ვადით.

მშობლის უფლებების ჩამორთმევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მსჯავრდებული ბოროტად იყენებდა მშობლის უფლებებს ან ბოროტად არიდებდა თავს მშობლის მოვალეობების შესრულებას. მშობლის უფლება შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ იმ პირს, ვისაც ჰყავს არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო შვილები.

მშობლის უფლებების ჩამორთმევა ხდება განუსაზღვრელი ვადით. მათი აღდგენა შეიძლება სასამართლოს განჩინებით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარდგინების საფუძველზე.

**ხასჯელის დანიშვნა** სასამართლო სასჯელს ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის. სასამართლოს უფლება არა აქვს გასცდეს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმს. პირიქით, განსაკუთრებული გარემოებებისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით სასამართლოს

შეუძლია დანიშნოს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმზე უფრო დაბალი სასჯელი. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს აგრეთვე, რომ თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაოები პირობით არ იქნეს გამოყენებული და დაენიშნოს მსჯავრდებულს გამოსაცდელი ვადა ერთიდან ხუთ წლამდე ხანგრძლივობით. ამ შემთხვევაში განაჩენი არ მოიყვანება სისრულეში თუ მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომით გაამართლებს გამოცხადებულ ნდობას.

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს და ზარისხს, დამნაშავის პიროვნებას და საქმის გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას. შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება: ა) ჩადენილი დანაშაულის მკენე შედეგების თავიდან აცილება, მიყენებული ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; ბ) დანაშაულის ჩადენა მძიმე პირადი, ოჯახური ან შემთხვევით მომხდარ გარემოებათა, აგრეთვე მუქარის, იძულების გავლენით ან მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო; გ) დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით; დ) დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან დაცვის დროს, თუნდაც აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, გადამეტებით; ე) დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანის ან ორსული ქალის მიერ; ვ) გულწრფელი მონანიება ან გამოცხადება ბრალის აღიარებით. ეს ჩამოთვლა არ არის ამომწურავი. სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს სხვა ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებებიც, რაც კანონში არ არის აღნიშნული.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე პასუხისმგებლობის ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, როგორცაა: ა) დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი აქვს რაიმე დანაშაული ან იმ პირის მიერ, რომლის შიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება და ერთი წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული; ბ) დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, აგრეთვე ანგარებით ან სხვა ქვენაგარძნობით ან თუ დანაშაულმა მძიმე შედეგი გამოიწვია; გ) დანაშაულის ჩადენა მც-

რეწლოვანის, ღრმად მოხუცის, ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის ან ორსული ქალის მიმართ; დ) არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულში მონაწილეობისათვის; ე) დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით ან დაზარალებულის აბუჩად აგდებით; აგრეთვე საყოველთაოდ საშიში საშუალებებით, საზოგადოებრივ უბედურებათა ან მეორე პირის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით; ვ) დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ეს ჩამოთვლა ამომწურავია და სასამართლოს უფლება არა აქვს დამამძიმებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებები, რაც კანონში არ არის მითითებული. კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით კი სასამართლოს შეუძლია არ მისცეს დამამძიმებელი მნიშვნელობა ისეთ გარემოებებს, როგორცაა წინათ ჩადენილი დანაშაული, აგრეთვე სიმთვრალე ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

**განაჩენის აღსრულების გადაღება** იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და გარემოებების, დამნაშავის პიროვნების, მისი გამოსწორებისა და საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე ხელახლა აღზრდის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადადოს განაჩენის აღსრულება ერთიდან ორ წლამდე ვადით და დაავალოს მსჯავრდებულს განსაზღვრულ ვადაში ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, დაიწყოს მუშაობა ან სწავლა, არ შეეცვალოს საცხოვრებელი ადგილი შინაგან საქმეთა ორგანოს თანხმობის გარეშე, პერიოდულად გამოცხადდეს იქ რეგისტრაციისათვის და ა. შ.

მსჯავრდებული თუ არ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან შრომის დისციპლინას, შინაგან საქმეთა ორგანოს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ან შრომითი კოლექტივის წარდგინებით, რომელთაც ეკისრებათ მსჯავრდებულზე მეთვალყურეობის გაწევის მოვალეობა, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება აღსრულების გადადების გაუქმების და განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდადებულის გაგზავნის შესახებ.

**სისხლის სამართლის  
პასუხისმგებლობისა და  
სასჯელისაგან  
განთავისუფლება**

დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის, ვითარების შეცვ-

ლის შედეგად, მის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში. მაგალითად, პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში მუქთახორობდა, სასამართლოში საქმის განხილვისას უკვე კეთილსინდისიერად მუშაობს და ა. შ. დამნაშავე შეიძლება განთავისუფლდეს სასჯელისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ შემდგომი უმწიკვლო ყოფაქცევებისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო იგი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად.

ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეულ იქნება, რომ მისი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამოყენების გარეშე. ამ შემთხვევაში შეიძლება მიღებული იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ; ბ) ამხანაგური სასამართლოსათვის განსახილველად საქმის მასალების გადაცემის შესახებ; გ) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის განსახილველად საქმის მასალების გადაცემის შესახებ; დ) საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ან შრომითი კოლექტივისათვის პირის თავდებქვეშ გადაცემის შესახებ.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით ან ამხანაგური სასამართლოსათვის განსახილველად საქმის მასალების გადაცემით დასაშვებია ისეთ დანაშაულთა საქმეზე, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქ სასჯელს, ხოლო თავდებქვეშ გადაცემით — ისეთ საქმეზე, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი.

ამხანაგურ სასამართლოს ან თავდებქვეშ არ შეიძლება გადაეცეს ისეთი პირი, რომელიც წინათ მსჯავრდადებული იყო განზრახი დანაშაულისათვის ან გადაცემული იყო თავდებქვეშ. თუ პირი თავს

აარიდებს ამხანაგურ სასამართლოში გამოცხადებას ან თავდებქვეშ გადაცემის შემთხვევაში ერთი წლის განმავლობაში არ გაამართლებს კოლექტივის ნდობას, იგი კვლავ მიეცემა პასუხისგებაში და დაისჯება სისხლის სამართლის წესით.

**ხასჯელისაგან ვადამდე  
პირობით  
გათავისუფლება**

პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, გადასახლება, გასახლება, გამასწორებელი სამუშაოები, სადისციპლინო ბატალიონში ან შრომა-აღმზრდელი პროფილაქტორიუმში გაგზავნა, აგრეთვე პირებს, რომლებიც პირობით არიან გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით, შეიძლება სასამართლოს განჩინებით შეეფარდოთ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით იმ შემთხვევაში, თუ მათ სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება და მოხდელი აქვთ სასჯელის კანონით განსაზღვრული ნაწილი.

სასამართლოს შეუძლია სასჯელის კანონით განსაზღვრული ნაწილის მოხდის შემდეგ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით გაათავისუფლოს შრომისუნარიანი მსჯავრდებული, თუ მიიჩნევს, რომ მისი შემდგომი გამოსწორება და ზედახლა აღზრდა შესაძლებელია საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, აგრეთვე მსჯავრდებულის გათავისუფლება შრომაში სავალდებულო ჩაბმით, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, მსჯავრდებულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მსჯავრდებულის მიმართ.

**ხამედიცინო და  
აღმზრდელიობითი ხახითახ  
იძულებითი ღონისძიებანი**

იმ პირებს, რომლებმაც შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიღინეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, აგ-



რეთვე პირებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შერაცხად მდგომარეობაში, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე დაავადდნენ სულიერი ავადმყოფობით, რაც მათ არ აძლევს შესაძლებლობას ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებას ან უხელმძღვანელონ მას, სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს სამედიცინო ხასიათის შემდეგი იძულებითი ღონისძიებანი: ა) სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება; ბ) საერთო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება; გ) მშობელ-ნათესავთა მეურვეობაში ან მზრუნველობაში გადაცემა სავალდებულო საექიმო მეთვალყურეობით.

დანაშაულის ჩამდენი პირი თუ სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ალკოპოლიკად ან ნარკომანად იქნება ცნობილი, სასამართლო დამნაშავეს სასჯელთან ერთად შეუფარდებს იძულებით მკურნალობას.

სასამართლო თუ მიზანშეწონილად არ ცნობს დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდებას, შეუძლია გამოიყენოს მის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის შემდეგი იძულებითი ღონისძიებანი: ა) დაზარალებულის წინაშე საჯაროდ ან სხვა ფორმით ბოდიშის მოხდა; ბ) გაფრთხილება, საყვედური ან სასტიკი საყვედური; გ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება თუ არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი შრომის ხელფასი და ასანაზღაურებელი თანხა ორმოცდაათ მანეთს არ აღემატება; დ) არასრულწლოვანის გადაცემა მშობლების ან მათი შემცველი პირებისათვის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ; ე) არასრულწლოვანის გადაცემა სამეთვალყურეოდ შრომითი კოლექტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან საზოგადოებრივი აღმზრდელისათვის; ე) არასრულწლოვანის მოთავსება სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში.

#### § 4. დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით

ხდება ქონების დაუფლება, მოპარვა, მისი მფლობელის გამგებლო-

ქურდობა ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარულად გატაცებას. ფარულია ისეთი გატაცება, როდესაც სხვებისათვის შეუმჩნეველად

ბიდან ამოღება. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ან ჯარი-  
მით ასიდან ხუთას მანეთამდე.

ქურდობა, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წი-  
ნასწარი შეთანხმებით, ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს  
საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ისჯება თავისუფლების აღ-  
კვეთით ორიდან ექვს წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერ-  
თიდან ორ წლამდე. დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს ქონების  
კონფისკაციაც. განმეორებითად ითვლება იმ პირის მიერ ჩადენილი  
ქურდობა, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა სახელმწიფო ან სა-  
ზოგადოებრივი, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების გატაცე-  
ბა ქურდობით, გაძარცვით, ყაჩაღობით, მითვისებით, გაფლანგვით  
და ა. შ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ადრე ჩადენილი დანაშაუ-  
ლისათვის იყო თუ არა ეს პირი გასამართლებული. პირთა ჯგუფთა  
ორი ან მეტი პირი. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის  
თავის ამრიდებელია ის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით  
გაფრთხილების მიუხედავად არ მუშაობს და ეწევა პარაზიტულ  
ცხოვრებას.

სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით ჩადენილი ქურდობა ისჯე-  
ბა თავისუფლების აღკვეთით სამიდან რვა წლამდე ქონების კონ-  
ფისკაციით ან უამისოდ. ხუთიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლე-  
ბის აღკვეთითა და ქონების კონფისკაციით ისჯება ქურდობა, ჩადე-  
ნილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან დიდი ოდე-  
ნობით. განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად დამნაშავე ცნობი-  
ლი უნდა იყოს სასამართლოს მიერ. პრაქტიკაში დიდი ოდენობით  
გატაცებულ ითვლება ორი ათას ხუთას მანეთზე მეტი ღირებულების  
ქონება. სადგომი და საცავია ისეთი დაკეტილი ან დატული ნაგებო-  
ბა თუ შემოღობილი ადგილი, სადაც ინახება სახელმწიფო ან საზო-  
გადოებრივი ქონება. აქ განმარტებული ნიშნები ანალოგიურია სა-  
ხელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების სხვა ხერხით გატაცების  
დროსაც, რის გამოც ისინი შემდგომში აღარაა განმარტებული.

სახელმწიფო ან  
საზოგადოებრივი ქონების  
გატაცება გაძარცვით

გაძარცვა ნიშნავს სახელმწიფო ან სა-  
ზოგადოებრივი ქონების აშკარა გატა-  
ცებას. გაძარცვა შეიძლება ძალადობის  
გამოუყენებლად და ძალადობის გამო

ყენებით. გაძარცვა ძალადობის გარეშე ისჯება თავისუფლების აღ-

კვეთით ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე. გაძარცვა ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, აგრეთვე გაძარცვა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით, ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

გაძარცვა სადგომში ან სხვა საცავში შედღწევით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო გაძარცვა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით.

**სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება თაღლითობით** თაღლითობა ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლებას მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. დაუფლება ნიშნავს დამნაშავეს მიერ ქონების მფლობელობაში მიღებას და მისი განკარგვის შესაძლებლობის მოპოვებას. თაღლითობის დროს ქონების დაუფლება ხდება კანონიერი მფლობელის თანხმობით, მისი მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. მოტყუება და ნდობის ბოროტად გამოყენება შეიძლება განხორციელდეს ყალბი ცნობების გამოყენებით, შეპირებით, მონაპორის გავრცელებით და ა. შ. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ან ჯარიმით ასიდან ხუთას მანეთამდე.

განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე. დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს ქონების კონფისკაციაც. ხუთიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ქონების კონფისკაციით ისჯება თაღლითობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენება ან რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

**სახელმწიფო ან  
საზოგადოებრივი ქონების  
გატაცება მითვისებით,  
გაფლანგვით ან  
ხამსახურებრივი  
მდგომარეობის ბოროტად  
გამოყენებით**

მითვისება ან გაფლანგვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა, რომელიც მინდობილი ჰქონდა დამნაშავეს ან იმყოფებოდა მის გამგებლობაში, აგრეთვე ამ ქონების გატაცება თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით

ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ან ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე. დამნაშავეს შეიძლება ჩამოერთვას აგრეთვე გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლება. მითვისება ნიშნავს მინდობილი ქონების გადაძალას შემდგომში მისი განკარგვის მიზნით, ხოლო გაფლანგვა ნიშნავს ამ ქონების განკარგვას: მოხმარებას, გაყიდვას, გაჩუქებას და ა. შ. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით გატაცებისას თანამდებობის პირი ეუფლება ისეთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას, რომელიც არ იმყოფება მის მართლზომიერ განმგებლობაში.

აღნიშნული დანაშაული, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე. დამნაშავეს შეიძლება შეეთარდოს აგრეთვე ქონების კონფისკაცია და გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ორიდან ხუთ წლამდე. თუ დანაშაული დიდი ოდენობითაა ჩადენილი, დამნაშავე დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორიდან ხუთ წლამდე.

**უაჩალობა სახელმწიფო ან  
საზოგადოებრივი ქონების  
გატაცების მიზნით**

უაჩალობა ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმას, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის სა-

შიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით. უაჩალობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, თუნდაც დამნაშავემ ვერ მიაღწიოს ქონების ფაქტიურად დაუფლებას.

ყაჩაღობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ექსიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ქონების კონფისკაციით ისჯება ყაჩაღობა, თუ იგი ჩადენილია: ა) პირთა ჯგუფის მიერ; ბ) სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით; გ) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; დ) იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ყაჩაღობა ან ბანდიტიზმი; ე) თუ იგი მიმართული იყო დიდი ოდენობით ქონების დაუფლებაზე; ვ) სადგომში ან საცავში შეღწევით. დამნაშავეს შეიძლება შეეთარდოს აგრეთვე გადასახლება ხუთ წლამდე.

**სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება**

პრაქტიკაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებად ითვლება ათი ათას მანეთზე მეტი ღირებულების ქონება. დამნაშავე პასუხს აგებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის იმისდა მიუხედავად, გატაცება ჩაიდინა ქურდობით, გაძარცვით, ყაჩაღობით თუ სხვა ხერხითა და საშუალებით.

**სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება**

გზით იმ პირის მიერ, რომლის მიმართ წინათ გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიება წვრილმანი გატაცებისათვის, ისჯება სისხლის სამართლის წესით. ასეთივე წესით ისჯება არაერთხელ, აგრეთვე იმ პირის მიერ ჩადენილი წვრილმანი გატაცება, რომლის მიმართ საქმის გარემოებათა მიხედვით ვერ იქნება გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. პრაქტიკაში წვრილმანად ითვლება ისეთი ქონების გატაცება, რომლის ღირებულება ორმოცდაათ მანეთს არ აღემატება. ამ საკითხის გადაწყვეტისას გარდა ღირებულებისა ითვალისწინებენ გატაცებული საქონლის მოცულობას, მის სამეურნეო დანიშნულებას და საქმის სხვა კონკრეტულ გარემოებებს. აღნიშნული დანაშაული ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, ჩადენილი ქურდობის, მითვისების, გაფლანგვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის

წლამდე ან ჯარიმით ასიდან ორას მანეთამდე, ხოლო თუ მას მოჰყვა რკინიგზით ან სხვა ტრანსპორტით გადაზიდვისას, აგრეთვე მუდმივი და დროებითი შენახვის ადგილებში ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტექნიკის განკომპლექტება, სასჯელად შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა ასიდან სამას მანეთამდე.

სისხლის სამართლის წესით დასჯადი წვრილმანი გატაცება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო წვრილმანი გატაცებისათვის ან რომელმაც წინათ ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით სამასიდან ხუთას მანეთამდე.

#### § 5. დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ

**მკვლელობა** მკვლელობა წარმოადგენს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულს. მკვლელობა ნიშნავს განზრახ ან გაუფრთხილებლობით მეორე ადამიანისათვის მართლსაწინააღმდეგოდ სიცოცხლის მოსპობას. მკვლელობას არ წარმოადგენს თვითმკვლელობა, აგრეთვე აუცილებელი მოგერიების დროს თავდაპირველად სიცოცხლის მოსპობა.

განზრახი მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტ წლამდე. უფრო მკაცრად ისჯება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა, ესე იგი მკვლელობა: ა) ანგარებით; ბ) ხულიგნური ქვენაგრიზობით; გ) დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; დ) ორი ან რამდენიმე პირისა; ე) წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა; ვ) ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის; ზ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, აგრეთვე დაკავშირებული გაუპატიურებასთან; თ) ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე; ი) ჩადე-

ნოლი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა. აღნიშნულ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯება სიკვდილით. განზრახი მკვლელობისათვის დამნაშავის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე გასახლება ხუთ წლამდე.

მოქმედი კანონმდებლობა იცნობს განზრახ მკვლელობის ორ შემთხვევას, სადაც თუმცა გამორიცხული არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ სასჯელი საკმაოდ შემსუბუქებულია საგანგებო გარემოებების გამო. ეს გარემოებებია ძლიერი სულიერი აღელვება და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეულია დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს ჩადენილი მკვლელობა — თავისუფლების აღკვეთით 1.2 წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე.

ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში დამნაშავეს შესუსტებული აქვს უნარი კონტროლი გაუწიოს და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით. ასეთი ძალადობა და შეურაცხყოფა შეიძლება გამოწვეული იყოს გარტყმით, ჟესტით, მუქარით, მასხრად აგდებით და ა. შ. ძლიერი სულიერი აღელვება ხდება უეცრად, უკანონო ძალადობისა თუ მძიმე შეურაცხყოფის მომენტშივე. თუ ძალადობის მომენტიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ მოხდა აღელვება და მკვლელობა, ეს იქნება განზრახ მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესებულია გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვისაც. გაუფრთხილებელი მკვლელობა იქნება მაშინ, როდესაც დამნაშავე ითვალისწინებდა მკვლელობის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მის თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა. ეს

დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე.

თუმცა მკვლევობას არ წარმოადგენს, მაგრამ პიროვნების წინააღმდეგ მიმართული საკმაოდ საშიში დანაშაულია თვითმკვლელობამდე მიყვანა, რაც ნიშნავს დამნაშავისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლევობამდე ანდა თვითმკვლევლობის ცდამდე მიყვანას დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცილებით. სასტიკი მოპყრობა ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, პიროვნების უფლების უზემად შეზღუდვას და ა. შ. პირადი ღირსების დამცილება შეიძლება სისტემატური შეურაცხყოფით, აბუჩად აგდებით, ცილისწამებით, პატივისა და ღირსების სხვაგვარი შელახვით. აღნიშნული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

**სხეულის დაზიანება** სხეულის დაზიანება ნიშნავს განზრახ ან გაუფრთხილებლობით მეორე ადამიანის ანატომიური მთლიანობის დარღვევას ან ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლას. ამ დანაშაულებიდან ყველაზე საშიშია და მკაცრადაც ისჯება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელსაც მოპყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ან სულიერი ავადმყოფობა, ან ორსულობის შეწყვეტა, ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან სულ ცოტა ერთი მესამედით, აგრეთვე სახის წარუშლელი დამახინჯება. შრომის უნარის მყარი დაკარგვა ნიშნავს მუდმივად ან ხანგრძლივი დროით საერთო შრომისუნარიანობის შემცირებას სულ ცოტა ერთი მესამედით. წარუშლელია დამახინჯება, რომელიც იწვევს სახის ისეთ სიძახინჯეს, რომლის მოსპობა შეუძლებელია მკურნალობის ჩვეულებრივი წესით. აღნიშნული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან რვა წლამდე, ხოლო თუ მან სიკვდილი გამოიწვია ან ჩადენილია მტანჯავი საშუალებით ან წამებით — თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არის დაწესებული სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანებისათვის. სხე-



ულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ნიშნავს ისეთ დაზიანებას, რომელიც სიცოცხლისათვის არ არის საშიში, მაგრამ რომელმაც გამოიწვია რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ხანგრძლივი მოშლა, რაც დაკავშირებულია შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან ერთ მესამედზე ნაკლებად, ისჯება ეს დანაშაული თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ხოლო თუ იგი ჩადენილია ტანჯვით ან წამებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ — თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ესე იგი დაზიანება, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა შრომის უნარის დაუკარგავად ან შრომის უნარის აშკარად უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

დანაშაულს წარმოადგენს, მაგრამ მსუბუქი სასჯელია დაწესებული სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობით, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს.

### გაუპატიურება

გაუპატიურება არის ქალთან სქესობრივი კავშირის დაქერა ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან მისი უმწურო მდგომარეობის გამოყენებით. გაუპატიურების დროს ქალთან სქესობრივი კავშირის დაქერა ხდება მისი ნებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ. ძალადობა ნიშნავს ფიზიკურ ზემოქმედებას, ცემას, გათოკვას, სხეულის დაზიანებას და ა. შ. მუქარა შეიძლება გამოხატული იყოს სიტყვით ან მოქმედებებით. ამასთან ეს მუქარა უნდა გამოხატავდეს დამნაშავეის განზრახვას დაზარალებულის ან მისი ახლობლების ზიანით ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ განხორციელების შესახებ. უმწუროა ისეთი მდგომარეობა, როცა დაზარალებულს ავადმყოფობის, მცირეწლოვანობის, ფიზიკური ნაკლის, სიმთვრალის თუ სხვა არანორმალური მდგომარეობის გამო არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს. დანაშაულს არ წარმოადგენს ქალთან ნებაყოფლობით სქესობრივი კავშირის დაქერა მოფერებით, საჩუქრით, ცოლად შერთვის პირობით და სხვა მართლზომიერი მოქმედებით. გაუპატიურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე, ხოლო თუ იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩა-

დენილი ასეთივე დანაშაული — თავისუფლების აღკვეთით ხუთი-დან ათ წლამდე. პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი გაუპატიურება, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურება ისჯება თავისუფლებიდან აღკვეთით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო გაუპატიურება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე მცირეწლოვანის გაუპატიურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით. თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს აგრეთვე გადასახლება ორიდან ხუთ წლამდე. არასრულწლოვანი ნიშნავს თვრამეტი წლის, ხოლო მცირეწლოვანი თოთხმეტი წლის ასაკს ზიულწველ ქალს. მძიმე შედეგი შეიძლება იყოს თვითმკვლელობა, ფსიქიური შერყევა, ორსულობის მოშლა და ა. შ.

ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ქალთან, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, თუ ეს დამნაშავესათვის წინასწარ იყო ცნობილი, დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი სქესობრივი ჟინის გარყვნილ ფორმებში დაკმაყოფილებით — თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე.

**ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით** ქალის მოტაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე. მოტაცება ნიშნავს ქალის იძულებით წაყვანას მისი ჩვეულებრივი სამყოფელი ადგილიდან. მოტაცება ხდება იძულებით, ქალის ნების საწინააღმდეგოდ. მოტაცება იქნება მაშინაც, როცა ქალი სტუმრად მიიპატიჟეს ან მოტყუებით მიიყვანეს გარკვეულ ადგილას და დააკავეს. დანაშაულს არ წარმოადგენს მოჩვენებითი მოტაცება, ესე იგი ქალის წაყვანა ფაქტობრივად მისი თანხმობით, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის ინსცენირებით. თუ ქორწინების მიზნით მოტაცებას თან სდევდა ან მოჰყვა სხვა უფრო მძიმე დანაშაული (სხეულის მძიმე დაზიანება, გაუპატიურება და ა. შ.), დამნაშავე ამ დანაშაულისათვისაც აგებს პასუხს.

**ცილისწამება** ცილისწამება ნიშნავს შეგნებულად მონაპოვრის გავრცელებას, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს. ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ გავრცელებული ცნობა იყოს მონაპოვრი, არ შეეფარებოდეს სინამდვილეს და ეს იცოდეს დამნაშავემ. დანაშაულს

არ წარმოადგენს ისეთი ცნობის გავრცელებას, რომელიც ნამდვილია ან პირმა სხვა წყაროდან გაიგო და ნამდვილად მიიჩნია. მონაქორის გავრცელება ნიშნავს მის შეტყობინებას თუნდაც ერთი უცხო პირისათვის. პირადად დაზარალებულისათვის მონაქორის თქმა ცილისწამებას კი არ წარმოადგენს, არამედ შეურაცხყოფას. სახელის გამტეხია ისეთი მონაქორის გავრცელება, რომელსაც ვითომ ადგილი ჰქონდა ან ამჟამად აქვს დაზარალებულის ცხოვრებაში და რაც გასაკიცხი და მიუტევებელია საზოგადოებაში გაბატონებული ზნეობის თვალსაზრისით.

ცილისწამება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე. ცილისწამება ნაბეჭდ ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებებში, აგრეთვე იმ პირს მიერ, რომელიც ადრე იყო მსჯავრდებული ასეთივე დანაშაულისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ან ჯარიმით ასიდან სამას მანეთამდე, ხოლო თუ ცილისწამებას თან ერთვის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო ან სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდება, დამნაშავე დაიჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

### შეურაცხყოფა

შეურაცხყოფა ნიშნავს პიროვნებს პატივისა და ღირსების განწრაბ დაშლას უწესო ფორმით. პიროვნების ცხოვრებისა და საქმიანობის ნაკლოვანებათა ობიექტური შეფასება, რასაკვირველია, დანაშაულს არ წარმოადგენს. შეურაცხყოფის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ პიროვნების პატივისა და ღირსების დამცილება მოხდეს უწესო ფორმით. ასეთია, მაგალითად, ყურის აწევა, შეგინება, სამარცხვინო მდგომარეობაში დახატვა და ა. შ. ცილისწამებისაგან განსხვავებით შეურაცხყოფის დროს კონკრეტული მონაქორის გავრცელება კი არ ხდება, არამედ შეფასება ეძლევა საერთოდ პიროვნების თვისებებს, ქცევას, გარეგნობას და ა. შ.

შეურაცხყოფა ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ექვს თვემდე ან ჯარიმით ას მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით. შეურაცხყოფა, მიყენებული ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, აგრეთვე ისეთი პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო შეურაცხყოფისათვის, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

**ქურდობა**

ქურდობა, ესე იგი მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება ისევეა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით. ქურდობა, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიიყენა დაზარალებულს, ისევეა თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე. დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს ქონების კონფისკაციაც.

ქურდობა ბინაში შეღწევით, ისევეა თავისუფლების აღკვეთით ორიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი ქურდობა, ისევეა თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით.

დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც გატაცებული ქონების ღირებულება, ისე დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობა, გატაცებული ნივთის საჭიროება პატრონისათვის და სხვა გარემოებები. ამასთან, დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ დაზარალებულს აყენებდა მნიშვნელოვან ზიანს. ბინა ნიშნავს საცხოვრებელ სადგომს, სადაც ადამიანი ეწევა საოჯახო მეურნეობას. ბინას არ წარმოადგენს მატარებლის კუპე, გემის კაიუტა, სასტუმროს ოთახი და სხვა მსგავსი სადგომი, სადაც ადამიანები იმყოფებიან ღროებით, არ ეწევიან იქ ჩვეულებრივ საოჯახო მეურნეობას. მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების სხვა ნიშნები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების შესაბამისი ნიშნების ანალოგიურია.

**გაძარცვა**

გაძარცვა, ესე იგი მოქალაქეთა პირადი ქონების აშკარა გატაცება, ისევეა თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე.

გაძარცვა, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან დაკავშირებული ძალადობასთან, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის,

ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ექვს წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

გაძარცვა ბინაში შეღწევით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო გაძარცვა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

### ყაჩაღობა

ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე.

ყაჩაღობა, ჩადენილი: ა) პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით; ბ) სხეულის ძვირე დაზიანებით; გ) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; დ) იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ყაჩაღობა ან ბანდიტიზმი; ე) ბინაში შეღწევით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლება; თ ხუთ წლამდე ან უამისოდ, ქონების კონფისკაციით.

### თაღლითობა

თაღლითობა ნიშნავს მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების ან ქონებრივი გამორჩენის მიღებას მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. მოტყუება ნიშნავს დაზარალებულისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას ან დამალვას, რის გავლენითაც იგი დამნაშავეს ნებაყოფლობით გადასცემს თავის ქონებას. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე, ოთხას მანეთამდე ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე.

თაღლითობა, თუ იგი ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან განმეორებით, ან თუ მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე. დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს ქონების კონფისკაცია. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი თაღლითობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

## გამოძალვა

გამოძალვა ნიშნავს მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების გადა-

ცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიცემის მოთხოვნას, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების ან მათი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა. ქონების მოთხოვნა შეიძლება არა მარტო მითვისების, არამედ მისი დროებით გამოყენების მიზნითაც. ქონებაზე უფლების გადაცემის მოთხოვნა შეიძლება, მაგალითად, დაზარალებულის იძულებით დამნაშავეს სასარგებლოდ გააფორმოს ჩუქების ხელშეკრულება. საყოველთაოდ საშიში საშუალებაა ცეცხლის წაკიდება, აფეთქება, წყლის მოშვება და ა. შ. დაზარალებულის ახლობლებია არა მარტო მისი ოჯახის წევრები, არამედ ყველა პირი, ვისთანაც იგი ახლო ურთიერთობაში იმყოფება. გამოძალვის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ცნობა, რის გახმაურებითაც იმუქრება დამნაშავე, სინამდვილეს შეეფერება თუ მონაჭორია. აღნიშნული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ან ჯარიმით ოთხას მანეთამდე. პირთა ჯგუფის მიერ ან განმეორებით ჩადენილი თაღლითობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

## § 7. თანამდებობრივი დანაშაული

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ისეთი მოქმედების განზრახ ჩადე-

ნას, ან არჩადენას, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. საკითხი, თუ რა ზიანი ჩაითვლება არსებითად, უნდა გადაწყდეს დარღვეული ინტერესის მნიშვნელობის, მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობის და საქმის სხვა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ჩადენილი სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, ისევე თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. სისტემატურობა ნიშნავს დანაშაულის მრავალგზის ჩადენას, ხოლო ანგარება გულისხმობს მატერიალური გამორჩენის მიღების სურვილს. პირად მოტივად ჩაითვლება შურისძიება, პატივმოყვარეობა, კარიერიზმი, თავის ჯამოჩენის სურვილი და ა. შ.

**დაუდევრობა** დაუდევრობა არის თანამდებობის პირის მიერ თავისი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამ დანაშაულის საქმეზე უნდა დადგინდეს კონკრეტულად რაში გამოიხატა დაუდევრობა, სახელდობრ, რა სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა თანამდებობის პირმა.

დაუდევრობა ისევე თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნით. მაგრამ თუ დაუდევრობას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოები ორ წლამდე, ან ჯარიმა სამას მანეთამდე.

**მეჭრთამეობა** მეჭრთამეობა არის ყველაზე საშიში თანამდებობრივი დანაშაული. მეჭრთამე თანამდებობის პირი არღვევს სახელმწიფო დისციპლინას, სახელს უტეხს შესაბამისი დაწესებულების ავტორიტეტს. კანონი ადგენს პასუხისმგებლობას ქრთამის აღების, მეჭრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის.

ქრთამის აღება ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ყველა სახის მატერიალური ფასეულობის თუ მატერიალური გამორჩენის მიღებას ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ან ანა თუ იმ მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ქრთამის ალებისათვის აუცილებელი არ არის, რომ თანამდებობის პირმა ჩაიდინოს რაიმე უკანონო მოქმედება. იგი პასუხს აგებს მაშინაც, როცა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ მის მიერ შესრულებული მოქმედება მართლზომიერია. ასევე მნიშვნელობა არა აქვს ქრთამი ალებულია დაპირებული მოქმედების შესრულებამდე თუ შემდეგ. ქრთამის საგანი შეიძლება იყოს მატერიალური ღირებულების მქონე ყოველგვარი სიკეთე: ფული, ნივთი, სამშენებლო მასალა, საგზური, ბინის გარემონტება, გამასპინძლება და ა. შ.

ქრთამის ალება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით. უფრო მკაცრად ისჯება ქრთამის ალება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა უკავია ან ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ან არაერთხელ აულია ქრთამი, ან რასაც თან სდევდა ქრთამის გამოძალვა. ქრთამის არაერთხელ ალება ნიშნავს ქრთამის ალებაა ორჯერ მაინც. რამდენიმე პირისაგან ერთდროულად ქრთამის ალება ქრთამის არაერთხელ ალებაღ ითვლება. გამოძალვა ნიშნავს ქრთამის მოთხოვნას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის მიმცემის საზიანოდ რაიმე მოქმედების განხორციელების მუქარით, აგრეთვე ქრთამის მიმცემის განზრახ ისეთ პირობებში ჩაყენებას, რაც აიძულებს მას ქრთამი გაიღოს თავისი კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების აღსაკვეთად. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

ქრთამის მიცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ოცა წლამდე, ხოლო ქრთამის მიცემა არაერთხელ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის — თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე. ქრთამის მიმცემი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიმართ აღგილი პქონდა ქრთამის გამოძალვას ან თუ ამ პირმა ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ.

მექრთამეობაში შუამავლობა, ესე იგი ქრთამის ამღებსა და



ქრთამის მიმცემის ურთიერთდაკავშირება ან სხვაგვარი ხელის შეწყობა ქრთამის მიცემა-აღების განხორციელებაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან რვა წლამდე. იგივე მოქმედება, ჩადენილი არაერთხელ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, აგრეთვე მექრთამეობაში შეამავლობა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონსფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

**სამსახურებრივი სიყალბე** სამსახურებრივი სიყალბე არის თანამდებობის პირის მიერ შეგნებულად ყალბი ცნობების ან ყალბი ჩანაწერების შეტანა ოფიციალურ დოკუმენტებში ან დავთრებში, შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენა ან გაცემა, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საქმეებში არსებულ ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტებში სიყალბის გაცემა, ამოშლა ან სხვა რიცხვით მათი დათარიღება. სამსახურებრივი სიყალბე დანაშაულს წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. სასჯელის ზომად ამ დანაშაულისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნა.

## **§ 8. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ**

**ხულიგნობა** ხულიგნობა არის განზრახი მოქმედება, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივეცემულობას საზოგადოებისადმი. საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევა ნიშნავს ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც არსებით ზიანს აყენებს კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ინტერესებს. საზოგადოებისადმი აშკარა უპატივეცემულობა ნიშნავს სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას. მოქმედება ხულიგნური იქნება მაშინ, თუ იგი ერთდროულად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივეცემულობას. აღნიშნული დანაშაული ისჯება თავისუფლების

აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევი და საზოგადოებისადმი აშკარად უპატივცემულობის გამომხატველი ისეთი მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით გამოირჩევა უალრესად დიდი ცინიზმით ან განსაკუთრებული თავხედობით, ან დაკავშირებულია წინააღმდეგობის გაწვევასთან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში, ან ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქეებისათვის, წარმომადგენს ბოროტ ხულიგნობას. ბოროტი ხულიგნობა აგრეთვე ხულიგნობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ნასამართლევ იყო ხულიგნობისათვის. ბოროტი ხულიგნობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე.

განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად ითვლება ისეთი ხულიგნობა, რომლის დროსაც იხმარეს ან სცადეს ეხმარათ ცეცხლმსროლელი იარაღი, დანა, კასტეტი ან სხვა ცივი იარაღი, ასევე სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგანი. თუ ხულიგნური მოქმედების ჩამდენს ისეთი იარაღი აღმოაჩნდა, რომლის უნებართვოდ ტარება დანაშაულია, იგი პასუხს აგებს ამ დანაშაულისათვისაც. განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხულიგნობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე.

**დანაშაულებრივი გზით  
მოპოვებული ქონების  
შეძენა ან გასაღება:**

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება ნიშნავს, რომ დამნაშავე წინასწარი შეცნობით იძენს ან ასაღებს ისეთ ქონებას, რომელიც

დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა სახის დანაშაულით არის მოპოვებული ეს ქონება. მთავარია, რომ პირმა იცოდა, რომ იგი იძენს ან ასაღებს სწორედ დანაშაულებრივი, არამართლზომიერი გზით მოპოვებულ ქონებას. ქონების შეძენა ნიშნავს არა მარტო მის ყიდვას, არამედ აგრეთვე მის მიღებას საჩუქრად, გაცვლით, სესხის სანაცვლოდ და ა. შ. ქონების გასაღება ნიშნავს მის გაყიდვას, გაჩუქებას, საკომისიო მაღაზიაში ჩაბარებას და ა. შ. თუ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა წინასწარ იყო შეპირებული, პირი პასუხს აგებს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დანაშაული ჩადენილია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, დამნაშავე დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე.

### **მაწანწალობა და მათხოვრობა**

მაწანწალობა ან მათხოვრობა, ანდა სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით. იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ამ დანაშაულისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე. მაწანწალობად ჩაითვლება ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში ან ერთ ქალაქში (რაიონში) ერთი ადგილიდან მეორეზე ხეტიალი იმ პირისა, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია და რომელიც ცხოვრობს არაშრომითი შემოსავლით, ამასთან, თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, რასაც აგრძელებს ასეთი ცხოვრების დაუშვებლობის შესახებ ოფიციალური გაფრთხილებიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ. მათხოვრობად ჩაითვლება პირის ცხოვრება უცხო მოქალაქეთათვის ფულის, სურსათის, ტანსაცმლის ან სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოთხოვის გზით მოპოვებული არაშრომითი შემოსავლით. სხვაგვარ პარაზიტულ ცხოვრებად ჩაითვლება სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირის მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავის არიდება, რაც გრძელდება ასეთი ცხოვრების დაუშვებლობის შესახებ ოფიციალური გაფრთხილებიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

### **აზარტული თამაში**

აზარტული თამაში ფულზე, ნივთზე ან სხვა მატერიალურ ფასეულობაზე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე, ხოლო ბუნაგის მოწყობა აზარტული თამაშისათვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ წლამდე. აზარტული თამაშისათვის დამ-

ნაშავეს შეიძლება შეეფარდოს აგრეთვე ქონების კონფისკაცია. აზარტული თამაში, თუ იგი რაიმე მატერიალურ ღირებულებასთან არ არის დაკავშირებული, სისხლის სამართლის წესით არ ისჯება. დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს კონკრეტულად რით წარმოებს აზარტული თამაში: ზარით, კადრაკით, ნარდით, კარტით თუ სხვა რომელიმე თამაშით. აზარტული თამაშისათვის ბუნაგის მოწყობა ნიშნავს ბინის, ფარდულის, სარდაფის თუ სხვა სადგომის სასყიდლით ან უსასყიდლოდ დათმობას აზარტული მოთამაშეებისათვის.

**არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში**

არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში, ჩათრევა ლოთობაში, დაყოლიება მათხოვრობაზე, პროსტიტუციაზე, აზარტულ თამაშზე ან სხვა

ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. არასრულწლოვანია თვრამეტ წელს მიუღწეველი პირი. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა ნიშნავს არასრულწლოვანის მონაწილეობას იმ დანაშაულში, რომელიც ჩადენილია სრულწლოვანის ინიციატივითა და წაქეზებით. ამ შემთხვევაში სრულწლოვანი დამნაშავე პასუხს აგებს როგორც ძირითადი დანაშაულისათვის, ისე არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის. ჩადენილი დანაშაულისათვის არასრულწლოვანიც აგებს პასუხს, თუ იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულია.

აღნიშნული დანაშაულისათვის პასუხს აგებს ის პირიც, ვინც არასრულწლოვანს სიტყვით თუ საქმით ჩაითრევს ლოთობაში, აღუძრავს სურვილს ან ჩააყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ დაიწყოს მათხოვრობა, პროსტიტუცია, აზარტული თამაში და სხვა ანტი-საზოგადოებრივი მოქმედება.

არასრულწლოვანის დათრობა იმ პირის მიერ, რომელზედაც არასრულწლოვანი სამსახურებრივად არის დამოკიდებული, ცალკე დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

**იარაღის უკანონოდ ფლობა**

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა ხანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეტქებად ნივთიერებათა

სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, შენახვა, შექნა, დამზადება ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ

წლამდე. ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენს ქარხნული წესით ან კუსტარულად დამზადებული საბრძოლო იარაღი: შაშხანა, რევოლვერი, პისტოლეტი, წერილყალიბიანი შაშხანა და ა. შ. საბრძოლო მასალა ნიშნავს ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნას, აგრეთვე ხელყუმბარას, ყუმბარას და ა. შ. ფეთქებადია ისეთი ნივთიერება ან ნივთიერებათა შენაერთი, რომელიც შეიძლება აფეთქდეს.

სისხლის სამართლის წესით ისჯება აგრეთვე ხანჯლის, ფინური დანის, ან სხვაგვარი ცივი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, დამზადება ან გასაღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედება დაკავშირებულია რეწვასთან, სამსახურთან ან საყოფაცხოვრებო პირობებთან, აგრეთვე, როდესაც იარაღი ეროვნული ტანსაცმლის სამკაულს წარმოადგენს. ეს ქმედობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე. გარდა აღნიშნულისა, ცივი იარაღია ხმალი, ხიშტი, კასტეტი და ყველა სხვა საგანი, რომლის დანიშნულებაც ცოცხალი მიზნის დაზიანება.

იარაღის უკანონოდ ტარება და შენახვა ნიშნავს მათ მფლობელობას შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე. ამასთან, პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებიც მას სათანადო ნებართვის გარეშე ჰქონდა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

**მოძრაობის  
უსაფრთხოების  
და ტრანსპორტის  
ექსპლუატაციის წესების  
დარღვევა**

მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც მართავს ავტომობილს, ტრანსპორტს ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტს საშუალებას, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ

მანქანას, თუ ამის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ან თუ ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ან ჯარიმით სამას მანეთამდე. თუ აღნიშნულ ქმედობას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი ან მან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, დამნაშავე დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ათ წლამდე, ხოლო თუ ქმედობას შედეგად მოჰყვა რამდენიმე პირის დაღუპვა, სასჯელის ზომად დაინიშნება თავისუფლების აღკვეთა სამიდან თხუთ-

მეტ წლამდე. ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულს შეიძლება ჩამოერთვას აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ხუთ წლამდე.

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესები დადგენილია სპეციალური ნორმატიული აქტებით. აღნიშნულ დანაშაულთა საქმეებზე აუცილებლად უნდა დადგინდეს დამნაშავის მიერ სახელდობრ რა წესებია დარღვეული და რა მიზეზობრივ კავშირშია ეს დარღვევა დამდგარ შედეგთან. ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავეს ჰქონდა თუ არა მართვის უფლება.

**ავტომოტოტრანსპორტის  
საშუალებათა გატაცება**

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება დროებით გამოყენების მიზნით, ია-

ჩება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით. იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ანდა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ან ჩადენილი სიმთვრალეში, ან პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს, ანდა დაკავშირებული ძალადობასთან, რომელიც საშიში არაა დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, ისევე თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. თუ აღნიშნული ქმედობა დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, დამნაშავე დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან რვა წლამდე.

აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას ქმნის როგორც მოქალაქეთა კუთვნილი, ისე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცება. მთავარია, რომ ეს საშუალება გატაცებული იყოს დროებით გამოყენების მიზნით. დროებით გამოყენების მიზანი გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე როგორც საკუთარს, ისე განკარგავს გატაცებულ ტრანსპორტს, მაგალითად, გააჩუქებს მას, ტრანსპორტის დაბრუნებისათვის დაზარალებულს თხოვს გარკვეულ თანხას და ა. შ. ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებად ითვლება ავტომოტოტრანსპორტის ამუშავება მორგებული გასაღებით, სადენების გადაერთვით, გადაადგილება სხვა ტრანსპორტის გამოყენებით და ა. შ.

## ნარკომანია

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ნარკომანიასთან დაკავშირებულ დანაშაულებს მიძღვნილი აქვს შვიდი მუხლი, რომლებიც ოცამდე დანაშაულის შემადგენლობას ითვალისწინებენ. ამ დანაშაულთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით, აგრეთვე უკანონო გასაღება, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაული, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, აგრეთვე თუ ეს ქმედობა ეხება დიდი ოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერებას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

პრაქტიკაში გავრცელებულია აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნის გარეშე. ასეთ შემთხვევას უმეტესად ადგილი აქვს მაშინ, როცა დამნაშავეს ნარკოტიკული ნივთიერება სჭირდება თავისთვის. ეს დანაშაული ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ხოლო განმეორებით ან იმ პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

ექვსი თვიდან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი მას შემდეგ, რაც ასეთივე ქმედობისათვის დამნაშავეს მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიება.

გარდა აღნიშნული დანაშაულებისა, სისხლის სამართლის წესით ისჯება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება, იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების ბუნაგის მოწყობა, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება ან მათი შემცველი კულტურების უნებართვოდ დათესვა და მოყვანა.

## § 9. სხვა დანაშაულები

### მცირედი შენიშვნა

• საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი შე-

იცავს თერთმეტ თავს და ორას ოცდაორ ძირითად მუხლს. ორმოცდარვა მუხლი კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილს დაემატა შემდგომში, კანონმდებლობის განვითარებისა და სრულყოფის კვალობაზე. კოდექსის მუხლების უმრავლესობაში მოცემულია რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა როგორც ცალკე დანაშაულის სახით, ისე ძირითადი დანაშაულიდან კვალიფიციური ნიშნების გამოყოფით. კოდექსის განსაკუთრებული ნაწილისადმი მიძღვნილ პარაგრაფებში განხილული იყო მხოლოდ ის დანაშაულები, რომლებიც პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება. მაგალითად, სახელმწიფო დანაშაულის ცალკე პარაგრაფად გამოყოფა და განხილვა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ ეს დანაშაულები მეტად იშვიათია, სამხედრო დანაშაულის შესახებ თავი არ გამოიყო ცალკე პარაგრაფად, რადგანაც სამოქალაქო სასამართლოები ამ დანაშაულებს თითქმის არ იხილავენ, ხოლო სამხედრო ტრიბუნალებში წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობს.

ქვემოთ განხილულია ზოგიერთი გავრცელებული დანაშაული, მოცემული კოდექსის ისეთ თავში, რომლის ცალკე პარაგრაფად გამოყოფა არ მოხდა.

### სპეკულაცია

სპეკულაცია ნიშნავს საქონლის ან სხვა

საგნების შესყიდვას და გადაყიდვას გა-

მორჩენის მიზნით. საქონელია ისეთი საგანი, რომელიც დამზადებულია შრომით და გამოიზნულია ადამიანის რაიმე პოთხუნელობის დასაცავად. სპეკულაციის საგანი შეიძლება იყოს ისეთი საგანიც, რომელიც შრომით არ შექმნილა ან რომელიც ადამიანს ანიჭებს არამატერიალური ხასიათის უფლებას. მაგალითად, ველური მცენარე, თეატრში შესასვლელი ბილეთი და ა. შ. სპეკულაციის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ დამნაშავემ საქონელი ან სხვა საგანი შეისყიდოს გამორჩენის მიზნით. ნაჩუქარი ან ნაქურდული საქონლის გამორჩენის მიზნით გაყიდვა სპეკულაციას არ წარმოადგენს. სპეკულაციად არ ჩაითვლება აგრეთვე, შესყიდული საქონლის თვისობრივი გადაკეთება და გაყიდვა, აგრეთვე ისეთი საქონლის გაყიდვა გამორჩენის მიზნით, რომელიც პირადი საჭიროებისათვის იყო შესყიდული. სპეკულაციის შემადგენლობისათვის აუცილებელი არ არის გამორჩენის ფაქტობრივად მიღება. სპეკულაცია სახეზეა მაშინაც, როცა დამნაშავემ საქონელი შეისყიდა გამორჩენის მიზნით, მაგრამ შემდგომში რაიმე მიზეზით იძულებული გახდა გაეყიდა იმავე ფასებში ან უფრო იაფად. თუ დამნაშავემ საქონე-



ლი შეისყიდა გამორჩენის მიზნით, მაგრამ მასზე დამოუკიდებელი მი-  
ჩუქევის გამო ვერ მოასწრო მისი გადაყიდვა, იგი პასუხს აგებს სპე-  
კულაციის მცდელობისათვის.

სპეკულაცია ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან  
გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთას მა-  
ნეთამდე. დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს აგრეთვე ქონების კონ-  
ფისკაცია. სპეკულაცია ჩადენილი არაერთგზის ან დიდი ოდენობით  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან შვიდ წლამდე ქონების  
კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან იმ პირის  
მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ანალოგიური დანაშაუ-  
ლისათვის — თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე ქო-  
ნების კონფისკაციით. არაერთგზის ნიშნავს დანაშაულის ორჯერ  
ან მეტად ჩადენას. პრაქტიკა სპეკულაციას თვლის დიდი ოდენობით  
ჩადენილად, როდესაც შესყიდული საქონლის გადაყიდვით მიღებუ-  
ლი მოგება ან მოსალოდნელი მოგება აღემატება ორას მანეთს, ხო-  
ლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — თუ იგი აღემატება ათას მა-  
ნეთს.

**მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება**  
მოტყუებას ან დადგენილ საცალო ფა-  
სებზე, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების  
ფასებზე და ტარიფებზე მეტის გადახდევინებას, ანდა მყიდველებსა  
და დამკვეთების სხვაგვარ მოტყუებას მაღაზიასა თუ სხვა სავაჭრო სა-  
წარმოში ან საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვ-  
რებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში.  
სხვაგვარად მოტყუება შეიძლება, მაგალითად, დაბალი ხარისხის  
საქონლის მაღალ ხარისხად მიყიდვით, საყოფაცხოვრებო ნივთის  
უხარისხო მასალით შეკეთებით და ა. შ.

აღნიშნული დანაშაული ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით  
ორ წლამდე ან ჯარიმით ოთხას მანეთამდე, ხოლო თუ იგი ჩადენი-  
ლია წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან დიდი ოდენო-  
ბით, ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო ასეთი-  
ვე დანაშაულისათვის — თავისუფლების აღკვეთით ორიდან შვიდ  
წლამდე. დამნაშავის მიმართ შეიძლება აგრეთვე ქონების კონფის-  
კაციის შეფარდება და სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლე-  
ობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნე-

ობის საწარმოებში თანამდებობათა დაკავების უფლების ჩამორთმევა ორიდან ხუთ წლამდე.

ფიქტიური ქორწინება ან ფიქტიური განქორწინება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იგივე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე. ფიქტიურია ისეთი ქორწინება ან განქორწინება, რომელიც მიზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას ან დანგრევას. ფიქტიური ქორწინება და განქორწინება უმეტესად ხდება ბინაში ჩაწერის, კომუნალური ბინის გაყიდვის, მეტი საცხოვრებელი ფართის მიღების მიზნით. გამორიცხული არ არის, რომ ეს დანაშაული სხვა მოტივითაც მოხდეს. ფიქტიური ქორწინების ან განქორწინებისათვის პასუხს აგებს ორივე მხარე, ამასთან თუ მათ ყალბი საბუთებო წარადგინეს, პასუხს აგებენ ამ დანაშაულისათვის.

§ 1. ზოგადი დებულებანი

საკანონმდებლო  
აქტები

სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს და მათთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს მოქალაქეებს შორის, მოქალაქეებსა და სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე თვით ამ ორგანიზაციათა შორის. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ფუძემდებლური დებულებები მოცემულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც ადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებას, განსაზღვრავს ამ საკუთრების ფორმებს და მოქალაქეთა პირადი საკუთრების საფუძველს, ითვალისწინებს მემკვიდრეობის უფლებას და მთელ რიგ სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის დებულებებს. სამოქალაქო კანონმდებლობის მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, რომელიც 1961 წლის 8 დეკემბერს მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და ძალაში შევიდა 1962 წლის 1 მაისიდან. საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებმა მიიღეს სამოქალაქო სამართლის კოდექსები. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი დაამტკიცა რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 1964 წლის 26 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1965 წლის 1 ივლისიდან. სამოქალაქო სამართლის ნორმები მოცემულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებში, მთავრობის დადგენილებებში, საუწყებო ნორმატიულ აქტებში და ა. შ. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ცალკეული საკითხები რეგლამენტირებულია სსრ კავშირის საპაერო კოდექსით, სსრ კავშირის საზღვაო-სანაოსნო კოდექსით და მთელი რიგი სხვა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტებით.

**სამოქალაქო  
სამართლებრივი  
ურთიერთობა**

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლის მო-

ნაწილებს დაკისრებული აქვთ ცალკეული უფლებები და მოვალეობანი ან მინიჭებული აქვთ შესაძლებლობა, თვითონ დაადგინონ ეს უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებია როგორც მოქალაქეები, ისე სოციალისტური ორგანიზაციები. ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტად შეიძლება გამოვიდეს თვითონ საბჭოთა სახელმწიფო. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსია მის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, ხოლო ობიექტებია ის, რაზედაც მიმართულია ეს უფლებები და მოვალეობები.

სამოქალაქო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობები თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი. ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსია რაიმე მატერიალური ხასიათის სიკეთე. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ნივთის მოთხოვნის უფლება. პირადი არაქონებრივი უფლებები დაკავშირებულია არამატერიალური სიკეთის რეალიზაციასა თუ დაცვასთან. არაქონებრივი ხასიათისაა, მაგალითად, პატივისა და ღირსების დაცვის მოთხოვნის უფლება. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს აბსოლუტური და შეფარდებითი. აბსოლუტურია ისეთი ურთიერთობა, სადაც პირის უფლებებს შეესაბამება განუსაზღვრელ პირთა ვალდებულება. შეფარდებითი კი ისეთი სამართლებრივი ურთიერთობაა, სადაც სუბიექტები ზუსტად არის განსაზღვრული. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს აგრეთვე მარტივი და რთული. მარტივია ისეთი ურთიერთობა, სადაც ერთ პირს მხოლოდ უფლებები აქვს, ხოლო მეორეს მხოლოდ ვალდებულებები. რთულ ურთიერთობებში კი თითოეულ მხარეს აქვს როგორც უფლებები, ისე მოვალეობები.

**სამოქალაქო  
უფლებაუნარიანობა  
და ქმედუნარიანობა**

უფლებაუნარიანობა ეწოდება მოქალაქის უნარს იქონიოს უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა ადამიანის დაბადების მომენ-

ტიდან და გრძელდება მის გარდაცვალებამდე. უფლებაუნარიანობა

ადიარებულია ყველა მოქალაქისათვის თანაბრად. უფლებაუნარიანობის გარეშე მოქალაქე ვერ იქნება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ვერ შეიძენს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს.

ქმედუნარიანობა ეწოდება პირის უნარს თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო მოვალეობანი. ქმედუნარიანობა მხოლოდ ისეთი მოქალაქე, რომელსაც შეუძლია განაგოს თავისი მოქმედება და შეათასოს თავისი ქცევის შედეგები. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა სრულწლოვანების, ესე იგი თვრამეტი წლის ასაკიდან. თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი სარგებლობს ნაწილობრივი ქმედუნარიანობით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ის გარიგებას სდებს მშობლის, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობით. მას უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს წერილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, განკარგოს თავისი ხელფასი ან სტიპენდია, განანორციელოს სააქტორო და საგამომგონებლო უფლებები, თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი მცირეწლოვანი თითქმის მოკლებულია ქმედუნარიანობას. მას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს მხოლოდ წერილმანი საყოფაცხოვრებო ხასიათის გარიგება. ყველა სხვა შემთხვევაში მის მაგიერ და მისი სახელით გარიგებას სდებს მისი მშობელი, მშვილებელი ან მეურვე. ისინი ვალდებული არიან აგრეთვე აანაზღაურონ თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი მცირეწლოვანის მოქმედებით მიყენებული ზიანი.

მოქალაქე, რომელსაც სულით ავადმყოფობის ან კჳუასუსტობის გამო არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან გაუძღვეს მას, შეიძლება სასამართლოს მიერ ადიარებული იქნეს არაქმედუნარიანად. არაქმედუნარიანად ადიარებული პირის სახელით გარიგებას სდებს მისი მეურვე.

### იურიდიული პირი

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე არის იურიდიული პირი, ესე იგი საწარმო დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელსაც აქვს განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობანი, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟში და სამედიატორო სასამართლოში.

იურიდიულ პირს აქვს თავისი წესდება ან დებულება, რომელიც ადგენს მის ორგანიზაციულ ურთიერთობას, განსაზღვრავს მის

სტრუქტურას, ამოცანებს, საქმიანობის წესს, ქონებრივ მდგომარეობას და ა. შ. იურიდიულ პირს აქვს თავისი განცალკევებული ქონება, რის საფუძველზეც ახორციელებს თავის საქმიანობას და კისრულობს დამოუკიდებელ ქონებრივ პასუხისმგებლობას. იურიდიული პირი გამოდის თავისი სახელით, დამოუკიდებლად შედის სამართლებრივ ურთიერთობაში, თავისი სახელით ადგენს სარჩელს და გამოდის მოსარჩელედ. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა წარმოიშობა ერთდროულად მისი შექმნის მომენტიდან და განისაზღვრება მისი საქმიანობის კონკრეტული მიზნებით.

იურიდიული პირებია სახელმწიფო საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ განცალკევებული და დამოუკიდებელი ბალანსი.

**გარიგებანი** სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ყველაზე გავრცელებულ მართლზომიერ საფუძველს გარიგება წარმოადგენს. გარიგება არის მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა მოქმედება, მიმართული სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის, შეცვლის ან მოსპობისათვის.

გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი. ცალმხრივია ისეთი გარიგება, რომლისთვისაც საკმარისია მხოლოდ ერთი პირის ნების გამოვლენა. ცალმხრივი გარიგებაა, მაგალითად, ანდერძი. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებისათვის საჭიროა ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენა. ასეთ გარიგებას ხელშეკრულებას უწოდებენ. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ქირავნობის ხელშეკრულება და ა. შ.

გარიგების დადება შეიძლება როგორც ზეპირად, ისე წერილობით. გარიგება, რომლის შესრულება მისი დადებისთანავე ხდება, შეიძლება დაიდოს ზეპირად. ზეპირად ხდება, მაგალითად, მოქალაქის მიერ ტრანსპორტზე სამგზავრო ბილეთის შექმნა, ბაზარში ყიდვა და ა. შ.

ზოგიერთი გარიგებისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. წერილობით უნდა დაიდოს, მაგალითად, მოქალაქეთა შორის გარიგება, რომელიც ას მანეთზე მეტ თანხას ეხება. ზოგ შემთხვევაში სავალდებულოა გარიგების სანოტარო წესით დამოწმება. სანოტარო

წესით უნდა იყოს დამოწმებული, მაგალითად, ანდერძი, საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ხუთას მანეთზე მეტი ღირებულების ქონების ნაჩუქრობის ხელშეკრულება და ა. შ.

კანონის მოთხოვნათა დარღვევით დადებული გარიგება არის ბათილი და ასეთი გარიგების თითოეული მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო ან აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულად. ბათილია მოჩვენებითი და თვალთმაქცური მიზნით დადებული გარიგება, აკრთვე გარიგება, დადებული მოტყუების, ძალადობის, მუქარის, ერთი მხარის წარმომადგენლის მეორე მხარესთან ბოროტგანზრახვით შეთანხმების ან მძიმე გარემოებათა დამთხვევის შედეგად. თუ მხარეებმა შეგნებულად დადეს ისეთი გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, სახელმწიფოს შემოსავალში ჩაირიცხება ყველაფერი, რაც მათ გარეგნით მიიღეს.

### **წარმომადგენლობა და რწმუნებულება**

სამოქალაქო უფლებები შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს როგორც მოქალაქეს, ისე იურიდიულ პირს. წარმომადგენელი სდებს გარიგებას, აწარმოებს სამართლებრივი ხასიათის მოქმედებას წარმოდგენილი პირის სახელით მისი უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად. წარმომადგენლობა დაუშვებელია ისეთი გარიგებისას, რომელიც მისი ხასიათის მიხედვით შეიძლება დაიდოს მხოლოდ პირადად. წარმომადგენელს არ შეუძლია დადოს წარმოდგენილი პირის სახელით გარიგება თავის თავთან ან სხვა პირთან, რომლის წარმომადგენელიც იგი ამავე დროს არის.

სხვა პირის სახელით დადებული გარიგება იმ პირის მიერ, რომელიც არ იყო უფლებამოსილი დაედო გარიგება, ან რომელმაც ვარიგება უფლებამოსილების გადამეტებით დადო, ქმნის, სცვლის ან სპობს წარმოდგენილი პირისათვის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პირი შემდგომ მოიწონებს ამ გარიგებას.

წარმომადგენლობის თავისებურ სახეს წარმოადგენს რწმუნებულება, ესე იგი, ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის მიცემული წერილობითი უფლებამოსილება, რათა მან გასწიოს წარმომადგენლობა მესამე პირის წინაშე. რწმუნებულება ფორმდება წერილობით,

ხოლო ზოგ შემთხვევაში აუცილებელია მისი სანოტარო წესით დამოწმება. მაგალითად, სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია რწმუნებულების სანოტარო ფორმის დაცვა. რწმუნებულების ვადა უნდა აღინიშნოს რწმუნებაში, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს სამ წელიწადს. თუ რწმუნებულებაში ვადა არ არის აღნიშნული, მას ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში მისი გაცემის დღიდან. კანონის მოთხოვნათა დარღვევით შედგენილი რწმუნებულება ბათილად ითვლება.

### სასარჩელო ხანდაზმულობა

სასარჩელო ხანდაზმულობა განისაზღვრება სამი წლით, ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთშორის სარჩელებისათვის — ერთი წლით. ზოგიერთი სარჩელისათვის ხანდაზმულობის უფრო შემცირებული ვადებია დაწესებული. ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადაა დადგენილი, მაგალითად, პირგასამტეხლოს გადახდევინების შესახებ სარჩელისათვის.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან, ესე იგი იმ დღიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა. ვალდებულების მონაწილე პირის შეცვლა არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეცვლას.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა შეჩერდება: ა) თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და იმ პირობებში აუცდენელი მოვლენა (დაუძლეველი ძალა); ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ვალდებულებათა შესრულების გადადების (მორატორიუმის) გამო; გ) თუ მოსარჩელე ან მოპასუხე იმყოფება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების იმ ნაწილებში, რომლებიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაზე.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა წყდება დადგენილი წესით სარჩელის აღშვრით. როცა ერთი ან ორივე მოდავე მხარე მოქალაქეებია, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა წყდება აგრეთვე ვალდებულები პირის ისეთი მოქმედების გამო, რაც მოვალეობის აღიარებას ადასტურებს.

სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება კანონით დადგენილ ზოგიერთ მოთხოვნაზე. ხანდაზმულობა არ ვრცელდება, მაგალითად, სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნებზე სახელმწიფო ქონების დაბრუნების შესახებ კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და



საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა უკანონო მფლობელობიდან.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა სარჩელის წარდგენამდე არის სარჩელზე უარის თქმის საფუძველი. თუ სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიატორო სასამართლო საპატიოდ ცნობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვების მიზეზს, დარღვეული უფლება უნდა დაუკლებინ.

## § 2. საკუთრების საპართალო

### საკუთრების უფლების ცნება

საკუთრების უფლება არის კანონით დადგენილ ფარგლებში ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება. მფლობელობა ნიშნავს ქონების ფაქტიურად, ფიზიკურად ყოფნას ვინმეს ხელში. სამართალი იცავს ისეთ ფაქტიურ მფლობელობას, რომელიც აღმოცენებულია კანონიერ საფუძველზე. მფლობელობის უფლება კანონის საფუძველზე შეიძლება ეკუთვნოდეს არამესაკუთრესაც. მაგალითად, ქირაენობის დროს არამესაკუთრე ქონების კანონიერი მფლობელია. სარგებლობა ნიშნავს ქონების გამოყენებას, ექსპლუატაციას მისი დანიშნულების მიხედვით. როგორც მფლობელობა, ისე სარგებლობა შეიძლება მართლზომიერად ხორციელდებოდეს არამესაკუთრის მიერ. კანონიერია, მაგალითად, შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე ქონების ფლობა. მფლობელობა ან სარგებლობა არაკანონიერად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება მესაკუთრის ნებართვის გარეშე და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ამასთან, არაკანონიერი მფლობელობა ან სარგებლობა არაკეთილსინდისიერია, თუ პირმა იცოდა, ანდა უნდა სცოდნოდა, რომ მის მიერ ქონების ფლობა ან სარგებლობა უკანონოა. განკარგვის უფლება ნიშნავს ქონების ბედის განსაზღვრას მესაკუთრის შეხედულების მიხედვით. ქონების განკარგვის უფლებით, როგორც წესი, მხოლოდ მისი მესაკუთრე სარგებლობს.

სსრ კავშირში მესაკუთრეებად გამოდიან სახელმწიფო, საკოლმეურნეო-კოოპერაციული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად, სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალის-

ტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო სახალხო) და საკოლმეურ-  
ნო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით. სოციალისტური საკუთ-  
რებაა აგრეთვე პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივ ორგა-  
ნიზაციათა ქონება, რომელიც მათ საწესდებო ამოცანების განსა-  
ხორციელებლად სჭირდებათ.

**სახელმწიფო საკუთრება** სახელმწიფო საკუთრება მთელი საბ-  
ჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებაა და  
წარმოადგენს სოციალისტური საკუთრების ძირითად ფორმას. მხო-  
ლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს: მიწა; მისი  
წილი, წყალი, ტყე. სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების ძირითადი  
საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეო-  
ბაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები,  
სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საეაქრო, კომუნალური და სხვა  
საწარმოების ქონება, ძირითადი საბინაო ფონდი ქალაქად და ქალა-  
ქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე სახელმწიფოს ამო-  
ცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების უფლება წარმოი-  
შობა სხვადასხვა საფუძვლით. ეს უფლება თავდაპირველად აღმო-  
ცენდა ნაციონალიზაციის და მუნიციპალიზაციის შედეგად. დიდი  
ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ განახორციელა კაპიტა-  
ლისტებისა და მემამულეების კუთვნილი მიწის, მისი წილის,  
წყლის, ტყის, მრეწველობის, ტრანსპორტის და წარმოების სხვა  
მნიშვნელოვან საშუალებათა ნაციონალიზაცია ანუ სახელმწიფო სა-  
კუთრებად გადაქცევა. ამჟამად, სახელმწიფო საკუთრების უფლების  
წარმოშობის ძირითად საშუალებას წარმოადგენს გაფართოებულ-  
სოციალისტური კვლავწარმოება. სახელმწიფო საწარმოებისა და  
ორგანიზაციების მიერ გამოშვებული და მოპოვებული მთელი პრო-  
დუქცია შედის სახელმწიფო საკუთრების ერთიან ფონდში და ხმარ-  
დება საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და  
მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების  
დაკმაყოფილებას. სახელმწიფო საკუთრების უფლება წარმოიშობა  
აგრეთვე ხელშეკრულებებისა და მემკვიდრეობის საფუძველზე,  
უპატრონო და უმეთვალყურეო ქონების სახელმწიფოს ხელში გა-  
დააჯლის გზით და ა. შ. ქონება სახელმწიფო საკუთრება ხდება  
კონფისკაციისა და რეკვიზიციის საფუძველზეც. კონფისკაცია არის  
ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა, როგორც სანქცია სამართალ-  
დარღვევისათვის, ხოლო რეკვიზიცია ნიშნავს სახელმწიფო ან სა-

ზოგადოებრივი ინტერესების გამო სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევას ღირებულების გადახდით. კონფისკაცია და რეკვიზიცია დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს აგრეთვე განძი, ესე იგი მიწაში დაფლული ან სხვაგვარად დამალული ფული და სხვა ძვირფასი საგნები, რომელთა მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია ან მესაკუთრემ კანონის ძალით დაკარგა მათზე უფლება. პირებს, რომელთაც აღმოაჩინეს აღნიშნული ფასეულობანი, მიეცემათ მათი ღირებულების ოცდახუთი პროცენტი, თუ მათი ძებნა და აღმოჩენა ამ პირთა სამსახურებრივ მოვალეობას არ შეადგენდა.

მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე ყველა შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრების ობიექტია და მისი გადაცემა ხდება მხოლოდ სარგებლობისათვის. საწარმოები, შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა და სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითად საშუალებებს მიკუთვნებული სხვა ქონება არ შეიძლება დაგირავებულ იქნეს და ამ ქონებიდან არ შეიძლება გადახდევინება კრედიტორების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. შენობები და ნაგებობები ერთი სახელმწიფო ორგანიზაციიდან გადაეცემა მეორე სახელმწიფო ორგანიზაციას უსასყიდლოდ. გადაცემა ხდება კანონით განსაზღვრული წესით და, როგორც წესი, ზემდგომი სახელმწიფო ან მმართველობის ორგანოს განკარგულებით. ძირითად საშუალებებს მიკუთვნებული სახელმწიფო ქონება არ შეიძლება მიეყიდოს მოქალაქეებს, გარდა ქონების ცალკეული სახეებისა, რომელთა გასხვისება დაშვებულია კანონით.

**საკოლმეურნეო-  
კოოპერაციული  
საკუთრება**

საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრებაც სოციალისტური საკუთრების ფორმაა და სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად შეადგენს სსრ კავშირის

ეკონომიკური სისტემის საფუძველს. საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება მოცემულ გაერთიანებათა საკუთრებაა. იგი არ წარმოადგენს საერთო-სახალხო კუთვნილებას, რომელსაც მხოლოდ ერთი მესაკუთრე ჰყავს სახელმწიფოს სახით. თითოეულ კოლმეურნეობას, კოოპერატივსა და მათ გაერთიანებას აქვს თავისი საკუთრება. ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას. მიწა, რო-

მელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, მათ მიცემული აქვთ უსასყიდლოდ და უვადო სარგებლობისათვის.

კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების აგრეთვე მათი გაერთიანებების საკუთრებას წარმოადგენს წარმოების საშუალებანი და საწესდებო ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება. კრედიტორთა პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისა და მათ გაერთიანებათა კუთვნილ შენობებზე, ნაგებობებზე, ტრაქტორებზე, კომბაინებზე, სხვა მანქანებზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვაგვარ ქონებაზე, რომლებიც მათ ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება, აგრეთვე სათესლე და საფურაქე ფონდებზე. აღნიშნული ორგანიზაციების ქონების განკარგვა კანონით დაშვებულ ფარგლებში ხდება სათანადო ანაზღაურების გადახდით.

**პროფკავშირული და სხვა  
საზოგადოებრივი  
ორგანიზაციების  
საკუთრება**

პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (სპორტული, სამეცნიერო, კულტურული, ტექნიკური და ა. შ.) თავიანთი საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის სჭირდებათ განსაზღვრული ქონება, რომელიც მათ საკუთრებას წარმოადგენს. პროფკავშირული-საზოგადოებრივი საკუთრებაც სოციალისტური საკუთრებაა, მაგრამ ისევე როგორც საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება, არ წარმოადგენს საერთო-სახალხო კუთვნილებას.

პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას წარმოადგენს შენობები, ნაგებობები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კულტურის სასახლეები, სტადიონები, კლუბები, ფულადი სახსრები და ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესაბამისი სხვა ქონება. კრედიტორების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად დაუშვებელია გადახდევინება აღნიშნული ორგანიზაციების შენობებზე, ნაგებობებზე, მოწყობილობასა და სხვა ქონებაზე, რაც მიეკუთვნება საწარმოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კულტურის სასახლეების, კლუბების, სტადიონებისა და პიონერთა ბანაკების ძირითად საშუალებებს. ასევე დაუშვებელია გადახდევინება კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდებიდან.

**პირადი საკუთრება**

სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს აქვს პირადი საკუთრების უფლება, რომელიც დაცული და გარანტირებულია კანონით. პირადი საკუთრების

საფუძველს წარმოადგენს შრომითი შემოსავალი. პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კითილმოწყობისა და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, საცხოვრებელი სახლი და შრომითი დანაზოგი.

პირად საკუთრებად მოქალაქეებს, როგორც წესი, შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მოხმარების საგნები. პირადი საკუთრების რაოდენობა არ არის განსაზღვრული, გარდა პირუტყვისა, რომლის ზღვრული ოდენობა დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. კანონით დადგენილია აგრეთვე, რომ მოქალაქეს პირად საკუთრებად შეიძლება ჰქონდეს ერთი საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი. ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს ასევე შეიძლება ჰქონდეთ ერთი საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მათგანს ან წარმოადგენდეს საერთო საკუთრებას. თუ კანონით დაშვებული საფუძვლით მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს პირად საკუთრებაში აღმოაჩნდებათ ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი, მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი არჩევანით დაიტოვოს საკუთრებაში ერთ-ერთი მათგანი. სხვა სახლი მესაკუთრემ ერთი წლის განმავლობაში უნდა გაყიდოს, გააჩუქოს ან სხვა წესით გაასხვისოს. საცხოვრებელი სახლის ფართობის ნორმა განსაზღვრულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. საქართველოს სსრ კანონმდებლობით საცხოვრებელი სახლის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 96 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს და 40 კვადრატულ მეტრ დამხმარე ფართობს.

ქონება, რომელიც პირად საკუთრებად ან სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს, არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლი, მიღების წყარო და გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. თუ მოქალაქე პირადი საკუთრების სახლს, აგარაკს ან სხვა ქონებას სისტემატურად იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, ეს ქონება შეიძლება უსასყიდლოდ იქნეს ჩამორთმეული და ჩარიცხული ადგილობრივი საბჭოს ფონდში.

**საერთო საკუთრება** საერთო საკუთრების უფლება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ქონება რამდენიმე პირს ეკუთვნის. საერთო საკუთრება არსებობს საერთო წილადი საკუთრებისა და საერთო თანასაკუთრების სახით. საერთო წილადი ისეთ საკუთრებას ეწოდება, რო-

მელშიც თითოეული მესაკუთრის წილი წინდაწინ არის განსაზღვრული. საერთო თანასაკუთრებაში მესაკუთრეთა წილი წინასწარ არ არის დადგენილი და იგი განისაზღვრება საერთო ქონების გაყოფისას.

საერთო წილადი საკუთრება არსებობს სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის და მოქალაქეებს შორის. დაუშვებელია სოციალისტურ ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის საერთო წილადი საკუთრების არსებობა. თუ ასეთი საკუთრების უფლება წარმოიშობა, იგი ერთი წლის განმავლობაში უნდა მოისპოს ერთ-ერთი შემდეგი საშუალებით: ა) ქონების ნატურად გაყოფით, თუ ასეთი გაყოფა შესაძლებელია; ბ) მოქალაქის წილის გამოსყიდვით ორგანიზაციის მიერ; გ) ორგანიზაციის წილის მიყიდვით მოქალაქისათვის; დ) მთელი ქონების გაყიდვით და მიღებული თანხის განაწილებით მესაკუთრეთა შორის მათი კუთვნილი წილის შესაბამისად.

სოციალისტური ორგანიზაციების საერთო წილადი საკუთრება წარმოიშვება საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციული ორგანიზაციების შექმნის შედეგად. ეს ორგანიზაციები ახორციელებენ საერთო საკუთრების ქონების ოპერატიულ მართვას თავიანთი საქმიანობის მიზნების, საგემო დავალებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად.

მოქალაქეებს შორის საერთო წილადი საკუთრება არსებობს ძირითადად სახლზე და აგარაკზე.

საერთო წილადი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება ყველა მონაწილის თანხმობით. უთანხმოებების შემთხვევაში საკითხს გადაწყვეტს სასამართლო ერთი რომელიმე მონაწილის სარჩელით.

საერთო წილადი საკუთრების თითოეული მონაწილე მოვალეა თავისი წილის კვალობაზე მიიღოს მონაწილეობა საერთო ქონების ყოველგვარი გადასახადის, მოსაკრეფელისა და სხვა გადასახდელის გასტუმრებაში, აგრეთვე ამ ქონების მართვისა და შენახვის ხარჯებში. თითოეულ მესაკუთრეს უფლება აქვს განკარგოს თავისი წილი როგორც მოესურვება, გაყიდოს, გააჩუქოს, სხვას უანდერძოს, მონიშნოს თავისი წილის გამოყოფა და ა. შ. გარეშე პირისათვის წილის მიყიდვის შემთხვევაში საერთო საკუთრების სხვა მონაწილეებს აქვთ შესყიდვის უპირატესი უფლება იმავე პირობებით, რითაც უცხო პირი ყიდულობდა. თუ წილი შესყიდვის უპირატესი უფლების დარღვევით გაიყიდა, საერთო საკუთრების სხვა მონაწილეს უფ-

ლება აქვს სამი თვის განმავლობაში სასამართლო წესით მოითხოვოს მყიდველის უფლებებისა და მოვალეობების თავის თავზე გადამოტანა.

საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს საერთო თანასაკუთრების უფლებით. ამ ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებს კომლის ყველა წევრის თანხმობით. დავის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო კომლის ერთ-ერთი თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული წევრის სარჩელით. კომლის ქონებაში კომლის წევრის წილი განისაზღვრება: ა) მისი გასვლისას კომლის შემადგენლობიდან, ახალი კომლის შეუქმნელად; ბ) ერთი კომლიდან ორი ან მეტი კომლის შექმნისას; გ) კომლის წევრის პირადი ვალდებულებების მიხედვით გადახდევინებისას.

საკოლმეურნეო კომლის საერთო თანასაკუთრებაში კომლის ყველა წევრს თანაბარი წილი ეკუთვნის, მათ შორის, არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც. შრომისუუნარიანი წევრის წილი შეიძლება შემცირებულ იქნეს კომლის შემადგენლობაში მისი ხანმოკლე ყოფნის ან კომლის მეურნეობაში პირადი შრომით ან სახსრებით მისი უმნიშვნელო მონაწილეობის გამო. კომლის შრომისუუნარიანი წევრი ჰკარგავს უფლებას ქონების წილზე, თუ მას სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურნეობაში. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა კომლის წევრი არ მონაწილეობდა კომლის მეურნეობის წარმოებაში ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევის, სასწავლებელში სწავლის ან ავადმყოფობის გამო.

**საკუთრების უფლების**

**დაცვა**

საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანია. საკუთრების უფლებებს იცავს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, შრომის, საოჯახო, მიწის და სამართლის მთელი რიგი სხვა დარგების კანონმდებლობა. მრავალმხრივია აგრეთვე საკუთრების უფლების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები. მათ შორის, თვალსაჩინო ადგილი უკავია სამოქალაქო სამართლის ნორმებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მესაკუთრეს განახორციელოს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილება და მოითხოვოს თავისი ქონება უკანონო მფლობელისაგან ან მოითხოვოს იმ დაბრკოლებათა თავიდან აცილება, რომლებიც ხელს უშლიან საკუთრების უფლების განხორციე-

ელებაში. აღნიშნული უფლებების დაცვა ხორციელდება სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელების წარდგენით.

სავინდიკაციო სარჩელი ნიშნავს მესაკუთრის მიერ თავისი ქონების სხვისი უკანონო მფლობელობისაგან მოთხოვნას. მესაკუთრის ასეთი მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხემ უკანონოდ შეიძინა ქონება. უკანონოდ შეძენი შეიძლება იყოს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერია ის შემძენი, რომელმაც არ იცოდა და საქმის გარემოებების მიხედვით არც უნდა სცოდნოდა, რომ ქონება შეიძინა იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება. არაკეთილსინდისიერია ის შემძენი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ქონებას იძენს იმ პირისაგან, ვისაც არა აქვს მისი გასხვისების უფლება.

მესაკუთრეს უფლება აქვს არაკეთილსინდისიერი შემძენისაგან ყველა შემთხვევაში მოითხოვოს ქონების დაბრუნება. ასეთივე უფლება აქვს მას იმ შემთხვევაშიც, როცა კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ქონება შეძენილია უსასყიდლოდ იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება. თუ კეთილსინდისიერმა შემძენმა სასყიდლით შეიძინა ქონება, მისი გამოთხოვის უფლება აქვს მესაკუთრეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონება დაკარგა მესაკუთრემ ან იმ პირმა, რომელსაც მესაკუთრემ გადასცა ქონება მფლობელობაში, ან წაერთვა რომელიმე მათგანს, ან სხვა გზით მათი ნების გარეშე გამოვიდა მათი მფლობელობიდან. ამასთან, ფული და საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს კეთილსინდისიერი შემძენისაგან.

სახელმწიფო ქონება, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება, რა წესითაც არ უნდა იყოს გასხვისებული, თუ ეს გასხვისება არამართლზომიერია, შეიძლება გამოთხოვილ იქნეს სათანადო ორგანიზაციის მიერ ყოველი შემძენისაგან.

ნეგატორული სარჩელი წარმოადგენს მესაკუთრის მოთხოვნას საკუთრების უფლების განხორციელების ხელშემშლელი გარემოებების აღკვეთის შესახებ. მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მისი უფლების ყოველგვარი დარღვევის აცილება, თუნდაც ეს დარღვევა მფლობელობის წართმევასთან არ იყოს დაკავშირებული. პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები უმეტესად გვხვდება შენობის თანამფლობელთა დავე-



ბის დროს. მაგალითად, თუ მეზობლის შიერ ჩატარებულმა მშენებლობამ დააბნელა მესაკუთრის ოთახი, მას უფლება აქვს სასამართლოში აღძრას სარჩელი ამ მინაშენის მოშლის შესახებ. მესაკუთრეს უფლება აქვს აგრეთვე ნეგატორული სარჩელით მოითხოვოს თავისი ქონების განკარგვის უფლების სრულად განხორციელება. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს, მაგალითად, როცა მესაკუთრე მოითხოვს დაყადალებული ქონებიდან თავისი ქონების ამორიცხვას.

### § 8. ვალდებულებითი სამართალი

**ვალდებულების ცნება** ვალდებულება არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალით ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია შეასრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ რაიმე მოქმედება (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაუხადოს ფული და ა. შ.) ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოსთხოვოს მოვალეს მისი მოვალეობის შესრულება.

ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, დაკავშირებულია ქონებრივი სიკეთის გადასვლასთან ერთი პირიდან მეორეზე. ეს ურთიერთობა წარმოებულია საკუთრების ურთიერთობისაგან. რადგანაც მხოლოდ მესაკუთრეს გააჩნია სრული უფლება ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგვიდეს თავის ქონებას, ამიტომ ქონების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე უმეტეს შემთხვევაში ხდება მესაკუთრის შიერ თავისი ქონების განკარგვის უფლების განხორციელებით. ქონებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებით ვალდებულებით ურთიერთობაში მხარეები ყოველთვის ზუსტად არის ცნობილი. ამასთან, როგორც კრედიტორის, ისე მოვალის მხარეზე შეიძლება რამდენიმე პირი იყოს.

წარმოშობის საფუძვლის მიხედვით ანსხვავებენ ხელშეკრულებით და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს. ხელშეკრულებითი ურთიერთობები წარმოიშობა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებითი ვალდებულებების დადგენისას მხარეთა მიხედულების ფარგლები განისაზღვრება კანონით, აგრეთვე ადმინისტრაციულ-საგეგმო აქტებით, სოციალისტური ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებით და ქონების დანიშნულებით. არასახელშეკრულებო ვალდებულებათა წარმოშობა დაკავშირებული არ არის მხარეთა

შეთანხმებასთან. არასახელშეკრულებოა, მაგალითად, ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულება.

ვალდებულებები შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. ცალმხრივია ვალდებულება, როცა ერთ მხარეს მხოლოდ უფლებები აქვს, ხოლო მეორე მხარეს მხოლოდ მოვალეობები. ორმხრივია ვალდებულება, როცა თითოეულ მხარეს აქვს როგორც უფლებები, ისე მოვალეობები. ანსხვაგვარად აგრეთვე მარტივ და რთულ ვალდებულებებს. მარტივია ვალდებულება, როცა კრედიტორს მხოლოდ ერთი უფლება, ხოლო მოვალეს მხოლოდ ერთი მოვალეობა აქვს. რთულია ვალდებულება, რომელშიც არის რამდენიმე უფლება და შესაბამისად რამდენიმე მოვალეობა.

მოვალის მოვალეობათა შინაარსის მიხედვით ანსხვაგვარად ალტერნატიულ და ფაკულტატურ ვალდებულებებს. ალტერნატიულ ვალდებულების დროს მოვალე ვალდებულია კრედიტორის სასარგებლოდ შეასრულოს კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რამდენიმე მოქმედებიდან ერთ-ერთი. მაგალითად, გადასცეს რაიმე ნივთი ან გადაიხადოს გარკვეული ფულადი თანხა. ამასთან, როგორც წესი, არჩევანის უფლება ეკუთვნის მოვალეს, თუ კანონის, ხელშეკრულების ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ფაკულტატურია ისეთი ვალდებულება, რომლითაც მოვალე ვალდებულია კრედიტორის სასარგებლოდ შეასრულოს რაიმე გარკვეული მოქმედება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შეასრულოს სხვა მოქმედება.

ურთიერთკავშირის მიხედვით ვალდებულება შეიძლება იყოს მთავარი და დამატებითი. დამატებითი ვალდებულება განუყრელად არის დაკავშირებული მთავართან, მთავარი ვალდებულების გარეშე დამატებითი ვალდებულება არ წარმოიშობა. მაგალითად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მთავარი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

**ხელშეკრულებითი  
ვალდებულებები**

ვალდებულების აღმოცენების ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულება, ესე იგი ორი ან

რამდენიმე პირის შეთანხმება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულება იდება მოქალაქეებს შორის, სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის. ხელშეკრულება დადებულიად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მისი ყველა

არსებითი პუნქტის თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან კანონით დაწესებული ფორმის დაცვით. ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი სახეა და იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების დადებისათვის კანონით დადგენლ ყველა პირობას.

ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში გვხვდება ძირითადად შემდეგი სახის ხელშეკრულებები: ა) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით გამყიდველი კისრულობს ქონება საკუთრებად გადასცეს მყიდველს, ხოლო მყიდველი კისრულობს მიიღოს ქონება და გადაიხადოს გარკვეული თანხა; ბ) მიწოდების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით მიმწოდებელი ორგანიზაცია კისრულობს გარკვეულ ვადაში გადასცეს მყიდველ ორგანიზაციას საკუთრებად ან ოპერატიულ მმართველობაში განსაზღვრული პროდუქცია, ხოლო მყიდველი ორგანიზაცია კისრულობს მიიღოს პროდუქცია და გადაიხადოს დადგენილი ფასი; გ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა წარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სახელმწიფო გეგმის საფუძველზე; დ) გაცვლილობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით მხარეთა შორის ხდება ერთი ქონების გაცვლა მეორეზე; ე) ნაჩუქრობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ერთი მხარე უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას საკუთრებად მეორე მხარეს; ვ) ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც გამქირავებელი კისრულობს, სასყიდლით მისცეს ქონება დამქირავებელს დროებით სარგებლობისათვის; ზ) სანარდო ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს თავისი რისკით შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო მეორე მხარის დავალებით მისი ან თავისი მასალით, ხოლო შემკვეთი კისრულობს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება; თ) კაპიტალური მშენებლობის სანარდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით მენარდე ორგანიზაცია კისრულობს, თავისი ძალითა და სახსრებით ააშენოს და ჩააბაროს შემკვეთ ორგანიზაციას გეგმით გათვალისწინებული ობიექტი დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად და დაწესებულ ვადაში, ხოლო შემკვეთი კისრულობს, მიუჩინოს მენარდეს მშენებლობის ადგილი, გადასცეს მას დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, უზრუნველყოს მშენებლობის დროზე დაფინანსება, მიიღოს დამთავრებული ობიექტი და გადაიხადოს მისი საფასური;

ი) გადაზიდვის ხელშეკრულება, რომლითაც სატრანსპორტო ორგანიზაცია კისრულობს, მიიტანოს გამგზავნის მიერ მისთვის ჩაბარებული ტვირთი დანიშნულების ადგილას და მისცეს იგი ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, ხოლო გამგზავნი კისრულობს, გადაიხადოს გადაზიდვისათვის დადგენილი საფასური; კ) სესხის ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე გადასცემს მეორე მხარეს საკუთრებად ან ოპერატიული მართვისათვის ფულს ან გვარეობითი ნიშნებით განსაზღვრულ ნივთს, მსესხებელი კი კისრულობს, დაუბრუნოს გამსესხებელს იგივე თანხა ან იმავე გვარისა და თვისების იმდენივე ნივთი გათვალისწინებულ ვადაში; ლ) შენახვის ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს, შეინახოს მეორე მხარის მიერ მისთვის მიბარებული ქონება და დაუბრუნოს იგი დაუზიანებლად და უკლებლად.

**ზიანის მიყენების შედეგად  
წარმოშობილი  
ვალდებულებანი**

მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის, აგრეთვე ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანი მთლიანად უნდა ანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. იგი

ამ ვალდებულებისაგან თავისუფლდება, თუ დაამტკიცებს, რომ ბრალი არ მიუძღვის ზიანის მიყენებაში.

ორგანიზაცია მოვალეა ანაზღაუროს მისი მუშაკის ბრალით მიყენებული ზიანი იმ შემთხვევაში, როცა ეს მუშაკი შრომით მოვალეობას ასრულებდა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებით ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს მოქალაქეთათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოქალაქისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ სრული ოდენობით მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან გარშემომყოფთათვის (სატრანსპორტო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, ავტომობილთა მფლობელები და სხვა), მოვალე არიან ანაზღაურონ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი,

თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თვითონ დაზარალებულის განზრახვით.

თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მისი მშობლები, მშვილებლები და მეურვე, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანის მიყენებაში მათ ბრალი არ მიუძღვით. თუ აღნიშნული ასაკის არასრულწლოვანმა ზიანი მიაყენა იმ დროს, როდესაც იგი სასწავლო დაწესებულების, აღმზრდელობითი ან სამკურნალო დაწესებულების ზედამხედველობაში იმყოფებოდა, ზიანის მიყენებისათვის პასუხს აგებენ ეს დაწესებულებები, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანის მიყენებაში ბრალი არ მიუძღვით.

### ვალდებულების შესრულება

ვალდებულებები უნდა სრულდებოდეს ჭეროვნად და დაწესებულ ვადებში. მხოლოდ მათი რეალური შესრულება უზრუნველყოფს მაღალი სამეურნეო შედეგების მიღწევას, სოციალისტურ ორგანიზაციათა ნორმალურ საქმიანობას, მოქალაქეთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას. ყოველმა მხარემ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს რაც შეიძლება ეფექტიანად, სოციალისტური სახალხო მეურნეობის ინტერესების შესაბამისად. ვალდებულების შესრულების ვადა შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით, ადმინისტრაციული აქტით ან ხელშეკრულებით. თუ ვალდებულების ვადა არ არის განსაზღვრული, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მისი შესრულება ნებისმიერ დროს. იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი მოითხოვს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულებას, მოვალეს უფლება აქვს შვიდი დღის ვადაში შეასრულოს ეს მოთხოვნა, თუ დაუყოვნებლივ შესრულების ვალდებულება არ გამომდინარეობს კანონის, ხელშეკრულების ან ვალდებულების არსიდან. მოვალეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, ხელშეკრულების ან ვალდებულების არსს. ამასთან, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ვალდებულების ვადამდე შესრულება დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით, აგრეთვე თუ კრედიტორი ამის თანახმაა.

ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს იმ ადგილას, რომელიც განსაზღვრულია კანონით, დაგვევის აქტით, ხელშეკრულებით ან გამომდინარეობს ხელშეკრულების არსიდან. თუ შესრულების

ადგილი არ არის განსაზღვრული და ხელშეკრულების არსიდანაც არ გამომდინარეობს, მაშინ შესრულება უნდა მოხდეს: ნაგებობიკა გადაცემის ვალდებულებისა — იქ, სადაც ნაგებობა არის, ფულადი ვალდებულებებისა (სოციალისტურ ორგანიზაციათა ფულადი ვალდებულების გარდა) — კრედიტორის საცხოვრებელ ადგილას, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში — მოვალის საცხოვრებელ ადგილას. თუ მოვალე იურიდიული პირია, ვალდებულების შესრულება მოხდება მის სამყოფელ ადგილას.

ვალდებულება შეიძლება შესრულებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ. მაგრამ კრედიტორს უფლება აქვს არ მიიღოს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით, დაგეგმვის აქტით თუ ხელშეკრულებით, ან არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან.

ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს. ვალდებულების შესრულება კანონის ან ხელშეკრულების თანახმად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს პირგასამტეხლოთი (ჯარიმით, საურავით), გირათით და თავდებობით. გარდა ამისა, ვალდებულებები მოქალაქეთა შორის ან მათი მონაწილეობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ბეთი, ხოლო სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის — გარანტიით.

პირგასამტეხლოდ მიიჩნევა კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალეს გადახდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ დადებული უნდა იყოს წერილობით. პირგასამტეხლოს ოდენობა, როგორც წესი, განსაზღვრულია კანონით. ამ ოდენობის დაწესება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

გირათ წარმოადგენს ძირითადად ფულადი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას. გირათს არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიღებული ფულის დაბრუნების უზრუნველსაყოფად მოვალე გირათოდ დებს თავის საკუთარ ქონებას ან იმ ქონებას, რომლის ოპერატიული მართვის უფლებაც მას აქვს. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორს (მოგირავნეს) უფლება აქვს სხვა კრედიტორების უპირატესად მიიღოს დაკმაყოფილება დაგირავებული ქონების ღირებულებიდან.

თავდებობა არის ისეთი ურთიერთობა, სადაც მესამე პირი კისრულობს ვალდებულებას კრედიტორის წინაშე, რომ მევალე შეას-

რულებს ვალდებულებას. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალე და თავდები პასუხს აგებენ კრედიტორის წინაშე როგორც სოლიდარული მოვალეები. თავდები პასუხს აგებს იმავე მოცულობით, როგორც მოვალე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თავდებობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.

ბე, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, გამოიყენება ურთიერთობებში, სადაც ერთ-ერთი მხარე მაინც მოქალაქეა. ბე წარმოადგენს ფულად თანხას, რომელსაც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადების დასადასტურებლად და მისი შესრულების უზრუნველსაყოფად იმ გადასახდელის ანგარიშში, რაც მას ხელშეკრულების მიხედვით ევალდება. თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა ბეს მიმცემ მხარეს ეკისრება, ბე რჩება მიმღებს, ხოლო თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ბეს მიმღების ბრალით არის გამოწვეული, მაშინ ბეს მიმღები ვალდებულია დაუბრუნოს იგი ბეს მიმცემს ორმაგად. გარდა ამისა, მხარე, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი ბეს ჩათვლით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შეთანხმება ბეს შესახებ წერილობით უნდა იყოს დადებული.

გარანტია წარმოადგენს კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას. რომლის ძალით მოვალე ორგანიზაციის ზემდგომი ორგანო პასუხს აგებს კრედიტორი ორგანიზაციების წინაშე მთელი ვალდებულების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობისათვის ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის. გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გარანტიის მიმცემის ქონებრივი პასუხისმგებლობა დამატებითი პასუხისმგებლობაა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარანტია მიცემული უნდა იქნეს წერილობით.

**პასუხისმგებლობა  
ვალდებულების  
დარღვევისათვის**

ითვლება კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების და-

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოვალე ვალდებულია კრედიტორს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი. ზარალად

კარგვა ან გაფუჭება, აგრეთვე შემოსავალი, რასაც იგი მიიღებდა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში. თუ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, მაშინ ანაზღაურდება ზარალის ის ნაწილი, რომელიც პირგასამტეხლოთი არ დაფარულა. კანონით ან ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდევინება ან ზარალის მთლიანად გადახდევინება პირგასამტეხლოს გამოუკლებლად. კრედიტორის არჩევით შეიძლება აგრეთვე ზარალის ან პირგასამტეხლოს გადახდევინება. გარდა ამისა, კანონით დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობა ვალდებულებათა ცალკეული სახეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის საკმარისი არ არის მართოდენ ზარალის არსებობა. აუცილებელია აგრეთვე დადგინდეს მოვალის ქცევის მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი მის ქცევასა და დამდგარ შედეგს შორის, აგრეთვე სამართალდამრღვევის ბრალი.

მართლსაწინააღმდეგოა ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნებს, არღვევს კანონით ან კანონის შესაბამისად დამდგარ გარემოებებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს. მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზარალისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამორიცხულია, გარდა ერთი გამონაკლისისა. უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. ამასთან, საქმის ფაქტიური გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია ზიანის ანაზღაურება დააკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც, ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელი.

მიზეზობრივი კავშირი ნიშნავს დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას და დამდგარ შედეგს შორის ობიექტურ კავშირს. სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგინდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს კავშირი არსებობს.

ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება თავის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისა და ამ მოქმედებით გამოწვეული შედეგების მიმართ, ისევე როგორც სისხლის სამართალში სამოქალა-



ქო კანონმდებლობაც იცნობს ბრალის ორ ფორმას: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. ბრალის ფორმა როგორც წესი, ვაეღენას არ ახდენს პასუხისმგებლობის მოცულობაზე. სამოქალაქო კანონმდებლობა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ანიჭებს ბრალის ფორმას გარკვეულ სამართლებრივ მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო მიზნით დადებული ვარიგების ბათილად ცნობისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მხარეთა განზრახვა.

სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებსაც. მაგალითად, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის გამოირიცხება მხოლოდ მაშინ, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თვით დაზარალებულის განზრახვით.

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დგება სრული მოცულობით. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისიც. თუ, მაგალითად, ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება ორივე მხარის ბრალით მოხდა. სასამართლო შესაბამისად ამცირებს მოვალის პასუხისმგებლობის მოცულობას.

#### § 4. მემკვიდრეობითი სამართალი

##### მემკვიდრეობის ცნება

გარდაცვლილის ქონების კანონით დადგენილი წესით გადასვლას სხვა პირზე (პირებზე) მემკვიდრეობა ეწოდება.

პირს, რომლის სიკვდილის შემდეგაც დარჩა ქონება, უწოდებენ სამკვიდროს დამტოვებელს, ხოლო პირს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს გარდაცვლილის ქონება — მემკვიდრეს. სამკვიდროს დამტოვებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოქალაქე, მემკვიდრე კი, როგორც მოქალაქე, ისე საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია და სახელმწიფოც. ქონებას, რომელიც მემკვიდრეობით გადადის, ეწოდება სამკვიდრო.

მემკვიდრეობით გადადის ძირითადად ქონებრივი უფლებები (საცხოვრებელ სახლზე, აგარაკზე, ავტომანქანაზე, შრომით დანაზოგზე და ა. შ.). კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფ-

ლებაც. მაგალითად, ნაწარმოების გამოცემის, გამოგონების გაფორმების უფლება და სხვა. მემკვიდრეობით გადადის როგორც ქონებრივი უფლებები, ისე მოვალეობები. სამკვიდროს მიმღები პასუხს აგებს სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისათვის მის ხელში გადასული სამკვიდრო ქონების ნამდვილი ღირებულების ფარგლებში. მემკვიდრეობით არ გადადის ისეთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ გარდაცვლილის პიროვნებასთან. სამკვიდროში არ შედის, მაგალითად, პენსიის მიღების უფლება, საგამომცემლო ხელშეკრულებით წარმოშობილი ავტორის მოვალეობა და ა. შ.

**სამკვიდროს გახსნა** მემკვიდრეობითი ურთიერთობის აღმოცენება განპირობებულია ისეთი იურიდიული ფაქტების არსებობით, როგორიცაა მოქალაქის გარდაცვალება, ან დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება. სამკვიდრო გაიხსნება სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად და მემკვიდრეს შესაძლებლობა მიეცემა მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი თქვას მასზე.

სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების დღე, ხოლო გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ ეს ცნობილი არ არის, სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი. თუ გარდაცვლილის ქონება სხვადასხვა ადგილას იმყოფება, სამკვიდროს გახსნის ადგილად ჩაითვლება ქონების ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

**მემკვიდრეობის  
საფუძვლები**

მემკვიდრეობის გადასვლა ხდება კანონით ან ანდერძით. მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს ყოველთვის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონიერი მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეებად შეიძლება იყვნენ მოქალაქენი, რომლებიც ცოცხალი იყვნენ სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე სამკვიდროს დამტოვებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ. ანდერძით მემკვიდრეობისას მემკვიდრეებად შეიძლება იყვნენ მოქალაქენი, რომლებიც ცოცხალი იყვნენ სამკვიდროს დამ-

ტოვების სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი ვინც ჩასახული იყვნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ.

თუ მემკვიდრეები არ არიან, ან მათ არ მიიღეს მემკვიდრეობა, ანდა შეანდერძემ ჩამოართვა მემკვიდრეობა ყველა მემკვიდრეს, გარდაცვლილის ქონება მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოს ეკუთვნის.

კანონით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებსაც მემკვიდრეობის უფლება არა აქვთ. არც კანონისმიერი და არც ანდერძით-მიერი მემკვიდრეობის უფლება არა აქვთ მოქალაქეებს, რომლებმაც თავიანთი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით ხელი შეუწყვეს თავის გახდომას მემკვიდრეებად. ამასთან, ეს გარემოება დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს წესით. შვილების კანონისმიერი მემკვიდრეები არ შეიძლება იყვნენ მშობლები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები. გარდა ამისა, მშობლები და სრულწლოვანი შვილები მშობლების მემკვიდრეებად არ შეიძლება იყვნენ, თუ სასამართლო წესით დადგინდება, რომ ისინი ბოროტად თავს არიდებდნენ კანონით მათზე დაკისრებული სამკვიდროს დამტოვების რჩენის მოვალეობას.

**კანონისმიერი  
მემკვიდრეობა**

კანონიერი მემკვიდრეების წრე და სამკვიდროს მიღების წესი განსაზღვრულია კანონით. კანონისმიერი მემკვიდრე-

ობა აღმოცენდება თუ: ა) სამკვიდროს დამტოვებელმა არ დატოვა ანდერძი; ბ) ანდერძში მითითებული არ არის სამკვიდრო ქონების ნაწილი; გ) ანდერძისმიერი მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს დამტოვებელზე ადრე, ან არ მიიღო მემკვიდრეობა; დ) ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი.

კანონი ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა ორ რიგს: პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან: გარდაცვლილის შვილები (მათ შორის, შვილობილები), მეუღლე და მშობლები (მშვილებლები), აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

შვილიშვილები და შვილიშვილისშვილები კანონისმიერ მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც სამკვიდროს დამტოვების მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. ისინი თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

მეორე რიგის მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის დაძმები, მისი ბებია და პაპა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან.

სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრეებად მოიწვევიან პირველი რიგის მემკვიდრეები. მეორე რიგის მემკვიდრეების მოწვევა ხდება მხოლოდ მაშინ, თუ პირველი რიგის მემკვიდრეები არ არიან, ან მათ უარი თქვეს მემკვიდრეობაზე, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა პირველი რიგის ყველა მემკვიდრეს ანდერძით ჩამოერთვა მემკვიდრეობა.

სამკვიდროს დამტოვებლის ძმისწულები და დისწულები ითვლებიან კანონიერ მემკვიდრეებად იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც სამკვიდროს დამტოვებლის მემკვიდრე იქნებოდა. ძმისწულები და დისწულები თანასწორად იღებენ მემკვიდრეობის იმ წილს, რომელიც კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. კანონისმიერი მემკვიდრეების წრეს ეკუთვნის არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებლის რჩენაზე იყვნენ არანაკლებ ერთი წლისა მის სიკვდილამდე.

კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს სამკვიდრო თანასწორ წილად იყოფა მემკვიდრეებს შორის. თუ სამკვიდროს დამტოვებლის მეუღლე ცოცხალია, მაშინ პირველად გამოიყოფა მისი წილი ერთ დცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონებიდან, ხოლო დარჩენილი ქონება თანასწორად განაწილდება მემკვიდრეებს შორის, რაიველთა რიცხვში ცოცხალი მეუღლეც შედის. ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო საგნები ეკუთვნის სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად მცხოვრებ კანონისმიერ მემკვიდრეებს მემკვიდრეობის რიგისა და სამემკვიდრეო წილის მიუხედავად, თუ ისინი ცხოვრობდნენ სამკვიდროს დამტოვებელთან არანაკლებ ერთი წლისა მის სიკვდილამდე და თანაც საერთო მეურნეობა ჰქონდათ მასთან ან მის რჩენაზე იმყოფებოდნენ.

**მემკვიდრეობა ანდერძით** ანდერძი არის კანონით დადგენილი ფორმით შედგენილი სამკვიდროს დამტოვებლის განკარგულება გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების მემკვიდრეებად დანიშნულ პირთა შორის განაწილების შესახებ. ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი დაუტოვოს ანდერძით ერთს ან რამოდენიმე პირს, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშესაც, აგრეთვე სა-

ხელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფო, კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთს, რამოდენიმე ან ყველა კანონიერ მემკვიდრეს, გარდა ზოგიერთი კატეგორიის პირებისა, რომლებიც სამკვიდროდან წილს მიიღებენ ანდერძის შინაარსის მიუხედავად. სავალდებულო წილი ეკუთვნით მოანდერძის არასრულწლოვან ან შრომისუუნარო შვილებს (შვილობილებს), შრომისუუნარო მეუღლეს და მშობლებს (მშვილებლებს), აგრეთვე მის კმაყოფილებზე მყოფ სხვა მემკვიდრეებს. სავალდებულო წილი არ შეიძლება იყოს იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც აღნიშნულ პირებს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ.

ანდერძი შეიძლება შეეხოს როგორც მთელ სამკვიდროს, ისე მის ნაწილს. თუ ანდერძი ქონების ნაწილს ეხება, მაშინ დარჩენილი ნაწილი იყოფა კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის დადგენილი რიგისა და წესის დაცვით.

მოანდერძეს უფლება აქვს დააკისროს ანდერძისმიერ მემკვიდრეს რაიმე ვალდებულების შესრულება ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ. მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს საანდერძო დანაკისრი მხოლოდ ნაანდერძევი სამკვიდრო ქონების ნამდვილი ღირებულების ფარგლებში. მოანდერძეს შეუძლია აგრეთვე დააკისროს მემკვიდრეს რაიმე არაქონებრივი ხასიათის ვალდებულება სავართო-სასარგებლო მიზნით. მაგალითად, უანდერძოს ნახატი და დააკისროს, რომ იგი აჩვენოს ყველა მსურველს.

მოანდერძეს უფლება აქვს ყოველთვის შეცვალოს ან მოშალოს თავისი ანდერძი და შეადგინოს სხვა ანდერძი. შემდგომი ანდერძი აუქმებს აღრინდელს მთლიანად ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობით, მისი შედგენის ადგილისა და დროის აღნიშვნით და პირადად მოანდერძის მიერ წარედგინოს დასამოწმებლად სანოტარო ორგანოს, ხოლო იქ, სადაც ასეთი ორგანო არ არის — სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასკომს. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ანდერძი შეიძლება დაამოწმოს სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ, გემის კაპიტანმა, სამხედრო ნაწილის სარდლობამ და ა. შ.

**სამკვიდროს მიღება და  
მემკვიდრეობაზე უარის  
თქმა**

იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდ-  
რისა გახდეს მან უნდა მიიღოს იგი.  
სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ  
მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება

სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე როცა იგი შეი-  
ტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ.

სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში პირმა  
უნდა გამოთქვას მემკვიდრეობის მიღების სურვილი. ამ ვადის გაგ-  
რძელება შეუძლია სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ იგი გადაცი-  
ლებულია საპატიო მიზეზებით. სამკვიდრო შეიძლება მიღებულა  
იქნეს აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოსათვის მიმარ-  
თვის გარეშეც, თუ ამის თანახმაა ყველა დანარჩენი მემკვიდრე.

მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვი-  
ან განმავლობაში უარი თქვას მემკვიდრეობაზე. ამის შესახებ მან უნდა  
შეიტანოს განცხადება სამკვიდროს გახსნის ადგილას საანოტარო  
მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში. თუ მემკვიდრე ექვსი თვის  
განმავლობაში არ მიიღებს სამკვიდროს, ეს ნიშნავს, რომ მან უარი  
თქვა მემკვიდრეობაზე. მემკვიდრეს, რომელმაც უარი განაცხადა სამ-  
კვიდროს მიღებაზე, აღარ შეუძლია შემდგომ მოითხოვოს მის მიღე-  
ბაზე უფლების აღდგენა.

მემკვიდრეებს ეძლევათ მემკვიდრეობის უფლების მოწმობა სამ-  
კვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნუ-  
ლი მოწმობა შეიძლება გაიცეს უფრო ადრეც, თუ საანოტარო მოქმე-  
დების შემსრულებელ ორგანოს მოუპოვება ცნობა, რომ მოწმობის  
მთხოვნელთა გარდა სხვა მემკვიდრეები არ არსებობენ.

§ 1. ზოგადი დებულება

**საკანონმდებლო აქტები:** სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ საცხოვრებელი ბინის უფლება გამოაცხადა საბჭოთა ადამიანების ერთ-ერთ ძირითად ჰოციალურ-ეკონომიკურ უფლებად, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერატიული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობა, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით, აგრეთვე ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის სიმცირე. 1981 წლის 24 იელისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები, რომლის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებმა მიიღეს საბინაო კოდექსები. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1983 წლის 4 ივნისს და შემოღებულ იქნა სამოქმედოდ იმავე წლის პირველი სექტემბრიდან. საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კოდექსებით მოწესრიგებულია აბინაო ურთიერთობათა ძირითადი საკითხები, განსაზღვრულია საბინაო ფონდების შექმნისა და მართვის სამართლებრივი საფუძვლები, მოქალაქეთა ბინით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, მათი დაცვა-შენახვისა და ექსპლუატაციის, ავრთვე საბინაო დავის გადაწყვეტის წესი, დადგენილია მოქალაქეთა ძირითადი საბინაო უფლებები და მოვალეობები. საბინაო ურთიერთობის ცალკეული საკითხები რეგლამენტირებულია სამართლის სხვადასხვა დარგებით. მაგალითად, სახელმწიფო საბინაო ფონდის საცხოვრებელი სადგომების განაწილების წესი განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, ბინაზე პირადი საკუთრების უფლება — სამოქალაქო სამართლის ნორმებით და ა. შ.

საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა დამყარებულია სოციალისტური დემოკრატიზმისა და ჰუმანურობის პრინციპებზე, განმსჭვალულია ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვის მაღალი იდეებით.

**საბინაო პრობლემა** საცხოვრებელი ბინა წარმოადგენს ადამიანის უდიდეს სოციალურ სიკეთეს, მისი კეთილდღეობის, ოჯახური ბედნიერებისა და სიმშვიდის, შემოქმედებითი შრომისა და დასვენების აუცილებელ პირობას. მოქალაქეთა ბინით უზრუნველყოფა, მათი საბინაო უფლებების გაფართოება და დაცვა ყოველთვის იყო და არის პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი. ჩვენი ქვეყნის საბინაო მშენებლობის ტემპები და მასშტაბები უპრეცედენტოა მსოფლიოში. მარტო მეთერთმეტე ხუთწლეულში აშენდება 530—540 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, საბინაო პირობები გაუუმჯობესდება 50 მილიონზე მეტ კაცს. საქართველოს მშრომელებმა ბოლო ათი წლის მანძილზე მიიღეს 12 მილიონამდე კვადრატული მეტრი ფართობის ბინები. ამჟამად, რესპუბლიკის საბინაო ფონდი შეადგენს დაახლოებით 90 მილიონ კვადრატულ მეტრს.

მიუხედავად ამისა, საბინაო პრობლემა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გადაწყვეტილი, ყველა ოჯახს არ გააჩნია კეთილმოწყობილი ცალკე ბინა. საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა მოწოდებული ხელს უწყობდეს მოქალაქეთა ბინით უზრუნველყოფას, საბინაო ფონდის სამართლიან განაწილებასა და ეფექტიან მართვას.

**საბინაო ფონდები** სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომები სხვა ნაგებობებში ქმნიან საბინაო ფონდს. საცხოვრებელ ფონდში არ შედის საცხოვრებელი სახლის არასაცხოვრებელი სადგომები, რომლებიც განკუთვნილია სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და არასამრეწველო ხასიათის სხვა საჭიროებისათვის.

საბინაო ფონდში შედის: ა) სახელმწიფო საბინაო ფონდი; ბ) საზოგადოებრივი საბინაო ფონდი; გ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ფონდი და დ) ინდივიდუალური საბინაო ფონდი.

სახელმწიფო საბინაო ფონდს შეადგენს სახელმწიფოს კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები სხვა ნაგებობებში. ეს საბინაო ფონდი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და იმყოფება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა



(ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდი) და სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების განმგებლობაში (საუწყებო საბინაო ფონდი). ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ აღმასრულებელი კომიტეტები და მათ მიერ შექმნილი მმართველობის ორგანოები, ხოლო საუწყებო საბინაო ფონდის მართვას — სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმო-დაწესებულებები და ორგანოები.

საზოგადოებრივ საბინაო ფონდს შეადგენს კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები სხვა ნაგებობებში. ამ საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ შესაბამისი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოები თავიანთი წესდების (დებულების) შესაბამისად.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდს შეადგენს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების კუთვნილი სახლები. ამ ფონდის მართვას ახორციელებენ კოოპერატივების მმართველობის ორგანოები თავიანთი წესდების შესაბამისად.

ინდივიდუალურ საბინაო ფონდს შეადგენს მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები. ამ საბინაო ფონდის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას ახორციელებს სახლის მესაკუთრე თავისი შეხედულებით და კანონით დადგენილ ფარგლებში.

**საცხოვრებელი სადგომების დანიშნულება** საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები განკუთვნილია მოქალაქეთა მულმივი ბინადრობისათვის, აგრეთვე დადგენილი წესით სამსახურებრივ-საცხოვრებელ სადგომებად და საერთო საცხოვრებლად გამოყენებისათვის. აკრძალულია საცხოვრებელი სახლების სადგომების სამრეწველო ხასიათის ჰაჭიროებისათვის მიცემა, აგრეთვე სარდაფისა და ნახევარსარდაფის საცხოვრებლად გადაკეთება. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებლად ვარგისი საცხოვრებელი სახლებისა და ასეთ სახლებში არსებული საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებლად გადაყვანა, როგორც წესი, არ დაიშვება და შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებით.

**მოქალაქეთა ძირითადი  
საბინაო უფლებები და  
მოვალეობები**

საბჭოთა მოქალაქეებს უფლება აქვთ დადგენილი წესით მიიღონ საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში.

ში ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში. ამ საბინაო ფონდების სახლებში მოქალაქეებს საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ უვადო სარგებლობისათვის. მოქალაქეებს უფლება აქვთ აგრეთვე კანონის შესაბამისად, პირად საკუთრებაში ჰქონდეთ საცხოვრებელი სახლი. არავენ არ შეიძლება გამოასახლონ დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან ან ვინმეს შეუზღუდონ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება თუ არა კანონით დადგენილი საფუძვლითა და წესით.

მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ სახლს, სადაც ისინი ცხოვრობენ, გამოიყენონ საცხოვრებელი სადგომი დანიშნულებისამებრ, დაიცვან საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის წესები და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმები, ეკონომიურად ხარჯონ წყალი, გაზი, ელექტროენერგია და თბოენერგია. მოქალაქეებს უფლება არა აქვთ საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები გამოიყენონ პირადი გამორჩენის, არაშრომთა შემოსავლის მიღების და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის, აგრეთვე საზოგადოების ინტერესების საზიანოდ.

**§ 2. საცხოვრებელი სადგომების მიცემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში**

**მოქალაქეთა უფლება  
საცხოვრებელი სადგომის  
მიღებაზე**

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს უფლება აქვთ სარგებლობისათვის მიიღონ საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი

საბინაო ფონდის სახლებში იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ მოცემულ დასახლებულ პუნქტში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს, როგორც წესი, ოჯახისათვის ცალკე ბინის სახით. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების, მოქალაქეების, რომლებსაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე ამ სახლებში მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს.

ლაქეების, რომლებსაც სწბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფა ხდება საერთო საფუძველზე.

### საბინაო

პირობებგასაუმჯობესებელ  
მოქალაქედ ცნობა

ბი აქვს, რაც განსაზღვრულია კანონით; ბ) ცხოვრობს ქვექირავენობის პირობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ან ქირავენობის ხელშეკრულებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში, ანდა ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლებში და არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი სადგომი; გ) ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში, სეზონური და დროებითი მუშაკების, აგრეთვე სწავლასთან დაკავშირებით ჩასახლებული მოქალაქეების გარდა; დ) ცხოვრობს საცხოვრებელ სახლში (საცხოვრებელ სადგომში), რომელიც არ შეესაბამება დაწესებულ სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს. ეს ნუსხა არ არის ამომწურავი. მოქალაქეები საბინაო პირობებგასაუმჯობესებლად შეიძლება ცნობილ იქნენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველებითაც.

### საბინაო

პირობებგასაუმჯობესებელ  
მოქალაქეთა აღრიცხვა

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა, როგორც წესი, ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ცალკეულ შემთხვევებში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებით მოქალაქეები შეიძლება აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე არა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებიც მუშაობენ საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი და საბინაო მშენებლობას ეწევიან ან წილობრივ მონაწილეობას იღებენ საბინაო მშენებლობაში, ხორციელდება სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო მათი სურვილით, შეიძლება აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც. მათ თანაბრად ხდება იმ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა, ვინც აღარ მუშაობს ამ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში პენსიაზე გასვლის გამო.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა საცხოვრებ-

ლი ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანა ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიის მონაწილეობით, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით მოქალაქეები აღრიცხვაზე აპყავთ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ამასთან, სამუშაო ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა სიებს ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა სიებს გამოაკრავენ საყოველთაო გაცნობისათვის და პერიოდულად დააზუსტებენ.

**საცხოვრებელი სადგომის მიცემა** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელ სადგომებს მოქალაქეებს

აძლევს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიის მონაწილეობით, ხოლო საუწყებო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდების სახლებში— შესაბამისი ორგანიზაციების ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ სიებით დადგენილი რიგითობის წესით. ამასთან საცხოვრებელი სადგომის პირველ რიგში მიღების უფლება აქვთ დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და დაღუპულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახებს, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებს, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც დიდხანს კეთილსინდისიერად იმუშავეს წარმოების სფეროში, მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა დედებს, ოჯახებს ტყუპების გაჩენისას და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მოქალაქეებს. საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე ეძლევათ მოქალაქეებს, რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების შედეგად, პირებს, რომლებიც დაბრუნდნენ საბავშვო დაწესებულებებიდან ნათესავეებთან, მეურვესთან ან მზრუნველთან ყოფნის შემდეგ, თუ მათი შესახლება წინათ დაკავებულ სადგომში შეუძლებელია. რიგგარეშე მიეცემათ საცხოვრებელი სახლები აგრეთვე იმ მოქალაქეებს, რომ-

ლებსაც უკანონოდ დაედოთ მსჯავრი და შემდეგ რეაბილიტირებულ იქნენ, თუ მათთვის წინათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება შეუძლებელია.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსით საცხოვრებელი ფართობის ნორმა დადგენილია ერთ სულზე თორმეტი კვადრატული მეტრის ოდენობით. ამ ნორმის გადამეტებით მოქალაქეთა ცალკეულ კატეგორიებს ეძლევათ დამატებითი ფართობი ოთახის სახით ან ათი კვადრატული მეტრის ოდენობით. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა შეიძლება გაუდიდდეთ მოქალაქეებს, რომლებსაც ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა აქვთ ან ეს ფართობი ესაჭიროებათ შესასრულებელი სამუშაოს პირობებისა და ხასიათის გამო. მისაცემი საცხოვრებელი ფართობის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, თუ ოჯახში არის ორსული ქალი. საცხოვრებელი სადგომის მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წლის ასაკს გადაცილებული სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, შეუძლეთა გარდა. თუ, მაგალითად, მარტოხელა დედას ჰყავს ათი წლის ვაჟი, მას უნდა მიეცეს ოროთახიანი ბინა. ინვალიდებს, ღრმად მოხუცებულებს და მძიმედ დაავადებულ პირებს საცხოვრებელი სადგომი ეძლევათ, მათი სურვილის გათვალისწინებით, ქვედა სართულზე ან ლიფტიან სახლში.

კანონის თანახმად, საცხოვრებელი სადგომი, რომელიც მოქალაქეს ეძლევა, უნდა იყოს კეთილმოწყობილი მოცემულ დასახლებული პუნქტის პირობების კვალობაზე და შეესაბამებოდეს დადგენილ სანიტარულ და ტექნიკურ მოთხოვნებს. დაუშვებელია ავარიულ და დაძველებულ სახლებში, სარდაფებში, ბარაკებსა და საცხოვრებლად გამოუსადგეარ სხვა სადგომებში მოქალაქის შესახლება

**ორდერი საცხოვრებელ სახლზე** სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის გადაწყვეტილების

საფუძველზე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეს აძლევს ორდერს, რომელიც მოცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს. ორდერი საცხოვრებელ სადგომზე შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით იმ შემთხვევებში, როცა მოქალაქეებმა წარმოადგინეს საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის ისეთი ცნობები, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს, დაძვეულია მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა უფლებანი ორდერში

აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომზე, არამართლზომიერია თანამდებობის პირთა მოქმედება საცხოვრებელი სადგომის მიცემის საკითხის გადაწყვეტისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როცა დაზღვეულია საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესი და პირობები. მოთხოვნა ორდერის ბათილად ცნობის შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს ორდერის გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში.

### § 8. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საზინაო ფონდის სახლავში საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა

**საცხოვრებელი სადგომის  
ქირავნობის  
ხელშეკრულება**

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საზინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობითი ორდერის საფუძველზე გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის. გამქირავებელია საზინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია, ხოლო სადაც ასეთი არ არის, შესაბამისი საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია. დამქირავებელია მოქალაქე, რომლის სახელზე გაცემულია ორდერი საცხოვრებელ სადგომზე.

ქირავნობის ხელშეკრულების საგანი, როგორც წესი, არის ცალკე ბინა ან სხვა იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი. ქირავნობის ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილ ფართობზე ნაკლები საცხოვრებელი სადგომი, ოთახის ნაწილი, მომიჯნავე ოთახი, სამზარეულო, დერეფანი, საკუჭნაო და სხვა დამხმარე სათავსო.

ქირავნობის ხელშეკრულების ძალით გამქირავებელი ვალდებულია ჩააბაროს დამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, გაუკეთოს საცხოვრებელ სადგომს კაპიტალური რემონტი და განახორციელოს მისი ტექნიკური მომსახურება, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დამქირავებელი ვალდებულია საცხოვრებელი სადგომი და დამხმარე სათავსოები გამოიყენოს მათი პირდაპირი დანიშნულებით, უზრუნველყოს საცხოვრებელი სადგომის დაცვა-შენახვა, ჩაატაროს მიმდინარე რემონტი, კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით შეიტანოს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების გადასახდელი.

**დამქირავებელთან ერთად  
მცხოვრებ ოჯახის წევრთა  
უფლები-მოვალეობანი**

დამქირავებლის ოჯახის წევრები, რომ-  
ლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ,  
დამქირავებლის თანაბრად სარგებლო-  
ბენ ყველა უფლებით და ეკისრებათ სა-

ცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინა-  
რე ყველა მოვალეობა. დამქირავებლის ოჯახის წევრებია მასთან  
მუდმივად მცხოვრები მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. ოჯა-  
ხის წევრებად შეიძლება ცნობილ იქნენ აგრეთვე სხვა ნათესავეები  
და შრომისუუნარო კმაყოფაზე მყოფნი, თუ ისინი მუდმივად ცხოვ-  
რობენ დამქირავებელთან და მასთან ერთად ეწევიან საერთო მეურ-  
ნეობას.

დამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი წესით მასთან ერთად  
მცხოვრები ოჯახის წევრების თანხმობით ჩაისახლოს თავისი მეუღ-  
ლე, შვილები, მშობლები, სხვა ნათესავეები და შრომისუუნარო  
კმაყოფაზე მყოფნი. ამ წესით ჩასახლებული პირები იძენენ ოჯახის  
წევრის თანაბარ უფლებას, თუ ჩასახლებისას არ ყოფილა სხვა შე-  
თანხმება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამქირავებ-  
ლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს მოითხოვოს ოჯახის  
დანარჩენ წევრთა თანხმობით, რომ მას დაუდონ ქირავნობის ცალ-  
კე ხელშეკრულება, თუ მისი წილი საცხოვრებელი ფართობი შეიძ-  
ლება გამოიყოს იზოლირებულ სადგომად, რომლის ოდენობა არ  
იქნება დაწესებულ ოდენობაზე ნაკლები ან დამქირავებლის გარდა-  
ცვალების შემთხვევაში ცნონ იგი დამქირავებლად. მოქალაქეებს,  
რომლებიც ერთ ბინაში ცხოვრობენ და სარგებლობენ მისი საცხოვ-  
რებელი სადგომებით დამოუკიდებელი ხელშეკრულებით, ერთ  
ოჯახად გაერთიანების შემთხვევაში უფლება აქვთ მოითხოვონ მთელ  
სადგომზე ერთი ქირავნობის ხელშეკრულების დადება.

**ქვექირავნობა და  
დროებითი მდგმურები**

საცხოვრებელი სადგომის დამქირავე-  
ბელს უფლება აქვს მასთან ერთად  
მცხოვრებ ოჯახის წევრთა და გამქირა-

ვებლის თანხმობით გააქვექირავნოს საცხოვრებელი სადგომი კანო-  
ნით დადგენილ შემთხვევებში და წესით. კერძოდ, დამქირავებელს  
უფლება აქვს სხვაგან წასვლის შემთხვევაში გააქვექირავნოს სა-  
ცხოვრებელი სადგომი. გაქვექირავნობა არ დაიშვება თუ ქვემოქი-  
რავნის შესახლების შემთხვევაში თითოეულ ბინადარზე საცხოვრე-  
ბელი ფართობის ოდენობა კანონით დადგენილ ნორმაზე ნაკლები

აღმოჩნდება. დაუშვებელია გაქვექირავნობა არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით. ქვექირავნობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით და შემდგომ გატარდეს რეგისტრაციაში შესაბამის საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციაში.

დამქირავებელსა და მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით მისცენ დროებითი ცხოვრების უფლება სხვა მოქალაქეებს, ე. ი. დროებით მდგმურებს მათთან ქვექირავნობის ხელშეკრულების დაუდებლად და ქირის გადაუხდე-ვინებლად.

მოქალაქენი, რომლებიც დამქირავებლის საცხოვრებელ სადგომში ცხოვრობენ ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ან დროებით მდგმურებად, ბინადრობის ვადის მიუხედავად ამ სადგომზე დამოუკიდებელ უფლებას არ იძენენ. ქვემოქირავნეს უფლება არა აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მისი განახლება, ხოლო დროებითი მდგმურები ვალდებულნი არიან დაცალონ სადგომი დამქირავებლის მოთხოვნისთანავე. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე წყდება ქვექირავნობის ხელშეკრულებაც. ქვემოქირავნენი, აგრეთვე დროებითი მდგმურები საცხოვრებელი სადგომის გათავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოსახლებულ უნდა იქნენ საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

<p><b>დროებით სხვაგან მყოფ მოქალაქისათვის საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების შენარჩუნება</b></p>	<p>დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრებს დროებით სხვაგან ყოფნის შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომი ენახებათ ექვსი თვის მანძილზე. უფრო ხანგრძლივი დროით ენახებათ იმ პირობებს, რომლებიც გაწვეული არიან ნამ-</p>
---	--

დვილ ვადიან სამხედრო სამსახურში, წასული არიან სხვა ადგილას მუშაობის პირობებისა და ხასიათის გამო, აგრეთვე სწავლასთან დაკავშირებით, აღსაზრდელად იმყოფებიან სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებებში, ნათესავეებთან, მეურვესთან ან მზრუნველთან, წასული არიან სამკურნალოდ და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. საცხოვრებელი სადგომის შენახვისას დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები ინარჩუნებენ ქირავნობის ხელ-



შეკრულებით გათვალისწინებულ ყველა უფლებასა და მოვალეობას. დაშორებისა და მისი ოჯახის წევრ-  
საცხოვრებელი სადგომის დაქვემდებარებული საცხოვრებელი  
დაქვემდებარება, თუ ისინი იგზავნე-  
ბიან საზღვარგარეთ ან სამუშაოდ მიღიან

უკიდურეს ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ად-  
გილებში, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემ-  
თხვევებში. ჯავშანს გასცემს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი  
საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ტერიტორიაზეც მდებ-  
არეობს დასაჯავშნი სადგომი.

ჯავშანი არ მიეცემათ ქვემოქირავნებსა და დროებით მდგმუ-  
რებს, სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომებში და საერთო სა-  
ცხოვრებლებში მცხოვრებ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა  
მიმართ განცხადებულია მოთხოვნა ქირავნობის ხელშეკრულების  
შეცვლის ან მოშლის შესახებ.

დაშორებულს უფლება აქვს ქვექირავნობის ხელშეკრულების  
საფუძველზე გააქირავოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბი-  
ნაო ფონდის სახლში დაქვემდებარებული სადგომი ან ჩა-  
სახლოს იქ დროებითი მდგმური ჯავშნის მოქმედების ვადის ფარ-  
გლებში. დაშორებულის ან მისი ოჯახის წევრთა დაბრუნების შემ-  
თხვევაში მათ უფლება აქვთ მოითხოვონ დაქვემდებარებული სადგომის და-  
უყოვნებლივ განთავისუფლება.

საცხოვრებელი სადგომის დაქვემდებარებულს უფლება აქვს მასთან  
გაცვლა ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა წე-  
რილობითი თანხმობით გაუცვალოს და-  
ქვემდებარებული საცხოვრებელი სადგომი სხვა დაშორებულს ან საბინაო-  
სამშენებლო კოოპერატივის წევრს. საცხოვრებელი სადგომების  
გაცვლა საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახლებში  
დაიშვება მხოლოდ მათი თანხმობით. გაცვლა არ დაიშვება მაშინ,  
როცა დაშორებულის მიმართ აღძრულია სარჩელი ქირავნობის  
ხელშეკრულების მოშლის, შეცვლის ან ორდერის ბათილად ცნო-  
ბის შესახებ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის მიმართ  
აღძრულია კოოპერატივიდან გარიცხვის საკითხი, გაცვლა ანგარები-  
თი ან ფიქტიური ხასიათისაა, გაცვლის შედეგად გაუარესდება ერთ-  
ერთი მხარის საბინაო პირობები და კანონით გათვალისწინებულ სხვა  
შემთხვევებში.

დამქირავებელს, რომელსაც დაწესებულ ნორმაზე მეტი სა-  
ცხოვრებელი ფართობი აქვს, შეუძლია მოითხოვოს ნაკლები ოდე-  
ნობის საცხოვრებელ სადგომში გადასვლა ან აღძრას შუამდგომლო-  
ბა იმის შესახებ, რომ ზედმეტ ოთახში თავისი არჩევით შეასახლოს  
ალრიცხვაზე მყოფი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი მოქალაქე-  
ნი. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღნიშნულ  
პირებთან იდება ქირავნობის ცალკე ხელშეკრულება.

**ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა** საცხოვრებელი სადგომის დამქირავე-  
ბელს უფლება აქვს ოჯახის წევრთა  
თანხმობით ნებისმიერ დროს მოშალოს  
ქირავნობის ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავე-  
ბელი და მისი ოჯახის წევრები მუდმივ საცხოვრებლად გადადიან  
სხვა დასახლებულ პუნქტში ან იმავე დასახლებულ პუნქტის სხვა  
საცხოვრებელ სადგომში. ქირავნობის ხელშეკრულება მოშლილად  
ითვლება სხვაგან წასვლის ან გადასვლის მომენტიდან.

ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს გამქირავებ-  
ლის მოთხოვნით მხოლოდ კანონით დადგენილ საფუძველზე და  
მხოლოდ სასამართლოს წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გა-  
მოსახლება ხდება სახლებიდან, რომელთაც ჩამოქცევის საფრთხე  
ემუქრება.

მოქალაქეთა საცხოვრებელი სადგომის ხელშეუხებლობა და-  
ცულია კანონით. თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი უკანონო  
ჩხრეკა, გამოსახლება ან სხვაგვარი მოქმედება, რომელიც არღ-  
ვეს მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობას, ისჯება სისხლის სამარ-  
თლის წესით. საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება ხდება, რო-  
გორც წესი, სასამართლოს წესით. ადმინისტრაციული წესით ანუ  
პროკურორის სანქციით დაიშვება გამოსახლება მხოლოდ იმ პირე-  
ბისა, ვინც თვითნებურად დაიკავა საცხოვრებელი სადგომი ან  
ცხოვრობს სახლში, რომელსაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება.

**გამოსახლება სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სა-**  
**საცხოვრებელი სადგომის მიცემით** ბინაო ფონდის სახლებიდან მოქალაქე-  
ებს გამოსახლებენ სხვა კეთილმოწყო-  
ბილი საცხოვრებელი სადგომის მიცე-  
მით იმ შემთხვევაში, როცა სახლი ასაღებია, ჩამოქცევის საფრთხე-  
შია ან უნდა გადაკეთდეს არასაცხოვრებლად.

ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ან თადარიგში  
დათხოვნილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცრები,

პროპორციები და მიჩმანები, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე მათთან ერთად მცხოვრები პირნი შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სამხედრო ქალაქებში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომებიდან სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მიცემით. ასეთივე წესით უნდა გამოსახლდნენ სამხედრო ქალაქებიდან სხვა პირნი, რომელთაც კავშირი შეწყვიტეს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებთან.

სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით შეიძლება გამოსახლებულ იქნენ მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საცხოვრებელი სადგომის მიმცემ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე, ან შრომის დისციპლინის დარღვევის, თუ დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, აგრეთვე მოქალაქეები, რომელთაც საცხოვრებელი სადგომები მიიღეს კოლმეურნეობების სახლებში და ისინი გაირიცხნენ კოლმეურნეობების წევრობიდან ან გავიდნენ კოლმეურნეობიდან საკუთარი სურვილით. გამოსახლებასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის მისაცემი სხვა საცხოვრებელი სადგომი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს და მდებარეობდეს მოცემული დასახლებული პუნქტის ფარგლებში.

**გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად** საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად გამოსახლება ხდება იმ შემთხვევაში, როცა დამჭირავებელი, მისი ოჯახის წევრები, ან მასთან ერთად მცხოვრები სხვა პირები სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს, ან იყენებენ მას არადანიშნულებისამებრ, ანდა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სისტემატური დარღვევით სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას მიუხედავად გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებისა. სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად შეიძლება გამოსახლებულ იქნენ აგრეთვე მშობლის უფლებაჩამორთმეული პირნი, თუ მათი ცხოვრება ამ შეილებთან ერთად შეუძლებელია. პირები, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომები, გამოსახლებული უნდა იქნენ ადმინისტრაციული წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. იმ შემთხვევაში, თუ ორდერს საცხოვრებელ სადგომზე სასამართლო

ბათილად ცნობს ორდერის მიმღებ პირთა არამართლზომიერი მოქმედების შედეგად, ისინი გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუხედავად. სხვა საფუძვლით ორდერის ბათილად ცნობის შემთხვევაში გამოსახლება უნდა მოხდეს წინათ დაკავებული ან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით.

**§ 4. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით და საერთო საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა**

**სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების დანიშნულება**

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები განკუთვნილია იმ მოქალაქეთა ჩასახლებისათვის, რომლებიც თავიანთი შრომითი ურთიერთობის ხასიათის გამო მუშაობის ადგილზე ან მის მახლობლად

უნდა ცხოვრობდნენ. საცხოვრებელი სადგომი სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში შეიტანება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომები სამსახურებრივ სადგომთა რიცხვში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების თანხმობით.

იმ კატეგორიის მუშაკთა ნუსხა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები, განსაზღვრულია კანონით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები შეიძლება მიეცეთ ცალკეულ კატეგორიათა სამხედრო მოსამსახურეებსაც.

კოლმეურნეობათა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების შეტანა სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში და იმ კატეგორიის მუშაკთა ნუსხის დადგენა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ ასეთი სადგომები, ხდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და ხარგებლობის წესი**

გადაწყვეტილებას სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ იღებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, კოლმეურნეობის გამგეობა, სხვა კოოპერატი-

ული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების მმართველობის ორგანოები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოები, ჯარის ნაწილის სარდლობა, რომელთა გამგებლობაშიც არის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეს აძლევს სპეციალურ ორდერს.

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობისა; გამოიყენება წესები, რომლებიც არეგულირებენ საცხოვრებელ სადგომის ქირაულობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს, განსაზღვრავენ ბინის ქირის გადახდის წესს, დამქირაველის უფლება-მოვალეობებს და ა. შ.

**სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება** მუშები და მოსამსახურენი, რომელთაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც გაირიცხნენ კოლმეურნეობის წევრობიდან ან გავიდნენ საკუთარი სურვილით, გამოსახლებულ უნდა იქნენ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან მათთან ერთად მცხოვრებ ყველა პირითურთ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ: დიდი სამამულო ომის მონაწილენი, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, პირები, რომელთაც მოცემულ საწარმოში იმუშავეს არანაკლებ ათი წლისა, საწარმოს ლიკვიდაციის ან შტატის შემცირება; გამო დათხოვნილი პირები, პერსონალური პენსიონერები, პირვილი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდები და კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სხვა კატეგორიის მოქალაქენი.

**საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის მიცემისა და სარგებლობის წესი** საერთო საცხოვრებლებისათვის გამოიყენება ამ მიზნით სპეციალურად აშენებული ან გადაკეთებული საცხოვრებელი სახლები. საერთო საცხოვრებლები კომპლექტდება ავეჯით, საოჯახო და

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოხმარების სხვა საგნებით, რომლებიც საჭიროა საერთო საცხოვრებლებში მყოფ მოქალაქეთა ცხოვრების, მეცადინეობისა და დასვენებისათვის.

საერთო საცხოვრებლებში ფართობი ეძლევათ მუშებს, მოსამსახურეებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს და სხვა მოქალაქეებს მათი

მუშაობის ან სწავლის პერიოდისათვის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის, პროფკავშირის კომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით და დაწესებული ნორმის შესაბამისად. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაცია გასცემს საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის დაკავების სპეციალურ ორდერს.

**საერთო  
საცხოვრებლებიდან  
გამოსახლება**

სეზონური, დროებითი მუშები და ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მუშავე პირნი, რომელთაც მუშაობა შეწყვიტეს, აგრეთვე პირნი, რომლებიც სასწავლებელში სწავლობდნენ და იქიდან წავიდნენ, გამოსახლებულ უნდა იქნენ საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად საერთო საცხოვრებელიდან, სადაც მათ ადგილი მიეცათ მუშაობის ან სწავლის გამო.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სხვა მუშაკები, რომლებსაც მუშაობის გამო ადგილი მიეცათ საერთო საცხოვრებელში, შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოდან დაითხოვეს არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილისამებრ, შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის. ის პირნი, რომელთაც მუშაობა შეწყვიტეს სხვა საფუძველით, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქენი შეიძლება გამოსახლებულ იქნენ მხოლოდ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემით.

**§ 6. მოქალაქეთა უზრუნველყოფა საცხოვრებალი სადგომებით საბინაო-კოოპერატივის წევრების სახლავში და ამ სადგომებით სარგებლობა**

**საბინაო-სამშენებლო  
კოოპერატივის წევრად  
მიღება**

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს უფლება აქვთ გახდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები და მიიღონ ბინა. კოოპერატივში შეს-

ვლის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა ხდება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა ადგილობ-

ჩივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით, იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელთანაც იქმნება კოოპერატივი. მოქალაქეებს, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ სამუშაო ადგილის მიხედვით, მაგრამ აღარ მუშაობენ პენსიაზე გასვლის გამო, აღრიცხვაზე აიყვანენ ამ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად შეიძლება მიღებულ იქნენ თერამეტი წლის ასაკს მიღწეული პირნი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში და საქიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას. კოოპერატივში შესვლის მსურველთა და მათი ოჯახის წევრთა სიას ამტკიცებს ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**საბინაო-სამშენებლო  
კოოპერატივის  
ორგანიზაცია და  
საქმიანობა**

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან,

აგრეთვე კოლმეურნეობებთან და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. კოოპერატივის ორგანიზაციის და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საქმიანობისადმი კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთაც უფლება აქვთ გააუქმონ კოოპერატივის საერთო კრების ან გამგეობის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი.

**საბინაო-სამშენებლო  
კოოპერატივის  
წევრისათვის  
ხაცხოვრებელი სადგომის  
მიცემა**

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღებულ პირს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც დამტკიცებულია სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღ-

მასრულებელი კომიტეტის მიერ, ეძლევა ერთი ან რამდენიმე ოთახიანი ცალკე ბინა ოჯახის წევრთა რაოდენობის, მისი საპაიო შენა-

ტანი თანხისა და საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში ჩასახლება ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ორდერების საფუძველზე. ორდერის გაცემაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

**საბინაო-სამშენებლო  
კოოპერატივის სახლებში  
საცხოვრებელი  
სადგომებით სარგებლობა**

კოოპერატიულ ბინაში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება აქვს როგორც კოოპერატივის წევრს, ისე მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ. კოოპერატივის წევრთან ოჯახური ურთიერთობის გაწყვეტა არ წარმოადგენს მასთან მცნოვრებ პირთა გამოსახლების საფუძველს.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრთა თანხმობით და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით გაცვალოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი კოოპერატივის სხვა წევრთან ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელთან იმ პირობით, თუ პირი, რომელიც საცხოვრებელ სადგომს ცვლის, კოოპერატივის წევრი გახდება. კოოპერატივის წევრს შეუძლია კოოპერატივის გამგეობის თანხმობით გააქირავოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი კანონით დადგენილი წესით.

**საბინაო-სამშენებლო  
კოოპერატივიდან გარიცხვა**

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი კოოპერატივიდან შეიძლება გარიცხოს იმ შემთხვევაში, როცა: ა) წარადგინა უსწორო მონაცემები, რაც მისი კოოპერატივში შესვლის საფუძველი გახდა, აგრეთვე კოოპერატივის წევრად მისი მიღების საკითხის გადაწყვეტისას თანამდებობის პირებმა ჩაიღინეს არამართლზომიერი მოქმედება; ბ) სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს ან იყენებენ მას არადანიშნულებისამებრ ან სისტემატურად არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რის გამოც სხვებისათვის შეუძლებელი ხდება მასთან ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრება, თუ ამასთან, გამაფრთხილებელი ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები უშედეგო აღმოჩნდა;



გ) სისტემატურად აქირავებს საცხოვრებელ სადგომს არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. კოოპერატივიდან გარიცხვის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. კოოპერატივიდან გარიცხული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი მასთან ერთად მცხოვრებ ყველა პირებითურთ გამოსახლებული უნდა იქნეს სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება კოოპერატივის წევრობიდან გარიცხულ პირთა ოჯახის წევრებს ენახებათ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებულ წესების შესაბამისად ერთ-ერთი მათგანის კოოპერატივში შესვლის პირობით.

**§ 8. ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლავის სასოფრეპეალო სადგომით სარგებლობა**

**საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლება**

მოქალაქეს შეიძლება პირად საკუთრებაში ჰქონდეს საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი. ამ სახლების ძირითადი დანიშნულებაა მესაკუთრეთა და მათი

ოჯახის წევრების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. მესაკუთრეს უფლება აქვს აგრეთვე შეისახლოს სხვა მოქალაქენი ან გააქირავოს სახლი კანონით დადგენილი წესით. პირადი საკუთრების სახლის ზღვრული ოდენობა, აგრეთვე საერთო წილობრივი საკუთრების სახლით სარგებლობის წესი დადგენილია კანონით.

მოქალაქენი რომელთაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლი, მოვალენი არიან უზრუნველყონ მისი დაცვა-შენახვა, თავიანთი ხარჯით ჩაატარონ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, წესიერ მდგომარეობაში იქონიონ სახლისპირა ტერიტორია.

მესაკუთრის ოჯახის წევრებს, რომლებიც მან ჩაისახლა თავის კუთვნილ სახლში, უფლება აქვთ მის თანაბრად ისარგებლონ სახლის სადგომებით, თუ ჩასახლებისას სხვა რამ არ ყოფილა დაუკმული. მათ უფლება აქვთ მესაკუთრის მიერ მათთვის გამოყოფილ სადგომში ჩაისახლონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. ოჯახის სხვა წევრთა ჩასახლება დაიშვება მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით.

**პირადი საკუთრების  
სახლის ქირავნობა**

მოქალაქეს, რომელსაც პირად საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი, უფლება აქვს ეს სახლი ან სახლის ნაწილი

მააქირაოს სხვა მოქალაქეს. ქირავნობის ხელშეკრულება ფორმდება წერილობით. ხელშეკრულების ვადა და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის სხვა პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პირადი საკუთრების სახლის დამქირავებელს უფლება აქვს ჩაისახლოს თავისი არასრულწლოვანი შვილები, ხოლო თუ მათ იზოლირებული სადგომი უკავიათ, უფლება აქვს მასთან ერთად შცხოვრებ ოჯახის წევრთა თანხმობით ჩაისახლოს აგრეთვე თავისი მეუღლე და შრომისუუნარო მშობლები. დადგენილი წესით ჩასახლებული დამქირავებლის ოჯახის წევრები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და აკისრიათ თანაბარი მოვალეობანი. დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები დროებითი არყოფნის დროს ინარჩუნებენ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას კანონით დადგენილი ვადითა და წესით. დამქირავებელს უფლება აქვს მესაკუთრის თანხმობით გადაცვალოს დაკავებული სადგომი, გააქვექირავოს იგი ან ჩაისახლოს დროებითი მდგმურები, მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მისი განახლება, თუ იგი დადებულია ერთ წლამდე ვადით, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, განახორციელოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მესაკუთრეს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საცხოვრებელი სადგომი პირადი სარგებლობისათვის სჭირდება მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს, აგრეთვე თუ დამქირავებელი სისტემატურად არ იხდის ბინის ქირას ან არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობებს. პირადი საკუთრების სახლებიდან დამქირავებელთა, ქვემოქირავნეთა და დროებით მდგმურთა გამოსახლება ხდება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

**სახლის ალებისას  
მესაკუთრისა და  
დამქირავებელთა  
უფლებები**

იმ შემთხვევაში, როდესაც პირად სა-  
კუთრებაში არსებული საცხოვრებელი  
სახლები აღებულ უნდა იქნეს სახელმ-  
წიფო ან საზოგადოებრივი საჭიროები-  
სათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას-

თან დაკავშირებით, მესაკუთრეებს, მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე  
ამ სახლებში მუდმივად მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს დადგენილი  
ნორმების მიხედვით ეძლევათ ბინები სახელმწიფო ან საზოგადო-  
ებრივი საბინაო ფონდის სახლებში. გარდა ამისა, სახლის მესაკუთ-  
რეს თავისი არჩევით ან აუნაზღაურდება ასაღები სახლის, ნაგებო-  
ბისა და მოწყობილობის ღირებულება, ანდა მიეცემა უფლება გა-  
მოიყენოს ალების შედეგად დარჩენილი მასალა. მოქალაქეთა სურ-  
ვილისამებრ შეიძლება აგრეთვე, მათი კუთვნილი ასაღები საცხოვ-  
რებელი სახლები და ნაგებობები გადატანილ და აღდგენილ იქნეს  
ახალ ადგილზე.

§ 1. ზოგადი დებულებები

საკანონმდებლო აქტები შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელოვანი საკითხები მოცემულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. უფრო დაწვრილებით კი ეს საკითხები ჩამოყალიბებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1970 წლის 15 ივლისს. საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულია შრომის კანონთა კოდექსები. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა 1973 წლის 28 ივნისს, ხოლო სამოქმედოდ შემოღებული იქნა იმავე წლის პირველი ოქტომბრიდან. შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების დარგში დიდი ადგილი უკავია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს, რომლებიც ადგენენ ახალ ნორმებს, ცვლილებები და დამატებები შეაქვთ შრომის კანონმდებლობაში. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 12 აგვისტოს მიიღო ბრძანებულება სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომელმაც მთელი რიგი სიახლეები შეიტანა შრომის კანონმდებლობაში.

შრომითი ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებზე მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს ერთობლივი დადგენილებები, მაგალითად, 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილება შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობაში კადრების დენადობის შემცირების შესახებ.

შრომის კანონმდებლობის შესასრულებლად სახელმწიფო მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღებულობენ ნორმატიული ხასიათის დადგენილებებს, ინსტრუქციებსა და განმარტებებს.

**შრომის კანონმდებლობის ამოცანები**      შრომის კანონმდებლობა აწესრიგებს მუშებისა და მოსამსახურეების შრომითს ურთიერთობებს, ხელს უწყობს

შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და საზოგადოების საკეთილდღეო შრომის თანდათან გადაქცევას თითოეული შრომისუნარიანი ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. შრომის კანონმდებლობა აწესებს შრომის პირობების მაღალ დონეს, მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი უფლებების ყოველმხრივ დაცვას.

ექსპლუატაციისაგან თავისუფალი საბჭოთა ადამიანის შრომა წარმოადგენს საზოგადოებრივი სიმდიდრის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროს. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავენ ადამიანის მდგომარეობას საბჭოთა საზოგადოებაში, შრომა საყოველთაოა საზოგადოების ყველა შრომისუნარიანი წევრისათვის და ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია შრომის შესაძლებლობით.

შრომა წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების კონსტიტუციურ უფლებას, რასაც უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, უფასო პროფესიული სწავლება, შრომის კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება, პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემათა განვითარება. მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ დასვენების, ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების, პროფესიულ კავშირებში გაერთიანების, წარმოების მართვაში მონაწილეობის, საკურო შემთხვევაში სახელმწიფო სახსრებით მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ამასთან, ისინი მოვალენი არიან დაიცვან შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდნენ სახალხო დოვლათს, შეასრულონ შრომის ნორმები.

შრომის კანონმდებლობის ამოცანაა მოაწესრიგოს მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი უფლებები და მოვალეობები, უზრუნველყოს მათი განუხრელი დაცვა და შესრულება, აღკვეთოს შრო-

მითი ურთიერთობის დარგში ყოველგვარი თვითნებობა და უკანონობა.

## § 2. შრომის ხელშეკრულება

**შრომის ხელშეკრულების ცნება** შრომის ხელშეკრულება არის მშრომელსა და საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შორის შეთანხმება, რომლითაც მშრომელი ვალდებული იქნება შეასრულოს სამუშაო გარკვეული სპეციალობის, კვალიფიკაციის თუ თანამდებობის მიხედვით, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს, ხოლო საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ვალდებული იქნება მშრომელს გადაუხადოს ხელფასი და უზრუნველყოს იგი შრომის იმ პირობებით, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებით და მხარეთა შეთანხმებით.

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, შრომის ხელშეკრულების ერთ მხარეს წარმოადგენს მოქალაქე, რომელიც იწყებს მუშაობას მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშად ან მოსამსახურედ. შრომის ხელშეკრულების დადების უფლებით სარგებლობენ თუქვესმეტ წელს მიღწეული პირები. ვამონაკლის შემთხვევებში პროფკავშირის კომიტეტებთან შეთანხმებით სამუშაოზე შეიძლება მიღებულ იქნენ პირნი, რომლებსაც თხუთმეტი წელი შეუსრულდათ. თვრამეტ წელს მიუღწეველი არასრულწლოვანები შრომით ურთიერთობებში უფლებრივად გათანაბრებული არიან სრულწლოვანებთან, ხოლო შრომის დაცვის, სამუშაო დროის, შევებულებებისა და შრომის ზოგიერთი სხვა პირობების მხრივ სარგებლობენ შრომის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით.

შრომის ხელშეკრულების მეორე მხარეა საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია. კოლმეურნეობამ შრომის ხელშეკრულება შეიძლება დადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობაში არ არის შესაბამისი სპეციალისტი ან როცა კოლმეურნეთა ძალებით შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სამუშაოების საჭირო ვადებში შესრულება. ცალკეულ მოქალაქეს შეუძლია გამოიყენოს სხვა პირის შრომა მხოლოდ პირადი სამომხმარებლო მეურნეობის საჭიროებისათვის, შრომის ხელშეკრულება დადოს, მაგალითად, შინამოსამსახურესთან, ძიძასთან და ა. შ.

შრომის ხელშეკრულებით განისაზღვრება მხარეთა უფლებები

და მოვალეობები, ხელშეკრულების სხვა პირობები. ამ პირობათა ნაწილი დადგენილია შრომის კანონმდებლობით, ხოლო ნაწილზე თანხმდებიან თვითონ მხარეები. მხარეთა შეთანხმებით ხდება, მაგალითად, იმის განსაზღვრა თუ რა სპეციალობით, რა თანამდებობაზე, კონკრეტულად რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში უნდა იმუშაოს მუშაკმა და ა. შ. სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ შრომითი დავა ხშირად წარმოიქმნება იმის გამო, რომ შრომის ხელშეკრულებაში ნათლად არ იყო განსაზღვრული მუშაკის შრომითი ფუნქცია. მხარეთა შეთანხმებით შემუშავებული შრომის ხელშეკრულების პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შრომის კანონმდებლობას, არ უნდა არღვევდეს მუშათა და მოსამსახურეთა შრომის უფლებებს. ბათილია შრომის ხელშეკრულების პირობები, რომლებიც აუარესებენ მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობასთან შედარებით, ან სხვა მხრივ ეწინააღმდეგებიან ამ კანონმდებლობას.

შრომის ხელშეკრულება იღება: ა) განუსაზღვრელი ვადით. ბ) განსაზღვრული ვადით, არაუმეტეს სამი წლისა; გ) გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

შრომის ხელშეკრულება უმეტეს შემთხვევაში იღება განუსაზღვრელი ვადით.

განსაზღვრული ვადით შრომის ხელშეკრულება იღება იმ მუშა-მოსამსახურეებთან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს იმუშაონ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან მათთან გათანაბრებულ ადგილებში, აგრეთვე, როდესაც სამუშაოდ მიღება ხდება ორგანიზებული შეკრების წესით. ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციას მინიჭებული აქვს უფლება დადოს ვადიანი შრომის ხელშეკრულება არა ნაკლებ ორი წლისა იმ პირებთან, რომლებმაც გაიარეს სპეციალური მომზადება სამუშაოდან მოწყვეტით. ასეთ ხელშეკრულებას დებენ, მაგალითად, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები და სხვა.

გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით შრომის ხელშეკრულება იღება იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოს ხანგრძლივობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებით. მაგალითად, კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ან სამშენებლო ობიექტის დამთავრება.

შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, თუ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გრძელდება და არც ერთი მხარე

არ ითხოვს მის შეწყვეტას, შრომის ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს აგრეთვე დროებითი და სეზონური სამუშაოს შესასრულებლად. დროებით სამუშაოზე მიღება არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს, ან ოთხ თვეს იმ მუშაკის შეცვლისას, რომელსაც ენახება სამუშაო ადგილი. თუ მუშაკმა ამ ვადებზე მეტ ხანს იმუშავა, ის მექანიკურად ითვლება მუდმივ მომუშავედ.

სეზონური სამუშაოები, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. ეს სამუშაოები ჩამოთვლილია სპეციალურ ნუსხაში. სეზონურია, მაგალითად, სამუშაოები ტორფის დასამზადებლად, ყურძნის ასაღებად და ა. შ.

**სამუშაოზე მიღება** აკრძალულია დაუსაბუთებელი უარი სამუშაოდ მიღებისას. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად დაუშვებელია, კერძოდ, სამუშაოზე მიღებისას უფლებათა რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება სქესის, რასის, ეროვნული კუთვნილებისა და რელიგიისადმი დამოკიდებულების მიხედვით. სისხლის სამართლის წესით ისჯება ქალის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ იგი ორსულადაა ან მეძუძური დედაა.

სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა ადმინისტრაციას შეუძლია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. დაუშვებელია, მაგალითად, სამუშაოდ მიღება ისეთი პირისა, რომელსაც არ მიუღწევია დადგენილი ასაკისათვის, თვრამეტ წელს მიუღწეველი პირის მიღება მძიმე სამუშაოზე და ა. შ.

დაუშვებელია იმ პირთა სამუშაოზე მიღება, ვისაც სასამართლოს განაჩენით ჩამორთმეული აქვს გარკვეული თანამდებობა. ა) დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლება. ამ ნაწილში სასამართლოს განაჩენის შეუსრულებლობა წარმოადგენს დანაშაულს და იწვება როგორც ის პირი, რომლის მიმართ გამოტანილია ვანაჩენი, ისე თანამდებობის პირი, რომელიც სარგებლობს სამუშაოზე მიღების უფლებით.

აკრძალულია ერთსა და იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმ პირთა ერთად მუშაობა, რომლებიც ერთმანეთთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებიან (მშობლები, მეუღლეები, ძმები, დები, შვილები, აგრეთვე მეუღლეების ძმები, დები, მშობლები და შვილები), თუ სამსახურებრივად ერთი უშუალოდ ექ-



ვემდებარება ან კონტროლს უწყევს მეორეს. ამ წესიდან გამონაკლი-  
სი შეიძლება დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-  
ჭოს მიერ. ასეთი გამონაკლისია დაშვებული, მაგალითად, პედაგო-  
გებისათვის, არტისტებისათვის, ექიმებისათვის და ა. შ. აღნიშნული  
შეზღუდვები არ ვრცელდება აგრეთვე მუშებსა და უმცროს მომსა-  
ხურე პერსონალზე.

მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან სამუშაოზე მი-  
ღებ. სას აღმინისტრაციას წარუდგინონ სათანადოდ გაფორმებული  
შრომის წიგნაკი და პასპორტი, ხოლო ის პირები, ვინც პირველად  
იწყებენ მუშაობას, წარადგენენ სახლმმართველობის, სახალხო დე-  
პუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოს მიერ გაცემულ ცნობას უკა-  
ნასკნელი საქმიანობის შესახებ. სსრ კავშირის შეიარაღებული ძა-  
ლების რიგებიდან დათხოვნილი პირები ვალდებული არიან აღმინის-  
ტრაციას წარუდგინონ სამხედრო ბილეთი. ისეთ სამუშაოზე მიღები-  
სას, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, აღმინისტრაციას  
უფლება აქვს მოითხოვოს პროფესიისა თუ სპეციალობის დამადას-  
ტურებელი საბუთები.

შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერი-  
ლობითი ფორმით. უფრო ხშირად შრომის ხელშეკრულება ზეპი-  
რად იდება. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს შრომის  
ხელშეკრულების დადების წერილობით ფორმას. მაგალითად, უკი-  
დურესი ჩრდილოეთის რაიონებში და მათთან გათანაბრებულ ადგი-  
ლებში სამუშაოზე მიღებისას შრომის ხელშეკრულება უნდა გა-  
ფორმდეს წერილობით. რა ფორმითაც არ უნდა იყოს შრომის ხელ-  
შეკრულება დადებული, სამუშაოზე მიღება წერილობით უნდა გა-  
ფორმდეს აღმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით) და ჩაბარ-  
დეს მუშაკს ხელწერილის ჩამორთმევით. შრომის ხელშეკრულება  
ღალატულად ითვლება მაშინაც, როცა ბრძანება ან განკარგულება  
არ იყო გაცემული, მაგრამ მუშაკი ფაქტობრივად დაშვებული იყო  
სამუშაოზე.

სამუშაოზე საბოლოოდ მიღებას შეიძლება წინ უძღოოეს ვა-  
მოცდა, რომლის მიზანია მუშაკის შესაფერისობის შემოწმება. ვა-  
მოცდის დაწესება გათვალისწინებული უნდა იყოს მხარეთა შეთან-  
ხმებით შრომის ხელშეკრულების დადებისას და მითითებულა უნდა  
იყოს სამუშაოზე მიღების ბრძანებაში (განკარგულებაში).

გამოცდის გარეშე სამუშაოზე მიიღებიან თვრამეტ წელს მი-  
ულწეველი პირები, ახალგაზრდა მუშები და სპეციალისტები სასწავ-  
19. აღ. შუშანაშვილი

ლებლის დამთავრების შემდეგ, სამამულო ომის ინვალიდები, რომლებიც სამუშაოზე გაიგზავნენ ჯავშნის ანგარიშში და ზოგიერთი სხვა პირი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საგამოცდო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ კვირას მუშებისათვის და ორ კვირას მოსამსახურეებისათვის, გარდა პასუხისმგებელი მუშაკებისა, რომელთაც საგამოცდო ვადა შეიძლება დაუწესდეთ ერთ თვემდე. სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევით ქვეგანყოფილებებში სამუშაოზე მიღებისას მუშაკებს, რომლებსაც ეხებათ ატესტაცია, სამუშაოზე საბოლოოდ მიღებამდე შეიძლება დაუწესდეთ გამოცდა ვადით სამ თვემდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით გამოსაცდელი ვადა შეიძლება დაწესდეს ექვს თვემდე ვადით.

განოცდის პერიოდში მუშებსა და მოსამსახურეებზე მთლიანად ვრცელდება შრომის კანონმდებლობა.

გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ საგამოცდო ვადა დამთავრდა, ხოლო მუშა ან მოსამსახურე აგრძელებს მუშაობას. თუ გამოცდის შედეგი არადამაკმაყოფილებელია, ადმინისტრაციას უფლება აქვს გააუქმოს შრომის ხელშეკრულება პროფკავშირის კომიტეტთან შეუთანხმებლად და გასავლელი დახმარების გაცემის გარეშე.

სხვა სამუშაოზე გადაყვანა სხვა სამუშაოზე გადაყვანის ზოგადი წესი კანონით განსაზღვრულია შემდეგნაირად: სხვა სამუშაოზე გადაყვანა იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, აგრეთვე, გადაყვანა სხვა საწარმოში, დაწესებულებაში ან ტერიტორიულად სხვა ადგილას, თუნდაც საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად, დასაშვებია მხოლოდ მუშის თუ მოსამსახურის თანხმობით. ამ საერთო წესიდან გაძონაკლისი დასაშვებია მხოლოდ საწარმოო აუცილებლობის, მოცდენის და დისციპლინური დარღვევის გამო ღროებით გადაყვანისას.

სხვა სამუშაოზე გადაყვანად არ ითვლება მუშაკის გადანაცვლება სხვა სამუშაო ადგილზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სპეციალობის, კვალიფიკაციის, თანამდებობის, ხელფასის ოდენობის, შეღავათების, უპირატესობათა და შრომის სხვა არსებითი პირობების შეუცვლელად.

საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციას უფ-

ლება აქვს ერთ თვემდე ვადით გადაიყვანოს მუშაკი სხვა სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში. ამგვარი გადაყვანა დასაშვებია: სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად თუ სალიკვიდაციოდ ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად, უბედური შემთხვევების, მოცდენის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, აგრეთვე სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის შესაცვლელად.

საწარმოო აუცილებლობით დროებით გადაყვანის შემთხვევაში შრომა უნდა ანაზღაურდეს შესრულებული სამუშაოს მოხედვით, მაგრამ არანაკლებ წინანდელი საშუალო ხელფასისა.

მოცდენის შემთხვევაში სხვა სამუშაოზე გადაყვანისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მუშაკის სპეციალობა და კვალიფიკაცია. ასეთი გადაყვანა დასაშვებია იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მოცდენის მთელი დროის მანძილზე, ხოლო ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ერთ თვემდე ვადით. მოცდენის შედეგად დაბალ ხელფასიან სამუშაოზე გადაყვანისას მუშაკს, რომელიც გამოუმუშავების ნორმებს ასრულებს, უნარჩუნდება საშუალო ხელფასი წინანდელი სამუშაოს მიხედვით, ხოლო იმ მუშაკს, რომელიც ნორმებს ვერ ასრულებს ან გადაყვანილია პერიოდული ანაზღაურების სამუშაოზე, უნარჩუნდება სატარიფო განაკვეთი (სარგო).

მოცდენის ან სამუშაოზე არმყოფი მუშაკის დროებითი შეცვლისას დაუშვებელია კვალიფიციური მუშაკის გადაყვანა არაკვალიფიციურ სამუშაოზე.

დროებითი გადაყვანის ვადის გასვლის შემდეგ აღმინისტრაცია ვალდებულია მუშაკი დააბრუნოს წინანდელ სამუშაოზე.

### სამუშაოდან განთავისუფლება

შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მუშაკის ინიციატივით, აღმინისტრაციის ინიციატივით, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველით.

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მოშალონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ წერილობით უნდა გააფრთხილონ აღმინისტრაცია ორთქვით ადრე. საპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულების მოშლისას,

მუშები და მოსამსახურეები ადმინისტრაციას აფრთხილებენ წერილობით ერთი თვით ადრე. ასეთ საპატიო მიზეზს წარმოადგენს, მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა, პენსიაზე გასვლა, მეუღლის სამუშაოდ გადაყვანა სხვა ადგილას და ა. შ. აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ მუშას თუ მოსამსახურეს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა მისცეს მუშაქს შრომის წიგნაკი და გაუსწოროს ანგარიში.

მუშაკისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს განთავისუფლების შესახებ გაფრთხილების ვადის გასვლამდეც. დაუშვებელია საკუთარი სურვილით იმ მუშაკთა განთავისუფლება, რომლებსაც სასამართლოს განაჩენით ძისჯილი აქვთ გამასწორებელი სამუშაოები. მუშაკის თანხმობის გარეშე ადმინისტრაციას უფლება არა აქვს გაათავისუფლოს იგი საკუთარი სურვილით კანონით დადგენილი გაფრთხილების ვადის გასვლამდე. მუშაკს უფლება აქვს ამ ვადის განვლამდე უკან გაითხოვოს თავისი განცხადება. თუ აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ ადმინისტრაციამ არ გამოსცა ბრძანება მუშაკის განთავისუფლების შესახებ, ხოლო ეს მუშაკი განაგრძობს მუშაობას და არ მოითხოვს შრომის ხელშეკრულების მოშლას, გაფრთხილება ძალას კარგავს.

შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოშალოს საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: ა) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაკთა რიცხვისა თუ შტატის შემცირების გამო. ამ საფუძვლით განთავისუფლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა მისი თანხმობით. მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ეძლევა იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება და კვალიფიკაცია. თანაბარ პირობებში სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ეძლევათ ომის ენვალიდებს, ამ საწარმოში ხანგრძლივი უწყვეტი სტაჟის მქონეებს და კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშაკებს, ბ) თუ გამოვლინდება, რომ მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის ამ სამუშაოს შესრულებაში. დაუშვებელია ამ საფუძვლით იმ პირის განთავისუფლება, რომელსაც არა აქვს საკ-

მათ გამოცდილება ხანმოკლე შრომის სტაჟის გამო. დაუშვებელია აგრეთვე მუშაკის განთავისუფლება იმის გამო, რომ მას არა აქვს სპეციალური განათლება, თუ კი კანონის თანახმად ეს სავალდებულო არ არის მოცემული სამუშაოს შესასრულებლად და თუ მუშაკი თავისი საქმიანი თვისებებით და გამოცდილებით კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. აღნიშნული საფუძვლით განთავისუფლება დაუშვებელია თუ შეუძლებელია მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა მისი თანხმობით; გ) მუშის ან მოსამსახურის მიერ არასაპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობის გამო, თუ მუშის ან მოსამსახურის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი. ამ საფუძვლით მუშაკის განთავისუფლებას საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღება ის დისციპლინური და საზოგადოებრივი ღონისძიებები, რომლებიც მოხსნილია, გაუქმებულია, ან შთანთქმულია ხანდაზმულობით; დ) არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის გამო. გაცდენად ითვლება სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოზე არყოფნა სამ საათზე მეტ ხანს განუწყვეტლივ ან შეჭამებით; ე) სამუშაოზე გამოუცხადებლობა ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დროებითი შრომისუნარიანობის გამო, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიცემული შვებულების ჩაუთვლელად, თუ კანონმდებლობით არ არის დადგენილი სამუშაო ადგილის (თანამდებობის) შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადა გარკვეული დაავადების დროს. განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ განუწყვეტელი შრომისუნარიანობა, რომელიც ოთხ თვეზე მეტ ხანს გრძელდება. ტუბერკულოზით დაავადებულ მუშაკს სამუშაო ადგილი (თანამდებობა) ენახება თორმეტ თვემდე. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი შრომითი დასახიჩრებისა თუ პროფესიული დაავადების გამო, სამუშაო ადგილი (თანამდებობა) ენახებათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე; ვ) თუ სამუშაოზე აღადგენენ იმ მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც ადრე ასრულებდა ამ სამუშაოს. ამ საფუძვლით განთავისუფლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა მისი თანხმობით; ზ) სამუშაოზე გამოცხადება არაფხიზელი მდგომარეობაში. არაფხიზელი მდგომარეობაში გამოცხადების ფაქტურს და დადგინდეს სამედიცინო დასკვნით ან სხვა მტკიცებულებებით,

მათ შორის, მოწმეთა ჩვენებით. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მუშაკს ადმინისტრაცია არ დაუშვებს სამუშაოდ.

დაუშვებელია ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის დათხოვნა დროებით შრომისუუნარობისა და შვებულებაში ყოფნის პერიორდში. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ხდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მთლიანი ლიკვიდაცია ან მუშაკის განთავისუფლება ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო.

ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ხელშეკრულება კანონის შესაბამისად შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებშიც: ა) იმ მუშაკის მიერ შრომითი ვალდებულებების ერთჯერადი უხეში დარღვევის გამო, რომელსაც დაკისრებული აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობა ხელქვეითობის წესით; ბ) იმ მუშაკის ბრალეული ქმედობის გამო, რომელიც უშუალოდ ემსახურება ფულად ან სასაქონლო ფასეულობებს, თუ ეს ქმედობა იძლევა ადმინისტრაციის მხრივ მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს. გ) იმ მუშაკის მიერ ამორალური გადაცდომის ჩადენა გამო. რომელიც აღმზრდელით ფუნქციებს ასრულებს, რაც შეუთავსებელია ამ მუშაობის გაგრძელებასთან; დ) სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში სასამართლოს დადგენილებით მუშაკის გაგზავნის გამო.

ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია პროფკავშირის კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ამ წესის დარღვევით შრომის ხელშეკრულების მოშლა უკანონოა და დათხოვნილი მუშაკი აღდგენილი უნდა იქნეს წინანდელ სამუშაოზე.

მოქმედი კანონმდებლობით ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისათვის დაწესებულია დამატებითი გარანტიები მათი სამუშაოდან უსაფუძვლოდ განთავისუფლების აღკვეთისათვის. ასე მაგალითად, დაუშვებელია ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნა ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ქალებისა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, გარდა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით.

რაიონული და ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით ადმინისტრაცია ვალდებულია მოშალოს შრომის ხელშეკრულებ-

ბა ხელმძღვანელ მუშაკთან ან ჩამოაყენოს იგი დაკავებული თანამდებობიდან, თუ ის არღვევს შრომის კანონმდებლობას, არ ასრულებს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იჩენს ბიუროკრატიზმს, აკიანურებს საქმეს.

კანონით გათვალისწინებულია სამუშაოდან განთავისუფლების ზოგიერთი სხვა საფუძველიც: სამხედრო სამსახურში გაწვევა, არჩევით თანამდებობაზე გადასვლა, სამუშაოზე მიღების წესების დარღვევა და ა. შ.

**შრომის წიგნაკი** შრომის წიგნაკი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს მუშის ან მოსამსახურის შრომითი საქმიანობის შესახებ. შრომის წიგნაკი ივსება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე, რომელიც საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობს ხუთ დღეზე მეტს. სამუშაოდან დათხოვნისას მუშაკს შრომის წიგნაკს აძლევენ დათხოვნის დღეს.

შრომის წიგნაკში იწერება ცნობები მუშაკისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ, აგრეთვე შრომითი წარმატებებისათვის მიღებული წახალისებებისა და ჯილდოების შესახებ. სასჯელი შრომის წიგნაკში არ ჩაიწერება.

შრომის წიგნაკში სამუშაოდან განთავისუფლების მიზეზის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი შესაბამისობით, კანონის მუხლისა და პუნქტის მითითებით. ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის გამო პენსიაზე გასვლის, სასწავლებელში ან ასპირანტურაში ჩარიცხვისა და სხვა მიზეზების გამო მუშაკის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლისას, შრომის წიგნაკში უნდა აღინიშნოს ეს მიზეზი.

## § 8. შრომის დისციპლინა

**შრომის დისციპლინის ცნება და მნიშვნელობა** შრომის დისციპლინის განმტკიცება წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით შესრულების, სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდის, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლების, საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფის მნიშვნელოვან პირობას. შრომის დისციპლინა ნიშნავს არამართო შრომის შინაგანაწესის დაცვას, არამედ აგრეთვე სამუშაოსადმი შეგნებულ შემოქმედებით დამოკი-

დებულებას, შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას.

შრომის დისციპლინის დაცვა წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა კონსტიტუციურ მოვალეობას. თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, დაიცვას შრომის დისციპლინა, დროულად და უხსტად შეასრულოს ადმინისტრაციის განკარგულებები, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, დაიცვას ტექნოლოგიური დისციპლინა, შრომის დაცვის უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნები, გაუფრთხილდეს და განამტკიცოს სოციალისტური საკუთრება.

შრომის დისციპლინას უზრუნველყოფს შრომისადმი შეგნებულნი დამოკიდებულება, დარწმუნების მეთოდი, აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის. ცალკეული არაკეთილსინდისიერი მუშაკების მიმართ საჭირო შემთხვევებში იყენებენ დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია სწორად მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა შრომა, შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები, უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, განუხრელად დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები, ყურადღებით მოეკიდოს მუშაკთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. შრომის დისციპლინის დაცვის საკითხები რეგლამენტირებულია შრომის შინაგანაწესით, რომელსაც ადგენს ადმინისტრაცია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი შინაგანაწესის საფუძველზე. სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ცალკეული კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მოქმედებს წესდებები დისციპლინის შესახებ.

**წახალისება მუშაობაში  
მოპოვებული  
წარმატებებისათვის**

შრომითი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების, სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის

გაუმჯობესების, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობის, შრომაში ნოვატორობისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის



შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს წახალისების შემდეგ სახეობებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) პრემიის მიცემა; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; ე) საპატიო წიგნში, საპატიო დაფაზე შეტანა.

შრომის შინაგანაწესით და წესდებით დისციპლინის შესახებ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა წახალისებანიც.

წახალისების ღონისძიებებს აღმინისტრაცია იყენებს პროფკავშირის კომიტეტთან ერთად ან მასთან შეთანხმებით. გამორიცხული არ არის ერთი მუშაკის მიმართ ერთდროულად რამდენიმე წახალისების ღონისძიების გამოყენება. მაგალითად, მუშაკი შეიძლება დააჯილდოვონ საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრით.

მუშებსა და მოსამსახურეებს განსაკუთრებული შრომითი დასახურებისათვის წარადგენენ ზემდგომ ორგანოებში წასახალისებლად, ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელით, სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებლად და საპატიო წოდებებისა და მოცემული პროფესიის საუკეთესო მუშაკის წოდების მისანიჭებლად.

**პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის**

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის კანონი ითვალისწინებს შემდეგი სახის დისციპლინურ სასჯელებს: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური;

დ) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება სამ თვემდე ვადით; ე) დათხოვნა.

დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება დაიშვება მხოლოდ სპეციალობის და პროფესიის გათვალისწინებით. ამასთან, შრომის დისციპლინის სისტემატურად დარღვევისათვის, არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის ან სამუშაოზე არათხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის მუშა და მოსამსახურე შეიძლება გადაიყვანონ სხვა დაბალხელფასიან სამუშაოზე ან ჩამოაყენონ სხვა უფრო დაბალ თანამდებობაზე პროფესიისა და სპეციალობის გათვალისწინებით.

დათხოვნა, როგორც დისციპლინური სასჯელი, გამოიყენება მუშის ან მოსამსახურის მიერ არასაპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობისათვის, თუ მის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, აგრეთვე არასაპატიო მიზეზით სამუშა-

ოს გაცდენისა ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის.

დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონმდებლობითა და დისციპლინის შესახებ წესდებებით ცალკეული კატეგორიების მუშებსა და მოსამსახურეებისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისციპლინური სასჯელიც. მაგალითად, ხელმძღვანელო მუშაკი შეიძლება დაითხოვონ სამუშაოდან შრომითი ვალდებულებების ერთჯერადი უხეში შეუსრულებლობისათვის.

**დისციპლინური სასჯელის გამოყენების წესი** დისციპლინურ სასჯელთა დადების უფლება აქვს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს. ასეთი უფლება შეიძლება მიენიჭოს სხვა თანამდებობის პირებსაც, რომელთა სიასაც ამტკიცებს სამინისტრო ან უწყება. არჩევითს მუშაკებს დისციპლინურ სასჯელს ადებს ამრჩევი ან მისი ზემდგომი ორგანო.

შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი. სასჯელის კონკრეტული ზომის შერჩევის უფლება აქვს ადმინისტრაციას. ამ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, მუშის ან მოსამსახურის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.

ჩადენილი ქმედობის ობიექტურად შეფასებისათვის დისციპლინური სასჯელის დადებამდე დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება. ადმინისტრაცია დისციპლინურ სასჯილს იყენებს გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ამ ვადაში არ შედის მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დრო. გამომყდავების დროის მიუხედავად დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დადებული იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ უნდა ეცნობოს მუშაკს და შრომითს კოლექტივს. სასჯელის დადების შესახებ იწერება ბრძანება ან განკარგულება და ხელმოწერით ეცნობება მუშაკს სამი დღის ვადაში.

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშას ან მოსამსახურეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპ-

ლინური სასჯელი არ ჰქონია დადებული. თუ მუშაკი ხელახლა არ დაარღვევს შრომის დისციპლინას და, ამასთან, თავს გამოიჩენს, როგორც კარგი და კეთილსინდისიერი მუშაკი, მას შეიძლება ადმინისტრაციის მიერ მოეხსნას დისციპლინური სასჯელი ერთის წლის გასვლამდე.

შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს. ადმინისტრაციას უფლება აქვს დისციპლინური სასჯელის ვაყოყნების ნაცვლად შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხი განახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

**მუშებისა და  
მოსამსახურეების  
მატერიალური  
პასუხისმგებლობა**

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან მზრუნველობით მოეპყრონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ქონებას და მიიღონ ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად. შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის გამო მუშებსა და მოსამსახურეებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა. მატერიალური პასუხისმგებლობა დგება მიუხედავად მუშაკის დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა.

მუშას ან მოსამსახურეს მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ პირობით: ა) თუ დადგინდება, რომ მუშაკის ქცევა იყო მართლსაწინააღმდეგო, ესე იგი ზიანი გამოიწვია მუშაკის მიერ კანონით ან სხვა ნორმატიული აქტებით მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა; ბ) თუ დადგინდება, რომ მუშაკის მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ესე იგი ზარალი ობიექტურად გამოიწვია მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ; გ) თუ დადგინდება, რომ მუშაკს ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში, ესე იგი მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა მოქმედებამ გამოიწვია ზიანი.

აღნიშნული პირობებიდან თუნდაც ერთის არარსებობა გამოირიცხავს მიყენებული ზიანისათვის მუშაკის მატერიალურ პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას.

მატერიალური პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ პირდაპირი ნამდვილი ზიანისათვის და არა იმ შესაძლო შემოსავლისათვის, რო-

მელიც ვერ მიიღო საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ მიყენებული ზიანის შედეგად. დაუშვებელია, აგრეთვე მუშას ან მოსამსახურეს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნორმალური საწარმო-სამეურნეო რისკის კატეგორიას.

მუშებსა და მოსამსახურეებს მიყენებული ზიანისათვის ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა, როგორც წესი, არა უმეტეს მათი საშუალო თვიური ხელფასის ერთი მესამედისა. ერთ მესამედზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვიური ხელფასის ორი მესამედისა ეკისრებათ მუშებსა და მოსამსახურეებს მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის, პროდუქციის, აგრეთვე, ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლის და სხვა საგნების დაუდევრობით გაფუჭების ან განადგურებისათვის.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, აგრეთვე მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს ზიანის ანაზღაურება ეკისრებათ არა უმეტეს საშუალო თვიური ხელფასისა, თუ ზიანი მიაყენეს ფულადი სახსრების გაცემით, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის აღრიცხვისა და შენახვის არასწორი დაყენებით, მოცდენის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის დატაცების, განადგურებისა და გაფუჭების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მიუღებლობით.

თანამდებობის პირები, რომელთაც ბრალი მიუძღვით მუშაკის უკანონო დათხოვნასა ან სხვა სამუშაოზე გადაყენებაში, ვალდებულნი არიან სასამართლოს გადაწყვეტილებით ანაზღაურონ ზიანი, რომელიც დაკავშირებულია იძულებით გაცდენილი ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროს ანაზღაურებასთან. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირის სამი თვის ხელფასს.

მუშებსა და მოსამსახურეებს მიყენებული ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სრული ოდენობით იმ შემთხვევაში: ა) როდესაც ზიანი მიყენებულია დანაშაულებრივი ქმედობით; ბ) როდესაც ზიანი მიყენებულია არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მუშაკის მიერ; გ) როდესაც მუშაკსა და აღმინისტრაციას შორის დადებულია წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ან ასეთი პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად დაკისრებული აქვს მუშაკს; დ) როდესაც

ზიანი მიყენებულია არაშრომითი მოვალეობის შესრულების დროს ან როდესაც ქონება და სხვა ფასეულობანი მუშაკმა მიიღო საქვეანგარიშოდ ერთჯერადი მინდობილობით ან სხვა ერთჯერადი დოკუმენტით; ე) როდესაც ზიანი მიყენებულია მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის, პროდუქციის, აგრეთვე ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლისა და სხვა საგნების განზრახ განადგურებით ან გაფუჭებით.

მუშასა და მოსამსახურეს უფლება აქვთ მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურონ მიყენებული ზიანი. თუ ზიანი ნებაყოფლობით არ იქნა ანაზღაურებული, იგი ამოღებულ უნდა იქნეს იძულებითი წესით. ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება საშუალო თვიური ხელფასის ერთ მესამედს, ხდება ადმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე, მუშაკის ხელფასიდან დაქვითვის საშუალებით. ადმინისტრაციის განკარგულება უნდა გაიცეს არა უგვიანეს ორი კვირისა მიყენებული ზიანის გამოვლენის დღიდან და უნდა მიექცეს აღსასრულებლად არა უადრეს შვიდი დღისა იმ დღიდან, როცა ეს შეატყობინეს მუშაკს. თუ მუშაკი არ ეთანხმება ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, აგრეთვე თუ ზიანი აღემატება მუშაკის საშუალო თვიური ხელფასის ერთ მესამედს, საკითხს გადაწყვეტს სასამართლო, მუშაკის სასამართლოში მიმართვა ადმინისტრაციის განკარგულების აღსრულებას არ შეაჩერებს.

#### § 4. შრომის დაცვა

შრომის დაცვის ცნება შრომის დაცვა წარმოადგენს საკანონმდებლო, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური და ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. სსრ კავშირის კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაცვისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირების, მერე კი მისი მთლიანად განდევნისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე.

შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა

ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, რომელიც ვალდებულია საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოს ისეთი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღკვეთავენ მუშებისა და მოსამსახურეების პროფესიული დაავადებების წარმოშობას. ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკური მოწყობა და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნა, როგორც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს. თუ შრომითი დაცვის წესებში არ არის ის მოთხოვნები, რომელთა დაცვა სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისათვის, ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან ერთად იღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაფრთხო პირობებს.

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან შეასრულონ შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებსაც ამუშავენ და ამტკიცებს ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან ერთად. მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან აგრეთვე დაიცვან მანქანებითა და მექანიზმებით სარგებლობის წესები, გამოიყენონ მათთვის მიცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. შრომის დაცვის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციას ეკისრება მუშათა და მოსამსახურეთა ინტრუქტაჟის მოწყობა უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესების შესასწავლად, აგრეთვე მუდმივი კონტროლი შრომის დაცვის ინსტრუქციის ყველა მოთხოვნის შესრულებაზე.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომის დაცვა შრომის მავნე პირობებიდან სამუშაოზე, აგრეთვე ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც მიმდინარეობს განსაკუთრებულ პირობებში ან დაკავშირებულია გაჭუჭყიანებასთან, მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ სპეციალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი. ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც გაჭუჭყიანებასთანაა დაკავშირებული, უფასოდ გაიცემა საპონი, აგრეთვე ჩამოსაბანი და გამაუვნებელი საშუალებანი, ხოლო შრომის მავნე პირობებიდან სამუშაოებზე — რძე ან სხვა ტოლფასოვანი პროდუქტები. განსაკუთ-

რებით მავნე პირობებიან სამუშაოებზე უფასოდ გაიკემა სამკურნა-  
ლი-პროფილაქტიკური კვების პროდუქტები.

მინდობილი სამუშაოსათვის ვარგისიანობის განსაზღვრისა და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, მძიმე სამუ-  
შაოებისა და შრომის მავნე ან საშიშ პირობებიან სამუშაოებზე, აგ-  
რეთვე ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებულ სამუშაოზე  
დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა სამედიცინო შემოწმება სა-  
ვალდებულოა სამუშაოზე მიღებისას წინასწარ და შემდგომშიაც  
პერიოდულად. სამედიცინო შემოწმებას გადიან აგრეთვე კვების  
მრეწველობის, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა,  
წყალსადენის ნაგებობათა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სა-  
ბავშვო დაწესებულებათა, აგრეთვე ზოგიერთ სხვა საწარმოთა, და-  
წესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები.

ადმინისტრაცია მოვალეა მუშები და მოსამსახურეები, რომლე-  
ბიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ უფრო მსუ-  
ბუქ სამუშაოს, გადაიყვანოს ასეთ სამუშაოზე მათი თანხმობით. კა-  
ნონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაცია ვალდებუ-  
ლია სამუშაოზე მიიღოს ინვალიდები და დაუწესოს მათ შემცირებუ-  
ლი სამუშაო დღე და შრომის სხვა შეღავათიანი პირობები სამედი-  
ცინო რეკომენდაციის შესაბამისად.

**ქალთა შრომის დაცვა** ქალთა შრომის დაცვისათვის კანონმ-  
დებლობა ითვალისწინებს დამატებით გარანტიებს. აკრძალულია ქალის შრომის გამოყენება მძიმე და  
შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუ-  
შაოებზე, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა. დაუშვებელია ქალის  
შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, სახალხო მეურნეობის იმ  
დარგების გარდა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცი-  
ლებლობით და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება.

დაუშვებელია დასვენების დღეებში, ღამისა და ზეგანაკვეთურ  
სამუშაოებზე ორსული ქალებისა და მეძუძური დედების, აგრეთვე  
იმ ქალების მუშაობა და მივლინებაში გაგზავნა, რომლებსაც ერთ  
წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ. ქალები, რომლებსაც ჰყავთ ერთი  
წლიდან რვა წლის ასაკამდე ბავშვები, არ შეიძლება ჩაბმულ იქნენ  
ზეგანაკვეთურ სამუშაოებში ან გაიგზავნონ მივლინებაში მათი თან-  
ხმობის გარეშე. გარკვეული პირობების არსებობისას, ორსული ქა-  
ლები და მეძუძური დედები შეიძლება გადაიყვანონ სხვა უფრო

მსუბუქ სამუშაოზე წინანდელი სამუშაოს მიხედვით საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე ორმოცდათექვსმეტი და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი (არანორმალური მშობიარობისა და ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში — სამოცდაათი) კალენდარული დღის ხანგრძლივობით. მსურველებს ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ეძლევათ ბავშვის ერთ წლამდე ასაკს მიღწევამდე, ხოლო დამატებითი უხელფასო შვებულება — წლინახევრის ასაკის მიღწევამდე. მექოქურ დედებსა და ქალებს, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, გარდა საერთო შესვენებისა, ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის.

იმ საწარმოებში, ორაგნიზაციებში, სადაც ფართოდ იყენებენ ქალის შრომას, ეწყობა საბავშვო ბაგები და ბაღები, ოთახები ძუძუთა ბავშვების კვებისათვის, აგრეთვე ოთახები ქალის პირადი ჰიგიენისათვის. კანონმდებლობით გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა შეღავათები მომუშავე ქალებისათვის.

**ახალგაზრდობის შრომის  
დაცვა**

კანონმდებლობით მნიშვნელოვანი დებულებებია გათვალისწინებული ახალგაზრდობის შრომის დაცვის მიზნით. სამუშაოზე მიღება შეიძლება თექვსმეტი წლის ასაკიდან, ხოლო გამოწვევის შემთხვევაში პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით — თხუთმეტი წლის ასაკიდან. აკრძალულია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება მძიმე, მავნე, საშიშპირობებიან და მიწისქვეშა სამუშაოებზე. აკრძალულია მათი დასაქმება ღამის და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, აგრეთვე დასვენების დღეებში.

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირები სამუშაოზე მიიღებიან წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ და ყოველწლიურად გაივლიან სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას. არასრულწლოვანი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებულია შრომის შემსუბუქებელი პირობები, შემცირებული სამუშაო დღე, შვებულება ზაფხულში და ა. შ. შეღავათებია დაწესებული აგრეთვე იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მუშაობას უთავსებენ სწავლას.



**შრომითი დავის ცნება** შრომითი დავა ნიშნავს შრომის კანონმდებლობის დაცვისა და გამოყენების თაობაზე მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის წამოჭრილ უთანხმოებას. განსხვავებით კაპიტალისტური საზოგადოებისა, სადაც შრომითი კონფლიქტები გარდაუვალი შედეგია კლასობრივი და სოციალური ჩაგვრისა, საბჭოთა კავშირში შრომითი დავები არ ატარებს ანტაგონისტურ ხასიათს. სოციალისტურ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში შრომითი ურთიერთობები ხორციელდება ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთთანხმობის საწყისებზე. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა უზრუნველყოფს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების პარამონიულ ურთიერთობას, კოლექტივის წინაშე თითოეულის და თითოეული მუშაკისათვის კოლექტივის პასუხისმგებლობის ატმოსფეროს დამკვიდრებას.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა მიზეზის გამო გამორიცხული არ არის ამა თუ იმ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავების წარმოშობა. ასეთი დავის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, ხელშეწყველის ან რიგითი მუშაკების მიერ შრომის კანონმდებლობის არასათანადო ცოდნა, ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევა, წარმოებისა და შრომის არასწორი ორგანიზაცია, მუშაკის უსაფუძვლო მოთხოვნები და პრეტენზიები ადმინისტრაციის მიმართ და ა. შ.

შრომითი დავის გარკვევა და გადაწყვეტა არც თუ ისე იოლია. იგი ხშირ შემთხვევაში მოითხოვს სპეციალური ნორმატიული მასალის შესწავლას, მოწმეების გამოკითხვას, ექსპერტიზის ჩატარებას და ა. შ. მუშების და მოსამსახურეების შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საბჭოთა კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური წესი, რაც უზრუნველყოფს შრომის დავების ობიექტურად განხილვასა და გადაწყვეტას.

შრომითი დავების განხილვის წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 მაისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსით, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებ-

ლობით და ზოგიერთი სხვა უწყებრივი ხასიათის ნორმებით. შრომითი დავების სწორად განხლვისა და გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს შესაბამის დადგენილებებს.

მოქმედი კანონმდებლობით შრომით დავას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იხილავენ შრომითი დავის კომისიები, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები და სახალხო სასამართლოები. ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომით დავას ხელქვეითობის წესით იხილავს ზემდგომი ორგანო.

### შრომითი დავის კომისიები

შრომითი დავის კომისიები იქმნება საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში პროფკავშირისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობით. თითოეული მხარის წარმომადგენელთა რაოდენობა წესდება ადგილკომის და ადმინისტრაციის შეთანხმებით. როგორც წესი, მხარეები გამოყოფენ რამოდენიმე წარმომადგენელს, რათა რომელიმე მათგანის არყოფნამ გავლენა არ მოახდინოს კომისიის მუშაობაზე. შრომითი დავის განხილვაში შეიძლება კომისიის ყველა წევრი არ მონაწილეობდეს, მაგრამ დაცული უნდა იყოს მხარეთა თანაბარი წარმომადგენლობა.

მხარეთა წარმომადგენლებს კომისიაში გამოყოფენ პროფკავშირის ადგილკომის რწმუნებულების ვადით. პროფკავშირის წარმომადგენელთა გამოყოფა ხდება ადგილკომის დადგენილებით, ხოლო ადმინისტრაციის წარმომადგენლები გამოიყოფა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

პროფესიული კავშირის წარმომადგენლად შრომითი დავის კომისიაში გამოიყოფა პროფესიული კავშირის კომიტეტის წევრი. წარმომადგენლად შეიძლება გამოყონ პროფკომის თავმჯდომარე და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც პროფკავშირის წევრთა სიმცირის გამო შექმნილი არ არის ადგილობრივი კომიტეტი, შრომითი დავის კომისია იქმნება პროფკავშირის ორგანიზატორის და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის შემადგენლობით.

შრომითი დავის კომისია აუცილებელი პირველადი ორგანოა, რომელიც განიხილავს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზა-

ციებში წარმოქმნილ შრომით დავას, გარდა იმ დავისა, რომელიც კანონის თანახმად უნდა განიხილოს უშუალოდ სახალხო სასამართლომ ან სხვა ორგანომ.

მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომითი დავის კომისიას სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ. მუშა-მოსამსახურეთა განცხადების მიღებას აწარმოებს პროფკავშირის ადგილკომი, ხოლო იქ სადაც ასეთი არ არის, პროფორგანიზატორი.

კომისია ვალდებულია შრომითი დავა განიხილოს ხუთ დღეში განცხადების შეტანის დღიდან. კომისიის სხდომა ტარდება არასამუშაო დროს. გადაწყვეტილების მიღება ხდება კომისიის წევრთა შეთანხმებით. დაუშვებელია კენჭისყრა და გადაწყვეტილების მიღება ხმის უმრავლესობით. კომისია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი ერთი წევრი არ იყოს ამის თანახმა. კომისიის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს. კომისიის სხდომის ოქმის პირი სამი დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს პროფკომსა და ადმინისტრაციას, აგრეთვე დაინტერესებულ მუშაკს, რომელსაც უფლება აქვს ოქმის ამონაწერის მიღებიდან ათი დღის ვადაში პროფკომში გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება, ხოლო თუ კომისიაში დავის განხილვისას ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება დავის გადაჭრის შესახებ, იმავე ვადაში მიმართოს პროფკომს განცხადებით. ადმინისტრაციას უფლება არა აქვს გაასაჩივროს შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა ან მოსამსახურე არ ეთანხმება პროფკავშირული ორგანიზატორისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შემადგენლობით შემდგარი კომისიის გადაწყვეტილებას, აგრეთვე ამ კომისიაში მხარეთა შეთანხმების მიუღწევლობისას, მას შეუძლია ათი დღის ვადაში განცხადებით მიმართოს სახალხო სასამართლოს.

**შრომითი დავის განხილვა** პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტში  
პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტში პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი შრომით დავას იხილავს მუშებისა და მოსამსახურეების განცხადებით იმ შემთხვევაში, როცა შრომითი დავის კომისიაში მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, აგრეთვე, როდესაც მუშებსა და მოსამსახურეებს საჩივარი შეაქვთ ამ კომისიის გადაწყვეტილებაზე. პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის პროტესტით გააუქ-

მოს შრომითი დავის კომისიის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება და გამოიტანოს დადგენილება დავის არსის გამო.

იმ შრომითი დავის განხილვისას, რომელზედაც კომისიაში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს გამოაქვს დადგენილება დავის არსის გამო, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვისას შეუძლია ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი და გამოიტანოს დადგენილება დავის არსის გამო.

პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი მოვალეა შრომითი დავა განიხილოს შვიდ დღეში განცხადების ან საჩივრის მიღებიდან. დადგენილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით. სხდომას უნდა ესწრებოდეს ადგილკომის წევრთა ორი მესამედი.

პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის მიერ შრომითი დავის თაობაზე მიღებული დადგენილების ამონაწერი სამი დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს დაინტერესებულ მუშაკსა და ადმინისტრაციას. თუ მუშა ან მოსამსახურე არ ეთანხმება ადგილკომის დადგენილებას, მას შეუძლია ათი დღის ვადაში განცხადებით მიმართოს სახალხო სასამართლოს. ამავე ვადაში ადმინისტრაციასაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ მას მიაჩნია, რომ ადგილკომის დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

**შრომითი დავის  
განხილვა სახალხო  
ხასამართლოში**

სახალხო სასამართლოში, როგორც წესი, წყდება ის შრომითი დავები, რომლებიც წინასწარ იყო განხილული შრომითი დავის კომისიაში და პროფკავში-

რის ადგილობრივ კომიტეტში. სასამართლო იხილავს, სახელდობრ, შრომით დავას მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფკავშირის ადგილკომის დადგენილებას, აგრეთვე ადმინისტრაციის განცხადებით, როცა მას მიაჩნია, რომ ადგილკომის დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. გარდა ამისა, სასამართლო იხილავს შრომით დავას მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფკავშირული ორგანიზაციისა და საწარმოს, დაწესებულების. ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან შემდგარი შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას, ან როცა ამ კომისიაში მხარეებმა ვერ მოაღწიეს შეთანხმებას, აგრეთვე პროკურორის განცხადებით, როცა მას მიაჩნია, რომ პროფკავშირის ადგილკომის დადგენილება ან პროფკავ-

შირული ორგანიზატორისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან შემდგარი შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზოგიერთ შრომით დავას იხილავს უშუალოდ სახალხო სასამართლო შრომითი დავის კომისიისა და პროფკავშირის ადგილკომისათვის მიუმართავად. უშუალოდ სასამართლოში იხილება, მაგალითად, შრომითი დავა იმ მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომლებიც დათხოვნილი არიან ადმინისტრაციის ინიციატივით. უშუალოდ სახალხო სასამართლო იხილავს ადმინისტრაციის განცხადებას მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის წამოჭრილ დავას შრომის კანონმდებლობის გამოყენების ისეთ საკითხებზე, რომელიც ამ მუშაკის მიმართ წინასწარ გადაწყვიტა ადმინისტრაციამ პროფკავშირის ადგილკომთან შეთანხმებით მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში.

უშუალოდ სასამართლოში იხილება იმ საწარმოს მუშაკთა შრომითი დავები, რომლის ლიკვიდაციაც მოხდა ან სადაც შეუძლებელია შრომითი დავის კომისიის შექმნა.

იმ შრომით საქმეებზე, რომლებიც უშუალოდ სასამართლოში იხილება, დადგენილია მიმართვის სამთვიანი ვადა, რაც იანგარიშება იმ დღიდან, როცა მუშებმა და მოსამსახურეებმა გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდან დათხოვნის საქმეები. ამ შემთხვევაში მუშაკს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს ერთი თვის ვადაში ბრძანების ჩაბარების დღიდან, ხოლო თუ ბრძანება არ ჩაბარდა შრომის წიგნაკის გაცემის დღიდან, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველების ჩანაწერით ანდა იმ დღიდან, როდესაც მუშაკმა უარი განაცხადა ბრძანების ან შრომის წიგნაკის მიღებაზე.

სპეციალური ვადაა დაწესებული ადმინისტრაციისათვის, როდესაც იგი მოითხოვს მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, დადგენილია სასამართლოზე მიმართვის ერთწლიანი ვადა, რაც იანგარიშება მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამომქვადების დღიდან.

სასამართლოს შეუძლია აღადგინოს აღნიშნული ვადები, თუ შოსარჩელებების მიერ საპატიო მიზეზით მოხდა მათი გაშვება.

შრომითი დავა სასამართლომ უნდა განიხილოს არა უგვიანეს ათი დღისა, თუ მხარეები ერთ ქალაქში ან რაიონში იმყოფებიან, ხოლო სხვა შემთხვევებში — არა უგვიანეს ოცი დღისა განცხადების მიღების დღიდან. მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხებზე, თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდისაგან.

**შრომითი დავის განხილვა ხელქვეითობის წესით** ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების მიერ განიხილება იმ მუშაკთა დათხოვნის, დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის, სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხი, რომლებსაც დაკავებული აქვთ განსაკუთრებულ ნუსხებში ჩამოთვლილი თანამდებობები. ეს ნუსხები დართული აქვს დებულებას შრომითი დავის განხილვის შესახებ და ატარებს ამომწურავ ხასიათს, არ შეიძლება მათი გაცრცობითი განმარტება. ეს ნიშნავს, რომ მუშაკს, რომელიც თანამდებობათა ამ ნუსხებში არ არის მითითებული, უფლება აქვს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხებზე იდავოს საერთო წესით.

გარდა აღნიშნულისა, ხელქვეითობის წესით იხილება იმ მუშაკთა დისციპლინური სასჯელის დადებისას წამოჭრილი დავა, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა დისციპლინური წესდებით, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა განცხადებები პრემიების საკითხის გამო, რასაც მოქმედი დებულების თანახმად მათთვის მისაცემად ამტკიცებს ზემდგომ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა. ამ შემთხვევაში იურიდიული მნიშვნელობა ხელმძღვანელი მუშაკის თანამდებობას კი არა აქვს, არამედ გასაცემი პრემიის დამტკიცების წესს.

ხელქვეითობის წესით იხილება მხოლოდ აღნიშნულ საკითხებზე წამოჭრილი დავა. ყველა სხვა შრომით საკითხებზე მუშაკებმა, რომელთა თანამდებობა ნუსხაშია მითითებული, უნდა იდავონ საერთო წესით.

განცხადება შრომითი დავის ხელქვეითობის წესით გადაწყვეტის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს ზემდგომ თანამდებობის პირთან ან ორგანოში, რომელიც ვალდებულია ათი დღის ვადაში განი-

ხილოს დავა და დაუყოვნებლივ აცნობოს შედეგი დაინტერესებულ მუშაქს.

**შრომის დავის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და აღსრულება**

სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახურეს სასამართლოს ან ქვემდებარეობის წესით ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა. ასეთივე ოდენობით აუნაზღაურდებათ გაცდენილი დროის ხელფასი იმ შემთხვევაშიც, როცა შრომის წიგნაკში უსწოროდ იყო ფორმირებული დათხოვნის მიზეზი, რაც მუშაქს ხელს უშლიდა ახალ სამუშაოზე მოწყობაში.

იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი აღნიშნული ოდენობით მუშაქს შეიძლება მისცენ აგრეთვე შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებით და პროფკავშირის ადგილკომის დადგენილებით.

მუშაქს, რომელიც უკანონოდ გადაიყვანეს სხვა სამუშაოზე და შემდგომ აღადგინეს წინანდელზე, დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებით ან დადგენილებით იძულებით გაცდენილი დროისათვის ეძლევა საშუალო ხელფასი ან სხვაობა დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

შრომითი დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ან დადგენილება უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაქის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. თუ ადმინისტრაციამ დააყოვნა აღსრულება, მუშაქს დაყოვნების დროისათვის ეძლევა საშუალო ხელფასი ან ხელფასის სხვაობა გადაწყვეტილების ან დადგენილების გამოტანის დღიდან მისი აღსრულების დღემდე. დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება მუშის ან მოსამსახურისათვის ხელფასის მიცემის შესახებ, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის ხელფასისა.

ყველა სხვა შემთხვევაში შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება და პროფკავშირის ადგილკომის დადგენილება ადმინისტრაციამ უნდა აღასრულოს ათ დღეში, თუ მასში მითითებული არ არის აღსრულების სხვა ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია დადგენილ ვადაში არ შესრულებს შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას ან პროფკავ-

შირის ადგილკომის დადგენილებას მათ იძულებით წესით აღასრუ-  
ლებს სასამართლოს აღმასრულებელი პროფკავშირის ადგილკომის  
მიერ დაინტერესებული მუშაკისათვის გაცემული სპეციალური მოწ-  
მობის საფუძველზე.



§ 1. ზოგადი დებულებები

საქონმდებლო აქტები საბჭოთა საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობამ განვითარების და სრულყოფის დიდი გზა განვლო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე მიღებულ იქნა დეკრეტები, რომლებმაც განსაზღვრეს სოციალისტური ქორწინებისა და ოჯახის ძირითადი პრინციპები, დაადგინეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში ქალისა და მამაკაცის სრული თანასწორობა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ პირველი კოდექსი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ მიიღო 1918 წელს, იყო კოდექსი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ. ამ პერიოდის მხოლოდებული საქორწინო და საოჯახო საკითხების თაობაზე მრავალი საქონმდებლო აქტი იქნა მიღებული. ამჟამად, მოქმედი კანონმდებლობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1968 წლის 27 ივნისს დამტკიცებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, რომლის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებმა მიიღეს საქორწინო-საოჯახო კოდექსები. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა 1970 წლის 18 ივლისს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნა იმავე წლის 1 ოქტომბრიდან.

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა აწესრიგებს ქორწინებისა და ოჯახის სამართლებრივ საკითხებს, განსაზღვრავს მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა პირად და ქონებრივ ურთიერთობებს, ადგენს შვილად აყვანის, მამობის დადგენის, მეურვეობისა და მზრუნველობის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესსა და პრინციპებს.

საქორწინო და საოჯახო  
კანონმდებლობის  
ამოცანები

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის ამოცანაა საბჭოთა ოჯახის განმტკიცება, საოჯახო ურთიერთობების დამყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლო-

ბით საქორწინო კავშირზე, ოჯახის ყველა წევრის მატერიალური ანგარიშინანობისაგან თავისუფალი ურთიერთსიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებზე, მომავალი თაობის აღზრდა სამშობლოს ერთგულებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, დედისა და ბავშვის ინტერესების ყოველმხრივი დაცვა, საოჯახო ურთიერთობაში წარსულის მავნე გადმონაშთებისა და ჩვევების აღმოფხვრა, ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა.

აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის სსრ კავშირში შექმნილია ყველა პირობა. საბჭოთა ოჯახზე ზრუნვა იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. განუხრელად უმჯობესდება მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახის საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები, შენდება სამშობლიარო სახლები, საბავშვო ბაგები და ბაღები, სკოლა-ინტერნატები და სხვა საბავშვო დაწესებულებები, ხორციელდება ღონისძიებები საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების სამსახურის სრულყოფისათვის, მართობილა და მრავალშვილიან დედებს ეძლევა დახმარება, ორსულ და მშობიარე ქალებს ფასიანი შვიბულება და ა. შ.

**საქორწინო და საოჯახო  
კანონმდებლობის  
პრინციპები**

საბჭოთა საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა გამსჭვალულია სოციალისტური ზნეობისა და ჰუმანიზმის იდეებით. იგი დამყარებულია ისეთ დემოკრატიულ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური საოჯახო ურთიერთობების დამკვიდრებასა და განმტკიცებას, ოჯახის წევრთა ინტერესებისა და უფლებების ყოველმხრივ დაცვას.

საოჯახო ურთიერთობებში მოქალაქენი თანასწორნი არიან. დაუშვებელია უფლებათა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმომადგენლის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით.

საოჯახო ურთიერთობებში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ. თანასწორი შესაძლებლობები განათლების და პროფესიის მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეცია-

ლური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში უზრუნველყოფს ქალის ფაქტობრივ თანასწორუფლებიანობას მამაკაცთან.

საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობა ემყარება მონოგამიის ანუ ერთი ქორწინების პრინციპს. თითოეული პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ ქორწინებაში და ერთ პირთან. ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა, ესე იგი, ერთად ორ ან რამდენიმე ქალთან ცხოვრება საერთო მეურნეობის წარმოებით დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით. ერთქორწინება ხელს უწყობს მყარი საოჯახო კავშირის განმტკიცებას, საოჯახო ცხოვრებისა და ბავშვთა აღზრდისათვის ნორმალური პირობების შექმნას.

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი პრინციპია ქორწინებისა და განქორწინების თავისუფლება. არავის არა აქვს უფლება აიძულოს საბჭოთა მოქალაქე დაქორწინდეს ან განქორწინდეს. ამ საკითხს წყვეტენ თვითონ მეუღლეები თავიანთი ნებითა და სურვილით. კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ პირობებს. რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ მოუფიქრებლად არ შეიქმნას ან დაინგრეს ოჯახი.

საოჯახო ურთიერთობანი ძალიან რთულია. შეუძლებელია ოჯახის წევრთა ყველა ურთიერთობის, ყველა წვრილმანის კანონით მოგვარება და მოწესრიგება. ურთიერთდახმარებისა და ალიმენტების გარდა ადამიანებს უნდათ სიტბო, სიყვარული, პატივისცემა, ერთგულება, რისი კანონით დადგენა და აღსრულება შეუძლებელია. გარდა იურიდიული უფლება-მოვალეობებისა ადამიანს უნდა ჰქონდეს შინაგანი მოვალეობისა და სინდისის გრძნობა, რასაც უანგაროდ უნდა ახმარდეს თავისი ოჯახის წევრებს, სხვა ადამიანებს, პირნათლად ასრულებდეს სამართლებრივ და ზნეობრივ მოვალეობებს საზოგადოებისა და შთამომავლობის წინაშე.

## § 2. ქორწინება

**დაქორწინების წესი და პირობები**

დაქორწინება ფორმდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. სხვა წესითა და ფორმით შექმნილი ოჯახი არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, არ წარმოადგენს სამართლებრივი ჩარევისა და დაც-

ვის ობიექტს. ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების და ინტერესების დაცვის მიზნით.

დაქორწინებისათვის აუცილებელია დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და საქორწინო ასაკი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძველზე როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი. გამონაკლის შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ამ ასაკის შემცირება, მაგრამ არა უმეტეს ორი წლით: საქართველოში საქორწინო ასაკად დადგენილია თვრამეტი წელი. გამონაკლის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ საქორწინო ასაკი შეამცირონ ერთი წლით. აღმასკომის უარი ასაკის შემცირებაზე სასამართლო წესით არა, მაგრამ ზემდგომი საბჭოს აღმასკომში შეიძლება გასაჩივრდეს.

დაქორწინება ფორმდება ერთი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა დაქორწინების მსურველნი განცხადებას შეიტანენ მმარჩის ორგანოში. ცალკეულ შემთხვევაში, საპატო მიზეზის არსებობისას, შეიძლება ამ ვადის შემცირება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ. ქორწინების რეგისტრაციისათვის ვადის მიცემისას მმარჩის ორგანოები უხსნიან მომავალ მეუღლეებს ოჯახის შექმნის მნიშვნელობას, ურჩევენ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, ღრმად გაიაზრონ ოჯახის შექმნით რა ვალდებულებებს კისრულობენ საზოგადოებისა და თავიანთი მომავლის წინაშე. დაქორწინება ტარდება საზეიმო ვითარებაში, რასაც უზრუნველყოფენ მმარჩის ორგანოები დაქორწინების მსურველ პირთა თანხმობით.

დაქორწინების მსურველთა ურთიერთთანხმობისა და ასაკის გარდა კანონი ითვალისწინებს ქორწინების დამაბრკოლებელ მთელ რიგ გარემოებებს. დაქორწინება არ დაიშვება: ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან; ბ) პირდაპირ აღმავალი (მამა, დედა, ბებია და ა. შ.) და დაღმავალი (შვილი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და ა. შ.). შტოს ნათესავენ შორის, ღვიძლ (საერთო დედისა და მამის შვილები) და აგრეთვე არაღვიძლ (ერთი მამისა და სხვადასხვა დედის ან ერთი დედისა და

სხვადასხვა მამის შვილები) დასა და ძმას შორის; გ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; დ) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჰყუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმელუნარიანად.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების დამალვა ან მმაჩის ორგანოებისათვის არასწორი ცნობების მიცემა დანაშაულია და ისჯება კანონით. სისხლის სამართლის წესით ისჯება აგრეთვე ქორწინება, რომელიც ფიქტიურია, მიზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას.

**მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები** ქორწინების შედეგად მეუღლეთა შორის წარმოიშობა გარკვეული პირადი და ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. პირადი ხასიათისაა გვარის, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის არჩევის და სხვა არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობანი. დაქორწინების დროს მეუღლენი თავიანთი სურვილისამებრ ირჩევენ ერთ-ერთი მათგანის გვარს, ანდა თითოეული დაიტოვებს თავის ქორწინებამდელ გვარს ან თავის გვარს შეუერთებს მეუღლის გვარს. გვარების შეერთება არ დაიშვება, თუ ორივე მეუღლეს ან ერთ მათგანს ორმაგი გვარი აქვს. თითოეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საქმიანობა, პროფესია და საცხოვრების ადგილი.

მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ პირადი და საერთო ქონება. პირადია ქონება, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის საკუთრებაა და განკარგავს მას თავისი სურვილისამებრ. პირად საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, აგრეთვე ქორწინების პერიოდში ჩუქების ან მემკვიდრეობის წესით მიღებული ქონება. მეუღლეთა პირად საკუთრებად ითვლება პირადი მოხმარების ნივთები, თუნდაც ისინი შექმნილი იყოს ქორწინებაში ყოფნის დროს მეუღლეთა საერთო სახსრებით, გარდა ძვირფასეულობისა.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას წარმოადგენს მათ მიერ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება, აგრეთვე თითოეული მეუღლის პირად საკუთრებაში დაქორწინებამდე არსებული ქონება. თუ ქორწინების შემდეგ დახარჯული თანხის შედეგად ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა მეუღლეებს აქვთ ამ ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების ქონება შექმნილია მათი საერთო შრომით. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს დახარჯული.

შრომის რაოდენობას და ფორმას. მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ასეთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არა ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების ქონების გაყოფის საკითხი შეიძლება დაისვას როგორც ქორწინების პერიოდში, ისე განქორწინებისას. ამ ქონების გაყოფისას მეუღლეთა წილი თანაბარია. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილების ინტერესები, ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა და სხვა ყურადსაღები გარემოებები. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფისას სასამართლო განსაზღვრავს, რომელი ნივთი რომელ მეუღლეს მიეკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის ესაჭიროება. თუ ამ ნივთების ღირებულება მის კუთვნილ წილს აღემატება, მეორე მეუღლეს შეიძლება მიეკუთვნოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულებათა დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მისი პირადი ქონებიდან და იმ წილიდან, რომელიც მას თანასაკუთრებაში ეკუთვნის. ასეთი ვალდებულებათათვის მეუღლეები პასუხს აგებენ თავიანთი ქონებით, რომელიც მათ საერთო თანასაკუთრებას შეადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებით მიღებული სიკეთე გამოყენებული იყო მთელი ოჯახის ინტერესებისათვის. ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გადახდევინება შეიძლება საერთო თანასაკუთრებიდან იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგინდა, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა შეძენილი.

მეუღლეები ვალდებული არიან მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, უფლება აქვს სასამართლოს წესით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) მეორე მეუღლისაგან, თუ ამ უკანასკნელს შეუძლია მისი მიცემა. ცოლს, ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს სასამართლოს საშუალებით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) ქმრისაგან, თუ ამ უკანასკნელს შეუძლია მისი მიცემა. ასეთივე უფლება აქვს შრომისუუნარო მეუღლეს გან-

ქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებადნე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან. თუ მეუღლენი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ალიმენტი შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთ მეუღლეს განქორწინებული მეუღლის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც, როცა მეორე მეუღლეს საპენსიო ასაკი შეუსრულდა არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების დღიდან და ესაჭიროება დახმარება. ამასთან, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული ვადით შეზღუდოს ეს მოვალეობა, თუ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით, ან თუ დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა ალიმენტის გადამხდელის მიმართ ან თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნი მეუღლის შრომისუუნარობა გამოწვეულია სპირტიანი სასმელების ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებით, ანდა დანაშაულის ჩადენით.

**ქორწინების შეწყვეტა** ქორწინება წყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით ან კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებულად აღიარებით. მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინება წყდება განქორწინებით ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადების საფუძველზე.

განქორწინება შეიძლება როგორც მმაჩის ორგანოებში, ისე სასამართლოს წესით. მმაჩის ორგანოებში განქორწინება დაიშვება ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე, თუ მეორე მეუღლე სასამართლო წესით აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად, გამოცხადებულია არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჰქუასუსტობის გამო, ან მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა. მმაჩის ორგანოში განქორწინება შეიძლება ორივე მეუღლის განცხადებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანახმა არიან განქორწინებაზე, არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და მათ შორის არ არსებობს ქონებრივი დავა. წინააღმდეგ შემთხვევაში განქორწინება უნდა მოხდეს სასამართლო წესით. სასამართლო წესით საჭირო მაშინაც, როცა მეუღლე, რომელიც მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით, აღძრავს დევას ბავშვების ან ქონების გაყოფის შესახებ, ან თუ არაქმედუნარიანი პირის მეურვე მოითხოვს ქონების გაყოფას ან ალიმენტის გადახდას. ცოლის ორსულობის დროს და ბავშვას დაბადებიდან ერთი წლის განმავლო-

ბაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინების შესახებ.

მმაჩის ორგანოში განქორწინება უნდა გაფორმდეს განცხადების შეტანიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. ამ ვადის შემცირება არ დაიშვება. სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად და უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს შერიგების ვადა ექვს თვემდე ვადით. ეს ვადა იმიტომაა დადგენილი, რომ არ მოხდეს ოჯახის მოუფიქრებელი დანგრევა. სასამართლო ვალდებულია გულდასმით გაარკვიოს მეუღლეებს შორის კონფლიქტის ნამდვილი მიზეზები, მიიღოს ზომები მათ შესარიგებლად და მხოლოდ მას შემდეგ განაქორწინოს, როცა დარწმუნდება, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია.

სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით გადახდეს ალიმენტი, აგრეთვე მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით განიხილოს და გადაწყვიტოს სარჩოს სახით მისაღები სახსრების ოდენობა და იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას.

თუ ქონების გაყოფა ეხება მესამე პირის უფლებებს, ეს საკითხი განიხილება და გადაწყდება ცალკე. განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს თანხას ორმოცდაათი მანეთიდან ორას მანეთამდე, რომელიც სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა გადახდეს ერთ-ერთ ან ორივე მეუღლეს. თუ სასამართლო საჭიროდ ცნობს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, განსაზღვრავს თითოეულის მიერ გადასახდელ თანხას. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება მმაჩის ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან. განქორწინების მოწმობის გაცემა ხდება მმაჩის ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს სამი წლისა.

**ქორწინების ბათილობა** ქორწინება შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ პირობებს: ქორწინებისას არ არსებობდა მექორწინეთა ურთიერთშეთანხმება, მექორწინეებს ან ერთ-ერთ მათგანს არ შესრულებია საქორწინო ასაკი, დარღვეულია ერთქორწინების პრინციპი და ა. შ. ბათილად შეიძლება ცნობილი იქნეს აგრეთვე ქორწინება, რომელიც მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქტიური



ქორწინება). ბათილად ცნობილი ქორწინება, როგორც წესი, არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთმა მეუღლემ არ იცოდა და არ შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, სასამართლოს უფლება აქვს მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღება დადგენილი წესით, ხოლო ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონება გაყოს როგორც მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში მყოფი ქონება. ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე.

ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეს სასამართლო განიხილავს სასარჩლო წესით.

### § 3. მ შ ა ხ ი

#### შვილების წარმოშობის დადგენა და ჩაწერა

მშობლების უფლებების და მოვალეობების წარმოშობის საფუძველია შვილების მშობლებისაგან შთამომავლობითი წარმომავლობა. შვილებსა და მშობლებს შორის უფლება-მოვალეობები წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დედასა და მამას დაბადების ჩაწერის წიგნში მშობლებად ჩაწერენ ერთ-ერთი მათგანის განცხადებით. ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილ პირს უფლება აქვს სასამართლო წესით სადავოდ გახადოს ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერი. ჩანაწერში შეცდომების გასწორებას ან ცვლილებების შეტანას, თუ არის ამის საფუძველი, აწარმოებენ მამის ორგანოები. ამ ორგანოების უარი ჩანაწერებში შესწორების ან ცვლილების შეტანაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

დაუქორწინებელ მშობელთა შვილის წარმოშობის დადგენა ხდება მამის ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით. ასეთ შემთხვევაში ბავშვის დედად ჩაწერა წარმოებს დედის განცხადებით, ხოლო ბავშვის მამად ჩაწერისათვის აუცილებელია მშობლების ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ. თუ ბავშვის დედა გარდაიცვალა, ცნობილია არაქმედუნარიანად, ჩამორთმეული აქვს მშობლის

უფლება ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის მამის ჩაწერა ხდება მამის განცხადებით ბავშვის წარმოშობის შესახებ. განცხადების შეტანა შეიძლება როგორც დაბადების რეგისტრაციისას, ასევე ნებისმიერ დროს. მშობელთა ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში, მამობა შეიძლება დადგინდეს იქნეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრების და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, მტკიცებულებას, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას (განცხადება, ბარათი, ანკეტა და სხვა). ამასთან სავალდებულო არ არის, რომ ერთად ცხოვრება გრძელდებოდეს თვით ბავშვის დაბადების მომენტამდე. საკმარისია, რომ მშობლებმა ერთად იცხოვრონ განსაზღვრული დროით და აწარმოონ საერთო მეურნეობა. მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობანი, როგორც დაქორწინებულ პირთაგან დაბადებულ ბავშვებს.

თუ არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის გვარად ჩაიწერება დედის გვარი, ხოლო სახელი და მამის სახელი ბავშვის მამისა ჩაიწერება დედის მითითებით. შვილს სახელი დაერქმევა მშობლების შეთანხმებით, მამის სახელი ეძლევა მამის სახელის მიხედვით ან იმ პირის სახელის მიხედვით, რომელიც მამად არის ჩაწერილი. არასრულწლოვანმა შვილმა უნდა ატაროს მშობლების გვარი. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი მშობლების შეთანხმებით.

**მშობლების უფლებები  
და მოვალეობები  
შვილების აღზრდის  
საქმეში**

მშობლები მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისა და სწავლისათვის, მოამზადონ ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, აღ-

ზარდონ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად. მშობლები თავისი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომად-

გენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. შვილების მიმართ მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები, რომლებიც მათ უნდა განახორციელონ არა მარტო თანასწორობის საწყისებზე, არამედ მხოლოდ ბავშვების ინტერესების სასარგებლოდ. თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან ბავშვების აღზრდის საკითხში, მათ უფლება აქვთ მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მშობელს, რომელიც განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. თუ ცალკე მცხოვრები მშობლები ვერ შეთანხმდებიან შვილთან ურთიერთობის წესსა და მის აღზრდაში მონაწილეობის თაობაზე და არ ემორჩილებიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მითითებებს, საქმეს განიხილავს სასამართლო.

### **მშობლის უფლების ჩამორთმევა**

მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს სასამართლოს მიერ შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება, თუ გამოირკვა, რომ

ისინი თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებას, სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მკენე გავლენას ახდენენ მათზე თავიანთი ამორალური, ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან. მშობლის უფლების ჩამორთმევა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებმა ვერ მოახდინეს მათზე საჭირო ზემოქმედება, ვერ შეცვალეს მათი დამოკიდებულება შვილებისადმი.

ორივე მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში ბავშვები უნდა გადაეცეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობლებს, შვილების რჩენის მოვალეობისაგან. მშობლის უფლების ჩამორთმევისას სასამართლომ უნდა გადასწყვიტოს ამ პირისაგან ალიმენტის გადახდის საკითხი.

მშობლის უფლებაჩამორთმეული მშობელი კარგავს შვილთან ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას იმ შვილისადმი, რომლის მიმართაც მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება. კერძოდ, იგი კარგავს შვილის აღზრდის უფლებას, ალიმენტის მიღების

უფლებას სრულწლოვანობას მიღწეული შვილისაგან და ა. შ. მშობლის უფლების ჩამორთმევა არ იწვევს მშობლის ბინიდან გამოსახლებას, მაგრამ თუ მშობლის უფლება ჩამორთმეული მშობელი სისტემატურად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ამით შეუძლებელს ხდის ბავშვის მასთან ერთად ცხოვრებას, არ ემორჩილება გაფრთხილებებსა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს, იგი შეიძლება გამოსახლებულ იქნას ბინიდან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

აქ მხედველობაშია მისაღები საფრთხე, რომელიც ემუქრება არამართო ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არამედ მის აღმზრდელსაც. ასეთი საფრთხე შეიძლება წარმოიშვას სულით ან მძიმე ინფექციური სენით დაავადების, ჰქუასუსტობის, ფიზიკური ნაკლის გამო, რაც დაკავშირებულია მშობელთა ქრონიკულ დაავადებასთან.

შვილის ჩამორთმევა დროებითი ღონისძიებაა. იმ მიზეზების მოსპობის შემდეგ, რომლებიც საფუძვლად დაედო შვილის ჩამორთმევას, შვილი უბრუნდება მშობელს.

მშობლის უფლება ჩამორთმეული პირის თხოვნით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია დართოს მას ბავშვის ნახვის ნება, თუ ეს მავნე გავლენას არ მოახდენს ბავშვზე.

სასამართლოს წესით შეიძლება მშობლის უფლების აღდგენა, თუ დადგინდება, რომ მშობლის ყოფაქცევა, მისი ცხოვრების პირობები ძირეულად შეიცვალა და მას შეუძლია აღზარდოს შვილი და თუ მშობლის უფლების აღდგენას მოითხოვს ბავშვის ინტერესები. მშობლის უფლების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვა პირმა იშვილა.

სასამართლოს შეუძლია მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე ჩამოართვას შვილი მშობელს და გადასცეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ მიიჩნევს, რომ მშობელთან შვილის დატოვება ბავშვისათვის საზიანოა.

**მშობლებისა და შვილების**  
**საალიმენტო**  
**მოვალეობანი**

მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ეს ვალდებულება ეკისრება ორივე მშობელს, მიუხედავად იმისა, ისინი ქორწინებაში იმყოფებიან თუ არა.

არასრულწლოვანი შვილებისათვის მშობლებს ალიმენტი გადახ-

დებათ შემდეგი ოდენობით: ერთი ბავშვის სარჩენად — ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, ორი ბავშვის სარჩენად — ერთი მესამედი, სამი და მეტი ბავშვის სარჩენად — ნახევარი. ამ წილთა ოდენობა სასამართლოს შეუძლია შეამციროს თუ მშობელს, რომელიც მოვალეა იხდიდეს ალიმენტს, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდისას შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია, ან თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

სასამართლოს უფლება აქვს, შეამციროს ალიმენტის ოდენობა ან ალიმენტის გადახდისაგან გაათავისუფლოს მშობელი, თუ შვილები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე არიან.

შესაძლებელია, აგრეთვე ალიმენტის გადამხდელ მშობელს დაეკისროს ბავშვის აღზრდასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული დამატებით ხარჯებში მონაწილეობა. ალიმენტის წილობრივი გადახდევინების გარდა მშობელს შეიძლება დაეკისროს აგრეთვე გარკვეული თანხის გადახდა, თუ მას აქვს დამატებითი შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთზე მოწყობილი დახმარე მეურნეობიდან. ალიმენტის ოდენობა დაინტერესებული პირის თხოვნით შეიძლება განისაზღვროს ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხის სახით, თუ მშობელს ცვალებადი ხელფასი აქვს ან მისი შრომის ანაზღაურება ხდება ნატურით. სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისათვის, რომელიც საჭიროებს დახმარებას, მშობლებს ალიმენტი გადახდებთ ყოველთვიურად მტკიცე თანხის სახით შვილებისა და მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

თუ ბავშვი სხვა პირებთან (ბებიასთან, დასთან და ა. შ.) იზრდება და არა მშობლებთან, მაშინ თითოეულ მშობელს უნდა დაეკისროს ალიმენტი კანონით დადგენილი ოდენობით.

თავის მხრივ, შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. მშობლების სარჩენად გადასახდელი სარჩო უნდა განისაზღვროს ყოველთვიურად მტკიცე თანხის სახით მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ საკითხის გადაწყვეტისას სა-

სამართლო ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ მშობლების რჩენის მოვალეობა ეკისრება არა მარტო იმ შვილს, ვის მიმართაც წარდგენილია სარჩელი, არამედ ყველა შვილს.

შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას ან ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება.

**ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი** მშობლებს, შვილებს და მეუღლეებს ყოველთვის არ შეუძლიათ აღმოუჩინონ ერთმანეთს მატერიალური დახმარება.

ამიტომ ურთიერთდახმარების მოვალეობა აკისრიათ ოჯახის ისეთ წევრებსაც, როგორცაა შვილიშვილები, პაპები და ბებიები, დები და ძმები, მამინაცვალი და დედინაცვალი, გერები, ფაქტობრივი აღმზრდელები და აღზრდილები. ოჯახის სხვა წევრთა საალიმენტო ვალდებულება ატარებს დამატებით ხასიათს ოჯახის არასრულწლოვანი ბავშვების და იმ სრულწლოვანი შრომისუუნარო წევრების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ალიმენტის მოთხოვნის უფლება ოჯახის სხვა წევრების მიმართ პირს მხოლოდ მაშინ გაუჩინდება, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს მშობლებისაგან, შვილებისაგან და მეუღლისაგან.

მშობლების შემდეგ საალიმენტო ვალდებულება ეკისრებათ მამინაცვალს, დედინაცვალსა და ფაქტობრივ აღმზრდელს გერებისა და აღსაზრდელების მიმართ. პაპისა და ბებიის შვილიშვილების ან შვილიშვილებს პაპისა და ბებიის მიმართ, აგრეთვე ძმისა და დას ურთიერთმიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრებათ საალიმენტო მოვალეობა, თუ არასრულწლოვანს ან შრომისუუნარო სრულწლოვანს, რომელიც დახმარებას საჭიროებს, არ შეუძლია მიიღოს სარჩო მშობლებისაგან, შვილებისაგან, მეუღლისაგან, აგრეთვე მამინაცვლის, დედინაცვლისა და ფაქტობრივი აღმზრდელისაგან.

ოჯახის სხვა წევრებს საალიმენტო ვალდებულება დაეკისრებათ მხოლოდ მაშინ, როცა მათ აქვთ საკმაო სახსრები. ამ პირობისაგან გადასახდელი ალიმენტის ოდენობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიური მტკიცე გადასახდელის სახით, ალიმენტის გადახდელისა და მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

საალიმენტო ურთიერთობის მონაწილეთა ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში თითოეულ მათგანს

უფლება აქვს მოითხოვოს გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემცირება ან გადიდება. სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტის გადახდევინებისაგან გაათავისუფლოს ვალდებული პირი, თუ აღარ არსებობს ის პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო ალიმენტის დანიშვნას.

**შვილად აყვანა** შვილად აყვანა წარმოადგენს იურიდიულ აქტს, რომლის ძალითაც მშვილებელსა და შვილებულს შორის წარმოიშვება ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის. ამასთან ამ აქტის საფუძველზე შვილებული კარგავს უფლებებსა და თავისუფლდება მოვალეობისაგან თავისი ღვიძლი მშობლებისა და ნათესავების მიმართ.

შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვისა და მისი ინტერესებისათვის. მშვილებელი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი მოქალაქე. შვილად აყვანის უფლება არა აქვს პირს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ან რომელსაც ადრე ჰყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილად აყვანა გაუქმდა იმ მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო.

არასრულწლოვანის შვილად აყვანა, რომელსაც ათი წელი შესრულდა, დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე. ასეთი თანხმობა საჭირო არ არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მას თავის მშობლად თვლის.

იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი წერილობითი თანხმობა. მშობლების თანხმობა არ არის საჭირო, თუ მათ ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, დადგენილი წესით აღიარებული არიან არაქმედუნარიანად ან უკვალოდ დაკარგულად, ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაფრთხილების მიუხედავად ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განზრახ არ იღებენ მონაწილეობას ბავშვის აღზრდასა და რჩენაში.

როგორც წესი, ბავშვი შვილად აყვავს მეუღლეებს. მაგრამ არ არის გამორიცხული ბავშვი შვილად აყვანოს ერთ-ერთმა მეუღლემ. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, თუ ის დადგენილი წესით აღიარებულია არაქმედუნარიანად, აგრეთვე თუ მეუღლეებმა შეწყვიტეს

ოჯახური ურთიერთობა, ერთ წელზე მეტ ხანს არ ცხოვრობენ ერთად და მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი არ არის ცნობილი.

იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელსაც მშობლები არ ჰყავს და მეურვეობაში ან მზრუნველობაში იმყოფება, აუცილებელია მეურვის ან მზრუნველის წერილობითი თანხმობა, ხოლო იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში იზრდება, საჭიროა ამ დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობა.

შვილად აყვანა ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზე მმართველ ორგანო ახდენს სათანადო რეგისტრაციას. ამასთან შვილად აყვანის საიდუმლოება დაცულია კანონით. მშვილებლის თანხმობის გარეშე, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე, აკრძალულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნიდან ისეთი ამონაწერების გაცემა, საიდანაც ირკვევა, რომ მშობელი ნაშვილების ღვიძლი მშობელი არ არის. შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად შეიძლება შეიცვალოს ნაშვილების დაბადების ადგილი, შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

შვილად აყვანა სამართლებრივი თვალსაზრისით იგივეა, რაც ბავშვის დაბადება, წარმოშობს ისეთივე პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, როგორსაც შთამომავლობითი ნათესაობა. ამასთან, შვილობილის აღზრდისათვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად კანონი ითვალისწინებს ზოგიერთი პირადი ხასიათის ურთიერთობის თავისებურ გადაწყვეტას. მშვილებლის თხოვნით ნაშვილებს გვარი და მამის სახელი მიეკუთვნება მშვილებლის გვარისა და სახელის მიხედვით, მისი თხოვნით შეიძლება ბავშვს შეეცვალოს სახელიც, აგრეთვე მშვილებლები ჩაიწერონ ნაშვილების მშობლებად. თუ ბავშვი ათ წელს მიღწეულია, აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა მისი თანხმობაც.

შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს ან ბათილად იქნას ცნობილი სასამართლოს მიერ თუ არსებობს ამისათვის საკმარისი საფუძველი. შვილად აყვანის გაუქმება ხდება, როდესაც ამას მოითხოვს ბავშვის ინტერესები (ახალ ოჯახში შვილობილისადმი ცუდი მოპყრობა,



მშვილელბლის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, მისი ოჯახური პირობების მკვეთრად გაუარესება და ა. შ.); შვილად აყვანა გაუქმდება აგრეთვე მაშინ, როცა მისი გაფორმება მოხდა კანონის დარღვევით, მაგალითად, მიღებული არ იყო მშობლების ან მშვილელბლის მეუღლის თანხმობა, როცა ასეთი თანხმობა საჭირო არის. დაუშვებელია შვილად აყვანის გაუქმება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს ნაშვილების, მისი მშობლებისა და მშვილელბლის თანხმობა. შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი იმ შემთხვევაში, თუ იგი დამყარებულია ყალბ დოკუმენტებზე, ნაშვილებია სრულწლოვანი, მშვილელბელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება ან ცნობილი იყო არაქმედუნიანიანად, აგრეთვე, როცა იგი ატარებს ფიქტიურ ხასიათს. ყველა შემთხვევაში შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნაშვილების ინტერესებს.

შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობისას შეწყდება ნაშვილებსა და მშვილელბელს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობანი და აღდგება შვილსა და მის მშობლებს შორის არსებული ურთიერთობა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი გადაეცემა მშობლებს, ხოლო თუ ეს ეწინააღმდეგება მის ინტერესებს — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. სასამართლომ ბავშვის ინტერესების შესაბამისად უნდა გადაწყვიტოს აგრეთვე ბავშვისათვის მიკუთვნებული გვარის, სახელისა და მამის სახელის შენარჩუნების საკითხი. იმ შემთხვევაში, როდესაც შვილად აყვანა გაუქმებულია მშვილელბლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, ბავშვს ენახება მშვილელბლისაგან აღიშენების მიღების უფლება.

შვილად აყვანა წყდება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან, ხოლო ბათილად ითვლება გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

#### § 4. მეურვეობა და მზრუნველობა

მეურვეობისა და  
მზრუნველობის ცნება  
და მიზნები

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება იმ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისათვის, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლის უფლებას ჩა-

მორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დაჩინენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, აგრეთვე ამ ბავშვთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვისა.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებების და ინტერესებს დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობანი.

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია თხუთმეტი წლის ასაკამდე და პირზე, რომელიც აღიარებულია არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. კანონით დადგენილ შემთხვევებში მეურვეობა შეიძლება დაწესდეს გარდაცვლილისა და უკვალოდ დაკარგულის ქონებაზე. მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანებზე თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე, აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობები.

**მეურვეობისა და  
მზრუნველობის  
ორგანოები**

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს წარმოადგენენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც არასრულწლოვანი პირის მეურვეობას და მზრუნველობას ახორციელებენ განათლების განყოფილების მეშვეობით, არაქმედუნარიანად აღიარებული პირისას — ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, ხოლო იმ ქმედუნარიანი პირისას, რომელიც ჯანმრთელობის გამო საჭიროებს მზრუნველობას — სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მეშვეობით. იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში იზრდება, აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელიც მეურვეობის ან მზრუნველობის სათანადო დაწესებულებაში იმყოფება, მეურვის ან მზრუნველის მოვალეობა ეკისრება ამ დაწესებულების ადმინისტრაციას. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებენ შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები და მათი ზემდგომი ორგანოები.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ხელმძღვანელობენ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცე-

ბული დებულებით. ასეთი დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1972 წლის 12 ივლისის დადგენილებით.

**მეურვეობისა და  
მზრუნველობის  
დანიშვნის წესი**

დაწესებულებები და პირები, რომელთათვისაც ცნობილი გახდა, რომ მშობლების გარდაცვალების, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არასრულ-

წლოვანი საჭიროებს მეურვეობას ან მზრუნველობას, ვალდებული არიან ამის შესახებ აცნობონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ფაქტიური სამყოფელი ადგილის მიხედვით. სასამართლო ვალდებულია პირის არაქმედუნარიანად აღიარების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი დღისა აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მეურვის ან მზრუნველის მოვალეობათა განხორციელებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს მათი თანხმობით. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება მისი პირადი თვისებები და როცა ეს შესაძლებელია, სამეურვეო და სამზრუნველო პირის სურვილი. მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს არასრულწლოვანი, არაქმედუნარიანი, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან გათავისუფლებულია მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ სათანადოდ არ ასრულებდა ამ მოვალეობას.

**მეურვისა და  
მზრუნველის**

**უფლება-მოვალეობანი**

არასრულწლოვანის მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან აღზარდონ იგი, იზრუნონ მისი ფიზიკური განვითარებისა და სწავლისათვის, მოაშა-

დონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები. სრულწლოვანის მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან შეუქმნან მას აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყონ მოვლითა და მკურნალობით, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები. მეურვე და მზრუნველი განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე იცავენ სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ინტერესებს ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოშიც.

მეურვე და მზრუნველი თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ

უსასყიდლოდ. თუ მათ არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები სამეურვეო და სამზრუნველო პირების სარჩენად, ამ უკანასკნელთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე დახმარებას დაუნიშნავს სოციალური უზრუნველყოფის ორგანო.

**მეურვეობისა და  
მზრუნველობის  
შეწყობა**

მეურვეობა და მზრუნველობა შეწყდება, თუ მოისპო მათი დანიშვნის მიზეზები: გარდაიცვალა სამეურვეო ან სამზრუნველი პირი, არასრულწლოვანმა მი-

აღწია გარკვეულ ასაკს, არაქმედუნარიანი პირი ცნობილი იქნა ქმედუნარიანად და ა. შ.

მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტისაგან განსხვავდება მეურვისა და მზრუნველის მოვალეობისაგან გათავისუფლება და გადაყენება. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მეურვესა და მზრუნველს თავიანთი მოვალეობისაგან ათავისუფლებენ მშობლისათვის ბავშვის აღსაზრდელად დაბრუნების, გაშვილების, აგრეთვე მათი თხოვნით, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, მატერი-ალური მდგომარეობის შეცვლით და სხვა საპატიო მიზეზით. მეურვისა და მზრუნველის გადაყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. მოვალეობისაგან გათავისუფლებისა და გადაყენების შემთხვევაში სამეურვეო და სამზრუნველო პირს დაენიშნება ახალი მეურვე ან მზრუნველი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
თავი I. სახალხო მსაჯული	5
§ 1. სახალხო მსაჯულის უფლებამოსილება	5
§ 2. სახალხო მსაჯულთა საბჭო	14
§ 3. სახალხო მსაჯულთა ანგარიშვალდებულება	18
§ 4. სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის სრულყოფის საკითხები	24
თავი II. საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულება	31
§ 1. საბჭოთა მართლმსაჯულების ცნება და ამოცანები	31
§ 2. საბჭოთა მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპები	35
§ 3. ვ. ი. ლენინი და სკკპ საბჭოთა მართლმსაჯულების შესახებ	51
თავი III. სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები	64
§ 1. სასამართლო	64
§ 2. პროკურატურა	77
§ 3. ადვოკატურა	87
§ 4. სახელმწიფო არბიტრაჟი	94
§ 5. ნოტარიატი	98
§ 6. ამხანაგური სასამართლოები	102
§ 7. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები	103
§ 8. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები	113
თავი IV. სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება	118
§ 1. ზოგადი დებულებები	118
§ 2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა	125
§ 3. მოკვლევა და წინასწარი გამოძიება	129
§ 4. სამართალში მიცემა	135
§ 5. სასამართლო განხილვა და განაჩენის დადგენა	138
§ 6. წარმოება სიკასაციო ინტანციის სასამართლოში	145
§ 7. განაჩენის აღსრულება	151
§ 8. წარმოება საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში	145
§ 9. საქმეების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო	157
თავი V. სამოქალაქო საქმეთა წარმოება	160
§ 1. ზოგადი დებულებები	160
§ 2. სარჩელი	164

§ 3. სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო განხილვისათვის	166
§ 4. სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვა	168
§ 5. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება	174
§ 6. განსაკუთრებული წარმოება	176
§ 7. საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში	180
§ 8. საქმის წარმოება საზედამხებველო ინსტანციაში	183
§ 9. საქმის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო	186
თ ა ვ ი VI. სისხლის სამართლის კანონმდებლობა	188
§ 1. ზოგადი დებულებები	188
§ 2. დანაშაული	190
§ 3. სასჯელი	198
§ 4. დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ	209
§ 5. დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების და ღირსების წინააღმდეგ	214
§ 6. დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ	220
§ 7. თანამდებობრივი დანაშაული	222
§ 8. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ	225
§ 9. სხვა დანაშაულები	231
თ ა ვ ი VII. სამოქალაქო კანონმდებლობა	235
§ 1. ზოგადი დებულებები	235
§ 2. საკუთრების სამართალი	241
§ 3. ვალდებულებითი სამართალი	249
§ 4. მემკვიდრეობითი სამართალი	257
თ ა ვ ი VIII. საბინაო კანონმდებლობა	263
§ 1. ზოგადი დებულებები	263
§ 2. საცხოვრებელი სადგომების მიცემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში	266
§ 3. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა	270
§ 4. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით და საერთო საცხოვრებლებით სარგებლობა	276
§ 5. მოქალაქეთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი სადგომებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში და ამ სადგომებით სარგებლობა	278
§ 6. ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლების საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა	281
თ ა ვ ი IX. შრომის კანონმდებლობა	284
§ 1. ზოგადი დებულებები	284
§ 2. შრომის ხელშეკრულება	286

§ 3. შრომის დისციპლინა	295
§ 4. შრომის დაცვა	301
§ 5. შრომითი დაეების განხილვა	305
<b>თ ა ვ ი I. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა</b>	<b>313</b>
§ 1. ზოგადი დებულებები	313
§ 2. ქორწინება	315
§ 3. ოჯახი	321
§ 4. მეურვეობა და მზრუნველობა	329

# ШУШАНАШВИЛИ АЛЕКСАНДР АМИРАНОВИЧ

Книга народного заседателя

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1985

რედაქტორი უ. ზახტაძე

მხატვარი მ. შათიაშვილი

მხატვრული რედაქტორი რ. მაქარაშვილი

ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე

კორექტორები: ნ. კირთაძე, ღ. გულიაშვილი

გამომშვები ნ. ჩხეტიანი

გადაეცა წარმოებას 20.05. 85. ხელმოწერილია. დასაბეჭდად 16.08.85.  
საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. უე 03145. გარნიტური ვენა. ბეჭდ-  
ვის ხერხი შალალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19,53. პირ. სალ.-გატ.  
19,53. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 17,01. ტირაჟი 10.000 შეკვ. № 512  
ფასი 1 ზან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის თბილისის № 4 სტამბა

380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4, Госкомиздата

Грузинской ССР, Тбилиси, 380060. Медгородок, II корп.